



სერია „აჭარა უცხოელთა თვალით“

ალექსანდრე შრენკელი

ნარკვევები

ჩურუპ-სუსა და ბათუმზე

გამოსაცემად მოამზადა,
ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები,
ლექსიკონი და საძიებლები დაურთო

რამაზ სურმანიძემ

თბილისი, 2012 წელი

ა. ფრენკელის წიგნი „ჩურუქსუს“ და ბათუმის ნარკვევები“ რუსულ ენაზე 1879 წელს თბილისში გამოვიდა. წიგნის ავტორი თან ახლდა რუს-ქართველთა ლაშქარს, რომელმაც 1877-1878 წ.წ. ომის შედეგად და ბერლინის კონგრესის შეთანხმების საფუძველზე სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი ოსმალთაგან გაათავისუფლა. ა. ფრენკელი ომის ბოლო დღეების პერიპეტიების თვითმხილვი და თანამონაწილეა. პროფესიით იურისტი მახვილი თვალით ზომავს ათასგზის აოხრებული პატარა ქართული პროგინციების წარსულს და აწყოს, ხალხის ყოფას და კულტურას, ადათ-წესებსა და ტრადიციებს.

წიგნში გვხვდება შეცდომა-შეუსაბამობაც, რომელთა განმარტება მოცემულია რედაქტორის შენიშნებში.

წიგნში მოგანილი მრავალი ცნობა დღემდე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ რუსული ენის მცოდნე მკვლევართათვის. ქართულ ენაზე თარგმნილი ნაშრომის გამოსვლა, დარწმუნებული ვართ, დიდ სამსახურს გაუწევს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერებს, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრეს.

წიგნი თარგმნა აზოვ ახვლედიანება

რედაქტორი:
რამაზ სურმანიძე

რეცენზენტები:
გიგი ლიასამიძე
გოდერძი ჭოთავაგაშვილი

წიგნი გამოდის აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის მსარდაჭერით



О ЧЕРКИ ЧУРУК-СУ и БАТУМА.

А. ФРЕНКЕЛЯ



ТИФЛИСЪ
1879.



Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го августа 1879 г.

არაპაროგები თერბდალეულთა თაობიდან ალექსანდრე ფრანგელი

ჩვენში ძნელად მოინახება ისტორიკოსი, ვისაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ბატალიები, გათავისუფლებული ქართული ტერიტორიების იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა აინტერესებდა და თავის ნაშრომებში არ გამოეყენებინა ალექსანდრე ფრენკელის უაღრესად საინტერესო ჩანაწერები „ჩურუქ-სუს და ბათუმის ნარკვევები“, რომელიც ომის დამთავრებიდან სულ რაღაც რამდენიმე თვეში წიგნად გამოქვეყნდა.

ამ ნაშრომის მნიშვნელობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, ამ-ჯერად გვხურს მკითხველს შეძლებისდაგვარად თვით მისი ავტორის ბიოგრაფია გავაცნოთ.

სამწუხაროდ, ადრე ალექსანდრე ფრენკელის ბიოგრაფიით არავინ დაინტერესებულ, ამ პრეტენზიულ სიტყვას შემთხვევით არ ვამბობ. დიახ, მრავალმა მეცნიერმა ისარგებლა მისი წიგნით, მაგრამ ავტორის ბიოგრაფიაზე ცალი სიტყვაც კი არ უთქვამს. თუმცა ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ქართულ პრესაში მის შემოქმედებაზე ცოტა რამ გამოქვეყნდა. ჩვენს მუზეუმებსა და არქივებშიც მისი ბიოგრაფია არცერთ დოკუმენტს არ შემოუნახავს. ალექსანდრე ფრენკელზე ძალზე ცოტაა ნათქვამი ინფორმაციის ისეთი ხელმისაწვდომ საშუალებაში, როგორიცაა ინტერნეტი. თუმცა ყველაზე დასანანი ისაა, რომ მის შესახებ არაფერს ამბობს ქართული ენციკლოპედია, მაშინ როცა აქ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ფიზიკოს ი.ი. ფრენკელზე, რომელსაც საქართველოზე აღბათ ერთი სიტყვაც არ უთქვამს და დაუწერია.

ყველას თავისი მიეზდოს, მაგრამ ქართულ კულტურასა და ისტორიაზე ნაზიარები ა.ს. ფრენკელი ასეთ უყურადღებობას ნამდვილად არ იმსახურებს. თუნდაც იმიტომ, რომ ებრაული წარმოშობის კაცი თბილისში მართლმადიდებლურად მოინათლა და ეზიარა ქართულ სულიერებას. ა. ფრენკელს საკმაოდ ახლო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა პქონდა დიმიტრი ბაქრაძესთან, ილია ჭავჭავაძესთან, სერგეი მესხთან, ივანე კერესელიძესთან, ექვთიმე თაყაშვილთან, გიორგი წერეთელთან და სხვა დიდ ქართველ მოღვაწეებთან. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით. მასალების სიმწირის მიუხედავად, ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრიბა ის კანტი-კუნტი ცნობები, რომლებიც გაფანტულია ა. ფრენკელის თანამედროვეთა მოგონებებში, პრესაში, კერძო წერილებში და თვით მის ჩანაწერებში, რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ ერთ არაქართველ კალმოსანზე, რომელმაც თავისი შემოქმედებით ჩვენს ქვეყანას საქმაო ამაგი დასდო და თავისი წიგნები, უაღრესად საჭირო და სასარგებლო სამეცნიერო-პლიტიკური დოკუმენტები დაუტოვა.

პირველ რიგში საჭირო იყო დაგვედგინა ა. ფრენკელის დაბადების ადგილი. სამწუხაროდ, ეს ჩვენ ვერ შევძელით და ვერც სავარაუდო ადგილი დაგადგინეთ. რაც შეეხება დროს, ამაზე შეიძლება მიახლოებითი ვარაუდის გამოთქმა. ჩვენ ხელთა გვაქვს ინტერნებიდან მიღებული მოკლე ცნობა, სადაც საუბარია რუსეთში პირველად გამართულ სტუდენტურ საჯარო სასამართლოზე; ცნობა ამოწერილია 1894 წელს თბილისში გამოსული წიგნიდან, რომელიც მიძღვნილია პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის იუბილეზე. როგორც ირკვევა, იგი ა. ფრენკელის შედგენილია და მთლიანად მის მოგონებაზეა აგებული.¹

ნათელი ხდება, რომ ა. ფრენკელი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, დაამთავრა ამ უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტი. პირველი სტუდენტური



სასამართლო ამ უნივერსიტეტში 1861 წელს გამართულა. ამიტომ მიახლოებით შეგვიძლია ვთქვათ ა. ფრენკელის სწავლის წლებზე. საგარაუდოდ ეს უნდა იყოს 1858-1863 წლები. ამის დასტურად გამოვადგება ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერი, რომელიც ა.ს. ფრენკელს, როგორც სტუდენტთა არჯულობის მონაწილეს, უმაღლესის კურსის სტუდენტად მოიხსენიებს, ე.ი. 1861 წ. იგი მე-4-5 კურსის სტუდენტია.² ამის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ მისი დაბადების საგარაუდო წელიც. თუ ვიგულისხმებთ, რომ 1858 წელს ა.ფრენკელი 20 წლის ასაკში შევიდა უნივერსიტეტში (იმდროინდელ რუსეთში თითქმის ყველა პირველკურსელი ამ ასაკის იყო) მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი 1838 წლის ახლო ხანებში დაიბადა.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულმა სტუდენტურმა სასამართლომ გაარჩია სტუდენტთა სალაროში საზოგადოებრივი კუთვნილების ფულის გაფლანგვა სტუდენტ-მოლარის მიერ, რასაც უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი გამოცოცხლება მოჰყოლია. საქმე გამოუკვლევია სტუდენტთა თავითმართველობას. ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარეობდა ლექტორი ვ. დ. სპასოვიჩი. სასამართლოს განხინებით თანხების მფლანგველი სტუდენტი უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ.

ორიოდე სიტყვას ვ.დ. სპასოვიჩეც ვიტყვით. ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩი (1820-1906) ცნობილი რუსი ვექილი, სამართლის და ლიტერატურის ისტორიკოსია. 1849 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, სადაც 1857 წლიდან განაგებდა სისხლის სამართლის კათედრას. 1861 წელს სტუდენტური მდელვარების ჩახშობის პროგესტის ნიშნად დატოვა უნივერსიტეტი, სამუშაოდ ადვოკატურა აირჩია და მთელს რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაფიცი ვექილის სახელი დაიმსახურა. მონაწილეობდა მრავალ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში. მათ შორის

50-ის პროცესში, სადაც სასამართლო მსჯელობდა რუსი ხალხოსნების გაძქტიურებაზე და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე. საყურადღებოა, რომ ამ პროცესზე დამნაშავეთა სკამზე ისხდნენ ქართველი სტუდენტები: ი. ჯაბადარი, მ. ზდანევიჩი-მაიაშვილი, მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი, ი. ქიქოძე, ა. გამრეკლიძე და სხვ. (ქსე. ტ. 11. თბ. 1987. გვ. 424, 425). მათ დამცველად, სხვებთან ერთად, ა. ფრენკელის მასწავლებელი გ. დ. სპასოვიჩიც გამოდიოდა. იგი ერთდღროულად განაგრძობდა მუშაობას იურიდიული სამართლის ისტორიაზე. გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია, აგრეთვე გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნებაში.

1863 წელს ვ. სპასოვიჩმა გამოსცა წიგნის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს“ I ტომი პროგრესული დებულებებით, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე II-მ აკრძალა.³

ვ.დ. სპასოვიჩის ბიოგრაფია შემთხვევით არ მოგვიტანია. იგი ითვლება ა. ფრენკელის არამარტო ლექტორად და აღმზრდელად, არამედ მისი მომავალი გზის გამკვალავად. დიახ, შეგირდმაც საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებაში იმ სფეროებში მოსინჯა საკუთარი ძალა, როგორც მისმა მასწავლებელმა. ა. ფრენკელიც ნაფიცი ვექილი გახდა, მონაწილეობდა მრავალ მნიშვნელოვან, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში, სადაც მან წინ წამოსწია მოთხოვნები რუსული არქაული სამართლის გადახედვის აუცილებლობაზე, რათა იგი შეგუებოდა ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობებს, ა. ფრენკელი ეწინააღმდეგებოდა განსაკუთრებით სასტიკ სასჯელებს, სიკვდილით დასჯას. თავის მეცნიერულ ნაშრომებს აქვეყნებდა მისივე დაარსებულ ჟურნალებში. ზოგ მკვლევართა ნაშრომებში ა. ფრენკელი წარმოდგენილია, როგორც ისტორიკოსი, ჟურნალისტი, თარჯიმანი, სამსედრო კორესპონდენტი და ა.შ. არცერთი არაა სწორი. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული

ფაქულტეტი. სხვანაირად ის ვერ გახდებოდა ნაფიცი ვექილი და მთელი სიცოცხლე ამ სფეროში მოღვაწეობდა.

ზემოთქმულში მკითხველი დარწმუნდება, როცა ა. ფრენკელის თბილისში მოღვაწეობას გაეცნობა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით როდის და რა მიზეზით ჩამოვიდა იგი საქართველოში. ფაქტია, რომ იგი რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე უკვე საქართველოში იყო. ამის შესახებ პირველ ცნობას გხვდებით ნიკო ნიკოლაძის მიერ კირილე ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1877 წლის 8 დეკემბრითაა დათარიღებული. ავტორი ადრესატს აცნობებს, რომ „რუსეთში ვეღარ წავედი და ფრენკელი გავგზავნე ჩემ მაგიერ“-ო. ა.ს. ფრენკელი თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძის მიერ 1878 წელს თბილისში დაარსებულ გაზეთ „ობზორ“-ში. ეს არაა შემთხვევითი. ისინი ერთმანეთს იცნობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, სადაც 6. ნიკოლაძე 1861 წელს ჩაირიცხა. იმავე წელს მონაწილეობდა სტუდენტურ გამოსვლებში, რის გამო დააპატიმრეს, უნივერსიტეტიდან გამორიცხეს და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

6. ნიკოლაძის გაზეთი „ობზორი“, რომელშიც პირველივე დღეებიდან თანამშრომლობდა ა. ფრენკელი, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო. გაზეთმა შემოიკრიბა მაშინდელი რუსეთისა და ევროპის გამოჩენილი მოღვაწეები და აშექებდა პოლიტიკურ და ლიტერატურულ მომენტებს. გაზეთს კორესპონდენტები ჰყავდა რუსეთში, პეტერბურგში, ოდესაში, აგრეთვე ვენაში, ლონდონში და ევროპის სხვა მსხვილ ცენტრებში. გაზეთი ხშირად აქვეყნებდა არსებული წერილების საწინააღმდეგო მასალებს, რის გამო 1880 წელს ხელისუფლებამ მისი გამოსვლა შეაჩერა, ხოლო ნ.ნიკოლაძე სტავროპოლში გადასახლდა.

„ობზორის“ პარალელურად, ა.ს. ფრენკელი პეტერბურგის გაზეთ „გოლოსშიც“ თანამშრომლობდა და იყო ამ გაზეთის

შუამავალი და აგენტი თბილისში. გაზეთის კავკასიელი კორესპონდენტები მისი მეშვეობით დებულობდნენ პონორარს. ამაზე მეტყველებს გიორგი წერეთლის (შემდგომში ცხობილი მწერლის) ბარათი, რომელიც გაუგზავნა „გოლოსის“ რედაქციას. ავტორი ადრესატს ატყობინებს, რომ დაგვიანებით დებულობს სამოგზაურო ხარჯებს, ამიტომ თხოვს დართონ ნება პირდაპირ მიმართოს რედაქციას შუამავალი აგენტის გარეშე. წერილი 1879 წლის 18 ნოემბრითად დათარიღებული.⁴

ა. ფრენკელის თანამშრომლობა „ობზორში“ და ნ. ნიკოლაძესთან ახლო ურთიერთობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ის იყო პროგრესული მიმართულების დემოკრატი, ხალხოსნურ იდეებზე აღზრდილი და ქართულ ეროვნულ საქმეებში აქტიურად ჩართული მოღვაწე. პირადად მე მას **არაქართველ თერგზალეულს** ვუწოდებ.

ნ. ნიკოლაძესთან სიახლოვე მათი კერძო წერილებითაც დასტურდება. „ობზორი“-ს დახურვის და მისი რედაქტორის საქართველოდან წასვლის შემდეგ ა. ფრენკელს ბედი სხვაგან უნდა ეცადა და მან ამას მიაღწია კიდეც. 1881-1885 წლებში თბილისში გამოიიდა ჟურნალი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“, რომელსაც ა.ვ. სტეპანოვი რედაქტორობდა, 1883 წლიდან კი ჟურნალის რედაქტორ-გამოცემლობა ა.ს. ფრენკელის ხელში გადავიდა. აქ იგი დარჩა ჟურნალის გამოცემის იძულებით შეჩერებამდე, 1885 წლამდე.⁵

ამის შესახებ ა. ფრენკელი პეტერბურგში წერილს სწერს ნიკო ნიკოლაძეს: „ოქვენ ალბათ გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ 109-ე ნომრიდან რედაქტორობა ჩემზე გადმოვიდაო.“ ამავე დროს მას აცხობებს, რომ სურს გაახალისოს ჟურნალი, ამიტომ ადრესატს თხოვს გადაუგზავნოს სტატიები. ამ წერილით ა. ფრენკელი ნ. ნიკოლაძეს ატყობინებს აგრეთვე მ.ე. წერეთლის გადაცვალებას.⁶

რაკი-და ნიკო ნიკოლაძესთან მიმოწერას შევეხეთ, მკითხველს ბარემ კიდევ ორ წერილს გავაცნობთ. როგორც ირკვევა, მოგვიანებითაც 1904 წლის ბოლოს, ა. ფრენკელი პვლავ ცდილობდა ახალი გაზეთის („გავგასიაში“) დაარსებას, რაც შეატყობინა თავის მეგობარს ნიკო ნიკოლაძეს და თხოვა თანამშრომლობა. მის წასაქეზებლად წერილის ავტორი ატყობინებს ადრესატს აკაკი წერეთლის ავადმყოფობას და ამის მიუხედავად მის სურვილს ითანამშრომლოს ახალ გაზეთში, მაგრამ ფოთის ქალაქისთავმა ნიკო ნიკოლაძემ იმავე წლის 14 დეკემბერს უპასუხა: „თქვენს თავაზიან წერილზე გრძელობა გიპასუხოთ, რომ მე ყოველდღიური საქმეებით ვარ დაკავებული და პუბლიკის ინტერესებისაგან ჩამოვრჩები, ამიტომ გირჩევ უფრო ახალგაზრდა თანამშრომლები შეარჩიო.“⁷

როგორც რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიით ირკვევა ა.ს. ფრენკელმა ახალი გაზეთის დაარსების იდეა ვეღარ განახორციელდა.

შურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ შინაარსსა და იდეოლოგიურ მიმართულებას ა. ფრენკელის მისვლა დაეტყო. იგი აქვეყნებდა მასალებს ამიერკავკასიის ხალხების მიწათმფლობელობის უფლებებზე, მიჰყავდა რუსეთისა და ამიერკავკასიის სასამართლო ქრონიკა, აშუქებდა ყველა მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებს და გამოტანილ განახენებს. შურნალს მუშაობაში სიძნელეებიც გააჩნდა, მაგრამ მისი დახურვის ძირითადი მიზეზი მაინც ცენზურის მხრიდან შევიწროება იყო.

ნაფიცი მსაჯული ა. ფრენკელი სასამართლო პროცესზე ხშირად დამცველადაც გამოდიოდა. ამის მაგალითად საკმარისია თბილისში გამართული პროცესი ტატო წელუკიძისა,

რომელზეც ex officio (ნისიად) დამცველად გამოსვლის სურვილი მხოლოდ ა. ფრენკელმა განაცხადა. ამ პროცესს ვექილმა 174-გვერდიანი წიგნი „ყაჩაღი ტატო წულუკიძე“ მიუძღვნა, რომელიც თარგმნა ვარლამ თორელმა და 1911 წელს ბეგლარ ფილინოვმა გამოსცა.⁸

წიგნს აქვს ქვესათაური „ისტორია ყაჩაღობისა კავკასიაში“; დასახელებული არიან მხარეში მოქმედი ყაჩაღები: „ყამბარ ეუბ-ოდლი, ქიტესა ნასყიდაშვილი, აზრუმში განთქმული ყაჩაღი „მეგრელი“, მეპ-ალი (ჩვენი აზრით იგივე იმერხეველი ემრუპულა) და სხვ.

ა.ს. ფრენკელის წიგნიდან გასაგები ხდება, რომ 1878 წლის 24 სექტემბერს თბილისში არტემ ახვერდოვის სახლის დარბევის შემდეგ ტატო წულუკიძე და ქიტესა ნასყიდაშვილი ერზრუმისაკენ გაიქცენენ, რათა შეხვედროდნენ იქ მოქმედ „მეგრელს“ მაგრამ დიდი თოვლის გამო მთებზე გადასვლა ვერ მოახერხეს და ისინი შეიპყრეს.

1879 წლის 22 მაისს თბილისში გაიმართა სასამართლო პროცესი. ტატო წულუკიძეს და მის თანამოაზრებს ბრალს სდებდა პროკურორის ამხანაგი ნ.ვ. კოსტენსკი, ხოლო წარსულში ჩადენილ ყველა აქვს საქმეში დამცველად გამოდიოდა ა.ს. ფრენკელი. მას ტატომ განუცხადა, რომ ციხეში ჯდომამ აამხედრა იგი მდიდრების წინააღმდეგ.⁹

ა. ფრენკელი იგონებს: „როდესაც თბილისის მეტეხის ციხის საიდუმლო კამერაში მივედი, როგორც დამცველი წულუკიძისა, სასამართლო დანიშნულებით, მე დავუწყებ გამოკითხვა, რომ აიდულა ის ჩადენია ამისთანა მძიმე დანაშაულები, მივეცი კითხვა მას: „მართალია თუ არა, რომ ის განურჩევლად და ყოვლად უსაჭიროდ სჭრიდა და ჰქლავდა ხალხს?“ წულუკიძემ უკუაგდო ეს, თუმცა არ ფარავდა იმას, რომ ხალხის წინააღმდეგ განრისხებულია.“¹⁰

წიგნში მოტანილია ტატო წულუკიძის (1854-1880) ბიოგრაფია, მის მიერ ჩადენილი 22 სისხლის სამართლის და-

ნაშაული, აგრეთვე მისი 38 თანამზრახველის მოკლე ბიოგრაფიები.

წიგნში ა. ფრენკელი ცდილობს დაგმოს აგაზაკობა, როგორც სოციალური ბოროტება, მაგრამ ამავე დროს აკეთებს იმ მიზეზების ანალიზს, რომლებმაც ტატო წულუკიძე, ერთ დროს მუყაითი და ნიჭიერი ახალგაზრდა, საშიშ აგაზაკად აქცია. ამით ავტორი წარმოგვიდგენს იმ სოციალურ უსამართლობას და ფენობრივ უთანასწორობას, რომელიც სუფევდა იმდროინდელ რესეტში.

ტატო წულუკიძე 1880 წლის 28 იანვარს თბილისში ჩამოახრჩეს. სხვათაშორის ამ შემზარავ პროცესს ერთი უცნაური ამბავიც ახლდა. ჯალათმა სკამს ფეხი რომ გამოაცალა, ამას მსხვერპლის არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, თურმე უულფი ნიკაზე ედო: „შე, მამამაღლო, წესიერად გამიკეთე უულფი“-ო, უთქვამს ტატოს, რომლისთვისაც იმ დროს სიკვდილ-სიცოცხლე სულ ერთი იყო.

ამ შემთხვევას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აკაკი წერეთელი, რომელმაც ყველაფერი ქართველი ახალგაზრდობის განათლების ცუდი პირობებით ახსნა.¹¹

ტატო წულუკიძის გაყაჩადების მიზეზებს, ჯერ კიდევ მისი სიკვდილით დასჯამდე, ვრცლად ეხება თავის წერილში თბილისის სტამბების ერთ-ერთი დამაარსებელი და გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი (პეტრეს უფროსი ძმა). იგი აღწერს თბილისიდან ბათუმში თავის მოგზაურობას და გადმოგვცემს ვაგონში მყოფ ერთი თანამგზავრის მონათხობს, რომელიც ძირითადად ემთხვევა ა.ს. ფრენკელის ჩანაწერებს:

ტატო უდანაშაულოდ დაიღუპა და იგი ზოგიერთი უხეირო წესების მსხვერპლიაო – უთქვამს მას. იგი გიმნაზიაში სწავლობდა და კარგი წარმატებებიც ჰქონდა. მეოთხე კლასში ყოფნისას გარდაეცვალა მეურვე, ვინც მას არჩენდა და სწავლის ქირასაც იხდიდა, ტატო რომელიდაც წულუკიძის

უკანონო შვილი იყო და აღარავინ ეპატრონა. უსახლკარო და მშეგრ-მწყურვალი გიმნაზიიდან გამორიცხეს. ერთხანს ხელოსნებთან შეგირდად მოეწყო, მაგრამ მათი უპატიოსნობის გამო წამოვიდა.

ერთ დღეს ალექსანდროვის ბაღში ერთ კაცს ფაჩადები დაეცნენ, სცემეს და გაძარცვეს. მოგროვდა ხალხი, რომელთა შორის იყო ტანსაცმელშემოფლეთილი ტატო წულუკიძე. ალბათ ამან გამძარცვაო, სტაცეს ხელი და საპატიმროში უკრეს თავი. წლინახევრის შემდეგ ნამდვილ მძარცველებს მიაგნეს და ტატო გამოუშვეს, მაგრამ იგი ციხიდან ზნეობრიგად დამახინჯებული, ყველაფერზე ამბოხებული და გაბოროტებული გამოვიდა. ამის შემდეგ იგი თავის თავს, როგორც უკანონოს, „ცოდვის შვილს“ ეძახდა და დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული მათი ბრალი იყო, ვინც იგი „ცოდვის შვილად“ აქცია.¹²

შურნალის დახურვას ა. ფრენკელის აპათია არ გამოუწვევია. იმავე წელს შეუდგა სამზადისს და 1886 წელს დაარსა ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი „პავპაზსკოე ობოზრენიი“; ეს გაზეთიც მისი დამაარსებლის ჩვეული მიმართულებისა იყო, აქვეყნებდა პროგრესული იდეების მატარებელ მასალებს. ალბათ ამიტომაც მხოლოდ 1888 წლის დასაწყისამდე იარსება.¹³

ა. ფრენკელის შურნალი და გაზეთი იბეჭდებოდა მისივე სტამბაში, რომელსაც სათავეში მისი ნათესავი ნ.ი. ფრენკელი ედგა. საყურადღებოა, რომ აქვე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ 1886 წლის 241-281 და 1888 წლის 87-107 ნომრები.¹⁴ ჩვენ ა. ფრენკელის ილიასთან ურთიერთობის სხვა საბუთებს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რომ ისინი უახლოეს ნაცნობებად მივიჩნიოთ.

ასეთივე ურთიერთობა დადასტურდა ქართული პერიოდიკის ერთ-ერთ მამამთავართან ივანე კერესელიძესთანაც.

1887 წელს ა. ფრენკელს მისი სახოფლო-სამეცნიერო გაზე-
თის, „ცისკარის“, 1-22 ნომრები გამოუცია.¹⁵

ა.ს. ფრენკელს ახლო ურთიერთობა პქონდა ისტორი-
კოს დიმიტრი ბაქრაძესთანაც. მის ნაწერებს იგი ხშირად
იმოწმებდა თავის წიგნში და მას ერთ-ერთ სანდო და და-
საყრდენ მეცნიერად თვლიდა. საყურადღებოა, რომ ექვითმე
თაყაიშვილს დ. ბაქრაძე ა. ფრენკელმა გააცნო. ამის შესა-
ხებ წმიდა ექვთიმე გამაცნობს თავის მოგონებებში, თანაც
ა. ფრენკელს ახასიათებს, როგორც ქართველთა მეგობარს:
„დიმიტრი ბაქრაძეს ერთხანს მხოლოდ მისი ნაწერებით ვიც-
ნობდი, პირადად არა. პეტერბურგიდან რომ ჩამოვადი არც
მაშინ დამხვდა თბილისში. კონსტანტინეპოლიში მიევლინები-
ნა მთავრობას თურქელი წყაროების მიხედვით სტატისტი-
კური ცნობების შესაგროვებლად. თბილისში ერთი ნაფიცი
ვექილი მუშაობდა, გვარად ფრენკელი, წარმოშობით ეგებ
ებრაელიც კი, მართლმადიდებელი იყო და ქართველების
დიდი მეგობარი (ვახტანგ მეექვსის კანონების რუსული თარგ-
მანი მისი რედაქციით გამოვიდა). ბაქრაძე რომ ჩამოვიდა, იმ
ფრენკელთან შედგა სხდომა ბაქრაძის მიერ ჩამოტანილი
თურქელი დოკუმენტების თაობაზე. მაშინ გამაცნო ბაქრაძე
ფრენკელმა. ბაქრაძეს გაუხარდა და მისაყვედურა, რომ ჩე-
მით არ მივედი მასთან და მითხრა, უსათუოდ მნახეო.“

ამგვარად ა. ფრენკელის ურთიერთობა დიდ ქართველ
მოდვაწეებთან უბრალო ნაცნობობით არ ამოიწურება. ის
მათთან ერთად მსჯელობდა დიდ სახელმწიფოებრივ და
ეროვნულ საკითხებზე და ხშირად მათ საკუთარ სახლშიც
კი იწვევდა.

რაკი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ვახსენეთ, აქვე
მისი რუსულად გამოცემის ისტორიაზეც ვისაუბრებო. საქმე
ეხება საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვან წყაროს,
როგორც სამართალმცოდნეობის შესადარებელ ძეგლს. მისი
მნიშვნელობა აღიარეს თვით ცარიზმის მესვეურებმაც და

პირველად 1828 წელს რუსეთის სენატმა დაბეჭდა, როგორც სამსახურებრივი სარგებლობის სახელმძღვანელო. ბუნებრივია, ასეთი წესით გამოცემული წიგნი ფართო წრისათვის მიუწვდომელი იქნებოდა, ამიტომ ა. ფრენკელმა უფრო ვრცელი და დაზუსტებული სახით 1887 წელს გამოსცა, სახელწოდებით: «Сборник законов грузинского царя Вахтанга VI». ნიშანობლივია, რომ წიგნის რედაქტორი მაშინ უკვე აღიარებული ისტორიკოსი და არქეოლოგი დ. ზ. ბაქრაძე გახლდათ.¹⁶

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქართულ პერიოდულ გამოცემაში ა.ს. ფრენკელზე გაბნეული ცნობები, რომლებიც მასალების სიმცირის პირობებში მასზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის.

პირველი ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. ცნობილი ხალხოსანი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ნანეიშვილი მკითხველს ამცნობს ა. ფრენკელის დიდ დამსახურებას და ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის დიდ მნიშვნელობას.¹⁷

1890 წლის აპრილში თბილისში გაიმართა იურიდიული საზოგადოების საერთო კრება, რომელზეც მთავარი მოხსენება, „დიმიტრი ბაქრაძის იურიდიული მოღვაწეობის შესახებ“ ა.ს. ფრენკელმა გააკეთა და იგი ორი თვის წინ გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნას მიუძღვნა.¹⁸

საერთოდ თბილისში არ გამართულა იურიდიული საზოგადოების სხდომა, რომელზეც ა.ს. ფრენკელი მეცნიერული მნიშვნელობის მოხსენებით არ გამოსულიყო. ერთ-ერთი ასეთი იყო ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ტატო წელი და ისტორია, რომელიც როგორც კავკასიისათვის დამახასიათებელი ყაჩაღობის ტიპური მაგალითი, განზოგადოებული სახით ა.ს. ფრენკელს წაუკითხავს საზოგადოების წინაშე.¹⁹

საინტერესო ცნობას წავაწყდით „ივერიის“ კიდევ ერთ ნომერში. აქ ა.ს. ფრენკელი თავის ორ სტუდენტობისდროინ-

დედ მეგობართან ერთად (ი. მილიუტინი, ვ. ბოგოსლოვსკი) მიმართავს ილია ჭავჭავაძეს და აცნობებს, რომ თბილისში მყოფი პეტერბურგის უნივერსიტეტის სწავლადამთავრებულულები მათი „ალმა მატერ“-ის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სადილს მართავენ და „ივერიის“ რედაქტორს ამ სადილზე იწვევენ.²⁰ ამ წერილით **ილიას მოპატიუება**, მეგობრების თბილისში მოწვევა და ის წიგნი, რომელიც მიძღვნილია ამ იუბილესადმი (იხ. ზემოთ ინტერნეტის ცნობა) ადასტურებს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის იუბილე თბილისში გაიმართა ერთი კაცის ა.ს. ფრენკელის ძალისხმევითა და ინიციატივით, რასაც მთელს იმპერიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ამის შემდეგ ქართული გაზეთები („ივერია“, „ცნობის ფურცელი“) რამდენიმე ცნობას აქვეყნებენ ა.ს. ფრენკელის მოღვაწეობაზე. ყველა მათგანზე არ შევჩერდები. მკითხველის ყურადღებას მიგაპყობთ მხოლოდ ერთს. 1899 წლის 26 იანვარს ა.ს. ფრენკელმა იურიდიული საზოგადოების სხდომაზე წარადგინა თავისი სამეცნიერო ნაშრომის რეზერატი ქართული კანონების შესახებ, სადაც ვრცლად და მეცნიერულად გაანალიზებული იყო ვახტანგ VI-ის სამართალი, კერძოდ და ზოგადად ქართული სამართალი. მოწვიეს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის ისინიც, ვინც საზოგადოების წევრი არ იყო.

გაზეთის ცნობით სამწუხაროდ ქართველებმა ჩვეული გულცივობა გამოიჩინეს და ამ სხდომას არ დაესწრნენ, ხოლო ერთად-ერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამემატებელების გვარს სტატიის ავტორი, ისიც ანონიმი არ ასახულებს), გამოვიდა მომხსენებლის კრიტიკით, რაც თავიდან ბოლომდე მცდარი იყო.²¹

ა. ფრენკელის მოღვაწეობა მარტო მისი პროფესიით არ იფარგლება. იგი ყურადღებას უთმობს ისეთ საქველმოქმედო საქმეებს, როგორიცაა ხელმოკლე მოსწავლეებზე დახ-

მარება. იგი ამ საზოგადოების წევრი იყო. სხვათა შორის 1900 წლის დეკემბერში საზოგადოებას შეუდგენია წესდების პროექტი, თავისი კრება ჩაუტარებია „გრიბოედოვის ქუჩაზედ, ნაფიც გექილ ა. ფრენკელთან, რომლისთვისაც მიუნდვიათ იშვამდგომლოს მთავრობასთან ამ წესდების დამტკიცების შესახებ.“²²

1902 წლიდან ქართულ პრესაში ა.ს. ფრენკელის ხსენება აღარ არის, თუმცა ის გვლავ აგრძელებს აქტიურ პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. პირველ რიგში სათქმელი ისაა, რომ შრომითი საქმიანობის დაწყებიდან იგი არ დალაგობს არჩევლ საქმეს და სიცოცხლის ბოლომდე ნაფიც გექილად რჩება.

ძალზე მრავალფეროვანია ა. ფრენკელის სიცოცხლის ბოლო 10 წელი. იგი ერთდროულად არის კავკასიის მიწათმოქმედ ხელოსანთა გამასწორებელი კოლონიის და თავშესაფრის საზოგადოების წევრი, რომილისის შრომისმოყვარეთა სახლის მზრუნველთა საზოგადოების გამგეობის წევრი, მდივანი და მამაკაცთა განყოფილების მზრუნველი; იმპერატრიცა მარია ალექსანდროვნას სახელობის უსინათლოთა საზოგადოების სარევიზოო კომისიის წევრი. ყოველივე ამის შესახებ გვაუწყებს ისეთი სანდო წყარო, როგორიცაა «Кавказский календарь».²³

1910 წლიდან ა.ს. ფრენკელის ხსენება ამ წყაროშიც წყდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ხანდაზმული კაცი და ქართველთა დიდი მოამაგე, 1909 წელს გარდაიცვალა.

ჩვენი ვალი იყო მოგვემია მასალები ა. ფრენკელის ოჯახის წევრებზეც, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებში ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ერთად-ერთი, რაც ვნახეთ იგივე „კავკაზისკი კალენდარის“ 1913 წლის გამოცემაში ისაა, რომ აქ საუბარია კაპიტან კონსტანტინე სამოელის ძე ფრენკელზე (ჩვენი აზრით ნაფიცი ვექილის ძმაზე), რომელიც 1912 წელს დაუნიშნავთ დუშეთის მაზრის უფროსად, მაგრამ

იმავე წელს ამ თანამდებობიდან გაუთავისუფლებით და მომდევნო წლებშიც მისი კვალი აღარ ჩანს.²⁴

როგორც ზემოთ ვთქვით, დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები, რომლებზეც ჩვენი, სასიქადულო მოდვაწეები: ილია, აკაკი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. მსჯელობდნენ ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე, **იმართებოდა ა. ფრენკელის სახლში.** ბუნებრივია, ჩვენი ინტერესის საგანი ასევე გახდა მისი ბინის მისამართის დაგენა. გაირკვა, რომ 1907 წლამდე თითქმის 30 წლის განმავლობაში ა.ს. ფრენკელი ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩის №33 სახლში, ხოლო 1907-08 წწ ყორდანოვის ქუჩის № 11 სახლში. გარდაცვალების წინ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით კვლავ გამოუცვლია საცხოვრებელი და გადასულა ყორდანოვის ქუჩის №6 სახლში.

დმერთისა და სამართლიანობის წინაშე მართალი ვიქებით, თუ ამ სამი მისამართიდან ერთ-ერთი სახლის კედელზე გაგაკეთებო მემორიალურ დაფას.

აი ის, რისი მოძიებაც ჩვენ შევძელით საარქივო დოუმენების უქონლობის პირობებში.* დარწმუნებული ვარ მკლევარები მომავალში სხვა საბუთებსაც მოიძევენ და კიდევ უფრო დააზუსტებენ ალექსანდრე ფრენკელის, საქართველოსთან და ქართველ ხალხთან სისხლხორცეულად დაკავშირებული მოდგაწის ბიოგრაფიას.

ეს ჩვენი კეთილშობილური ვალია.

* ა. ფრენკელის ნაშრომს არ ახლავს ფოტოსურათები. ამ წიგნში შეტანილი ყველა ფოტო ჩვენ მოვიძიეთ. რეპროდუქციები ეპუნანის ზურაბ სურმანიძეს (რედ.)



ლიტერატურა*

1. ინტერნეტი: 4279. Френкель А.С.
2. **ნიკო ნიკოლაძე.** მოგონებები. თბილისი. 1984, გვ. 132.
3. Большая советская энциклопедия. т. 24, М. 1976. стр. 742.
4. მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (**კირილე ლორთქიფანიძის** მიმოწერა. თბილისი. 1981, გვ. 179; **გიორგი წერეთელი.** პუბლიცისტიკა. თბილისი. 1973 წ. გვ. 208, 209).
5. Библиография русской периодики Грузии (составил **Г.В. Зерцалов**). Тбилиси, 1941. с. 57.
6. **ნიკო ნიკოლაძის** არქივის კატალოგი. თბილისი. 1954. გვ. 162.
7. იქვე, გვ. 182.
8. **ა.ს. ფრენკელი.** ყაჩადი ტატო წულუკიძე (ისტორია ყაჩადობისა კავკასიაში). თარგმანი ვარდამ თორელისა. გამომცემელი ბეგლარ ფილინვი. 1911 წ.).
9. იქვე, გვ. 118, 135.
10. იქვე, გვ. 139.
11. გაზ. „დროება“, № 25, 1 თებერვალი, 1880 წ. გვ. 1-2.
12. გაზ. „დროება“, № 28, 8 ნოემბერი, 1878 წ. გვ. 2-3; № 230, 11 ნოემბერი, გვ. 2,3.
13. იბ. №5, გვ. 72.
14. იქვე.
15. იქვე.
16. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.4, თბილისი 1979 წ. გვ. 337, 338; ტ.8, თბილისი, გვ. 702.
17. გაზ. „ივერია“, №.. 4 ოქტომბერი, 1887 წ. გვ. 1.
18. გაზ. „ივერია“, №.. 19 აპრილი, 1890 წ. გვ. 2-3.
19. გაზ. „ივერია“, №.. 22 იანვარი, 1892 წ. გვ. 2-3.
20. გაზ. „ივერია“, №.. 29 იანვარი, 1894 წ. გვ. 3.
21. გაზ. „ივერია“, №.. 2 თებერვალი, 1899 წ. გვ. 2-3. (Amicus-ის წერილი)
22. გაზ. „ივერია“, №273, 16 დეკემბერი, 1900 წ. გვ. 3.
23. Кавказский календарь, за 1901-1909 гг.
24. იქვე, 1913 წ. გვ. 90, XXVIII.

* ა.ს. ფრენკელის ბიოგრაფია პირველად ქვეყნდება, ამიტომ მკითხველისათვის დამტკიცებულით სარგებლობის გასაადგილებლად ამ თემაზე გამოყენებული დიტერატურის სიას ვურთავთ თვით ბიოგრაფიას (რ.ს.)

შინასიფრთხოება

ეს სამგზავრო „ნარკვევები“ დაწერილია ჩემს მიერ ჩანაწერებისა და ცნობების საფუძველზე, რომლებიც გასულ წელს, ბათუმში ყოფნისას შევაგროვე. მე ვიცი თუ რამდენად ნაკლულია და არასრული ჩემი „ნარკვევები“, მაგრამ ახლადშემოერთებულ მხარის შესახებ რაიმე სანდო ცნობების უქონლობის გამო, მაინც ვტენდავ მათს გამოქვეყნებას. ამასთან, ვფიქრობ, ცნობები ბათუმსა და მის ოლქზე უშეალოდ მნახველისა, რომელიც რუსების მიერ ბათუმის აღების მოწმეა, რამდენადმე გაგვაცნობენ მდგომარეობას, რომელიც ჩვენს თურქეთის ქართველების მხრიდან შეიქმნა. ამ საკითხის გარკვევას ახლადშემოერთებული პროვინციის ჩვენდამი დამოკიდებულების მოწესრიგების და ბათუმის რუსეთთან შერწყმის უფრო რაციონალური დონისძიების გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება ჩემი „ნარკვევების“ ნაკლულობას, ერთი უნდა ვთქვა: ომამდე ბათუმის ოლქის ჩვენს საზღვრებთან სიახლოვისა და ფოთიდან ბათუმის შკლავის გაწვდენაზე მდებარეობის მიუხედავად, ბათუმის ოლქი თითქმის არ იყო შესწავლილი და აღწერილი.* კავკასიის მმართველობის მიერ თურქეთის საქართველოში გამოგზავნილი გ. ყაზბეგის¹ ორი ნარკვევისა და ბ. ბაქრაძის წმინდა სპეციალური არქეოლოგიური გამოკვლევის² გარდა ჩვენ არ გვაქვს ბათუმის ოლქის დაწვრილებითი აღწერა. ოსმან-ბეგის „ლაზისტანი“³ არ გვაძლევს არაფერს საკუთრივ ბათუმის მხარის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ მოგზაურებზეც, მაგალითად, ინგლისელ გვარაჩინოს⁴ შესახებ, რომელმაც გამოიკვლია მხოლოდ გზა ბათუმიდან ართვინამდე და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმისა და მისი მხარის პატარა აღწერილობა იტალიის ყოფილი კონსულის გ. მალმუზისა⁵, რომელიც მოგვითხრობს პერიოდზე 1873 წლამდე, მაგრამ რუსი მკითხველისათვის ძნელად მისაწვდომ ენაზე.

* ტექნიკური სირთულის გამო, ავტორის მიერ დამოწმებული ლიტერატურა სქოლიოგიდან წიგნის ბოლოს დართულ სიაში გადავიტანებ (რედ.)

უკანასკნელ ხანს ხელიდან ხელში გადაწილდა ბათუმის ვიცე-ქონსულის ბ-ნი ჯიუდიჩის ფრანგულ ენაზე დაწერილი წერილი „Notice sur Batoum“, რომელიც როგორც ხანს, საფუძვლად დაედო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში მოთავსებულ „შენიშვნებს ბათუმზე“⁶ მაგრამ ეს შენიშვნაც ზერელეა და ოფიციალურ რაპორტს წარმოადგენს.

ბათუმზე ახალი არაფერი მოუცია 1879 წლისათვის „პაგბა-სიის კალენდრის“ შემდგენელს ბ. შავროვს,⁷ რამდენადაც, ბ. შავროვისავე განცხადებით, ახლად შემოერთებულ მხარეში სწორად ჩამოუყალიბებელმა მდგომარეობამ ამას ხელი შეუშალა.

მე სავსებით ვიზიარებ ბ. შავროვის შესედულებას, მასალების შეგრების სიძნელეზე ისეთ მხარეში, როგორიცაა ბათუმის ოლქი. მაგრამ ეს სიძნელე ჩემი გაგებით, იზრდება აგრეთვე ყველა მუსლიმანისათვის დამახასიათებელი აპათიით ყოველგვარი სიახლისადმი, რომელიც მის კერას გარეთ ხდება და თითოეულ მათგანს უშუალოდ არ ემუქრება, აგრეთვე ამ ადგილები მოსახლეობის გაუნათლებლობით.

ძევლებურმა მუსლიმანურმა დესპოტიზმმა და რელიგიურმა რწმენამ მუჭამედის მიმდევარნი ჯადოსნურ რკალში მოაქციეს, რომლისგანაც მათ არა თუ არ შეუძლიათ, არამედ არც სურთ გამოვიდნენ და სწამთ, რომ ცხოვრების ხვედრი ყველა მათგანის თავზეა მოხვეული და თითოეულის ნება ბედისადმი დამორჩილება.

ამ ფატალისტურმა პრინციპმა საუკუნეების განმავლობაში ჩაჰქლა მათში ყოველგვარი გონივრული ცნობისმოყვარეობა და გონებრივი განვითარებისაკენ სწრაფვა.

სტარისტიკური ცნობების და მონაცემების შეკრება, ქართველ მუსლიმანთა ასეთი იჯგიანობის და უნდობლობის გამო დიდ სიძნელეებს უკავშირდება.

ამ წიგნში ბათუმისაკენ მიმავალმა და თვით ბათუმში, მე შევკრიბე შედარებით სრული მასალა ორი მხარის შესახებ: ჩურუქ-სუზე და ბათუმზე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნარკვევებით, თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც შევავსებ ახლად შემოერთებულ მხარეზე ცნობების უქონლობის ხარვეზს.

ა. ფრენკელი



ნარკვეზი პირველი

„გზაღ გათვალისწინებ“

ნ ა რ კ ვ ე ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

„გზად ბათუმისაპინ“

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საზღვარზე გადასტურა. – ჩალგადართა ცხენები. – გშრულები. – მდინარე წოლომი. – ბათუმის მხარის შემადგენლობა და საზღვრები. – თურქების მიერ გათუმის ჩაბარების დაყოვნება. – სხები „ლაზთა“ განზრახვაზ. – მიღებული ზომები.

ოზურგეთში დიდი გაჭირვებით ვიშოვნე ჩემთვის, მოსამ-სახურე-მთარგმნელისათვის ცხენები და 1878 წლის 22 აგვისტოს, ადრე დილით, გავეშურე თურქეთის ყოფილი საზღვრისაკენ, მუხაესტატეს მიმართულებით, სადაც იდგნენ ჩვენი უახლოესი ჯარები.

ამ ადგილებში, ისევე როგორც ამიერკავკასიის უმრავლეს მთიან ადგილებში, ძველთაგანვე, მიმოსვლის ერთი საშუალება ცხენია. საპალნებითვე გადააქვთ ტვირთიც, ცხენს კი შემდეგნაირად რთავენ: ცხენის (ან სახედარის) ზურგზე აფენენ ქეჩას, ან რაიმე სქელს, ქეჩის მსგავსს, ცხოველს ზურგი რომ არ დაუზიანონ, ამ საფენზე დებენ სპეციალური მოწყობილობის ფართე ხის უნაგირს, რომელზედაც მაგრდება ტვირთი. ამასთან, ორივე მხარე გათანასწორებულია, რათა ცხოველს მოძრაობა არ გაუძნელდეს. საპალნე ცხენი ცხრა ფუთამდე ტვირთს ზიდავს. ასეთი ცხენები იწოდებიან ჩალვადარისეულად. კავკასიის მთებში ყოველთვის შეიძლება ჩალვადართა ცხენების შოვნა. ბევრი სოფელი მთლიანად საპალნე ტვირთის გადაზიდვითაა დაკავებული.

ჩაღვადრები კარგად მოსიარულენი არიან, ისინი არასდროს არ ჯდებიან ცხენებზე, არამედ ქარავანს ფეხით მიჰყებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს მოგზაურობა ოზურგეთიდან ჩვენს ჯარებამდე არ იყო უსაფრთხო: ხმები დადიოდა, რომ მთებში, „ანცობდნენ.“ ამიტომ მუხაესტატეს გზისაკენ ალაგ-ალაგ გურიის I რაზმიდან გამოყოფილი პიკეტი იდგა, რომლის მოვალეობას მგზავრთა უსაფრთხოების დაცვა შეადგენდა. გარდა ამისა მე, როგორც კორექსონ-დენტს, მომეცა ორი კაზაკი გამყოლად, რომლებიც მრავლად ირეოდნენ შერეულ ტყეში, ვიდრე ქობულეთლები ან ადგილობრივი ყაჩადები.

ორი ვერსის გავლის შემდეგ დაიწყო აღმართი. ჩემს წინ მრისხანედ წამომართულიყო გურია-აჭარის მთები, რომლებიც გარს ევლებიან გურიის ველს, მარჯვნივ მოსხანდა კარგად მოწყობილი მიწური სიმაგრეები, მაგრამ ისინი, როგორც უკვე გამოუსადეგარნი, მიეტოვებინათ. შემდეგ გზა იყოფილა ორად: ძველად და ახლად. ესეც შედეგი ჩვენი მესანგრეების საქმიანობისა.

ჩვენ შევედით ტყიან ადგილას და განზე მოვიტოვეთ ძველი გზა. ალაგ-ალაგ გაუგალი ტალახის გამო, გზა იყო ძალზე მნელად სავალი. აქ ჩვენ შევხვდით ორსამ პიკეტს გურიის რაზმიდან. ესენი იყვნენ დარჩეული ყმაწვილები: ტანადნი, ლამაზნი, მოქნილნი, მთიან ადგილისათვის შესაფერის ტანისამოსში გამოწყობილნი.

ყოფილ ჩოლოქის საგუშაგოზე (ოზურგეთიდან 7 კილომეტრზე), მდინარე ჩოლოქის ახლოს მთავრდებოდა ჩვენი ძველი საზღვარი. მდინარეზე გადასვლის შემდეგ გავედით სწორ ადგილას, რომელსაც ჩაუდიოდა მდ. ჩოლოქი და გზა ისევ ზევით განვაგრძეთ, ჩვენი ჯარების მიერ გაკეთებული შარაგზით (აქ ადრე თურქთა პიკეტი იდგა). ყველა ეს ადგილები ომამდე უდრან ტყეს წარმოადგენდა. ქობულეთლები უფრთხილდებოდნენ მას. ახლა კი გაკაფულია და გაყვა-



რუსეთ-თურქეთის ომი 1877-78 წ.წ. გაგეასიის ფრონტი.
ქართველი მეომრები ქობულეთის მისადგომებთან.



რუსეთ-თურქეთის ომი 1877-78 წ.წ.
მეომრები ციხის-ძირში.

ნილია გზა, რომელიც თითქმის მუხაესტატებდა გრძელდება. აქვე იყო წვრილ ბოძებზე გაბმული სამხედრო ტელეგრაფი, რომელსაც საჭიროებისამებრ გადაადგილებდნენ.

მალე ჩვენ მივაღწიეთ ადგილს, სადაც იდვრებოდა რუსული სისხლი და სადაც დავხარჯეთ ამდენი ლონე და ხალხი... მაგრამ ვიცნობდით კი ბათუმის მხარეს ომის წინ? საქართველოა...

ჩვენ საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა იმ ახალ მიწაზე, რომელიც გვაერთიანებდა ბერლინის მოლაპარაკებით. ჩვეულებრივი სიტყვებით: „ბათუმი,“ „ბათუმის მხარე,“ ჩვენ მივგწვიეთ გვეწოდებინა არა მარტო ქ. ბათუმი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არამედ ყველა იმ ადგილთა და მხარეთა გაერთიანება, რომელიც გადმოგვეცა ბერლინის მოლაპარაკებით. ბათუმი კი იყო მთავარი ქალაქი ლაზისტანის სანჯაყისა, რომელიც იყოფოდა კაზებად და ნახიებად, საკუთრივ ბათუმის „მხარე“ თურქების ბაგონობისას შეადგენდა ბათუმის კაზას და შეიცავდა ორ მხარეს: ბათუმისა და ჩურუქ-სუს.

კაზის პირველი ნაწილის, ანუ ბათუმის ნახიეს ჩრდილოდასავლეთი საზღვარი იყო მდინარე ჭოროხი და ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჯერ მდინარე აჭარისწყალი, სადაც ეს მდინარე მიერთვის ჭოროხს, შემდეგ აჭარის მთათა ეს ჯაჭვი, ამ მთათა განტოტება, „პერანგას“ სახელწოდებით და მათი შვერილი, თითქმის რომ ებჯინება ზღვას. აქ, ციხისძირის ქვემოთ არის სარის მთა და ბოლოს, შავი ზღვა ჭოროხის შესართავამდე. ბათუმის მხარის ყველაზე უგრძესი ადგილი აღწევდა 36 ვერსს, ხოლო სიგანე, ქვეენის შიგნით, შეადგენდა 22-დან 27 ვერსამდე.

აღმოსავლეთით, ბათუმის ნახიეში შედიოდა მაღლობი, რომელიც თითქოს იჭრებოდა ზღვაში, ხოლო დასავლეთით განიერი ვალი, რომელსაც, ერთის მხრივ კახაბრის მთები ესაზღვრებოდა, მეორეს მხრივ, იგი შემორტყმული

იყო ჭოროხით, რომელიც ბათუმიდან 13 ვერსის დაშორებით ერთვის ზღვას.

რაც შეეხება ბათუმის კაზის მეორე ნახევარს, ანუ ჩურუუქ-სუს ნახიეს, მისი საზღვრები წმ. ნიკოლოზის (შეკვეთოლის ნავმისადგომში) საგუშაგოდან მიყვება მდ. ჩოლოქის ნაპირს. შემდეგ ადის გურია-აჭარის მთებში, პერანგას მთიდან მოდის ამ მთის მთავარ ქედზე (ბათუმის ნახიეს საზღვრით) და მთაგრდება შავ ზღვასთან. არსებითად, ჩურუუქ-სუს ნახიე მდ. კინტრიშის აუზში თავსდება.

ჩურუუქ-სუს ნახიე,⁸ რომელიც უფრო ქობულეთის სახელითა ცნობილი, შესდგება ერთი ხეობისაგან, რომელიც წარმოიქმნება გურია-აჭარის ქედით და პერანგას განტოტებით. ეს ხეობა იოწყვება მდინარე კინტრიშით, რომელიც 35 ვერსის სიგრძისაა. თავის ზედა ნაწილში ვიწრო და დაკლაკნილია. დამრეცი, ტყიანი ფერდობები ადამიანის საცხოვრებლად ნაკლებგამოსადეგია.

ბათუმის ნახიეს დასახლება თავს იყრის ზღვის, ჭოროხის და ჩაქვისწყლის ნაპირებზე, აგრეთვე ზღვის და მდ. კინტრიშის ორივე ნაპირზე.

იმ ადგილთა საერთო რიცხვი, ყოფილი ლაზისტანის სანჯაყიდან რომ შეუერთდა რუსეთს და ახლა ბათუმის „ოლქი“ ჰქვია, თურქული დაყოფის მიხედვით შეადგენდა შვიდ მხარეს ანუ ნახიეს: ბათუმის, ჩურუუქ-სუს (ქობულეთის), ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის, ლიგანას და გონიოს. ყველა სოფლის თემს, ანუ შერქეზს მოსახლეობის მიერ არჩეული მუხებარი მართავდა. რამდენიმე მერქეზი შეადგენდა ნახიეს, რომელსაც მუდირი მართავდა. თავის მხრივ, ორი ნახიე შეადგენდა ერთ კაზას, რომელსაც მუთასარიფის მიერ დანიშნული კაიმაკამი მართავდა.

ჩვენზე გადმოცემული ადგილები შეადგენდნენ ოთხ კაზას: ბათუმის, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ბათუმისა და ჩურუუქ-სუს სამუდიროები, აჭარის, რომელიც ზემო

და ქვემო აჭარისაგან შესდგება, ლიკის,* რომელსაც ეკუთვნოდა მაჭახლის და ლიკის სამუდიროები და ბოლოს, ხოფის ერთი კონიოს** სამუდიროთი, რადგანაც მეორე, ხოფის სამუდირო, თურქეთს დარჩა. არქაბეს, ხემშინის და ათონის სამუდიროები, ბერლინის მოლაპარაკებით, ასევე არ შეერთებია რუსეთს.

ამგვარად, მთელი ბათუმის „ოლქის“, მათ შორის ბათუმის „მხარის“ საერთო საზღვარია*** წმ. ნიკოლოზის საგუშაგო, ოზურგეთის მაზრა (ქუთაისის გუბ.), ახალციხის მაზრა (ტფილისის გუბ.) და არტანის მხარე (ყარსის ოლქი), შემდეგ, თურქეთი (ლაზისტანის სანჯახის ნარჩენი) და შავი ზღვა.

საზღვარზე ჩემი გადასვლისას შესანიშნავი ამინდი იდგა. გზაზე მუშაობდნენ რუსი ჯარისკაცები, შარაგზას ასწორებდნენ. ელოდნენ კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილის თავად სვიატოპოლკ-მირსკის გამოვლას, რომელსაც თურქებისაგან უნდა მიეღო ბათუმის ოლქი...

ეს საქმე ადვილი როდი იყო.

ბათუმის და მასთან ერთად ყარსის ოლქის შემოერთება იყო ჩვენი ერთი სერიოზული შენაძენი უკანასკნელ ომში, მაგრამ თურქეთის მთავრობის აუქტარებლობა, რომელიც გაუთავებელ დაბრკოლებებს ჰქმნიდა ბათუმის ჩაბარებაზე,

*უნდა იყოს ლიკანას. ლიკა – იგივე სანჯაყია (რედ)

** უნდა იყოს – გონიოს (რედ.)

***აზიის ჩვენს სანაპიროზე რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვრების ზუსტი განსაზღვრისათვის დანიშნულია ორმხრივი „სპეციალური კომისია.“ რუსეთის მხრივ ამ კომისიის წევრებად დანიშნული არიან გენერალი სტებნიცკი და გენერალური შტაბის კაპიტანი (ახლა პოლკოვნიკი) ლევაშოვი. ტორიგრაფები შეუდგნენ ადგილების აზომვას არტანუჯიდან ოლთისისაკენ და უკან არტანუჯისკენ, ისევე, როგორც ორდალოკიდან ზევით, მდ. ჭოროხის მიმართულებით. ეს სამუშაოები ჯერჯერობით შეჩერებულია იმ დაბრკოლებების გამო, რომელსაც ქმნიან თურქეთის ქვეშევრდომები, ე. ი. ის მცხოვრებლები, რომლებიც დარჩნენ თურქეთში.

საგანგაშო ხმები ინგლისელი აგენტებისა მოსახლეობის წაქე-ზებაზე – წინააღმდეგობა გაეწიათ რუსეთთან შეერთებაზე, ცნობა ქობულეთლების, აჭარლების და ლაზების ჩვენთან იარაღით შეხვედრაზე – ყველაფერი ეს, ავალდებულებდა რუსებს, მიედოთ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა ბათუმში არ შეგვხვედროდა ისეთი მოულოდნელობა, როგორიც შეხვდათ აგსტრიელებს ბოსნიასა და პერცოგოვინაში...

იმ დროს, როდესაც რუსეთის ხელისუფლება რიონის მხარის ჯარების სარდლის გენერალ ოკლობურის მეშვეობით აწარმოებდა უშუალო მოლაპარაკებას თურქეთის მუშირთან დევრიშვაშასთან, შეიქმნა კომისია მეფის ნაცვალის მთადგილის თავად დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის მეთვალყურეობით და შემდეგი შემადგენლობით: გენერალი თავ. ტრუბეცკოი, (მეფის ნაცვლის სალაშქრო კანცელარიის უფროსი), პოლკოვნიკი თავ. გრიგოლ გურიელი (ქართველი პატრიოტი, რომელიც ქობულეთელთა სიყვარულით სარგებლობდა) და ბ-ნი ჯიუდიში (ბათუმის ჩვენი ყოფილი ვიცე-კონსული). ეს კომისია ცდილობდა ბათუმის მხარის მიღება-ჩაბარების მოწესრიგებას და აწარმოებდა მოლაპარაკებას, თურქეთის განსაკუთრებულ დელებატებას, გენერალ ნიათ-ფაშის და ალი-ბეის (თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე) მონაწილეობით.

ვიდრე მიდიოდა მოლაპარაკება და ხანგრძლივი დავა თურქებთან, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ მოხერხებულობით – განზე გადაედოთ ყოველგვარი საქმე, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში მიიღო ღონისძიებანი, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო შემთხვევითობა.

ქ. ბათუმისაკენ რუსეთის ჯარები დაიძრა სამი მიმართულებით: ოზურგეთიდან, უფრო სწორად მუხაესტარებულობით – განზე გადაედოთ ყოველგვარი საქმე, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში მიიღო ღონისძიებანი, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო შემთხვევითობა.

გენერალ ტრეიტერის ჯგუფი. ნავარაუდევი იყო სადესანტო ჯარების გაგზავნა ფოთიდან და ნიკოლაევსკიდან, იმ შემთხვევაში, თუ ამას გარემოება მოითხოვდა. ამგვარად, მხარის დაუფლება შეიძლებოდა ყოველი მხრიდან.

მაგრამ განა სასურველი იყო ძალად აღება მხარისა, რომელიც უერთდებოდა რუსეთს „სამშვიდობო“ მოლაპარაკებით?

ამისათვის ჩვენი მთავრობის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა ყველაფერი იმის თავიდან აცილება, რასაც შეეძლო გამოეწვია არამარტო უცმაყოფილება ან შეტაკება მცხოვრებლებთან, არამედ ჩაგვენერგა რწმენა იმისა, თუ რამდენად სარგებლიანი, გამოსადევი და, ამასთან, გარდაუგალი იყო მათვის სრუსეთის მიერ დაპყრობა. მე ადარ გავაგრძელებ სიტყვას იმაზე, თუ რა კეთდებოდა ბათუმის ოლქში ამ დროს რუსეთთან შეერთებისათვის, ან ამ შეერთების უარყოფაზე, აგრეთვე იმაზე თუ რა ღონისძიებანი იქნა მიღებული თავად სვიატოპოლკ-მირსკის მიერ კავკასიის მთავარმმართებლის დიდი თავადის უფლებამოსილებისამებრ, იმ წინაღობათა ასალაგმავად, რომლებიც შეუშლიდა ხელს ოლქის მშვიდობიან აღებას. უნდა ითქვას, რომ ამ მეცადინეობას სასურველი შედეგი მოჰყვა. ამას ხელს უწყობდნენ ის პირები, რომლებსაც ევალებოდათ ეს საქმე. იმ დროისათვის, როდესაც თავადი სვიატოპოლკ-მირსკი უახლოვდებოდა ჩვენს ძველ საზღვარს, გურიის კოლონამ უკვე დატოვა ხუცუბანი და გაეშურა ჩურუქ-სუსაკენ, შემდეგ კი გენერალმა ოკლობურმ 19 აგვისტოს მშვიდად აიღო სოფელი ჩურუქ-სუ, სამება და კვირიკე, ჭ. ი. ის პოზიციები, რომლებიც გარს ევლებოდნენ ყბადაღებულ ციხისძირის სიმაგრეს და წარმოადგენდნენ გასაღებს ამ სიმაგრეებისათვის. ბოლოს, გენერალ ნურიდის ბანაკი 22 აგვისტოს უკვე ციხისძირის სიმაღლეზე იდგა... ყველგან სიწყნარე და სიმშვიდე იყო, მცხოვრებლები აგზავნიდნენ დეჭუტატებს რუსეთის ხელისუფლებისადმი მორჩილების სურვილით...

თ ა გ ი მ ე რ ა ე

მუხამესტაშვილი. – მედუნევაბი. – გათქმის მცხოვრებლები. – ძობულები (ძართვებები). – სომხები. – გერმები. – ჩერქეზები. – შურთები. – ლაზები. – მათი რიცხვი სხვადასხვა ფიაროების მიხედვით.

მუხაესტატე სხვას არას წარმოადგენს, თუ არა მაღალ ბორცვთა ჯაჭვს, სადაც მხოლოდ რუსის ჯარის დგომამ წარმოქმნა ვაჭარ-მარკიტანთა მთელი დასახლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯარების მთელი მასა ქვეყნის შიგნით იყო წაწეული, მუხაესტატეში ჩვენ მაინც უამრავი დუქანი და ფარდული დაგვხვდა. ამ დუქანში ვაჭრობის მთავარ საგანს წარმოადგენს სასმელი. აქ ნახავდით ყველა სახის რომს, კონიაქს, შამპანურს, ლიქიორს. ყველაფერი ეს ტრაპიზონის და მარსელის კონტრაბანდის ნაწილია. საუზმეთაგან არის ყველი, სარდინი და სხვა კონსერვები.

ჩემი გამცილებლები მუხაესტატეში დავასვენე. ერთ ნაჭერ ცუდ ისურ ყველში და ხმელ პურში, რითაც ჩემი თანამგზავრები დანაყრდნენ, მე იძულებული ვიყავი გადამეხადა ძალიან დიდი თანხა. სამაგიეროდ, მარსელის ლიქიორი და რომი შევიძინე ძალიან იაფად.

ეს ვაჭრები ემზადებოდნენ დაეტოვებინათ თავიანთი „საძოვრები“, რამდენადაც მუხაესტატეში ჩვენ ჯართაგან რჩებოდნენ მხოლოდ ალექსანდრეპოლელები, გურიის ერთი რაზმი, ცოტა კაზაკები და ერთი ბატარეა, რომელიც წინ უნდა წაეწიათ. რჩებოდა მხოლოდ დივიზიონის ლაზარეთი.

მუხაესტატეში, რა თქმა უნდა, ადგილობრივთაგან ვერც ერთ სულს ვერ შევხვდი. რამდენადაც ჯერ კიდევ ომის დასაწყისში დავიკავეთ ჩვენ ეს პოზიცია და განვდევნეთ ქობულების მილიცია, რომელმაც რუსული ხიშგის ძალა პირველმა თავისთავზე, ყოველგვარი თურქული რეგულარული (ნიზამი) ჯარის დახმარების გარეშე გამოსცადა.


აქ უადგილო არ იქნება ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ბათუმის ოლქისა და მის ორივე ნახიეს, ჩურუქ-სუს და ბათუმის მცხოვრებლებზე. გაზეთებში ბევრს ლაპარაკობდნენ ლაზებზე, მათ აჯანყებაზე, ავტონომიაზე, რომელსაც, თითქოს, ისინი მოითხოვდნენ. ამ ადგილებში კი, სადაც მოსალოდნელი იყო მცხოვრებთა წინააღმდეგობა, „საერთოდ არავითარი ლაზები არ არიან!“ მთელს მხარეში, რომელიც რუსებს ერგოთ ამ ოში, შეიძლებოდა დამეოვალა მხოლოდ რამდენიმე ასეული ლაზი, რომლებიც ცხოვრობენ ჭოროხის გაღმა. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შეადგენდნენ ქობულეთლები, რომლებიც ცხოვრობენ აჭარაში, შავშეთში და ა. შ. მცირე რიცხვი ლაზებისა, რომლებიც ბინადრობენ გონიოს კაზაში და სხვ.

ამგვარად, დიდ შეცდომას სჩადიან ისინი, ვინც ახალშემოერთებული მხარის მოსახლეობას უწოდებს „ლაზებს.“ იმ პროვინციათა შორის, რომლებშიც ცხოვრობდნენ ლაზები, ჩვენ გვერგო მხოლოდ ორი სოფელი (მაქრიალი და მარადიდი). ესენი გონიოს ყოფილ კაზაში შედიოდნენ. გაუგებრობას იწვევდა აგრეთვე ის, რომ მთელი სანჯაყი, ანუ გუბერნია, თურქების მიერ „ლაზისტანად“ იწოდებოდა. რაც შეეხება ბათუმის და ჩურუქ-სუს კაზას, ნახიეს ანუ მაზრას, ის მთლიანად ქობულეთლებით არის დასახლებული, რომლებიც სხვას არას წარმოადგენდნენ თუ არა გურიის მონათესავე ქართველებს. შემდეგ, ამავე კაზაში ვხვდებით მცირე რიცხვს სომხების, ბერძნების, ჩერქეზების, მომთაბარე ქურთების და ძალიან მცირე რიცხვს ლაზებისა.

ბ-ნი ბაქრაძის უახლოესი გამოკვლევები რამდენადმე შუქს ჰვენს თურქეთის ქართველებს, რომლებიც დიდხანს იყვნენ მოწყვეტილი თავიანთ თანამომექების, რუსეთის ქართველებისაგან.

„გურიიდან, ამბობს ბ-ნი ბაქრაძე, – თვით ბათუმამდე, მოსახლეობა წარმოადგენს მხოლოდ ქართულ ელემენტს

(ჩერქეზების გამოკლებით) და ლაპარაკობს ენით, რომელიც არაფრით არ განსხვავდება გურული კილოსაგან. მისი ტიპი, ჩაცმულობა, ქცევა, წესები გურულია. ჩერუქ-სუელებს ძალიან კარგად ახსოვთ თავიანთი ქართული წარმოშობა და, თუმცა, თურქულ სახელებს ატარებენ, მაგრამ ხმარობენ ძველ, ქართულ გვარებს; ყველა მათგანს შეუძლია დაასახელოს თავისი თანამეგვარე გურიიდან და იმერეთიდან. მიუხედავად ამისა, ისლამმა მათ უკვე დაასეგა თავისი ბეჭედი. ქალს აქ ვერსად ვერ დაინახავ. ისინი ჩაკეტილი არიან და ვერ ბედავენ გამოჩენას. ამ მხრივ ჩერუქ-სუ და, როგორც შემდეგ დაგრწმუნდი, მთელი აჭარა წარმოადგენს კონგრასტს მეზობელ გურიასთან. ადგილობრივ მცხოვრებლებს არც ეკონომიკურ და არც გონიერივ მიმართებით არ



ღიმიტრი ბაძრაძე. 1889 წ.

სურათი გადაღებულია შემოქმედის მონასტერში
ნ.პ. კონდაკოვთან ერთად ექსპედიციის დროს (დეტალი)

გადაუდგამთ წინ ნაბიჯი. ისინი, შეიძლება ითქვას, რჩებიან უარეს უმეცრებაში, ვიდრე იყვნენ თურქეთის გაბატონებამდე.“⁹

სომხები და ბერძნები მხოლოდ ვაჭრობით არიან დასაქმებული და გვხვდებიან მხოლოდ ქ. ბათუმში. სომხები არც ენით, რომელიც აქ სომხურის, თურქულის და განსაკუთრებით ქართული სიტყვების ნარევს წარმოადგენს, არც ჩაცმულობით არ ჰგვანან თავიანთ ერზრუმელ და ყაბარდოელ სომებს თანამომებებს.

ჩერქეზები* – „ემიგრანტები“ ცხოვრობენ ორივე მხარეში, ბათუმსა და ჩურუქ-სუში. ადგილობრივი მცხოვრებლები მათგან ძალიან უკმაყოფილო არიან და უხარიათ მათი თავიდან მოცილება, რამდენადაც მათგან განიცდიან მრავალ ქურდობასა და დარბვებს.

რაც შეეხება ქურთებს, ისინი ცხოვრობენ აქ არამკიდრი წესით და ატარებენ მხოლოდ ზამთარს მდ. ჭოროხის ველზე, კახაბრის მახლობლად.

ბათუმის მხარის მოსახლეობის რიცხვის გარკვევის შემდეგ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, როგორც ეს მიღებულია აღმოსავლეთში, რომ აღწერაში შედიან მხოლოდ მამაკაცები. ქალები სრულებით არ შედიან ანგარიშში.

ამის მიზეზი მხოლოდ პარამხანების ხელშეუხებლობა როდია, არამედ ისიც, რომ ყოველი ადამიანი თურქეთში იმდენად საჭიროა, რამდენადაც მას შეუძლია გადაუხადოს მთავრობას პირადი ან ფულადი გამოსაღები. თურქეთში ვალდებულებათა გადასახადს, პირად სამსახურს, მხოლოდ მამაკაცები იხდიდნენ. ამიტომაც მთავრობა სრულებითაც

* მუჭაჯირთა შორის ბათუმში ჩერქეზებიც იყვნენ, მაგრამ ტერმინ „ჩერქეზებში“ ყველგან იგულისხმებიან აფხაზები, რომლებიც ლტოლვილთა უმრავლესობას წარმოადგენენ (რ.ს.)



არ იწუხებს თავს იმისათვის, თუ რამდენი ქალია სახელმწიფოში, ხოლო მეცნიერული მხარე, სტატისტიკა, მისთვის მეორექარისხოვანი საქმეა.

ცნობებით, ომლებიც ფრანგული ჩანაწერებიდან (Notice sur Batoum) ამოვკრიბე ჩვენი ყოფილი ბათუმელი ელჩის ბ-ნ ჯიუდიხისაგან, ბათუმის ნახიეში 1871 წელს იყო: 1076 სახლი, 3327 სული მცხოვრები, მათ შორის 3037 მუსლიმანი, 186 ბერძენი (მართლმადიდებელი), 93 სომეხი (გრიგორიანები) და 11 სომეხი – კათოლიკები, გარდა ამისა 651 სახლი და 3324 სული ჩერქეზი – ემიგრანტი. ჩურუქ-სუს ნახიეში ბ-ნი ჯიუდიხი აღრიცხავს 1283 სახლს, 3592 სული მუსლიმანი მცხოვრებლებით, გარდა ამისა 120 სახლი 538 სული – ჩერქეზით.

ბ-ნ ყაზბეგის ცხრილში „ლაზისტანის სანჯაყის მო-
სახლეობის ტომობრივი და სარწმუნოებრივი შემადგენლო-
ბა.“ რომელიც კრთვის „ლაზისტანის სანჯაყის ნარკვევებს,“
გამოჰყავს:

სამუდი-ოროები	ქართვე-ლები		სომ-ხები		ბერძნები		ქურთები		ჩერქეზები		ქირსტიანები		მუსლიმანები		სულ	
	გომილი	სული	გომილი	სული	გომილი	სული	გომილი	სული	გომილი	სული	გომილი	სული	გომილი	სული	გომილი	სული
ა)ბათუმის	1200	7200	20	120	36	210	100	600	100	600	56	330	1400	8400	1456	8730
ბ)ჩურუქ-სუს	1470	8800	—	—	—	—	—	—	100	800	—	—	1570	9400	1570	9400

ამ აღრიცხვისათვის ბ-ნ ყაზბეგს სახელმძღვანელოდ
პქონდა Notice sur Batoum, რომელიც ეყრდნობოდა ოცდაათი
წლის წინ თურქეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ აღ-
წერას დესეტინური საგადასახადო სისტემის შემოღებასთან
დაკავშირებით. ბ-ნი ყაზბეგი დაეყრდნო ლაზისტანის სან-
ჯახში მოგზაურობის შედეგად მიღებულ თავის დაკირვებულ

ბას და ციფრი გაზარდა 15 %-ით (იხ. მისი „სამი თვე თურქეთის საქართველოში“).



ლაზები
წიგნიდან „ალექსანდრე როინაშვილი“
თბ. 2007. გვ. 128.

ბოლოს, „ტრაპიზონის კალენდრის“ აღრიცხვით, რომ-ლის ნაწყვეტებიც წინამდებარე „ნარკვევებისათვის“ თარგმ-ნა ბ-ნმა ბექთარბაშევმა, ჩვენ ვღებულობთ სხვა შედეგებს.

ა) ბათუმის ნახიეში არის ოჯახები: სომებთა – 14, ბერ-ძენთა – 30, ჩერქეზთა – 331, მუსლიმანთა (თურქეთის ქა-რთველები) – 1260, სულ 1635 ოჯახი. მცხოვრები: კათოლო-კენი – 5, სომხები – 29, ბერძნები – 655, მუსლიმანები – 2991, სულ 3065 სული;

ბ) ჩურუქ-სუს ნახიეში, ცნობები არასრულია, რაც სამხედრო მოქმედებების შედეგადაა გამოწვეული. თვით სოფელ ჩურუქ-სუში აღრიცხულია 590 ოჯახი, დანარჩენ დასახლებებში კი 848 ოჯახი, მაგრამ მცხოვრებთა სულადობა არ არის აღრიცხული.

გ) ბერლინის კონგრესზე ლაპარაკი შეეხო ჩვენსკენ გადმოსული მხარის მოსახლეობას.

დ) თავად გორჩაკოვის, ლორდ სოლსბერის და ახმედ-ალი-ფაშას შორის ლაზისტანის მოსახლეობის შესახებ წარმოებულ კამათში, რუსეთის წარმომადგენლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 50 000, ხოლო ინგლისის და თურქეთის წარმომადგენლებმა ეს რიცხვი განსაზღვრეს 200 000-ით. ბუნებრივია, უკანასკნელი ციფრი ძალზე გაზვიადებულია, თუმცა თავდაპირველი გამოკითხვით ციფრიც – 50 000 უნდა ჩაითვალოს რამდენადმე შემცირებულად, ყოველ შემთხვევაში ახლა, როდესაც მოსახლეობის რიცხვმა დაიკლო ავადმყოფობის, დაჭრილების და თურქეთში გადასახლების გამო, ბათუმის ოლქის მოსახლეობა 50 000-ს არ აღემატება.*

* მე მითხრებს, რომ ჩვენს ხელისუფლებას ბათუმში პირველად დაუთვლია 25 000 სული, ახლა კი აღრიცხავს მხოლოდ 50 000, გარდა ამისა, პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთში მოთავსებული იქო კორესპონდენცია, რომელშიც თითქოს იყო ბათუმის მოსახლეობის ოფიციალური ციფრი, თუმცა ყველა ეს ციფრი სავარაუდოა.

თ ა გ ი მ ე ს ა მ ე

გზა ჩურუქ-სუსაბი, ლეიგა. – გვარა. – ზენითი. – ხუცებანში ბაგლა. – მიღამოები. – ხუცების პარ-მიღამო. – სამება. – პირიგი. – მცხოვრებთა ჩვედები დამოკიდებულება. – შეტევა ცხის მირის პოზიციაზე. – ჩურუქ-შზე. – ძობულების გადასაცემი. – მათი ხასიათი. – ძობულების დეპუტაცია. – მამაბაცის ჩაცმულობა. – ძალის ჩაცმულობა. – ძორჭინება. – ცოლები. – გაგშვები.

ჩვეულებრივი გზა ოზურგეთიდან ჩურუქ-სუსაკენ გადის ხოლოქის სოფლების ლელვასა და გვარას საგუშაგოზე და იქიდან ჩურუქ-სუზი, მაგრამ მე ავუარე ამ გზას, რამდენადაც ჩურუქ-სუზე ადრე მინდოდა ხუცებანში მოსვლა. თვით ხოფ. ლელვა დევს გურია-აჭარის შემადლებასთან, ე.წ. ჭახათის მთის ბოლოს, ტყიან ადგილას. ომის შედეგად მოსახლეობამ სოფელი მიატოვა. თურქული ოფიციალური აღრიცხვით მცხოვრებლებს ჰყავთ: 10 სახედარი, 18 ხარი, 12 ცხვარი. ამასთან ისინი უხდიდნენ ხაზინას: ცხვრის გადასახადს – 70 ყურუშს,* ნიზამის სანაცვლოდ 165 ყურუშს, მოსავლისაგან – 448 ყურუშს და გამოსაღებს 265 ყურუშს. გვარაში რუსული აღრიცხვის მიხედვით 12 მოსახლეა, ხოლო სულადობა 45-ს შეადგენს.

* გამოსაღებსა და გადასახადს ქობულეოდები ანგარიშობენ ყურუშით. ყურუში ანუ მარჩილი უტოლდება თითქმის 10 კაპიკს ჩვენი ფულით. გარდა ამისა, იყო სპილენძის მონეტები, ფარა, თითქმის ხმარებიდან გამოსული. ეს ერთი მეოთედია ყურუშის, ანუ დაახლოებით ერთ კაპიკს უდრის. 24 ყურუში უდრის ერთ მეჯიდიეს (ოქროს მონეტა); ტევაღობის საზომი: 1 ბათმანი თითქმის 20 რუსული გირვანქაა. 1 ოყა = დაახლოებით 4 გირვანქას. რაც შეეხება მანძილს, იგი იზომება, უმეტეს შემთხვევაში საათობით, დღეობით და ა.შ. ფეხით მოსიარულესა და ცხენოსნისათვის. ცხენოსნისათვის ერთი საათი უდრის 6 ვერსს, ხოლო ფეხით მოსიარულესათვის 5 ვერსს, ერთი დღე კი უტოლდება 36 ან 40 ვერსს.

თურქეთი წყაროებში მცხოვრებთა რიცხვი არ არის ნაჩვენები, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მცხოვრებლები თურქებს უხდიდნენ: გამოსაღებს 417 ყურუშს, ნაზამისა – 157, ცხვრის ნამატისა – 53 ყურუშს, მოსავლის – 2.513 ყურუშს. მცხოვრებლებზე ოფიციალურად ირიცხებოდა აგრეთვე 6 სახედარი, 8 ხარი, 3 ცხვარი სოფ. გვარა გაბ-ნეულია ხშირ ტყეში. აქ არის ქრისტიანული ტაძრის „თეო-როსანის“ ნაშთები.

იმავე ადგილას, სადაც ჩურუქ-სუს გზა უერთდება მდ. აჭყას, იწყება გზა ალამბრისაკენ. რუსები აქ ითვლიან: 86 ოჯახს, 426 სული მცხოვრებით, ხოლო ტრაპიზონის კალენდრის მიხედვით 126 სული მცხოვრებია, რომლებსაც ჰყავთ 10 სახედარი, 15 ხარი, 5 ცხვარი; ხაზინას უხდიდნენ: გამოსაღებს 754 ყურუშს, ცხვრის – 97 ყურუშს, ნიზამის - 36, მოსავლის – 649 ყურუშს.

შემდეგ გზა მიდის სოფ. ზენითამდე. ჩვენი წყაროებით აქ ითვლება 41 ოჯახი და 67 სული მცხოვრები. ამ სოფლიდან გზა ეშვება ხუცუბნისაკენ, ზენითიდან გზა გრძელდება აგრეთვე, სოფ. აჭყისთავამდე. აჭყისთავის ზემო მთებში არის სოფ. ნაცხავატევი.

ხუცუბანში დაქანცული მოვედი. იმავე დღეს, კ. ი. 22 აგვისტოს ალაგ-ალაგ გზა საშინელი იყო: მის დამთავრების შემდეგ მასზე ადარავინ არ ფიქრობდა...

ხუცუბნიდან გზა მიდიოდა მთისკენ, ჩვენს სანგრებამდე. შემდეგ საკმაოდ მკვეთრად ეშვებოდა ქვემოთ ხუცუბნის თურქეთი სანგრებამდე. მიხევულ-მოხევულად ხუცუბნის სიმაღლემდე და გვერდზე იტოვებდა სოფ. ლეღვას, ალამბარს, გვარას, და სხვ. გრუნტი თიხოვანია, ბორბლებით მთლიანად გაჭრილი და ძალზე მომაბეზრებლად მეჩვენა.

ბოლოს ჩვენ მივედით ხუცუბანში. ცოტა შესვენების შემდეგ დავიწყე გარემოს დათვალიერება.

ხუცუბანი თურქებზე წართმეული მეორე პუნქტია (მუხაესტატეს შემდეგ). ჩურქ-სუში მდგომა ჩვენმა ჯარებმა დასაწყისში უცბად დაიხიეს მუხაესტატესაკენ, შემდეგ ისევ ბრძოლით აიღეს ხუცუბანი. ხუცუბნის სიმაღლიდან დანახული ხედი თვალწარმტაცია. ავღებ თვალს განვლილ გზას, ხედავ უსაზღვრო სივრცეს მუხაესტატესაკენ, მთებსა და დასახლებებს. შემდეგ, ზღვის პირას თვალწინ წარმოგებება ჩურუქ-სუ (ანუ ქობულეთი). უფრო შორს კი ძლიერ-ძლივობით მოჩანს ფოთის შუქურა. ჩურუქ-სუსაკენ ოდნავ მარცხნივ თუ მიბრუნდებით, თქვენ დაინახავთ მთების მასას. ეს არის ციხისმირი, რომელმაც ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ყოფილი თურქეთის პოზიციისაგან ხუცუბანს ჰყოფდა მდინარე კინტრიში. საწინააღმდეგო მხარეს, მთებზე ჩანდა ძალზე ლამაზი სახლები, რომლებსაც კარგი მოვლა ეტყობოდათ. იმ ადგილას, სადაც იდგა ციხისმირის წინააღმდეგ მოქმედი არმიის შტაბის შენობა, მდებარეობდა შესანიშნავი ეზო, რომელიც ერთ შეძლებულ ქობულეთებს მცხოვრებს ეკუთვნოდა. მაგრამ ყველა ეს ადგილები უკვე აღარ მოგვაგონებდა მშვიდობის საცხოვრისს. ბევრი ნაგებობა დანგრეული, ხეხილის ხეები გაჩეხილი, ბაღები, ბახეები – განადგურებული იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაჩანაგებული დამხვდა. სოფ. ხუცუბანში ომადე ითვლებოდა 40 სული მცხოვრები, რომლებსაც თურქული წყაროების მიხედვით ჰყავდათ 10 სახედარი და 20 ხარი. ისინი იხდიდნენ შემდეგ გადასახადებს: ცხვრის – 128 კურუშს, ნიზამის – 416, მოსავლის – 5460 და შვერტნდათ გამოსაღები 995 კურუშის ოდენობით. რუსული აღრიცხვის მიხედვით სოფ. ხუცუბანში 86 ოჯახია 354 სული მცხოვრებით.

ხუცუბნის პირდაპირ, ოდნავ მარჯვნივ სამების მთაზე, არის სოფელი სამება; აქ ირიცხებოდა 24 სული მცხოვრები, 5 სახედარი და 20 ხარი. მოსახლეობა ხაზინას უხდიდა: ცხ-

ვრის – 157, ნიზამის – 410, მოსავლის – 6134 და გამოსაღებს 1207 ქურუშს. ჩვენი აღრიცხვით სამებაში არის 95 ოჯახი და 451 სული მამაკაცი.

სამების იქით მდ. დეხვას გადაღმა, ციხისძირის მახლობლად, არის სოფ. კვირიკე, იმავე სახელწოდების მთაზე. უწინ იქ იყო 47 სული მცხოვრები, რომლებსაც პყავდათ 8 სახედარი, ხაზინაში შედიოდა: ცხვრის – 197, ნიზამის – 501, მოსავლის – 9657 და გამოსაღების – 1532 ქურუში. ახლა კვირიკეში არის 46 ოჯახი 170 სულით.

დავგმაყოფილდები „ტრაპიზონის კალენდრიდან“ ამოკრებილი ოფიციალური ცნობებით, რამდენადაც მთელი ჩურუქს ნახიე ომის შედეგად მთლიანად დაცლილა. მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოჩდნენ ადილობრივი მცხოვრებლები.

მე გადმომცეს, რომ ზავის შემდეგ ხუცუბნელები მოდიოდნენ გულმოკლულნი თავიანთი ნაფერფლარის სანახავად, რომელიც ასეულ წლების განმავლობაში მრავალი თაობის თავშესაფარს წარმოადგენდა... საკითხავია, ვინ აუნაზღაურებს მათ ამას?!.

ძალზე მაინტერესებდა, თუ როგორი დამოკიდებულება დამყარდა ჩვენს ჯარებსა და მცხოვრებლებს შორის მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედება შეწყდა.

გავიგვ, რომ სამხედროთა სიფრთხილე არ შესუსტებულა, თუმცა ამისათვის რაიმე სერიოზული საბაბი არ ჩანდა. უფრთხოდნენ ცალკეულ თავდასხმას, ან გაძარცვას. ამისათვის ჯარისკაცებს ნაბრძანები არ ჰქონდათ შორს წასულიყვნენ. ურთიერთობისათვის შემდეგ ყოველთვის კაზაკებს იყენებდნენ. მხოლოდ დღით, განსაკუთრებულ შემთხვევებში 2-3 ცხენოსან კაზაკს უშვებდნენ. შტაბის ოფიცრებისაგან შევიტყვე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სრულებითაც არ გვიფრთხის ჩვენ: ისინი თითქმის ყოველდღე მოდიან ჩვენს ბანაკში, მოაქვთ გასაყიდად სხვადასხვა სურსათი, რძე და სხვა. ჩვენდამი სიძულვილი არ ეტყობათ. მართალია,

მათი გამომეტყველება ნაღვლიანია, მაგრამ ეს უფრო ომის შედეგად მიყენებული გაჩანაგებისა და სიდარიბისაგანაა გამოწვეული.

დამით ხუცუბანში მოვიდა გურული რაზმის სარდალი გენერალი ალხაზოვი, რომელიც მუხაესტატეში იყო წასული თავად სვიატოპოლქ-მირკისთან შესახვედრად.

ალბათ კადნიერებად არ ჩამეთვლება, თუ მოვიყვან გენერალ ალხაზოვის შეხედულებას, რომელიც თვლის, რომ სრული შესაძლებლობა იყო ციხისძირის სისხლის დვრის გარეშე აღების, მაგრამ არა ჩურუქ-სუდან, არამედ კინტრიშის ხეობიდან...

მართლაც, საიდანაც გეგმავდნენ (ხუცუბნიდან) ციხისძირის აღებას, იქ არ იყო ამის საშუალება. თითქოს, იგი სულ ახლოსაა. საქმე იმაშია, რომ რიონისპირის შტაბში არ იცოდნენ ზუსტად ეს ადგილები; ეტყობა, შესაბამისი წინასწარი დაზვერვა არ იყო გაკეთებული.

მრავალი გადაულახავი წინააღმდეგობანი შეხვდა ჩვენს ჯარს ციხისძირის მიმართულებით.

უპირველეს ყოვლისა, მდ. კინტრიშზე გადასვლისას საჭირო იყო სასადილოს მთაზე ასვლა, შემდეგ იქიდან ჩამოსვლა. ამის შემდეგ ისევ დაღმართი, ისევ ცეცხლის ქვეშ და ისევ სამების მთაზე ასვლა; შემდეგ ისევ დაღმართი, ისევ ცეცხლის ქვეშ; შემდეგ გადასალახავი იყო ორი დელე, მათ შორის მდ. დეხვა და საჭირო იყო კვირიკეს მთაზე ასვლა; შემდეგ ისევ დაღმართი, გადასვლა მდინარეზე, ნათიხის მთაზე (კვირიკეს სიმაგრე) ასვლა და ა. შ...



**გენერალი
იაკობ ალხაზიშვილი
(1826-1896)**

მე, სხვათაშორის, გადმომცეს, რომ შეიძლებოდა ციხისძირზე შეტევა შემოვლითი გზით, მარცხნივ, ხუცუბნის მხრიდან. ერთი ოფიცერი იმასაც კი მაჩვენებდა, თუ რომელი პუნქტიდან შეიძლებოდა შემოვლითი მოძრაობის დაწყება.



**რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წწ.) ერთ-ერთი ეპიზოდი.
(ნახ. ნიკოლაი დმიტრიევ-ორენბურგსკისა. 1885 წ.)**

ხუცუბანში ღამისთვის შემდეგ, დილით საპალნე, მთარგმნელ-მოსამსახურე კაზაკთან ერთად, გავგზავნე შემოვლითი გზით პირდაპირ ციხისძირისკენ, თვითონ კი ერთი კაზაკის თანხლებით წავედი ჩურუქ-სუში. ძალიან მოუხერხებელი გზით, მიხვეულ-მოხვეულად ვეშვებოდით მდ. კინტრიშისაკენ. დავინახე ქობლეთელთა დასახლებები და რამდენიმე გახიზნული ოჯახი, რომელთა სახლები ალბათ დანგრეული იყო.

გზა მიჰყვებოდა მდ. კინტრიშს, რომელზედაც ადრე ხიდი ყოფილა გადებული, მაგრამ ახლა თითქმის დანგრეულია. ამ ადგილას ადრე ჩვენი კავალერია იდგა.

ჩურუქ-სუსთან მიახლოებისას ჩვენს წინ გადაიშალა

ფართო ველი. ქალაქს თითქოს გარს ევლებაო, მიედინება მდ. აჭყვა. თვით ქალაქი გაშენებულია შავი ზღვის პირას, ციხ-ისძირის სიმაგრის მახლობლად, მისგან სულ 5-6 კერსზე.

ჩურქებ-სუ აღმათ კარგი ქალაქი იყო, თუმცა იმ დროისათვის მე იგი მთლიანად გაძარცული, ბევრი სახლი განადგურებული დამხვდა: კარები, ფანჯრები, იატაკი აყრილი, ავეჯი გაზიდული, ყველგან ძალადობის ნიშანი...

ხიდზე გადასვლის შემდეგ, ომელზედაც იდგნენ ზაქათალის პოლკის ყარაულები, მე გავეშურე თავად გ. დ. გურიელის ბინისაკენ. იგი ახლახან იყო დანიშნული ბათუმის მხარის კვერცხად.

ჩურუქ-სუში შევხვდი
ქობულეთელთა და ბათუ-
მელთა დიდ ჯგუფს, ცხენი
ძლიერ-ძლიერბით მიიკვლევ-
და გზას ადგილობრივ მკვი-
დრთა შორის, რომლებსაც
ამ ოდენობით მე პირველად
ვხვდებოდი. დაუინებით ვუც-
ქეროდი მათ, არანაკლები
ცნობისმოყვარეობით, ვიდრე
ისინი. ალბათ, სამოქალაქო
ტანისამოსში მე პირველი
კაცი ვიყავი რუსთაგან...



გენ. ბრიგოლ გურიელი (1812-1891)

სახის გამომეტყველების
მიხედვით, ოომელიც სრულ
ნდობას იმსახურებდა, რაში-
დაც მე დავრწმუნდი ბათუ-
მის მხარეში ყოფნის დროს,
თურქეთის ქართველები უმთა-
ში მარტინ არ იყო.

შემოუხახავთ ადრინდელი გეკიდრების მშვენიერი თვისებები, ვთქვათ, „თავიანთი ისტორიული მემკვიდრეობა:“

სტუმართმოყვარეობა, ჩვეულებათა პატრიარქალობა, უფრო-
სისადმი პატივისცემა, მამაცობა, პირადი გამბედაობა, ბათუ-
მელი ქართველები უნდა ჩაითვალონ ხელუხლებელ, გაუფუ-
ჭებელ ადამიანებად. ასეთ ხალხთან, მცირე საზრიანობით
კარგი მმართველი მრავალ კარგ საქმეს გააკეთებს.

ქობულეთელი ენაწყლიანია იმასთან, ვისაც ენდობა და
პირიქით, „ჩაიკეტება თავის თაგში“ იმასთან, ვისაც არ ენ-
დობა. ქობულეთელი ეჭვიანია, აღვილად ვერ მოიპოვებ მის
ნდობას. ამისი მიზეზი ცნობილ და უცნობ მტრების თავ-
დასხმის მუდმივ შიშმია.

ქობულეთელი ყოველთვის შეიარაღებულია, შეუიარაღე-
ბელი იგი არსად არ წავა იმ მიზეზის გამო, რომელიც ზევით
აღვნი მნეთ. იგი იშვიათად დადის ცხენით: როგორც ნამდვილი
მთიელი. იგი ყოველთვის ფეხით დადის, რადგანაც გაუვალი
მთები და ბილიკები თოთქმის გამორიცხავენ ცხენის სიარულს.
ამიტომაა, რომ ცხენები ბათუმის მხარეში ძალზე ცოტაა, მხ-
ოლოდ საპატიო პირები და მოხუცები დადიან ცხენით.

ჩურუქ-სუში შესვლისას ქალაქის მოედანზე მე შევხვდი
მთიელთა დეპუტაციას, რომელიც წარუდგა თავად სვიატო-
პოლსკ-მირსკის. თავადის ბანაკიდან ამ დეპუტაციის დაბ-
რუნება წარმოადგენდა ძალზე ორიგინალურ და მხატვრულ
სანახაობას. ახალგაზრდები წინ ფეხით, ხოლო მოხუცები ცხ-
ენებით მოდიოდნენ, ყველანი წინდახრილი თოფებით. ჭრელი
ეროვნული ჩაცმულობა, მოქნილი მოძრაობა, მტკიცე ნაბი-
ჯი, ამაყი გამოხედვა, მდუმარება და ქობულეთელთა სახეზე
სამხრეთული მზით მოფრქვეული დიდებულება. ყველაფერ
ამას აგხებდა რუსი ჯარისკაცების და ოფიცრების ჯგუფი
რიონის რაზმიდან. ისინი ცნობისმოყვარედ შეჰყურებდნენ
თავიანთ ამასწინანდელ მტრებს, რომელთა ზუსტმა ტყვიამ
მრავალი რუსი ჯარისკაცი გაამგზავრა იმ ქვექნად.

ქობულეთელი ძალზე მოქნილი, მოძრავი და ტანადია,
ისევე როგორც გურულები.

ქალები, გურული ქალების მსგავსად, ძალზე დამაზები არიან. მათ უდიდესი გავლენა აქვთ ოჯახზე. მუპამების რწმენამ, რა თქმა უნდა, ისინი ჩაკეტა თჯახში, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გარემოებით ქობულეთელმა და საერთოდ, თურქეთის ყველა ქართველმა არ დაივიწყა წარმავლობა, შეინარჩუნა ენა და ყველა ქართული ჩვევები.

ქობულეთელი შურისმამიებელია. შურისმიებას დიდი ადგილი უჭირავს ბათუმის მხარის სისხლის სამართლის ქრონიკაში. ამ ჩვევას ზოგიერთი ოჯახი მთლიან განადგურებამდე მიჰყავს: საკმაო მოვიგონოთ ბ-ნი ბაქრაძის მონათხოვი (მის „მოკლე ნარკვევში“, გვ. 212) ოსმან-აღა ქარცივაძეზე, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ქობულეთელი მდიდარი არ არის. მიწა მას ცოტა აქვს. ასევე მცირე ჰყავს საქონელი, ცხენი, ყველა მის სიმდიდრეს შეადგენს იარაღი, პატარა სასიმინდე ყანა და სახლი.

უკანასკნელ ხანს ბეგებმა (უმაღლესი წოდება), განსაკუთრებით ბათუმში, დაკარგეს დირსებები და ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, რადგანაც იცოდნენ, რომ თურქთა ბატონობის დროს ფული ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა.

თურქეთის ქართველები იცვამენ ეროვნულ (და არა თურქულ) ტანისამოსს, რომელსაც თავზე ფესს უმატებენ და მას ნაჭრით იხვევენ. ეს არის ჩალმა. მოლას აქვს თეთრი ჩალმა, სწავლული, განსაკუთრებით, შეიხულ-ისლამის სკოლიდან მოსულნი იხურავენ მწვანეს.. სომხები იცვამენ ევროპულად, მაგრამ იხურავენ ფესს.

ქობულეთელმა შემოინახა თავისი წინაპრის ჩაცმულბა. თავზე მას ყაბალახი ახურავს („თაკია“ – შეაში თეთრით, „ფესი“ – შეაში წითლით), ყაბალახის ბოლოები ძალიან უხდება მის სახეს. მის ხმელ, მაგრამ ბეჭებგანიერ ტანს ეკვრის ჩოხა, ჩოხის ქვეშ აცვია ყავთანი, იელეგი ფერადი ქსოვილისაგან, შემდეგ შარვალი. ეს უკანასკნელი ჩაცმულობის ყველაზე ორიგინალური ნაწილია. იგი მაგრად ეკვრის



აჭარელი (ქობულეთელი)

წიგნიდან „ალექსანდრე როინაშვილი“ თბ. 2007. გვ. 128.

ვეხებს, ძალზე ფართოვდება ზევით, მუცელთან და წელთან ჰქმნის უამრავ ნაოჭებს. თითქოს ამ უცნაურმა ჩაცმულობამ უნდა დაამახინჯოს ქობულეთელი, მაგრამ ბუნებით ისეთი მოქნილი და გრაციოზულია იგი, რომ მნახველს ანცვი-ფრებს თავისი მიმოხვრით, არც თუ ისე ლაზათიან, მაგრამ მთიანი ქვეყნისათვის მისადაგებულ მხარეში.

ჩოხა და შარვალი მზადდება უხეში შეუდებავი ღა-ზლისაგან. ისე, რომ ქსოვილს იგივე ფერი რჩება, რაც მას ჰქონდა ცხვრის ტანზე...

ქობულეთელის ფეხსაცმელს წარმოადგენს წინდები. სხ-ვადასხვა ფერის ღაზლისაგან მოქსოვილი „საცვეთი“ და ტყავის ფეხსაცმლები – „წუღა.“

მამაკაცის ჩაცმულობას ემატება იარადი, ურომდისო-დაც ქობულეთელი ნაბიჯსაც არ გადადგამს.

ტანზე ქობულეთელს შემოკრული აქვს დვედი „სილადლუდი.“ შემდეგ მასზე საზეიმოდ შემოიხვევენ აბრეშუმის ნათელი ფერის ნაჭერს, აქვე აქვს ჩანთა, „ყურშუმლუდი“, სხვადასხვა რამის ჩასადებად და წყლის სასმისი – ტყავის მათარა.

რაც შეეხება იარაღს, იგი შესდგება თოფისაგან, ხანჯლისაგან, დამბაჩისაგან და დანისაგან. როგორც აღჭურვილობის აუცილებელი საგნები: „ხალთუხალთი,“ საგაზნე, საქონე, ორთაქილე და სათოვისწამლე.

ჩურუქ-სუში, ხალხთა გროვაში პირველად შევამჩნიე ქობულეთელი ქალი. მისი ჩაცმულობა შედგება უპირველესად, მუხლებამდე პერანგისაგან, რომელსაც თურქულად „გომლექი,“ ხოლო ქრთულად „პერანგი“ ეწოდება. შემდეგ ნიფხავი, რომლის თარგი წააგავს მამაკაცის შარვლისას და მაგრდება წელთან ხვანჯრით. კაბა და წინსაფარი ყველაზე ძვირფასი ნაწილებია მთელი ჩაცმულობისა. მათ კაზმავენ ოქრომკედითა და ნაირფერი სირმით. ქალის ფეხსაცმელია „ბაბუში,“ ხოლო თავზე აუცილებლად წითელი ფეხი, რომლის ქვეშაც მოჩანს მრავლად დაწნული თმები. ყველაფერი ეს იფარება განიერი ჩადრით. აქაურთა თქმით – „ჩარჩაბით.“ ჩარჩაბი მზადება მსუბუქი, გამჭვირვალე ქსოვილისაგან. იგი ზოლებიანი, ლურჯი ფერისაა. ჩარჩაბს ამზადებენ ბათუმში. ართვინის მიდამოებში ჩარჩაბი მოყვითალო ფერისაა. ქუჩაში გამოსული ქალი ტერფით დგას რაღაც სანდალის მსგავსზე, მაღალ ქუხლებიან, ერთნახევარი გოჯის სიმაღლე ქოშებზე, რის საშუალებითაც თავისუფლად გაივლის ტაღახში. თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველაფერი ეს, განსაკუთრებით ქოშები, ქობულეთელ ქალს ხელს არ უშლიდეს სიარულში.

დაქორწინების მსურველი ქობულეთელი მიმართავს მაჭანკალს, რომელიც ცდილობს საქმის მოგვარებას საპატარძლოს და სასიძოს ოჯახებს შორის. საქმის მოგვარების შემდეგ, ორი საპატიო პირი ორივე ოჯახიდან, მოლას მეთაურობით

შეიკრიბებიან და განიხილავენ საპატარძლოს მატერიალურ ინტერესებს. ქალმა უნდა მიიღოს აუცილებელი მზითევი მისი მშობლებისაგან და ნებისმიერი მზითევი სასიძოსაგან. განშორების შემთხვევაში ორივე ქონება შეადგენს ქალის საკუთრებას. ამ ქონებაზე ქმარს არაფითარი უფლება არ აქვს, არ შეუძლია მასზე განკარგულება, მან თავისი შრომით უნდა მოიპოვოს და მოიტანოს სახლში სარჩო.

ქორწინებისთანავე ცოლი ხდება სრული პატრონი და მეთაური ოჯახის, სადაც ქმარი უფრო სტუმრად ითვლება, ვიდრე ოჯახის უფროსად. ქმარს შეუძლია მოყვანოს სხვა ქალი, იქორწინოს მასზე და ყავდეს იმავე სახლში, პირველ ცოლთან ერთად. შეუძლია კავშირი იქონიოს მოსამსახურესთან, მაგრამ პირველი კანონიერი ცოლი არასოდეს არ კარგავს თავის უფლებებს:

იგი რჩება ყველას უფროსად და ყველა ვალდებულია მორჩილებდეს მას.

მრავალცოლიანობა იშვიათი მოვლენაა ქობულეთელისათვის. დარიბი, ხელოსანი ხალხი ცოტა ხნით რჩებიან სახლში და საშოვარზე მიემგზავრებიან მთელს შავი ზღვის სანაპიროზე. უცხო მხარეს ცხოვრობენ ისე, როგორც სურთ, მაგრამ სახლში მიბრუნება უხარით და არ ცდილობენ რაიმე განხეთქილება შეიტანონ ოჯახში.

მდიდრებს, ბეგებს ჰყავთ რამდენიმე ცოლი, მაგრამ ისინი თუ ცალკე სოფელში არა, აუცილებლად ცალკე სახლში ჰყავთ ისე, რომ უმცროსი ცოლი თავის სახლში პატრონია და უფროსს არ ემორჩილება.

ქობულეთელთა ბავშვები, როგორადაც არ უნდა იყვნენ ისინი გაჩენილი, კანონიერად არიან მიჩნეულნი, რამდენადაც უურანი კრძალავს უკანონო დაბადებას... ამისათვის ბავშვებს აქვთ თანაბარი უფლება მამის ქონებაზე და მუსლიმანის ოჯახური ურთიერთობა უფრო წესიერია, ვიდრე ეგროპაში.

თ ა გ ი მ ე რ თ ხ ე

- პუსეინ-პებ გეზანიძე. – ბათუმის მხარის მფარმოებლობა. – ოსმან-პებ თავდგირიძის შვილი. – თაგად მირსპის სიჟურა.
- ღვაუჩატია პასუხი. – ქალაკის მიმოწერილება. – ღურევა.
- სახლები. – ღეგრიშ-ზაშის ჩამოსაბლა. – ღასახლება მდ. პინტრიშის ბასზერიზ.

თავად გურიელის ბინაში შევხვდი ქობულეთლებს, რომ-ლებიც ეწერებოდნენ საერო დაცვაში. ადგილობრივთაგან მათ პერებდნენ საზოგადოებრივი დაცვისათვის. ყველა ისინი ცოცხალი, მოძრავია. ეტყობა, რომ თავად გურიელს დიდი გავლენა აქვს მათზე. მას გარს ეხვეოდნენ ქობულეთლები და არც ერთი წუთით მოცლა არ პქონდა.

შემოვიდა რამდენიმე საპატიო პირი, რასაც მათი ჩაც-მულობა და ქცევა ამტკიცებდა. ესენი იყენებ ბეგები ბე-ჟანიძეთა გვარიდან. თავადმა მე წარმადგინა მათთან. მათ შორის გამორჩეული პიროვნებაა ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძე (ანუ ბეჟანოლები თურქულებად). რამდენადაც შემეძლო მოსულებს დაწვრილებით ვკითხავდი მხარის წარმოებაზე. ჰუსეინ-ბე-გის და სხვა საპატიო პირთა სიტყვებით, რომლებიც მას-თან ერთად მოვიდნენ, ჩურუქ-სუში გავიგე, რომ მხარის მწარმოებლობა ძალზე დარიბია. შემდეგ მე ეს სხვა მონა-ცემებითაც შევამოწმე. მცხოვრებლები ძირითადად თესავენ სიმინდს, რომლის დეროები ზოგიერთ ალაგას (მე თვითონ ვნახე იგი ჩაქვის მხარეში), აღწევენ 4-5 არშინს. გარდა ამი-სა, თესავენ ხორბალს, ქერს, ჩალთიქს ანუ ბრინჯს, თუმცა მცირე მოცულობით. მიწის ნაკვეთი მდ. ჭოროხიდან მდ. ჩოლოქამდე (ჩვენს ყოფილ საზღვრამდე) ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ მთელს ბათუმის ოლქში.

ველები გვხვდება მთიან და ტყიან ადგილებში, მდელოე-ბზე, აგრეთვე მდინარეების: ჭოროხის, კინტრიშის და ჩაქვის ნაპირებზე.



პავლე ბერძნების გენერალი (1822–1883)

მებადეობა და მებოსტნეობა
განვითარების დაბალ საფეხ-
ურზეა, თუმცა მის განსავითა-
რებლად ყველა პირობა არსე-
ბობს. ყურძენი კარგია. ზოგი-
ერთი ღონისძიების შედეგად
შეიძლება მომგებიან დარგად
იქცეს. ბათუმის გარეთ იგი
წყლიანია.

საოჯახო ყოფაში მებაღეობა
მთავარ დამხმარე საშუალებას
წარმოადგენს. გურია-აჭარის
და არსიანის მთებზე, ველი (შე-
დარებით მცირე), საქონლისათ-
ვის უხევ საკედეს წარმოადგენს.
ამის მიხედვით ბათუმის ოლქში

არის რადაც საწყისები მეცნიერებისა, რამდენადაც მაუდის დასამზადებლად მაგილი აუცილებელია.

მეცნიერობა თითქმის არ არის. მეფუტკრების კი დიდადაა განვითრებული ბათუმის მახლობლად. მახინჯაურის მთებში არის მინერალური წყაროები. მათ შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი, რადგანაც ეს წყაროები არაა შესწავლილი.

სამთო სიმდიდრის ეს ქონება კერძო მესაპუთრულ წარმოებას ელის.

ტყები ბათუმის მხარეში შესანიშნავია. ბათუმის კაზაში არის ორი შესანიშნავი სატყეო აგარაკი ჩაქვისა და მტირალას სახელწოდებით. ამ აგარაკების სიგრძე და სიგანე თურქელი საზომის მიხედვით ორიდან ოთხი საათის სავალით გაიზომება (იხ. „ტრაპიზონის კალენდარი“). აქ ხარობს წაბლის, ცაცხვის, თბელის ხეები. მოსახლეობა

ამ ტყეებში ამზადებს ჩვეულებრივ შეშას და სამშენებლო მასალას ნაგებობისათვის, ნავებისთვის და სხვა.

მეაბრეშუმეობას ძირითადად ჩურუქ-სუს მხარეში მის-დევენ.

რამდენადაც ბათუმის მხარეში უამრავი ღელებია, რომ-ლებიც ერთვიან შავ ზღვას, მეოვეზეობა ძალზე განვითა-რებულია, თუმცა მოსახლეობა მის რეწვას არ მისდევს. თევზთაგან ბევრია კეფალი და სხვა.

ქ. ბათუმში და მის მახლობელ საოფლებში გამოპყავთ მაუდი და შავი მატყელის ქსოვილი, რომლებიც მოსახლეო-ბაში იყიდება. გარდა ამისა კეთდება სხვადასხვა საგნები სპილენძისა და ვერცხლისაგან. ეს საგნები იყიდება ისევ ბათუმის მხარეში.

სოფ. ჩურუქ-სუში აბრეშუმისაგან ამზადებენ ბალიან ნაზ ქსოვილს, ასევე ამზადებენ ნარმას, უხეშ მაუდს, შალეულს და ჭილოფს.

არიან კარგი მქედლები და მაუდის მქსოველები.

ჩემს კითხვაზე: შეიძლება თუ არა ვიპოვოთ სტატის-ტიკური მონაცემები, რომლითაც შეიძლება ციფრებში გამოვსახოთ ბათუმის მხარის წარმოება, მიპასუხეს, რომ ყველა სამოქალაქო უწყებათა პირები ბათუმიდან გავიდნენ. დარჩა მხოლოდ დევრიშ-ფაშა, მისი შტაბი და მცირეოდენი ჯარი. საქმეები, არქივი და სხვა დევრიშ-ფაშას განკარ-გულებით ტრაპიზონს გაგზავნეს...

ჩვენი საუბრის დროს თავად გურიელის ოთახში შემოვ-იდა კაცი, ევროპულ სამოქალაქო პალტოთი, მხარზე გა-დაკიდული ხმლით და წითელი ფეხით თავზე. ეს იყო საქ-მაოდ ხნიერი ბატონი, გამხდარი, ჩავარდნილი თვალებით; ფიზიონომია ჩვეულებრივი ჰქონდა, მაგრამ გამოხედვა – მბრძანებლური. მის შემოსვლაზე ყველა ქობულეთელი ფეხზე წამოდგა. თავადმა გურიელმა სთხოვა დაბრძანება და მე წარმადგინა: ეს იყო ცნობილი ოსმან-ფაშა თავდგი-

რიძე, აჭარის ფეოდალთა ერთ-ერთი მემკვიდრეთაგანი. თან შემოიყვანა თავისი შვილი, ლამაზი ბიჭი. მან განაცხადა, რომ ახლახან წარუდგა თავად მირსკის და მიემგზავრება ტრაპიზონში, სადაც უკვე მისი ოჯახი იმყოფება, მაგრამ რუსეთის მთავრობას უტოვებს თავის შვილს. ძალზე ადვილი ამოსახსნელი თამაშია: ოსმან-ფაშას რჩება დიდი სამფლობელოები ბათუმში და სხვა აღგილებში, თვითონ იგი რუსეთისათვის გამოუსადეგი მსახურია. იგი იყო იმ პარტიის მეთაური, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ბათუმის რუსეთთან შეერთებას. უკანასკნელ ხანს იგი იყო ბათუმის გუბერნატორი (მუთესერიფი). მე ჩამოვჯექი ფანჯარასთან და დავიწყე შენიშვნების წერა უბის წიგნაკში და შევამჩნიე ჩემსკენ ფაშის ირიბი ცქერა...



**ოსმან-ფაშა თავდგირიძე.
(?-1909)**

ძალიან მწყინდა, რომ თავად სვიატოპოლსკ-მირკისთან მისულ ქობულეთის დეპუტაციას ვერ მივუსწარი, მაგრამ თავადის თავაზიანობით ვისარგებლე და მოვიყვან აქ მის სიტყვას ქობულეთის დეპუტაციისადმი, აგრეთვე ამათ პასუხეს.

როდესაც თავადმა გურიელმა თავადს წარუდგინა დეპუტაცია -ქობულეთელი ბეგები, მამასახლისები და მეჯლისის წევრები, თავად სვიატოპოლკ-მირსკიმ განუცხადა მათ, რომ ჩამოსულია კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი თავადის ბრძანებით, რათა განუცხადოს მოსახლეობას,

რომ თურქეთის სულთნის და ხელმწიფე იმპერატორების ხელშეკრულების თანახმად, მათი ქვეყანა გადავიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში. რამდენადაც ისინი უკვე აღარ არიან მისი უდიდებულესობის – სულთნის ქვეშევრდომები, მათ ისდა დარჩენიათ იყვნენ სამშობლოს ერთგულნი. ქობულეთლები უკანასკნელ ომში ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ ხელმწიფეს – სულთანს და თავადი იმედოვნებს, რომ ისინი ასევე ერთგულად ემსახურებიან რუსეთის იმპერატორს, რომლის ხელქვეით მათი ქართველი თანამომენი კარგად ცხოვრობენ. – „იყავით ერთგული რუსეთისა, თქვა თავადმა, როგორი ერთგულიც იყავით სულთნისა და ოქენე უკეთესად იქნებით ვიდრე უწინ. მთავრობისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ქობულეთლები ყველაზე მეტად დაზარალდნენ ამ ომში; ამისათვის რუსეთის მთავრობა ეცდება შეაძლებულოს მათი გაჭირვებული მდგომარეობა. ყველა თავიანთი გაჭირვება მათ უნდა აცნობონ უახლოეს უფროსს, მაგრამ ვიდრე იგი თვითონ აქაა, მზადაა მოუსმინოს ყველას და დაეხმაროს რითაც შეუძლია. თუ ეს არ აღემატება ჩემს უფლებას, მე თვით გადავწყვეტ, ან აღვძრავ შუამდგომლობას ხელმწიფე-მეფისნაცვლის წინაშე. თუ კი რაიმეს გადაწყვეტა არ შეიძლება, გეტყვით პირდაპირ“...

ბოლოს თავადმა ურჩია მათ, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში და შესდგომოდნენ მშვიდობიან შრომას, მათსავე სასიკეთოდ.

ასეთი გულახდილი სიტყვა, როგორსაც არ იყვნენ მიჩვეული თურქებისაგან, ქობულეთლებს, ეტყობოდათ, ძალიან მოეწონა. ეჭვი არ იყო, იმაში, რომ მათზე მოქმედებდა რუსეთის ხელისუფლების პატიოსანი მოპყრობა. ქობულეთლებს ეშინოდათ რეპრესიების, მის ნაცვლად კი გაიგონეს მშვიდობიანი სიტყვები...

დეპუტატები შეპაირდნენ, რომ ერთგული იქნებოდნენ რუსეთის მთავრობისა და შეიძლებოდა მათზე დაჯერება.

თავადი სვიატოპოლკ-მირსკისაგან დაბრუნებულმა დავი-
წევ სეირნობა ქალაქში, რომელიც იმ დროისათვის მხოლოდ
სამხედრო ბანაქს წარმოადგენდა. ჩურუქ-სუში იდგნენ ზაქა-
თალელები (პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ივანოვი. იგი იო-
ვლებოდა ჩურუქ-სუს კომენდანტად). ჯარისკაცთა კარვები
ზღვისპირას იყო განლაგებული, იქვე ახლოს იდგა მთა-
ვარსარდლის თანაშემწის ბანაკი.

ზოგიერთი დუქანი დია იყო. ქუჩაში ჯარისკაცები და
ქობულეთლები ირეოდნენ. ყველაფერი კარგად და მშვი-
დობიანად მიდიოდა. ქუჩები, ორმხრივად ჩამწკრივებული
დუქნებით, წარმოადგენდა რაღაც სასტუმრო ეზოს მსგავსს.
ადრე ჩურუქ-სუ მხარის სავაჭრო ადგილი იყო.

ნაგებობათა შორის გამოირჩეოდა ადგილობრივ არის-
ტოკრატის, ბეგების თავდგირიძეთა დიდი სახლები.

სმელეთის მხრიდან ჩურუქ-სუ გამაგრებულია; იგი დაცუ-
ლია ზღვით და გარდა ამისა, მდ. აჭყვათი. ამგვარად, ზღვა,
სიმაგრე და მდინარე მთლიანად ჰქებავენ ჩურუქ-სუს, თუმცა
ამ ადგილს თავდაცვითი პოზიციის მხრივ არაგითარი მნიშ-
ვნელობა არ აქვს. ადრე თავისი ადგილსამყოფელი ჰქონდა
აქ მუდირს (უბნის უფროსი) და იდგა ადგილობრივთა და
ჩერქეზთაგან შემდგარი ნიზამის ერთი ბატალიონი.

თურქული კალენდრის ოფიციალური ცნობით ჩურუქ-
სუში იყო 590 სახლი, მოსახლეობას ჰყავდა 18 სახედარი,
20 ხარი, 31 ძროხა, 11 ცხვარი... ისინი თურქეთის ხაზინაში
იხდიდნენ ცხვარზე 16 ყურუშს, ნიზამის 95 ყურუშს, მოსავ-
ლისა – 1215 და გამოსაღების 279 ყურუშს. რუსული ცნო-
ბებით ქობულეთში 200 სახლია და 668 მცხოვრები.

ბათუმის ჩაბარების თაობაზე, გაუთავებელი მოლაპარა-
კების მიუხედავად, მაინც გაჩნდა რაღაც პუნქტები, რომელთა
შესახებ ცნობილ „მუშირს“ დევრიშ-ფაშას სურდა მო-
ლაპარაკებოდა თავად მირსკის და შეხვედრას სთხოვდა
მას. მუშირს აცნობებს, რომ თავადი მზადაა მიიღოს იგი ჩუ-

რუქ-სუში... და ახლა ყოველ
საათს ელოდნენ ჩვენთან ამ
განთქმულ ტაქტიკოსს და
პოლიტიკოსს...

ზაქათალის პოლკი დროუ-
ბით ზღვის პირას იდგა. იქვე
ირეოდა ყველაფერი, რაც კი
იყო თავისუფალი. თურქთის
გემი ნაპირს მოადგა და იქი-
დან დაიწყეს ნავის ჩამოშვე-
ბა. პოლკის მუსიკოსმა ოს-
ებმა შეასრულეს ცნობილი
პრეობრაჟენსკული მარში;
თავადთან ერთად ნაპირს მი-
უახლოვდნენ გენერალი ოქ-
ლობეიო, თავადი ტრუბეც-
ო, რებერგი და სხვები...

აი, ჩამოუშვეს ხიდური,
ორი მეზღვაური ამოუდგა
მუშირს და დაიწყეს დაშვება ნავისაკენ. ჭოგრიტით კარ-
გად ჩანდა ფაშის სახე და ფიგურა: გამხდარი, მოკლედ
შეკრეჭილი წვერით, მხრებგანიერი, მაღალი ტანის, ოდნავ
მოხრილი, კეთილი, ჭკვიანი გამოხევით; ეცვა ოქროთი
ნაქარგი მარშლის მუნდირი, რომელიც ოდნავ მოშვებულად
ჰქონდა ტანზე. გვერდზე ეკიდა მდიდრული ქვებით მოოჭვი-
ლი იატაგანი... მკერდზე და ყელთან ვარსკვლავები... მაგრამ
ეს რა უბრწყინავს ქამარზე?..

თურმე, როგორც შემდეგ გადმომცეს, ბალდადი** იყო,
რომელსაც ყოველთვის ასე ატარებს მუშირი დევრიშ-ფაშა...



ჯიმითრი სიიათოვალეპ-მირსბი*
(1825-1899)

* დ. სვიატოპოლკ-მირსკის ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის
უმცროსი ქალი სოფიო (რ.ს.)

** ცხვირსახოცია (რედ.)



დევოიშ-ზაშა
(ჸ. მარგიევის ფოტოკოლექცია)

ფრანგულ ტიპს წარმოადგენდა: ცოცხალი, მხიარული, მოლაპარაკე, უყვარდა გართობა, მოლხენა, მეორე – პირიქით: წარმოშობით ყირიმელი თათარი იყო (მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ), იზრდებოდა გერმანიაში და მიიღო საკმაო განათლება. იგი ამაგრებდა ციხისძირს და ჩაქვის პოზიციებს და ამდენად, მისი საქმიანობა საპატიოდ ითვლებოდა.

მუშირმა მიიღო საპატიო რაპორტი პოლკოვნიკ ივანოვისაგან და პატივი მიაგო დროშას, შემდეგ იგი და თავადი თანმხელებ პირებთან ერთად გაეშურნენ თავადის დიდებულ კარავში, რომელიც დიდ თავადს, მეფის ნაცვალს ქურთებმა აჩუქეს და ახლა თავად მირსკის განკარგულებაში იყო.

ყავითა და ჩაით გამასპინძლების შემდეგ თავადი მირსკი, დევრიშ-ფაშა და თავადი ტრუბეცკო შევიდნენ დახურულ ოთახში მოსალაპარაკებლად. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ დევრიშ-ფაშა ცდილობდა ბათუმის ჩაბარების გადადე-

თავადი და მუშირი ძალზე მეგობრულად მიესალმნენ ერთმანეთს, შემდეგ თავადმა მირსკიმ წარუდგინა მასთან მყოფნი, ხოლო, რაც შეეხება გენერალ ოპლობების, იგი ადრევე ითვლებოდა მუშირის მეგობრად. თავის მხრივ დევრიშ-ფაშამ წარადგინა თავისი მხლებლები, რომელთა შორის ქუთაისიდან ჩემი ძველი ნაცნობებიც იყვნენ: ალი-ბეი (დიპლომატური ჩინოვნიკი) და მაიორი ოსმან-ბეი. პირველმა განათლება საფრაგეთში მიიღო და

ბას იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა საკმაო გადასაზიდი საშუალებანი ბათუმში დარჩენილი ჯარისათვის, სამხედრო აღჭურვილობისათვის, მარაგისა და მცხოვრებლებისათვის, რომლებიც თავიანთი ნებით მიდიოდნენ თურქეთში. რა თქმა უნდა, თავადმა ამ თხოვნაზე უარით უპასუხა, რამდენადაც იგი ასრულებს ხელმწიფე იმპერატორის ხურვილს, – ბათუმი დაკავებული იქნეს ზუსტად 25 აგვისტოს. ამის გადავადება მას არ შეუძლია. მაშინ დევრიშ-ფაშამ შიში გამოთქვა, იმის გამო, რომ რუსეთის და თურქეთის ჯარებს მოუხდებათ შეტაკებანი, თუ კი ისინი ერთად იქნებიან. თავადი მირსკი არ დაეთანხმა და უთხრა, რომ იგი პასუხს აგებს რუსეთის არმიაზე და იმედოვნებს მუშირის მიერ ესოდენ გაწვრთნილ თურქეთის არმიას კარგად ესმის მისი უფლება-მოვალეობანი... ამ მოსაზრებამ იმდენად იმოქმედა მუშირზე, რომ იგი დათანხმდა და განაცხადა – მზადაა პასუხი აგოს თავის ჯარისკაცებზე.

ამგვარად, 25 აგვისტოს ბათუმი რუსეთის ქალაქი იქნება...

საუზმისა და სადილის შემდეგ მუშირი თავისი თანმხლებლებითურთ გემით გაემზავრა ბათუმში, რათა მივიღოთ ჩვენ, როგორც ქვეყნის მომავალმა პატრონებმა... მოახლოვდა საღამო და მე გავეშურე ჩურუქ-სუდან ციხისძირისაკენ, სადაც ჯერ კიდევ დილით გავგზავნე ჩემი ხალხი ტვირთით.

ვამთავრებ ამ თავს და საჭიროდ ვთვლი თრიოდე სიტყვით შევეხო მდინარე კინტრიშის გასწვრივ დასახლებებს, რომელიც ჩურუქ-სუს მხარეს ორად ჰყოფს. დავიწყებ მთა პერანგათი, საიდანაც მოედინება მდ. კინტრიში, უპირველესად გვევდება ზემო ხინო, რომლის შესახებ მე ვერავითარი ცნობები ვერ შევკრიბე. შემდეგ მოდის სოფელი დიდვაკე-რუსები თვლიან აქ 70 კომლს და 197 მცხოვრებს, ხოლო „ტრაპიზონის კალენდარის“ მიხედვით აქ მხოლოდ 4 სულია; მათ ჰყავთ: 5 ხარი, 2 ცხვარი, იხდიდნენ ხაზინაში:

ცხვრის 48 ყურუშს, ნიზამის – 112, მოსავლის – 548 და გამოსაღების – 334 ყურუშს.

დიდ-ვაკესთან არის ზერაბოსელი. რუსული აღრიცხვის მიხედვით აქ არის 40 სახლი 189 მცხოვრებით, ხოლო თურქელით – 29 მცხოვრები. 10 ხარი, 4 ცხვარი; იხდიდნენ მცხოვრებლები: ცხვრის – 66, ნიზამის – 173, მოსავლის – 1651 და გამოსაღების 514 ყურუშს.

მესხიძის, ანუ მესხი ქედის შესახებ, რომელიც მდ. კინტრიშის იქით მხარეს მდებარეობს, შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ რუსები ითვლიან აქ 15 კომლს და 34 მცხოვრებს. ცხვენვანში 40 კომლია 76 სულით, კობალაურში – 20 კომლი 48 მცხოვრებით.

რაც შეეხება სოფ. ტყემაგარავს, იქ თურქები ითვლიდნენ 43 კომლს, 10 ხარს, 12 ცხვარს, იხდიდნენ: ცხვრის – 88, ნიზამის – 2440, მოსავლის 2290 და გამოსაღებს 684 ყურუშს; რუსული აღრიცხვით 50 კომლია 211 მცხოვრებით.

თურქელი ცნობები კეჭიეთზე და ვარჯანულზე არ გამაჩნია. რუსული ცნობებით ითვლება: პირველში 30 კომლი 150 სულით, მეორეში 20 კომლი 42 სულით: უკანასკნელი სოფელი მთებში მდებარეობს.

ჭახათში რუსები ითვლიდნენ 40 კომლს 165 სულით. „ტრაპიზონის კალენდრის“ მიხედვით აქ ცხოვრობდა 19 სული, რომლებსაც ჰყავდათ: 7 ხარი, 8 ცხვარი. იხდიდნენ: ცხვრის – 70, ნიზამის – 187, მოსავლის 2064 და გამოსაღებს 544 ყურუშს. კოხის შესახებ ვერავითარი ცნობა ვერ ვიპოვვა. შემდეგ მოდის სოფელი ქობულეთი, ჩურუქ-სუს კაზის მთავარი ქალაქის თანამოსახელე. იქ ითვლებოდა 81 სული, „ტრაპიზონის კალენდრის“ მიხედვით მათ ჰყავდათ 20 ხარი და თითქოს, მხოლოდ 8 ცხვარი... იხდიდნენ: ცხვრის – 156, ნიზამის – 424, მოსავლის – 643 და გამოსაღების 1213 ყურუშს. ბობოვებათში რუსები ითვლიან 20 კომლს 60 მცხოვრებით: თურქები 26 მცხოვრებს, ჰყავთ 15 სახედარი, 20

ხარი; იხდიდნენ: ცხვრის – 82, ნიზამის – 160, მოსავლის – 3410 და გამოსაღებს 716 ყურუშს.

ხუცუბანზე მე სხვა ადგილას ვიღაპარაკვ. ასევე ავდნიშნე სოფ. სამებაზეც.

მდ. კინტრიშის გასწვრივ დასახლებაზე საუბრისას უნდა ვახსენოთ, რომ კინტრიშის (ძველად ხინოს წყლის) ხეობის მოსახლეობა ძალზე დარიბია. სათესი ფართობი მცირე აქვთ, ისინი ვეღებს ასუფთავებენ და დამრეც ფერდობებზე კაფავენ ტექს სიმინდის დასათესად. სამუშაოდ ხშირად 8-10 ვერსის დაშორებით მიდიან სახლიდან (ბაქრაძე), ახლანდელმა ომმა მთლიანად გააჩანაგა მოსახლეობა და ისინი სიღატაგუმდე მიიყვანა.*



**1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე,
სხეფელი
მეგლუდ დაბითაძე
(1859-1992)**

* ბათუმის მხარის დაკავების შემდეგ ჩვენმა მთავრობამ ყურადღება მიაჰყო კინტრიშელთა უბედურ მდგომარეობას და შეძლების-დაგვარად დაეხმარა მათ პურით და ნაწილობრივ ფულით. მაგრამ რას უშველის ეს დახმარება თითქმის 4000 მშიერ და შიშველ ადამიანს, მაშინ, როდესაც ამდენი მოცდა სჭირდებოდა მომავალი წლის მცირე მოსავალს! აქ საჭიროა ძლიერი საზოგადოებრივი დახმარება, მაგრამ იგი აგვიანებს...

თ ა გ ი მ ე ხ უ თ ე

ციხისძირში გადასცლა. – სოფელი. – პატარა ცხმი. – ზიღვა. – შეპრება. – ლეგაზ-ზაშის განაპი. – მოსაფული ქვაზენილი. – ტელებრაზი. – ქობულეთელთა გასახლება. – გამოსცლა. – საზღვარი. – ჩურჭა-სუს კაზის მოსახლეობა. – დასახლება მდ. აჟგაზე. – ჩამზის მიდამოები. – მეჩვითი. – გზა. – ჯარისპატია დაწლილობა. – ჩამზის სიმაბრე. – ჩამზის-თაგი.

უცუნ სიბნელეში ორი კაზაკის თანხლებით ჩურუქ-სუ-დან გავედი. ამინდი იყო წყნარი, მშვიდი. მივდიოდი თითქმის ვაკეზე. ჯერ მდ. აჟყვის გასწვრივ მისი მდ. კინტრიშთან შეერთებამდე (?), შემდეგ ამ მდინარის გასწვრივ გადავკვეთეთ მდ. დეხვა და კიდევ ერთი ღელე და ზღვის სანაპიროთი მი-ვედით პირდაპირ სოფ. ციხისძირში, რომელიც ძირითადად მრისხანე ციხისძირის ფერდობებზე შეფარებული ჩერქეზებით იყო დასახლებული. მოსახლეობის რიცხვი არაა ცნობილი, რამდენადაც თითქმის ყველა ჩერქეზი აქვთ წავიდა. ოფიციალური აღრიცხვით მცხოვრებლებს ხაზინისათვის უნდა გადაეხადათ: ცხვრის – 8464 ყურუში, ნიზამის – 3982 და მოსავლის 1006 ყურუში. როდესაც მივუახლოვდით ციხისძირის დასახლებას, მთებზე გაშენებულ ქოხებში სინათლე გამოჩნდა. აქ ყოფილან სომეხი მედუქნები. მათ უსარგებლიათ დუქნების მფლობელთა წასვლით, დაპატრონებიან დარჩენილ დუქნებს და ვაჭრობა გაუჩაღებიათ!..

მე კი, ამასობაში ძნელი ამოცანა მედგა წინ, მენახა ჩემი ბარგი. თუმცა ვუბრძანე კარვის გაშლა რაზმის შტაბის ახლოს, მაგრამ ასეთ სიბნელეში და ამდენ გზებში, რომლებიც მიემართებოდა ციხისძირის სიმაგრისაკენ, ძნელი გასარკვევი იქნებოდა, თუ სად იდგა რუსთა რაზმი და სად გაშლიდა კარავს რაზმის უფროსი გენერალი ნურიდი. საბედნიეროდ შარაგზაზე მივდიოდი, მაგრამ ალაგ-ალაგ გზა ისეთი ციცაბო იყო, რომ მეგონა ჩემი ცხენი სადაცაა უკან დაექანება. თუმცა მყავდა მთიელთა ისეთი ცხენი, რომელმაც

არ იცოდა არც დაღლა, არც შესვენება და მიიწევდა სულ ზეპიოთ და ზეპიოთ. შესახედავად თითქოს არაფერია, მაგრამ მთებში და აღმართებში მას ტოლი არ ჰყავს.

ბოლოს, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, მოვხვდით კარავში.

მეორე დღეს, დილით ადრე ავდექი. მე მგონია, რომ არაფერი შეედრებოდა ციხისძირის სიმაღლიდან აგვისტოს დილის მშვენიერებას. დილის ნისლი მთებზე იყო დაშვებული და ალაგ-ალაგ ფარავდა მის კალთებს; ცა სუფთა, უღრუბლო იყო, მარცხნივ, ჩურუქ-სუსკენ, თითქოს ხელის გულზე მოჩანსო, დახატული სურათი. ცის დასალიერზე ნათლად ვხედავდი სამებას, კვირიკეს და ხუცუბანს. ყველაფრის გარჩევა შეიძლებოდა. ყოველი მხრიდან ისმოდა სალაშქროდ გამზადებული ხალხის ხმა. ბანაკში, მოპირდაპირე მხარეს ფუსფუსი და მოძრაობაა. ამზადებდნენ ცხენებს საპალნებით, ალაგებდნენ კარვებს. წინ და უკან გარბი-გამორბიან უფროსი უნტერ-ოფიცირები და აჩქარებენ ჩალვადრებს. დენჭიკები ალაგებენ ოფიცირთა არც თუ ისე ძვირფას სალაშქრო ბარგს; უფროსები ამწკრივებენ ხალხს, თავისუფალი ოფიცირები ამთავრებენ ჩაის სმას.

ჩაის შემდეგ მეც გავეცი განკარგულება ჩემი ბარგის და კარვის შეფუთვისა, რათა მარტოკა არ დავრჩენილიყავი ციხისძირის მთებში. ჩვენი ჯარები სტოვებდნენ ამ პოზიციას და მიეშურებოდნენ ბათუმისაკენ.

ამასობაში მე დავიწყე ხეტიალი ციხისძირის სიმაღლეუბთან, რომელიც მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა. მაჩვენეს დევრიშ-ფაშის ბანაკი, რომელიც ჩემი კარვიდან რამდენიმე ნაბიჯზე იყო. ეტყობოდა, რომ მუშირი თავის გვამისათვის არც ზარბაზნების ქუხილში და ბრძოლაში ივიწყებდა „განცხრომას.“ ბანაკი შედგება რამდენიმე ოთახისაგან, რომლის კედლები მოპირკეთებული და ხის ჩუქურთმით იყო შემკობილი. სახლის ფასადი ჩურუქ-სუსაკენ იყო მიქცეული. მის წინ გაშენებული იყო ყვავილნარი, რომელსაც

მზრუნველი ხელი ეტყობოდა. ბანაკის ირგვლივ გადიოდა კარგად მოვლილი გზები, რომლებიც ნაირფერი ქვებით იყო მოხატული.

ერთ-ერთ სიმაღლეზე მოწყოთ რაღაც ფანჩატურის მსგავსი, რომელზედაც ადრე ამაყად ფრიალებდა თურქეთის დროშა... აქ ხშირად იჯდა თურქთა მოძრაობის მოყურადე დევრიშ-ფაშა.

ფაშის ბანაკში ახლად დაუდგამთ სატელეგრაფო სადგური. აქ უფროსებისაგან ყოველგვარ ხელშეწყობას მოკლებული ჯარისკაცები საქმიანობდნენ, აკეთებდნენ საქმეს ისე, როგორც მცირებულდნე ჯარისკაცს ესმოდა...

ციხისძირიდან დიდ სივრცეზე მოსჩანდა სხვადასხვა დასახლებანი, მაგრამ არავითარი ხმა, არავითარი მოძრაობა. გურიის რაზმის მეთაურმა გენ. ნურიდმა მითხრა, რომ ამ და სხვა სოფლების მცხოვრებლებმა დიდი ხანია, რაც დატოვეს აქაურობა და თურქეთში მიემგზავრებიან. ის ქობულეთლები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გასვლა, ბრუნდებიან, მიაქვთ ყველაფერი, რაც დარჩათ და მიდიან. მაგრამ საქმე ამაში როდია. მცხოვრებლებს აქვთ უფლება დარჩნენ ან წავიდნენ მხარიდან. გენერალ ნურიდის უურამდე მოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ თურქეთის ჯარის მეთაურებმა გამოგზავნეს რაზმი მოსახლეობის შესაკრებად და თურქეთში წასაჭანად. ერთ ასეთ რაზმს შეეყარა გენ. ნურიდის მიერ გაგზავნილი ჯარი. აღმოჩნდა, რომ თურქებს ძალად მიჰყავდათ ხალხი. გენ. ნურიდმა გარეკა ისინი და ამის შესახებ აცნობა ახლად დანიშნულ ბათუმის მხარის უფროსს თავ. გურიელს, რომელსაც ქობულეთლებზე დიდი გავლენა აქვს. მისი წინაპრები ქობულეთელი თავადები იყვნენ. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ზოგიერთი ქობულეთელი მაინც წავიდა, რადგა მათი განმარტებით, ბევრი მათგანის ნათესავები და ახლობლები კარგა ხანია გაემგზავრნენ და მარტოკა აქ აღარ

ედგომებოდათ. ასეთი განმარტების შემდეგ ისინი თავისუფლად გაატარეს.

მოვიდა ცნობა, რომ ზაქათალელები და ჯარის სხვა ნაწილები უკვე გამოვიდნენ ჩურუქ-სუდან და ციხისძირის კოლონაც დაიძრა.

ვისაც არ უნახავს ჯარის სვლა ვიწრო მთის ბილიკებით, სადაც სულ უბრალო გაუთვალისწინებელ შეცდომას შეუძლია გამოიწვიოს წარმოუდგენელი ქაოსი, იგი ვერ მიხვდება ციხისძირის სიმაღლეებიდან თუ რა სიძნელის წინაშე იდგა გენ. ნურიდის რაზმი. ჯარი მიდიოდა უწყვეტ ხაზად გზაზე, რომელიც ახლა ცოტათი შეკვებული იყო, მაგრამ არტილერიისათვის სიძნელეს ქმნიდა.

ჯარებს შუა, დიდი გაჭირვებით გავედი შავი ზღვის ნაპირას.

ზღვა იყო წყნარი, არავითარი ტალღა, ამაოდ ვცდილობდი დამჟენახა ჰორიზონტზე ნავი ან ტივი...

გავედი ორ ჩემთვის უცნობ მდინარეზე და გავყევი ზღვის ნაპირს იქ, სადაც პერანგას განშტოებაა – ხარის მთა ებჯინება ზღვას და თავდება ჩურუქ-სუს ნახიე.

აქ საჭიროდ ვთვლი მოვიყვანო ზუსტი სია ჩურუქ-სუს ნახიეს დანარჩენი დასახლებული ადგილების, რუსული მონაცემებით და „ტრაპზონის კალენდარის“ მიხედვით კომლთა და მცხოვრებთა რიცხვზე, რომელშიც ნაჩვენებია აგრეთვე მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადის რაოდენობა მცხოვრებთა და პირუტყვის რიცხვი:

1. რუსული მონაცემები

დაგვა	აჭივისთავი	ქაქუთი	ხინო
კომლი... 20 მცხოვრები ... 66	კომლი... 113 მცხოვრები ... 604	კომლი... 41 მცხოვრები ... 184	კომლი... 100 მცხოვრები ... 419

2. ოურქული აღრიცხვით

სოფელთა დასახელება	საზონის შემთხვევადი				საქონლის და სხვ. რაოდენობა					მოსახრიცხ ვი	
	ცხვრი- საგან	ნიხა- მის	მოსაფ- ლის	გამოსა- ფლის	სახე- დარი	ხარი	ძროხა	ცხენი	თხა	ცხვა- რი	მოსახრიცხ ვი
დაგვა	65	212	2724	568	10	15	-	-	-	-	65
აჭერისთავი	50	137	3444	355	-	20	-	-	-	18	82
ქაქუთი	16	142	1221	125	-	5	-	-	-	2	177
ბაშ-ხინო	51	183	587	396	-	12	-	-	-	5	22
აზიზნა	49	113	817	379	10	20	3	1	2	3	61

ბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ჯიუდიჩის ცნობებით ჩურუქ-სუს ნახიერი 16 სოფელია, 6 უბანი, 18 წისქვილი, 145 დუქანი, 17 მეჩეთი და 5 საყავე. „ტრაპიზონის კალენდრის“ მიხედვითაც ჩურუქ-სუს ნახიერი სულ 16 სოფელია. რუსული აღრიცხვით: 7 მერქეზი, 22 სოფელი და 7 მეჩეთი; კავკასიის შტაბის რუკაზე კი ნაჩვენებია 16 სოფელი და 6 განსახლება.



ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სახლი ჩაქვში.

ჩვენი გზა მიდიოდა სოფელ ჩაქისთავისაკენ. იქ მისვლამდე საჭირო იყო მდ. აჭყაზე გადასვლა, ზღვის შესართავთან ჩვენ გავედით სწორ მინდორზე, რომელიც ხშირი მცენარეულობით იყო დაფარული. განსაკუთრებით 5 არშინი სიმაღლის სიმინდა გამაკვირვა! ზღვის ნაპირას იდგა სრულიად ცარიელი ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სახლი. ხუსეინ-ბეგის ოჯახი მთაში წაულდა. სახლი კი მთლიანად გაუნადგურებიათ.

ადგილი, სადაც ჩვენ მივეტყურებოდით იწოდებოდა სოფ. ჩაქის „ბაზრად“, საკუთრივ სოფ. ჩაქი მდებარეობს გაცილებით ზემოთ პერანგას მთებში მდ. აჭყას მახლობლად. ამავე მდინარის გასწვრივ პერანგას განშტოებაზე მდებარეობს სოფ. ხალა, სადაც 92 კომლია და 224 მცხოვრებია. არის მცირე რიცხვი ცხვრისა (10), თხისა (20) და კარგი საოქსები. მცხოვრებლები უხდიდნენ თურქეთის მთავრობას: 5288 ყურუშს მოსავლისა და 1379 ყურუშს გამოსადებს. რუსები



ცერათ-ბეგი ბეჟანიძის სახლი ჩაქში.
აშენებულია 1872 წ.

აქ ითვლიან 75 კომლს და 300 მცხოვრებს. რაც შეეხება ჩაქვის დასახლებას იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და მთელი ახლო-მახლო მხარე ჩაქვში ამ სახელით იწოდება. თავიანთი მამული და სახლი აქვთ ბევანიძეთა გვარს, რომელთა შესახებ მე რამდენჯერმე აღვნიშნე.

„უმაღლეს“ მეთაურთა მოლოდინში ჩვენ გავჩერდით ჩაქვის „ბაზართან,“ მეჩეთის მახლობლად. მოვიდნენ თურქი ოფიცირები. შორს, რომელიდაც ბედელთან, თუ სახლთან იდგა ქობულეთელთა ჯგუფი, რომელთაგან ზოგიერთი წინა დღით ჩურუქ-სუში ვნახე. მე დავათვალიერე ირგვლივ არსებული ნაგებობანი. ისინი ხისაა, კარგად აშენებული, მაგრამ ვიღაცის ხელს შეგნებულად ყველაფერი დაუნგრევია.

დავინტერესდი მეჩეთის დათვალიერებით. იგი დგას ჩაქვის ბაზრის მოედნის შუაში, რომელიც თითქმის სწორ პგადრატს ქმნის. გაშენებულია დუქნები და სხვა ნაგებობანი. მეჩეთის შესასვლელი მხარე შემოზღუდულია მოაჯირით. მეჩეთი თითქმის მოლიანად წაბლის ხისგანაა აგებული. გარედან იგი უფრო ოთხეუთხა ბედელს ჰგავს. შიგნითა მოპირკეთება, სოფლის სალოცავის კვალობაზე, ურიგო როდია. ყველაფერი მოჩუქურობებულია, აუკუნილია, კარის პირდაპირ კედელზე დატანებულია ნიშა, აქედან მოლა იწებს ლოცვას. ამ ჩაღრმავებული აღგილის მარცხნივ არის რაღაც შემოზღუდული მაგიდის მსგავსი, სადაც იყიდება სხვადასხვა წმინდა საგნები. მარჯვენა მხარეს არის კიბე, რომელსაც მთელს სიმაღლეზე მოაჯირი მიუვვება. კიბე ადის კათედრაზე, საიდანაც მოლა წარმოსოჭვამს ქადაგებას. ყოველივე ამის ზევით არის აივანი, რომელიც მოჩუქურობებული მოაჯირითაა შემოვლებული. მთელი კედელი, უკანა კარის გასწვრივ უჭირავს ქალებისათვის გამოყოფილ გალერეას, რომლის შუაში არის შვერილი, ასევე მოჩუქურობებული. გალერეაზე ასვლა შეიძლება შენო-

ბის გარედან კიბით. ასე, რომ ქალები და მამაკაცები არ ხვდებიან ერთმანეთს. მეჩეთი მთლიანად დაცლილი იყო. ჩემს კითხვაზე, თუ რატომაა ყველაფერი გაზიდული, იქნე, თავი გურიელის დაცვაში მყოფმა ქობულეთლებმა მიპასუხებს, რომ მართლმორწმუნებმა ეს იმიტომ მოიმოქმედეს, რომ მეჩეთის ქონება რუსებს რჩებოდათ...

მოგვშივდა; ჩქარა გაჩნდა ნაირ-ნაირი ევროპული საუზმე და აქვე მეჩეთის შესასვლელთან დაგნაყრდით. დაგლიერ დვინოც. ამაში თურქი დელეგატები როდი ჩამოგვრჩენ ჩვენ, ცოდვილთა ამა ქვეყნისა.

მოვიდა „ხელისუფლება“ და ჩვენც გაგწიეთ. გავიარეთ პურით და მაღალი ბალახით დაფარული მინდორი და ტყეში შევედით. შემდეგ ძალიან უხეირო გზით შევუყვაით სულ მაღლა და მაღლა. გზაში გვხვდებოდნენ სალდათები, რომლებიც დაღლილობისაგან თავიანთ ნაწილებს ჩამორჩენილიყვნენ. თავი გურიელი უნდა დაბრუნებულიყო უკან, რადაც განკარგულებისათვის, ამიტომ მარტოდმარტო წავედი უდრანი ტყით. აქ ხარობდა მუხა, წაბლი, წიფელი და ვებბერთელა ნაძვები. მე ვვრძნობდი, რომ ჩემი გზა როგორდაც უსაფრთხოა. თითქოს მივდიოდი რომელიმე სარატოვის გუბერნიის შარაგზაზე. ჩემს ცხენს დაღლილობა დაეტყო. შევხვდი ოფციცერ-ინჟინერს ბ-ს №-ს, რომელმაც გულიანად შეაგინა თურქ მეგზურებს ასეთი გზის არჩევისათვის. კლდეთა შეერილების მახლობლად, გზაზე ჩანდა მრისხანე თურქული სიმაგრეები, რომლებიც მათ ციხისძირის ბლოკადის დროს ააშენეს. ახალი სიმაგრეები, თავიანთი მიუდგომლობით ბევრჯერ სჯობდნენ ციხისძირისას, რამდენადაც გაუვალი უფსკრულები ჰყოფდნენ მათ იმ პუნქტებისაგან, საიდანაც შეიძლებოდა შეტევის დაწყება. ჩაქვის სიმაგრეებს შეეძლოთ სროლა აეტეხათ ბათუმისაკენ მიმავალ ყველა გზისათვის, ამგვარად თუნდაც აგვეღო ციხისძირის პოზიცია, ჩვენ ტყუილუბრალოდ დაგვარგავდით ხალხს და

დავდგრიდით სისხლს, რადგანაც ჩაქვის ახალ პოზიციებთან მისვლის არაფითარი საშუალება არ ჩანდა.

ჩქარა დავეწიე რიონისპირის ჯარების სარდალს გენ. ოქლობურის, რომელიც კაზაკთა თანხლებით და თავისი დიდებული სამკერდე ნიშნით იჯდა მშვენიერ რუს ცხენზე. გენ. მასაც ასევე მიაჩნდა ჩაქვის პოზიციების მიუდგომ-ლობა.



**გენერალი ი. დ. ობელიანი
(ზ. მარგივის ფოტოკოლექცია)**

და გამოსაღებს – 2164 კურუშს. მცხოვრებლებს ჰყავთ 529 თხა და 1709 ცხვარი. რუსები აქ ითვლიან 85 კომლს 840 მცხოვრებით.

მოგაწყვეთ ხანმოკლე შესვენება პატარა დასახლება – სოფ. მახინჯაურის ახალშენთან. ქობულეთელმა ბიჭმა თავისი ტყავის ჩანთით მოიტანა წყალი და ძალზე დიდი კიტრი, რომელმაც ბაბუა კრილოვის „რომაული“ კიტრი მომაგონა.

ბიჭი იყო სოფ. ჩაქვისთავიდან, რომელიც მდებარეობს პერანგას მთიდან გამომდინარე მდ. ჩაქვისწყალთან. ჩაქვისთავში 88 სახლია, 195 მცხოვრებით, რომლებიც იხდიდნენ: მოსავლის – 4181

თ ა ვ ი მ ე მ გ ს ე

საზოგადო მახინჯაშრთან. – სოჭ. მახინჯაშრი. – ადგილის თავისებურება. – ბათშრის ხედი. – მფრეში პიჟი. – სტუმარები ბათშმიდან. – გამოკითხვები თურქებზე. – სურსათისათვის ბათშრი გაგზავნა. – ბანაპის მოწყობა. – მარპიტანტები. – ლოცვა. – ზვიმა. – ზიმრები ბათშრები. – შარძენი. – ძობულებითა გალათები. – მახინჯაშრის მინისტრული უზღვები.

ჩვენი კოლონის წინამდღოლმა თურქმა ოფიცირებმა რა-დაც მოსაზრებით ბანაკის გაშლა მახინჯაურის სიმაღ-ლეზე მოინდომეს. მხოლოდ ჩვენი უფროსების დაუინებულმა მოთხოვნამ დაარწმუნა ისინი ამ გადაწყვეტილების უაზრო-ბაში, რადგანაც ტყუილ-უბრალოდ უნდა გვეზიდა არტილე-რია და სხვა ტვირთი საკმაო შემაღლებაზე. გადაწყდა, რომ ჩვენ გავშლიდით ბანაკს ზღვის ნაპირას იქ, სადაც ადრე თურქთა კავალერიის ბანაკი იდგა.

საკუთრივ სოჭ. მახინჯაური მდებარეობს ჩვენს ბანაკს ზემოთ. სოჭ. მახინჯაურში რუსული აღრიცხვით ითვლება 75 კომლი 315 სულით, ხოლო თურქული წყაროების მიხედ-ვით 92 სახლი, 182 სულით მუსლიმანი მოსახლეობა, პყავთ 60 სული თხა. გადასახადი შექმნდათ (ყურუშობით): მოსავ-ლისაგან – 3455, გამოსაღების – 860.

ჩვენი სადგომიდან მარცხნივ, ჭაობიან ადგილას გადაჭიმული იყო ტყე. მახინჯაურიდან ჩამოსასვლელი გზის ორივე მხარეს გაშლილია სიმინდის ყანა, რომელიც წნელით იყო შემოღობილი.

ზღვის პირას დგას რაღაც ფარდული, რომელიც თურქების საწყობი ყოფილა. მარჯვნივ, ცოტა ზემოთ, ბორ-ცვიდან ჭოგრიტებით მოსხანდა ბათუმის ნავსადგური, გე-მები, შუქურა და სხვა. ქალაქის ირგვლივ, ჩვენს მხარეს, მოსხანდა თურქ ჯარისკაცთა თეთრი კარვები.

მეთაურთაგან ყველაზე ადრე მოვიდნენ გენერალი ოკლობეთ და გენერალ-ინჟინერი რერბერგი.

აღალის მოლოდინში გაგზერდით ფარდულთან. უცბად, საიდან იყო, გაჩნდა ქობულეთელი მწყემსი – ბიჭი, როგორც ჩანს, ძალიან გაერთო ჩვენით და მისი ძროხები სულ გადავიწყდა. ბიჭი ცნობისმოყვარე თვალებით შესცემოდა რუსებს. გენერალმა ოკლობეთმ და სხვებმა მას ფული აჩუქეს. ბიჭმა აიღო ფული, დაიწყო თამაში და რუსებს ცუდი თვალით სრულებითაც აღარ უცემოდა.

უცბად ბიჭს მოუსვენრობა დაეტყო, აქეთ-იქეთ იხედებოდა და ტირილიც მორთო. მას მოაგონდა ძროხები, რომლებიც აღარ ჩანდნენ...

სხვა სცენა: გზაზე მტვერი ავარდა. გამოჩნდა რამდენიმე მხედარი, მათ შორის გენ. ოკლობეთის თარჯიმანი 6. მეფისოვი, რომელიც ბათუმში იყო გაგზავნილი მეთაურთა ბინისათვის და სხვა. მასთან ერთად, ბათუმიდან მოვიდნენ კიდევ სხვა პირები „ცნობისმოყვარეობისათვის“... მათგან მე ბევრი რამ გავიგე, თუ რა კეთდებოდა უკანასკნელ ხანს ბათუმში. მათ დამიდასტურეს, რომ თურქები ჰკრებენ ხალხს და ძალათვე შიჰყავთ გემებზე, ქობულეთელთა მხრივ იყო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევები. მაგალითად, სოფ. ტოლოკში (ჩოლოქში?) 14 და 15 აგვისტოს ქობულეთელთა და თურქებს შორის მოხდა ნამდვილი ჩეუბი, უკანასკნელი იძულებული იყვნენ იქაურობას გასცლოდნენ.

დევრიშ-ფაშა, საერთოდ, აყოვნებდა ბათუმის ჩვენზე გადმოცემას, რათა დრო მოეგო და რაც შეიძლება მეტი მცხოვრები გაეყვანა ქვეყნიდან... ბათუმში მოდიოდა ქობულეთელთა ჯგუფი, რომელთაც ყოველდღე აგზავნიდნენ ტრაპიზონში. თურქები ეშმაკობდნენ, ისინი ცდილობდნენ ჯერ ქალები და ბავშვები გაეგზავნათ, დარწმუნებული იმაში, რომ შემდეგ ყველა მამაკაცი მიაშურებდა თავის ოჯახს თურქეთში.

ჩვენ, ამავე დროს, გაგვანს სენდა, რომ დილის აქით, გარდა მსუბუქი საუზმისა, რომელიც ჩაქში მივიღეთ, არაფერი გვჭიმა. იყო უკვე 2-3 საათი; ადალის ცდა დიდხანს მოგვიწევდა და სადილამდე ან უფრო სწორად, ვახშმამდე რომც მოსულიყო, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქონდა. მოგვიფიდა კარგი აზრი, – გაგვეგზავნა ერთ-ერთი ბათუმიდან მოსულთაგანი ბათუმშივე საჭმელისათვის. მადლობა დმერთს, ბათუმი სულ რამდენიმე ვერსზე იყო. ითქვა და გადაწყდა. სადამოსათვის ბანაკში იყო სხვადასხვა საუზმე, ლვინო, შამპანური და სხვა გემრიელი მისართმევი.

მოვიდა თაგ. სვიატოპოლქ-მირსკი ამალითურთ და მათთან ერთად ჯარი თრივე მხრივ: მახინჯაურის მთებიდან (ციხისძირის კოლონა) და ზღვის სანაპიროდან (ჩურუქ-სუს კოლონა).

მოვიდა ადალიც. გაჩადდა მუშაობა. შტაბის უფროსებისათვის და ოფიცრებისათვის გაშალეს კარგები. ჯარისკაცები კი ამის გარეშეც იოლად გავიდნენ. მიწაში ჩარჭობილი რამდენიმე ტოტი, თავის დასაცავად, წარმოადგენდა თავშესაფარს რუსული მიწის შვილებისათვის...

ჯარის მარკიტანტები, ამავე დროს, თავის საქმეს აკეთებდნენ. აი, განნდა ბევრ ადგილას ცეცხლი, კვამლი მიმოეფინა არემარეს: იხარშებოდა ჯარისკაცული წვნიანი.

ჩქარა ჩამობნელდა. ჩამოწვა ცვარი. მეზობელ ტყიდან სინოტივე მოდიოდა, რომელიც ჭაობის გავლენით მატულობდა.

მე წავედი ბანაკში, რომელიც მოწყობილი იყო „მეშტაბეთაგან“ ცალკე, სიმინდის პატარა ყანის გვერდით.

სალაშქრო ცხოვრებას შეუჩვეველისათვის ბანაკი წარმოადგენდა საინტერესო სანახაობას. აი, ძირკვზე ზის ჯარისკაცი და ჩექმას აკერებს, მეორე ცოტა მოშორებით, ასუფთავებს სამსედრო შეჭურვილობას, რათა ბათუმში ყოჩადად შევიდეს... აქ, ქვაბებში ჯარისკაცები ვახშამს

ხარშავენ. მათ დილით 8 საათამდე ისაუზმეს, რადგანაც ლაშქრობისას ვერ შეარჩევ დროს, თუ როდის დააპურო ხალხი. აქით დენჭხიკები ოფიცირებისათვის სამოვარს დგამენ, სხვები ვახშამს უმზადებენ...

აპა, დაუკრეს „ზორია!“ ბანაკში მოძრაობაა. დაეწყვნენ „სალოცავად“. სამხედრო გუნდის აკომპანიმენტის ქვეშ მსროლელთა საუკეთესო გუნდმა, მწყობრად შეასრულა „მამაო ჩვენო,“ და უნდა გამოვტყდე, მშვენიერი კონცერტი გამოვიდა.

კარავში მოსულს სინესტე დამხვდა. დღისით კი ძალზე აცხუნებდა. დამით წვიმაც წამოვიდა და კარავში გაატანა. მე მომაგონდა საცოდავი ჯარისკაცები... თუ რა დღე დაადგებოდათ ტოტებისაგან გაკეთებულ ფაცხებში.

... უნდა შევნიშნო, რომ ამ დროს აქ გამუდმებული წვიმები იცის, თუმცა როგორც გამონაკლისი, ბათუმში ჩვენი შესვლისას მშრალი ამინდი იდგა. ბ-ნი ბაქრაძე, რომელიც ომამდე იყო ქობულეთსა და ბათუმში, ამბობს, რომ აგვისტოს თვეში იმჟიათად იყო უწვიმარი დღე ჩურუქ-სუსა და მის მიდამოებში. ვერცხლის-წყალი ერთსა და იმავე დღეს ადიოდა და ეცემოდა 20-30 წო-ით.

მეორე დღეს მახინჯაურის ბანაკში ყველაფერი ამოძრავდა; და ეს გასაკვირი როდია! დღეს ხომ ჩვენ ბათუმში უნდა შევიდეთ, რომლისკენაც ასე დიდი ხანია მივისწრაფვით.

გამახსენდა ინგლისურ და ზოგიერთ ჩვენს გაზეთში ატეხილი განგაში. „ლაზების“ რომელიდაც აჯანყებაზე, მათ მიერ „ავტონომიის“ მოთხოვნაზე და სხვა ამგვარებზე, რომლისაც რატომდაც გვჯეროდა, თუმცა ქართველი პატრიოტები (რუსების მხრიდან) ამბობდნენ, რომ ყველაფერი ეს მონარმახია, მოცლილი ხალხის გამონაგონია და, რომ თურქეთის ქართველებს სურთ რუსეთის ქართველებთან შეერთება მხოლოდ, მათი სიმყუდროვის შენარჩუნების პირობით.

ჩვენს ჯარს უხაროდა, რომ საქმე დასასრულს უახლოვდებოდა. უხაროდათ უფროსებისაც. მხოლოდ „ჯვრებისა“ და „ნიშნების“ ზოგიერთი მოყვარულები გამოთქვამდნენ სინაწყლს, რომ მათ არ მიეცათ საშუალება პირისპირ გასწორებოდნენ თავებედ, თუმცა თავგანწირვამდე მამაც ქობულეთლებს!.. სამედინიეროდ, ასეთ „მოყვარულების“ სურვილებს არავინ კითხულობდა...

ბათუმში შესვლა დანიშნული იყო დილის 10 საათისათვის, ამიტომაც დიდხანს ზოზინი აღარ შეიძლებოდა.

ამავე დროს, მანინჯაურში განლაგებული დროებითი ტელეგრაფი ლაპარაკობდა ბათუმთან...

როგორც კი გაიგეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ ჩვენი ბანაკი მანინჯაურშია, ჯერ კიდევ სადამოთი დაიწყეს ჩვენთან მოსვლა თავიანთი ხორაგით: ყურძნით, მსხლით, კიტრით და სხვა ხილეულით. ზოგიერთებმა ცხვრებიც კი მოიყვანეს გასაყიდად.

ქობულეთელთა მიერ მოტანილი ყურძენი ცუდი როდი იყო. იგი სურნელოვანი და წვნიანია, მაგრამ ძალზე თხელკანიანი, რისთვისაც მისი დიდხანს შენახვა არ შეიძლება. მსხალი – ტყიურია; განსაკუთრებული კბილები უნდა გქონდეს, რომ ჩამოკბით ამ ქვისმაგვარ ხილს და არაჩვეულებრივი კუჭი – მისი მონელებისათვის!

რაც შეეხება კიტრს, შესანიშნავი სიდიდისაა, მაგრამ უგემური. ჩემი ყურადღება მიიჰყრო კალათებმა,* რომლითაც ქობულეთლებს ტვირთი დააქვთ. ეს არის ძალზე კარგად დაწწული, კონუსისმაგვარი, ოდნავ წაგრძელებული ჭურჭელი, რომლის დია თავზე გაკეთებულია რგოლები ხელების შესაყოფად და გადასატანად. კალათი არ აწვება ზურგს და აძლევს საშუალებას ქობულეთელს, თავისუფლად იქონიოს

* გოდორი (რ.ს.)

ხელები, რადგანაც მის არამშვიდ სამშობლოში ერთ ხელში აუცილებლად თოვი უნდა ეჭიროს. მე მინახავს ზუსტად ასეთი კალათი შვეიცარიაში და მათ შორის სრული მსგავსება ვიპოვვა.

მე მინდოდა გამეგო რამე მახინჯაურის მინერალურ წყლებზე, რომელიც ჩვენს ბანაკს ზევით, მთებში მდებარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. ქობულეთლებისგან ის-ლა გავიგე, რომ აქ მოდიან სამკურნალოდ ბათუმიდან და თურქეთის სხვა ადგილებიდან. განსაკუთრებული მოწყობილობა ამ წყლებზე მომსვლელისათვის არ არის, მაგრამ წყლის ძალა ეტყობა ძლიერია, ბევრი ავადმყოფი აქ მოსვლის შემდეგ შვებას პოულობს.

თ ა ვ ი მ ე შ გ ი დ ე

დასახლება ყარაღერშა ფქალსა და ყოროლის-ფქალს შორის. – სარაია. – გათუმაში ვაჟობი. – გათუმის საგაჟრო საბეჭი. – ოსები. – თურქული შეხვედრა. – აბიტატორები.

თავადი გურიელი რამდენიმე ქობულეთელი მხედრის თანხლებით წინ ყველაზე ადრე წავიდა; თავადმა მე მიმიპატიუა მათთან ერთად გავმგზავრებულიყავი. მე სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება. ჩემი ხალხი ადალთან და ჩალვადრებთან დავტოვე, დროს მოვიგებდი და საშუალება მეძლეოდა მენახა თურქებისა და რუსების შეხვედრა, რომელიც ბათუმის მახლობლად უნდა გამართულიყო.

მცირე გზის გავლის შემდეგ შევხვდი მესანგრეებს, რომლებიც მახინჯაურიდან წინადლით იყვნენ გაგზავნილი გზის წესრიგზე მოსაყვანად. მთელი გზა მოფენილი იყო ზღვის პენჭებით.

ერთ ადგილას მოგვიწია პატარა მდინარეზე – ყარადერის წყალზე გადასვლა, რომლის სათავე მახინჯაურის მინერალურ წყლებთან იწყება. ამ მდინარის იქით მდებარეობს სოფ. ყარადერე, ჩვენი აღრიცხვით აქ 25 კომლია 110 სული მცხოვრებით.

ყარადერეს ცოტა ზევით, მთა პერანგას განშტოებათა ხეობებში, სადაც მდ. ყოროლის-წყალი მოედინება, არის სოფლები ორთა-ბათუმი, ყოროლის-თავი, ახალშენი და აგარა. ამ უკანასკნელში ირიცხება 29 მცხოვრები, რომლებიც იხდილნებ: გამოსაღებს – 803, ცხვრის – 99, მოსავლის – 298 კურუშს; მათ პერავდათ 33 თხა, 14 ძროხა, 9 ხარი და 1 ცხენი. ჩვენი აღრიცხვით აგარაში 35 კომლია და 135 მცხოვრები.

რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს, ისინი გზით, ანუ უფრო სწორად, ბილიკით უერთდებიან სოფ. ჩაქვის.

გზა იწყება ახალშენიდან, გადის უოროლისთავთან, ორთაბათუმთან და შემდეგ მახინჯაურის მთებით მდ. ჩაქვის წყლით, სოფ. ჩაქვამდე ეშვება.

რუსული წეაროებით ორთაბათუმში ირიცხება: 75 კომლი და 179 სული; თურქულით 83 სახლია, 175 სული მცხოვრები, 9 ცხენი, 18 ხარი, 67 თხა; მცხოვრები იხდიდნენ: ცხვრის – 201, მოსავლის 5050 და გამოსაღების 2370 ყურუშს.

ახალშენში 33 სახლია, 98 მცხოვრები, 1 ცხენი, 4 ხარი, 14 ძროხა, 25 ცხვარი, 450 თხა; თურქული აღრიცხვით ხაზინა იღებდა: მოსავლის – 4404, და გამოსაღების 625 ყურუშს, ხოლო რუსულით: 30 კომლი და 109 სული მცხოვრებია.

უოროლის-თავში 61 სახლი და 153 მცხოვრებია. 8 ცხენი, 20 ხარი, 92 ძროხა, 57 თხა პყავდათ. იხდიდნენ: მოსავლის – 3705 და გამოსაღების – 625 ყურუშს. რუსები ითვლიან: 25 კომლს და 96 მცხოვრებს.

ჩემი მოსვლისას შავი ზღვის გასწვრივ გზა მოუწყობელი იყო, მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა დავმტკბარიყავი, ერთი მხრივ ზღვის და მეორეს მხრივ ხშირი ტყით დაფარული დიდებული მთებით.

აი, მიცურავს რუსული გემი ბათუმისაკენ: ადრე შეხვედრამდე, სულ ერთი საათიდა დარჩა!!

რამდენიმე წეთის შემდეგ მივადექით „სარაიად“ წოდებულ ადგილს. კონუსისმაგვარ მთაზე (გზის მარცხენა მხარეს) მოჩანდა ძველი ციხის ნაგრევები, თითქოსდა თამარ მეფის მიერ აშენებული. გზის მარჯვენა მხარეს იყო მოწისქვეშა საველე სიმაგრე, რომელიც ბათუმის ასაღებად ზღვიდან გადმოსხმულ დესანტს უნდა დახვედროდა.

ჩვენ აქ ცოტა შევისვენეთ. შემდეგ ორ ქობულეთელთან ერთა ავედი ციხეზე, საიდანაც როგორც ხელის გულზე გადაიშალა, ერთის მხრივ ჩურუქ-სუ, მეორეს მხრივ



თამარის ციხე ბათუმის გარეუბანში (დაბა თამარა) მუ-13 საუკუნე.
1921 წლამდე ძეგანიძეთა საკუთრება იყო. (შდრ. გვ. 225)

კი ბათუმი, მისი სანაპიროთი და უსაზღვრო ზღვის სი-
ლურჯით.

გზაზე გამოჩნდა ბათუმიდან მიმავალი კავალკადა. ეს
ბეგები იყვნენ, რომელთა შორის ჩემი ჩურუქ-სუელი ნაცნო-
ბებიც შევნიშნე. მათ რიცხვში ერთა რუსეთის ქვეშევრდომი
გრიგოლ მჭედლოვი, ძველი ბათუმელი, რომელსაც საკუ-
თარი დუქანი გააჩნია.

თავ. სვიატოპოლკ-მირსკის და მისი თანმხლებლების
მოლოდინში მჭედლოვს და სხვებს დავუსვი კითხვები ბა-
თუმის ვაჭრობაზე, მის ნავსაყუდელზე და სხვა საგნებზე,
რომლებიც რა თქმა უნდა, ძალზე მაინტერესებდა.

აღნიშნულ პირთა თქმით, ვაჭრობა ბათუმში მომავლის
საქმეა; მთელი დედამიწის მის ნავსაღგურშია. მთავარი რაც
გააქვთ ევროპაში, ძირითადად საფრანგეთში, ესაა კაკლის

ხე, ბრინჯი, ზეითუნი*, ლიმონი, აბრეშუმი, ხე-ტყე, ცვილი, თევზის ზეთი და სიმინდი. შემოტანილი საგნები (როგორც ამის შესახებ ამბობს ბ-ნი ჯიუდიჩი), შემდეგია: ინგლისური და ფრანგული წითი, ალეპოსა და დამასკოს აბრეშუმის ქსოვილი, ფოლადის ნაწარმი – ინგლისიდან, რკინისა – რუსეთიდან; პური, კანაფი – ყირიმიდან და საქართველოდან, შაქარი, ყავა, პილპილი და სხვა კოლონიური საქონელი: მარილი, ღვინო და ყოველგვარი სასმელები.

მხარე ვაჭრობს შემდეგი პროდუქტებით: (გატანის გარეშე) ერბოთი, ხილით, ტყავით, ფიცრებით, თიხის ჭურჭლებით, კრამიტით.

ვაჭართა უმრავლესობა უცხოელებია: ტრაპიზონიდან, რიზედან, სარმალინადან, აჭარიდან და ლივანიდან (ართვინიდან). მათ შორის არის რუსეთის ქვეშევრდომი სამი ახალციხელი.

გარდა ძველი სისტემის ოფებისა, ხანჯლებისა და საერთოდ ცივი იარაღის წარმოებისა, არათუ ბათუმის მხარეში, არამედ მთელ ბათუმის ოლქში არ არის არაგითარი ფაბრიკა ან ქარხანა.

თურქეთის, „ტრაპიზონის კამპანიის“ და ზოგიერთი ფრანგული საზოგადოების გემების გარდა ბათუმიდან აქტიურ ურთიერთობას ამჟარებდა რუსული გემები „Общество параходства и торговли“. ამ საზოგადოებას ომამდე ყოველთვის ყავდა თავისი იგენტი (ბ. ჯიუდიჩის სახით) და უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოების მონაწილეობას უნდა უმადლოდეს ბათუმი იმ განვითარებას, რომელსაც მან მიაღწია.**

* ზოგი რამ ართვინიდან და სხვა პროვინციებიდან მოპქონდათ.

** მხოლოდ ახლა, ბათუმში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეს საზოგადოება რატომდაც აყოვნებს თავისი მოქმედების გაშლას. იმ მხრივ, რომ ჩვენი ხელისუფლებისაგან გამოისყიდოს ზოგი სიკეთე.

ერთ-ერთმა ფრანგულმა საზოგადოებამ ბათუმში გე-
მების დამით შემოსასვლელად გააკეთა შუქურა.

ჩვენი საუბარი გაცხოველდა და ისევ გამოჩნდა ბათუმის მხრიდან კავალკადა თეთრ ჩოხებში ჩატული მხედრებისა. ეს ოსები იყვნენ, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გა-
დასახლდნენ თურქეთში და ახლა ჩქარობდნენ გამოცხადე-
ბინათ თავიანთი ერთგულება რუსეთისადმი.

არც იერით, არც ჩატულობით, არც სხვა არაფრით არ
განსხვავდებოდნენ ისინი ამიერკავკასიის და ტფილისის გუ-
ბერნიის მცხოვრებ თავიანთ თანამომეთაგან.

ოსების შემდეგ ცხენი მოჭენა თურქეთის სამსახურის პოლკოვნიკმა ჰამდი-ბეიმ და მასთან ერთად გენერალური შტაბის მაიორმა ოსმან-ბეიმ, რომლის შესახებ მე ზევით აღვნიშნე. დრაგუნთა თანხლებით მათ შორს გაქუსლეს, თა-
ვად მირსკისთან შესახვედრად.

მალე რუსები გამოჩდნენ, შორს კი, საწინააღმდეგო მხრიდან ავარდნილი მტვერი ახალი სტუმრების გამოჩნას გვაუწყებდა, რომლებიც ბათუმში რუსების შემოსვლის შეს-
ახვედრად მოიჩაროდნენ.

ჩვენც ავმხედრდით.

თავ. მირსკის წარუდგინეს ბათუმელები, რომლებიც „სა-
რაიასთან“ იყვნენ შეჯგუფულნი. ყველანი წინ გაეშურნენ.

ყოროლის-წყალთან ახლოს ჩვენ შევხვდით მწკრივს:
ჯერ ბრიგადის გენერლის მუსტაფა-ფაშის, შემდეგ ოსმან-
ფაშის (არა თავდგირიძე, არამედ ჩვენი მთიელი ჩერქეზის)*
სახით, შემდეგ კი თვით „მუშირი“ დევრიშ-ფაშა, განუყრელი
ბალდადით ქამარში; უნდა ითქვას, რომ არა მარტო თურქ
გენერლებს, არამედ ყველა კავალერისტს ჰყავდა არაბული
ჯიშის მშვენიერი ტანადი ცხენები.

*რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი.

დევრიშ-ფაშას თანმხლებთა შორის მე მაჩვენეს რამდენიმე ქობულეთელი, სხვადასხვა ჩინით, რომლებითაც ისინი უკანასკნელ ომში დაწინაურდნენ. ეშმაკობამ, თუმცა თეთრით შავზე ნაკერმა, როგორც ჩანს, იმოქმედა უგუნურთა პატივმოყვარეობაზე: მათი დიდი უმრავლესობა ოცნებობს გახდეს, სულ ცოტა, დიდი ვეზირი და ამიტომაც გადადიან თურქებისაკენ...

ერთი, ახლადდანიშნული ოფიცერი, მუშირის ადიუტანტიც გამხდარა. იგი მუშირთან ერთად ჩურუქ-სუში იყო და იქ მის თანამოგვარებში აგიტაციას სწევდა, რათა მათ დაეტოვებინათ გიაურები და წამოსულიყვნებ მართლმორწმუნეთაკენ, სადაც მათ ელით სულის ხსნა და მიწიერი სამოთხე. ასეთი რამდენიმე მოქადაგე დევრიშ-ფაშამ ჩურუქ-სუში მოსვლისას მოიყვანა. ხალხის გადაბირება ძალიან აშკარად ტარდებოდა, გურული ოფიცერების თითქმის თვალწინ, რომლებიც იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ; ერთ-ერთმა რაზმის უფროსმა თავ. ი. გ-მ, რამდენჯერმე მოაგონა აგიტატორებს, რომ ისინი სტუმრები არიან და ნუ აღელვებენ საწყალ ხალხს, რომელმაც თვით უკეთ უწყის, რა უნდა გააკეთოს: დარჩეს თავის სოფელში, თუ წავიდეს უცხო თურქეთში?..

ახლა კი, გვერდზე გადადვეს რა პოლიტიკური საკითხები, მთელი ეს მასა რუსი გენერლებისა და თურქი ფაშებისა, რუსები და თურქები, ქართველები და ქობულეთლები, ოსები და ბათუმელი ვაჭრები, რუსული ქვეითი ჯარი და თურქული ნიზამი, ჩვენი კაზაკები და თურქი სუარები, კერძო ოფიციალური პირები, – ყველა ერთ ესპორტად გაერთიანდა, რომელიც ჩქარობდა სასურველი ქალაქისაკენ. მათ მიუდღოდა თავადი დ. ი. სვიატოპოლქ-მირსკი, რუსეთის კანონის სახელით, რუსული იდეებით და ცივილიზაციით!..

ნ ა რ კ ვ ე ვ ი მ ე ო რ ე

„ბათუმში“

თავი პირველი

რუსების შესვლა ბათუმში. – დეაზტაცია. – საკაფიო გარაზლი. – მუსიკა. – გერმენელი ეპლენია. – სლავები. – ძალაშის საერთო ხედი. – სანაკიონ. – ჩვენი ბებები. – ღროშის აღმართვა. – ჟელებრაზი. – რუსთა და თურქთა ბანაპები. – გარაპები. – საერთო გარაზლი. – მუსიკა. – თურქშლი სიმაბრძები. – ნივთების და ბინის ძვენა.

ქალაქის სიმაგრეებთან გადაშლილია ადგილი ცნობილი ბარცხანის სახელწოდებით, სადაც მოედინება ამავე სახელწოდების მდინარე. აქ ეროვნული ჩაცმულობით შეხვდნენ რუსებს ქალაქისა და მისი მიდამოების მცხოვრებლები. მათ წინ მოუძღვდათ ქრისტიანული სასულიერო პირები, საეკლესიო დროშებით და ჯვრით. ცოტა მოშორებით – მუსლიმანური სასულიერო პირები. ქალაქის მცხოვრებლებმა მოართვეს პურ-მარილი.

თავ. მირსკი და სხვა რუსის მაღალი ოფიცირობა მიუახლოვდა ჯვარს და გაისმა საეკლესიო გალობა, რომელიც დიდხანს მიაცილებდა რუსებს ბათუმში.

თავადი მირსკი მიესალმა ბათუმის წარმომადგენლებს და შეპპირდა მათ სრულ ხელშეუხებლობას, კანონით დაცვას ყოველგვარი შევიწრებისგან და მათ ყველა საჭიროებაზე თვით ბათუმში დაწვრილებით მოლაპარაკებას.

რაოდენ დიდი განსხვავება იკითხებოდა აქ შეგროვილი ხალხის სახეებზე! რუსები უყურებდნენ ყველაფერს ზომიერად, არ ამჟღავნებდნენ სიხარულს. თურქებიც თავშეკავებულად, მაგრამ მოღუშეულნი შესცეკეროდნენ ამ სურათს.

ისინი კარგად იცნობდნენ მუშირის რკინის ხელს... ადგილობრივი მაპმადიანები, როგორდაც ინდიფერენტულად უწურებდნენ ყოველივე ამას და უფრო ცნობისმოყვარეობას და გაკვირვებას გამოხატავდნენ. მხოლოდ ბათუმელი ქრისტიანები ვერ მაღავდნენ თავიანთ სიხარულს.

ჩვენი მწერივი მიუახლოვდა თუ არა სარისუს, დევრიშვაშა გამოეყო დანარჩენებს და დადგა ნიზამის ბატალიონთან, რომელიც აქ საპატიო ყარაულად იდგა. თავადმა მირსკიმ თურქეთის ჯარს კეთილი მგზავრობა უსურვა თურქეთისაკენ...

დევრიშვაშამ მთავარსარდლის მოადგილე დასასვენებლად მიიპატიუა სახლთან, სადაც იდგა ნიზამის ბატალიონი. მესაყდრეებს პირთან მიტანილი ეჭირათ საყვირები, მაგრამ ... არავითარი ხმა!..

ჯერ ვიფიქრე: ალბათ თურქები, საერთოდ, ცუდი მუსიკოსები არიან, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ არეულობაში დაკვრაზე ბრძანების მიცემა დავიწყნიათ.

ერთად-ერთი ბერძნული ეკლესიის ზარი რეკავდა შეუჩერებლივ და მოუწოდებდა მსურველთ, ამ საზეიმო წუთს ელოცათ.

ზოგიერთი ოფიცერი ეკლესიისაკენ გაეშურა.

ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ მე ქალაქში ხეტიალი დავიწყე და გავეშურე ზღვის სანაპიროზე, რათა მენახა ჩვენი გემები. ღუზაზე იდგნენ „რედუტ-ყალე“, „ყაზბეგი“, (შხეულები), „სოკოლი“ და „პამიატ მერკურია“ (კორვეტები), ჯერ ადმირალ ობეზიანინვის დროშით, შემდეგ კი ხომალდ „პამიატ მერკურიას“ კაპიტნის დროშით, რომელსაც საზღვაოსნო წესდების და განსაკუთრებული პრივილეგიების გამო უპირატესობა ჰქონდა აღემართა თავისი დროშა. ეს გემები ჩვენს ჯარს შემოყვნენ და ამით ფაქტობრივად დაასრულეს ბათუმის მხარის აღება, როგორც ხმელეთით, ისე ზღვით.

ნავსადგური გამოცემელდა იმითაც, რომ აქვე იდგა თურქეთის რამდენიმე გემი, რომლებიც გამალებით ივსებოდა თურქი მგზავრებით.

მე ისევ ქალაქში დაგბრუნდი. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ადრე, ომაძე, ბათუმი ნამდვილად მხიარული ქალაქი იყო. მისი სახლები თითოეული თავისთავად წარმოადგენდნენ მოხერხებულ და მუდრო ბინებს. ყველა სახლთან ბაღი ჰქონდათ გაშენებული.

გავუსწორდი ქუჩაში გამოწეულ ერთ სახლს.

— „გამარჯობათ, ბატონო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ მომესმა ფანჯრიდან თითქმის სუვთა რუსულით. ვხედავ ქალია. პირველი ჩემი კითხვა ასეთი იყო: „ოქვენ რუსი ხართ?“ — „არა. — მიპასუხა ქალმა. — მე სერბი ვარ.“

გამოკითხვით გავიგე, რომ იგი უკვე დიდი ხანია, რაც ბათუმშია, ჰყავს ქმარი, ბავშვები გოგონები, მისი ქმარი სადღაც მუშაობს. ქალს აქვს სამრეცხაო დაწესებულება. მას ძალიან უხარია რუსების მოხვდა. რუსეთშიც ყოფილა და როგორც კი დამინახა, ვერ შეიკავა თავი არ გამომლაპარაკებოდა.

საერთოდ მთელი ქრისტიანული მოსახლეობა ლოცულობს რუსების მოხვდას. უნდა ითქვას, რომ ბათუმში რამდენიმე სლავური ოჯახია, რომლებსაც გაეგონათ ბათუმზე და ფიქრობდნენ, რომ აქ ბედს ეწეოდნენ.

საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ბათუმი ამ დროს. ყველა ფუსფუსებდა, მოძრაობდა. იქ კაზაკი მიაჭენებს ცხენს, აქ სადღაც გურულს მიეჩარება, აი, სუვარი (თურქი კავალერისტი) დანაყრებული ცხენით მიპქრის ბანაკში. იქით მოდუშული ქობულეთლები უყურებენ მათვის უჩვეულო სურათს. მოხერხებული ბერძენი, ადგილობრივი ვაჭარი, თავის დუქანთან მომსახურებას სთავაზობს რუს ოფიცერს, უფრო იქით მამაკაცთა და თეთრ ჩადრში გახვეულ ქალთა პროცესია ზღვისაკენ მიემართება, დილით მათ ტრაპიზონისაკენ



აფხაზები. 1875 წ.

წაიყვანენ... ესენი ვინდა არიან, დახეული ტანისამოსით, დასუსტებული სახეებით და ნაღვლიანი გამოხედვით? თურმე საწყალი აფხაზები... სოხუმიდან გადმოსახლებულნი... აი, რადაც ნაცნობი, მტრული ფიზიონომია, კლასიკური ჩაცმულობა, რომელიც კავკასიის მთებში გვხვდება... ესენი ემიგრანტი ჩერქეზებია... მათდამი არც ქობულეთლები არიან პეტოლად განწყობილნი, რადგან მათი აზრით ჩერქეზები პირწავარდნილი ქურდები და ყაჩაღები არიან...

ცხენით მოვიარე თითქმის ყველა შორეული ქუჩა, ხშირად ვხვდებოდი ორ-ორად განმარტოებით მყოფ თურქებს, მაგრამ არავითარი სიტყვა, არავითარი მტრული ქცევა, მხოლოდ ერთ ადგილას შევხვდი თურქ ჯარისკაცს,

რომელმაც შემომხედა და თავისთვის წაიჩურა ულა: „გიაური“ და გასწია.

საინტერესო სანახავს წარმოადგენდა ამ დროს ბათუმის სანაპირო. ორთაბათუმის მხრიდან დაწყებული ბათუმის შემოსასვლელამდე, ვიდრე შუქურამდე, ბევრ ადგილას სანაპიროზე ელაგა სხვადასხვა ტვირთი: თურქელი სანიტარული კარეტები, ზარბაზნის ლაფეტები, სხვადასხვა სამხედრო მოწყობილობანი. თურქი ჯარისკაცები ზოგ ტვირთს გემებზე მიათრევდნენ. სანაპიროზე ქობულეთლები, ბათუმის მცხოვრებლები, ვაჭრები ირეოდნენ, საბაჟოსთან დროშით იდგნენ რუსი ჯარისკაცები. იქვე იყო უზარმაზარი თეთრი სადროშე ანძა, რომელიც ჩვენმა კორვეტმა სპეციალურად ჩამოიტანა ბათუმში. ყველა გემი აჭრელებული იყო დროშებითა და ნიშნებით. აი, ჩაუქმა მეზღვაურებმა აღმართეს დროშა და წაიღეს იგი თურქეთის ბატარეაზე. იქ ყველაზე გამოსახუნ ადგილზე იყო ანძა, რომელზედაც ჯერ თურქელი დროშა აფრიალდა. დაიჭეხეს ზარბაზნებმა ჩვენი კორვეტებიდან. ოცი საარტილერიო გასროლით რუსებმა პატივი სცეს თურქელ დროშას, რომელიც ამის შემდეგ დაუშვეს.

ჩვენი ჯარების და მეზღვაურების ხმამაღალმა „ვაშაზ“ გვაუწყა რუსული დროშის აღმართვა: ამავე დროს სამხედრო ორკესტრის შესრულებით გაისმა ეროვნული რუსული პიმინის ხმები, შემდეგ კი ჩვენი ოთხი გემიდან ზარბაზნის ას ერთი გასროლით დამთავრდა დროშის აღმართვის ცერემონია.

ჯარი დაბრუნდა ბანაკში. რაღაცნაირი ზეიმი და მხიარულება იყო აღბეჭდილი ჯარისკაცთა სახეზე. მართლაცდა ძნელი სამსახური გასწიეს მათ რუსეთისათვის საერთოდ, და, განსაკუთრებით, კავკასიისათვის. ახლა ბათუმში საპატიოდ და ამაყად აღმართული დროშა, წინანდევლი მტრების თანდასწრებით, რომლებიც სასწრაფოდ ემზადებოდნენ გასამგზავრებლად, იმის მაუწყებელი იყო, რომ ჯარისკაცთა გარჯა დამთავრდა და ისინი ჩქარა გაემგზავრებიან სამ-

შობლოში, სადაც დიდი ხნის განშორების შემდეგ ნახავენ ძვირფას ახლობლებს.

ჩვენების ბათუმში შესვლაზე დავაპირე დეპეშის გაგზავნა პეტერბურგსა და ობილისში. ვჩქარობ ტელეგრაფისაკენ. ჯერ კიდევ მახინჯაურში გავეცანი ბერძენ ტელეგრაფისტს, რომელიც თურქებთან მსახურობდა და თურქეთის მთავრობის ნებართვით მართავდა რუსების ტელეგრაფს. ტელეგრაფში შევხვდი ჩემს ნაცნობს, რომელიც თურქულად და ფრანგულად ლაპარაკობდა. მან გამაცნო



ტელეგრაფის ბოძები

მე ზორბა ფრანგი, თურქული ტელეგრაფის უფროსი. ჩვენ გავაბით საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ გამეგზავნა დეპეშა; ჩემმა თანამოსაუბრებმა გამიგეს, თუ რამდენად სერიოზული იყო ეს საქმე, მაგრამ... ეს წყეული „მაგრამ“ ყოველთვის გვიშლის ხელს. საქმე იმაშია, რომ არც ხუცუბნის და არც ოზურგეთის სატელეგრაფო სადგურები ბათუმის გამოძახებაზე არ პასუხობდნენ, თუ რატომ? – გაურკვეველი იყო...

შემომთავაზეს გამეგზავნა დეპეშა შემოვლით, ტრაპიზონიდან კონსტატერნინებოლში და იქედან ოდესაში, მაგრამ როდისდა მიაღწევდა ჩემი ცნობა ბათუმის აღების შესახებ პეტერბურგსა და ობილისში?

ასეთივე ბედი ეწია მთავრობის რამდენიმე დეპეშას... მოულოდნელად, ო, ეს ბედნიერებაა! ტელეგრაფი ალაპარაკდა, მაგრამ ცოტა ხნით...

ჩემს დასამშვიდებლად ტელეგრაფის ხელისუფლებმა მითხვეს, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია ბათუმში, ქობულეთლები ამით ხშირად ერთობიან და მოპარვისაგან და

გაფუჭებისაგან მავთულის დაცვის არავითარი ძალა არ არსებობს.

ტელეგრაფიდან წავედი თურქეთის და რუსეთის ბანაკებში. ჩქარა განლაგდნენ და მოეწყვნენ ჩვენი ჯარისკაცები. არა მგონია არსებობდეს მეორე არმია, რომელსაც შეეძლოს ასე ორგანიზებულად შეეგუოს საჭირო წესს. უმოკლეს დროში, უცხო ადგილზე, რუსი ეგუება თავის მდგომარეობას ისე, თითქოს იქ დაბადებული იყოს.



ხუცუბანი. დაჭრილ ჯარისკაცთა კარვები.

კარვების უქონლობისას აქაურ ცხელი კლიმატისათვის, განსაკუთრებული თავშესაფრის მოწყობა ნამდვილად რუსი ჯარისკაცის „საკუთარი“ გამოგონებაა. ამაში ვერც ეშმაგი გერმანელი და ვერც ყოვლისმცოდნე ინგლისელი ვერ ჯობიან მას... „საკუთრივ“ კარავი, ან ქოხი ჩვენი საწყალი ჯარისკაცისა, როგორც უკვე ვთქვი ჩემს პირველ „ნარკვევში“, შედგება მახლობელ ტყეში მოჭრილი ტოტებისაგან, ეს ტოტი ჩარჭობილია მიწაში; ამით თავშასაფარიც მზადაა და მის

ქვეშ აფარებს თავს ჯარისკაცი. მხოლოდ ამით დაგმაყოფიერდებოდა ინგლისელი ან გერმანელი? არა მგონია...

თურქელი ბანაკი, როგორც მუდმივი, და კარგად იყო ჩაფიქრებული, შედგებოდა ფიცრებისაგან, მიწურებისაგან, კარვებისაგან, საკამბეჭოებისაგან და შესასვლელში თაღებისაგან, სადაც იდგნენ მათი გაქვავებული ყარაულები.

ქალაქში, ფართო მოედანზე, ბანაკის მახლობლად იდგა ხის გრძელი თურქელი ბარაკები. მე შევვდი შიგ. ბარაკები ცარიელი დამხვდა. ადრე იქ თურქელი ლაზარეთი იყო მოთავსებული, მაგრამ დმერთო ჩემო! ეს რა ვნახე. სიმყრალე, სისაძაგლე, საზიზდრობა, უწმინდურობა, კრთი სიტყვით ეს ადგილი ეშმაქს ააწყვეტინებს და გასაკვირველი აღარაა ამის შემდეგ თვით დევრიშ-ფაშას განცხადება, რომ ბათუმში დახოცილი თურქებისათვის ოთხი დიდი სასაფლაოც არ ადმონდა საქმაო.

უცან, ქალაქში დაპრუნებისას შევხვდი ასეთ სურათს, რომლის დანახვაზეც სიცილი ვედარ შევიკავე.

წარმოიდგინეთ პატარა თურქი ჯარისკაცი, დატანჯული სახით, რადაცნაირად მორალურად გატეხილი, ლურჯ მუნდირში, დიდი თოფით და მის გვერდით ჩვენი ვაჟკაცი მსროლელი, სამხრეთის მზეზე მოელვარე წითელი ჯუბით, ამაყად მდგომი თავის „ბერდენგით“...

ეს იყო წესრიგის დასაცავად გამოყოფილი სერთო რუსულ-თურქელი ყარაული... თუმცა საქმე უამისოდაც კარგად მიდიოდა, რამდენადაც ქობულეთლები და აჭარლები არც კი ფიქრობდნენ დაერდევიათ „წესრიგი“...

მე მინდოდა დამეთვალიერებინა ბათუმის ყურესთან ზღვაში შექრილ ნახევარკუნძულზე ამაყად ამოზიდული შუქურა, მაგრამ „საფრანგეთის ხელისუფლება“ არ იყო ადგილზე და განზრახვა ვერ შევასრულე. ამის შემდეგ, მალე მე მივედი შუქურასთან, მაგრამ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ დავინახე. შემიძლია მხოლოდ აღვნიშნო ერთი: ვნახე დიდი უთაგბოლობა. როგორც ჩანს თურქეთში


ფრანგებმა დაკარგეს თავიანთი გარეგნობისა და ელეგანტობისადმი სიყვარული.

საშუალება მომეცა დამეთვალიერებინა თურქული სიმაგრები, რომელთა შორის იყო შუქურაც. ყველა კარქბი ჩამტკრეული დამხვდა. უნდა ვთქა, რომ ამ ნებიან კაზარმატებზე უფრო საძაგელი ჩემს ცხოვრებაში არაფრი მინხავს. თვით სიმაგრები კარგად იყო ნაშენი და ნავსადგურის საუკეთესო თავდასაცავს წარმოადგენდა. შენობები ანუ კაზარმები მკვრივად ნაგები იყო და მტრის არტილერიისაგან კარგად დაცულნი.

ბოლოს, მე ვიგრძენი დიდი დადლილობა. ჩემი ცხენიც ძლივს ადგამდა უეხს. დღს მან მრავალი ვერსი გაიარა.

ბევრი ძებნის შემდეგ თავ. გურიელთან ვნახე ჩემი კაცი, რომელიც ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძის ბინაზე მოეწყო.

სახლის პატრონის და თავადის წინადადებით მეც ჰუსეინ-ბეგთან დავრჩი, რამდენადაც იმ დღეს რაიმე ბინის შოვნის სხვა არავითარი საშუალება არ იყო.



ბათუმის შუქურა

თ ა ვ ი მ ე რ ე

ბათუმის ისტორია. – მცხოვრებთა რიცხვი. – სახლები. – დუმელები. – გაღვენი. – ნაკვეთები. – ფარგაზვანილობა. – სანიტარიული მდგრადარობა. – რწყილები. – საზაფხულო მომთაბარეობა. – განაობა. – მეჩეთები. – მაჭუბია. – აბანოები. – ციხე. – ძალები.

ცნობები ბათუმის ისტორიაზე ძალზე ცოტაა; არის ორი-სამი ცნობა, სხვადასხვა წიგნებში გაბნეული, რომელიც უფრო ქობულეთის და აჭარის ისტორიას ეხება.

არსებითად ძალიან ცოტა შეიძლება ითქვას ქ. ბათუმის წარმოშობის შესახებ. ეს ქალაქი ადრეულ ეპოქაში ცნობილი იყო ბათუსის სახელით. იგი II საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე იყო რომის სამხედრო სადგური; იმპერატორ ადრიანეს დროს აქ იდგა გარნიზონი. მოგვიანებით ბათუმის (კახაბრის და სხვა ადგილების) მიწებს ფლობდნენ გურიელები, როგორც ამ ადგილების სიუზერენები. მაგრამ ერთ-ერთი მათგანის, კახაბერის დროს, მე-15 საუკუნის ბოლოს თურქებმა დაიპყრეს ჭანეთი, ე. ი. ლაზისტანი, ჩქარა როსტომ გურიელმა (1564 წ.) განდევნა თურქები; შემდეგ თურქები კვლავ დაეუფლნენ ქვეყანას და ააშენეს სიმაგრე ბათოგა, ანუ ახლანდელი ბათუმი. 1609 წელს მამია გურიელმა დაამარცხა თურქეთის ჯარი, თუმცა ამან გურულებს ვერავითარი შედეგი ვერ მოუტანა და თურქები ისევ დაეუფლნენ ქვეყანას, ამჯერად უკვე ხანგრძლივი დროით.

ბათუმის ადგილების დამოკიდებულება კონსტანტინეპოლის მთავრობისადმი სავსებით ნომინალური იყო და თურქეთის ბაგონობის მთელ პერიოდში ჩურუქ-სუს და ბათუმის მცხოვრებლებს თითქმის არ ჰქონდათ უშუალო ურთიერთობა კონსტანტინეპოლთან. ისინი დამოკიდებული იყვნენ ახალციხის და ტრაპიზონის ფაშებზე, რომლებიც, თავის მხრივ, კმაყოფილდებოდნენ მოსახლეობისაგან ხარკის აღებით.

მთელი მიწები არსებითად ადგილობრივი ბეგების მფლობელობაში იყო. ადრე ბათუმში უძლიერესად ითვლებოდნენ „სანჯახ-ბეგები“: აბაშიძეები (მათ ეკუთვნოდათ მთელი ბათუმი), ჩურუქ-სუში – თავდგირიძეები, ჩაქვში – ბეჟანიძეები. ისინი სულთანის წინაშე ვალდებული იყვნენ მხოლოდ ომის დროს გამოეყვანათ გარკვეული რაოდენობის ჯარი.

მაგრამ ოსმან-ფაშა ხაზინადარ-ოფლის დროს (ტრაპიზონის ერთ-ერთი უძლიერესი ფაშათაგანი) მიწის გადასახადი საკმაოდ გაიზარდა, შემდეგ ახალციხის ფაშამ, აჭარელმა ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა ქობულეთში ძალით შემოიღო სულთანის სასარგებლო პირდაპირი გადასახადები. შემოიყვანა თურქი ჩინოვნიკები, შემოიღო აუცილებელი სამხედრო სამსახური და ამით შეკვეცა ქობულეთელი და ბათუმელი ბეგების უფლებანი.


ოსმან-ფაშის (ტრაპიზონელის) დროს გაძლიერებული ბეგები, მისი ძმის აბდულ-ფაშის* დროს კარგავენ თავიანთ მიწებს და მხოლოდ ჯამაგირით კმაყოფილდებიან,

რომელსაც ოსმალეთის მთავრობა უხდიდა „სანჯახ-ბეგებს“ და სხვ.

ცნობილმა „თანზიმათმა“, რომლის მიხედვით „სულთნის ყველა ქვეშვევრდომი ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს და იმპერიის მთელი მიწები ეკუთვნის სახელმწიფოს,“ საბოლოოდ გაუთანაბრა ბათუმი და ჩურუქ-სუ ოსმალეთის იმპერიის დანარჩენ პროვინციებს.

ბათუმის უახლოესი ისტორია გვაუწეუბს, რომ ჯერ კიდევ მე-18 ს-ში (ქართველი გეოგრაფის ვახუშტის ცნობით) ბათუმი იყო პატარა ქალაქი შესანიშნავი ციტადელით.

* ბ. ჯიუდიჩი, რომელმაც გადმომცა ზოგიერთი ცნობა ბათუმზე, ახალგაზრდობაში ესწრებოდა ოსმან-ფაშას დაკრძალვას. ეს იყო ძალზე ენერგიული პიროვნება, რომელსაც მოსახლეობის სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. მის დაკრძალვაზე ბევრი მცხოვრები ტიროდა.



გაეუშატი ბატონიშვილი
(1696-1756)

მოგზაური ანდრიან დიუკრე, რომელიც აქ იყო 1807 წელს, ბათუმს უფრო დიდ სოფლად მიიჩნევდა, ვიდრე ქალაქად. თუმცა აქ ითვლებოდა 2000-ზე მეტი სული, რომლებიც სხვადასხვა ადგილას, ტყეში გაბნეულ სახლებში ცხოვრობდნენ, დიუპრეს დროს აქ სიმაგრეები უკვე აღარ იყო; იდგა ერთი ხის კოშკი თხრილით და უზარბაზნოდ. ვაჭრობა უმნიშვნელო იყო; შემოდიოდნენ მხოლოდ პატარა გემები.

ჩვენ ვიციოთ (მკვიდრი მოსახლეობის გამოკითხვით), რომ ბათუმის მცხოვრებლებს თითქმის ყოველთვის კარგი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ.

უდრან ტყეში, რომლებიც გარს ერტყა ბათუმს, ყოველთვის იყო ტახი და სხვა მხეცები. მათზე ნადირობა წარმოადგენდა ქართველ თავადების და ქვეყნის სხვა საპატიო პირების საყვარელ გასართობს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, პირველი ევროპელის ჯილდიჩის ფანჯრიდან შეიძლებოდა მოხეციალე მხეცებზე სროლა...

50-იან წლებში, როდესაც რუსებთან თურქების და მათი მოკავშირეების ომმა მიიპყრო ბათუმისადმი საყოველთაო უურადღება, მაშინ ქალაქი მოზრდილ დასახლებად გადაიცვა.

ბას, მეოვეზეთა და კონტრაბანდისტთა თავშესაფარს (მალმუზი) წარმოადგენდა.

ახლა, ომის და გადასახადების შედეგად მოსახლეობა შემცირდა და ბათუმში 3000 მცხოვრებსაც ვერ დაითვლი, მაშინ, როდესაც მალმუზი 1878 წლისათვის 4970 სულს ითვლიდა.

მცხოვრებთა უმრავლესობა ქობულეთლებია, არიან ცოტა აჭარლები, ლაზები, ბერძნები და სომხები; თურქები თითქმის არ არიან, ვინც არის, ისიც მომსახურე ჩინოვნიკები და სამხედროებია. ქუჩებში შეიძლება გაიგონოთ სხვადასხვა ენების ნარევი: თურქული, ბერძნული, ქართული, – უპირატესად ეს უკანასკნელი.

შენობები ბათუმში, (ისევე, როგორც ჩურუქ-სუში და მხარის სხვა ადგილებში), აშენებულია თითქმის ერთნაირად, სახლები რამდენიმე, უმეტესად ორსართულიანია. თუ ზემო სართულს გარეთა კიბე არ აქვს, მაშინ სახლები, ძირითადად, ასეა მოწყობილი: შუაზე აქვს კარი, რომლის-განაც შედის კიბე ზემო სართულის საკმაოდ განიერი ოთახისაკენ. იგი უერთდება ლია აიგანს. ამ ოთახს აქვს კარები სხვა ოთხ ათასთან დასაკავშირებლად. ერთ-ერთი ამ ოთახთაგანი არის სახლის უფროსის; დანარჩენ სამში თავსედება ოჯახის სხვა წევრები, ხშირად ამ ოთახებს უერთდება ერთი ბნელი სათავსო. ქვედა სართულში არის სამზარეულო და საწყობი სურსათისათვის, შიგა ტიხარი ფიცრულია; გარე კედლებიდან ერთი, საიდანაც ქრის ცივი ქარი, საკმაოდ გულმოდგინედ კირით და ადგილობრივი ჯიშის გათლილი ქვისგანაა აშენებული. დანარჩენი კედლები ძელებისაგანაა, რომლებიც ამოვსილია აგურებით. აგური ბრტყელია, ოთხკუთხედი, ისეთივე ძველებური ფორმის, როგორიც თბილისშია.

არტანუჯის და ართვინის მიდამოებში სახურავები ყავრისაა და მასზე დაწყობილი ქვებით მაგრდება. მაგრამ ართვინიდან თვით ბათუმამდე კრამიტს ხმარობენ, რომელიც სოფელ ბორჩხაში მზადდება და გააქვთ მთელს მხარეში.

ისეთი დუმელები, როგორიც რუსეთშია, აქ არ არის. აქ იხმარება მაყალი, თუჯის ან რკინის სვეტის მსგავსი რამ. დუმელები ჩვეულებრივ ცილინდრული ფორმისაა მილის გარეშე. ეს მაყალი ხის ნახშირით ცხელდება. იგი უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი კავკასიური მაყალი, რადგან გარედან, ცხაურს ქვემოთ აქვს პატარა კარი ჰაერის მოსაქაჩავად, შიგნით კი აქვს ცხაური, საიდანაც ცვივა უკვე დამწვარი ნახშირი.

თითქმის ყველა სახლთან არის ბადი. იმ ადგილებში, საღაც წყალი და მოვლა აქვთ, მცენარეულობა შესანიშნავია.


ქალაქი ბათუმი დაყოფილია უბნებად. უკანასკნელ დრომდე ეს უბნები საჯარო გაჭრობით მსურველებზე იყიდებოდა. ისინი შეისყიდეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და ვაჭრებმა. თითქმის ყველა ქუჩა მოკირწყლულია.

ქალაქში წყალი მოყვანილია მახლობელი მთებიდან, მაგრამ წყალგაყვანილობა უკვე გაფუჭებულია და საგრძნობ შეკეთებას მოითხოვს.

ქალაქის პიგიენურ მხარეზე ლაპარაკიც კი არ დირს. მე უკვე ვილაპარაკე თურქების კარვებზე, რომლებიც ქალაქის დანაგვიანების საზომად გამოდგება. ამის შედეგად დაავადება და სიკვდილიანობა ხშირია., თუმცა ამას ამცირებს ის, რომ ნაგებობანი არ არის ერთად თავმოყრილი და ერთმანეთისაგან ბაღებითაა გამოყოფილი.

ბათუმს გააჩნდა ერთი თავისებურებაც, – ესაა უჩვეულო სიდიდის რწყილები, რომლებიც აქ უამრავია...

ზაფხულობით მცხოვრებლები ტოვებენ ქალაქს და მიდიან მთებში. ეს მომთაბარეობა ჩვეულია ერთი მხრივ იმიტომ, რომ გაექცნებ აქაურ ძლიერ სიცხეებს და მეორეს მხრივ, საქონელი, რომელიც მოსახლეობას ჰყავს, უხვ საბალახოს მთებში პოულობს. მთებში აქვთ განსაკუთრებული „საზაფხულო“ საცხოვრებელი, რომელიც უხეშად ნაგებ ფარდულს წარმოადგენს. მათში ხშირად საქონელი და ადამიანი, განსაკუთრებით დარიბები, ერთად ცხოვრობენ.



**ბათუმის აბანოები
(ზ. მარგივეგის ფოტოკოლექცია)**

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ჯამეებზე, რომლებიც მხარეში ძალიან ბევრია. იშვიათად არის სოფელი, სადაც იგი არ იყოს. ზემოთ (პირველ „ნარკვევში“) მე დაწვრილებით აღვწერე ჩაქვის ჯამე, რომელიც შეიძლება მხარის დანარჩენი ჯამეების ნიშვად გამოდგეს. ამას უნდა დავუმატო ის, რომ ამ ჯამეებს ცუდად უვლიან. ეს შენობები ულაზათოდ არის აშენებული, ბევრ მათგანს დანგრევა ემუქრება. ბათუმში სამი ჯამიდან მხოლოდ ერთი გამოიყერება კარგად. ესაა ქვის ფართო შენობა, სულთან აბდულ-მეჯიდის დედის მიერ თურქეთის ჯარისათვის აშენებული. დანარჩენები ნახევრადდანგრეულ შენობებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე აქ გაბატონებული რელიგიის ტაძრებს. მათ მხოლოდ მიშენებული მინარეთებით თუ გაარჩევ. მინარეთები ხისაა, ფიცრით შემოჭედილი ძელებით, შიგნით ხვეული და მოუხერხებელი კიბით, რომლითაც მუედინი ადის ზემოთ და მაღალი ხმით უხმობს მორწმუნებს სალოცავად.



აზიზიეს მეჩეთი (აშენდა 1830 წ.)

მუსლიმანური სასულიერო პირები ხელფასს არ ღებულობენ. ყველა ჯამე მრევლის ხარჯზეა. გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის სამი ჯამე, რომლებიც მიწების შემოსავლებით არსებობენ. ეს არის „გაყუფი“, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ნებაყოფლობით შემოწირულ მიწებისაგან შესდგება. სხვათა შორის, აზიზიეს კვარტალი სულთან აბდულ-აზიზის მიერ მთლიანად აზიზიეს ჯამეს „გაყუფად“ არის ნაქცევი. „გაყუფები“ არის აგრეთვე კახაბერსა და ზემო აჭარაში.

აქაური სომხები რომელ-კათოლიკური სარწმუნოებისანი არიან. ღვთისმსახურებას ისინი ლათინურ ენაზე კი არ ასრულებენ, როგორც ყველა კათოლიკე, არამედ სომხურზე. ქალები ლოცვის დროს შიგ, ეკლესიაში არ იმყოფებიან, გარე შესასვლელში იკავებენ ცალკე მაღალ და ფართო ადგილს. ეკლესიის იატაქს ნოხები აფენია და ზედ ბალიშები აწყვია. ესაა ცალკეული პირებისათვის განკუთვნილი ადგილი და ყოველ მათგანზე კათოლიკე თავსდება წირვის შესასრულე-

ბლად. მღვდელთა ჩაცმულობა, მორთულობა და ქსოვილი მართლმადიდებელთა მსგავსი სამოსია და არაფერი აქვს საერთო დასავლეთელ მღვდლების ჩაცმულობასთან.

ბათუმში მხოლოდ ერთი ქრისტიანული ეკლესიაა. ესაა წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძენთა ეკლესია. იგი კარგადაა აშენებული თითქმის მთლიანად ქვისაა. მხოლოდ ზოგიერთი ნაწილია ხის. მოცულობით განიერი, მაგრამ შიგნით ძალიან ღარიბია და მოსაწყობად საგმაო ხარჯებს მოითხოვს.



**სომხური ეკლესია
(აშენდა 1887 წ.)**



წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძენთა ეკლესია (აშენდა 1865 წ.)

მე გადმომცეს, რომ ამ ეკლესიას ადრე ბ. ჯიუდიშის სახით მხოლოდ ერთი მზრუნველი პედაგდა.

დანარჩენ ქრისტიანულ მიმდევარ მცხოვრებლებს ბათუმში ეკლესია არ აქვთ, მაგრამ ჰყავთ მდვდლები, რომლებიც საეკლესიო წესებს ასრულებენ საჭიროების მიხედვით. მათ მრევლის სიმცირის გამო არ შეუძლიათ ეკლესიის აშენება. ოურქეთის პროვინციებში ეს საკმაოდ ძნელი საქმეა, იმ დაბრკოლებების შედეგად, რომლებსაც მთავრობა უქმნიდა. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აშენებას ბევრი შუამდგომლობა და ჯაფა დასჭირდა.

უკრადლებას იქცევენ ბათუმის აბანოები, განსაკუთრებით ბ. ჯიუდიშის სახლის ახლოს აშენებული, რამდენადაც იგი ბათუმის საუკეთესო ნაგებობად ითვლება. მე ამ აბანოების აღწერას ვერაფერს შევმატებ იმაზე მეტს, რაც უკვე უთქვამთ სხვა მოზაურებს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ესენი ჰგავს სხვა აბანოებს და შენობები საკმაოდ განიერია. შესასვლელი წარმოადგენს ვრცელ დარბაზს, რომლის იატაკზე მარმარილო დაგებული. კედლების ირგვლივ ლამაზ სვეტებს გალერეები ეყრდნობა. შუაში, როგორც წესი, შადრევანია. აქ მობანავები ტანზე იხდიან და მიდიან თავიანთ განყოფილებებში. ქალთა ნახევარი მოლიანად გამოყოფილია მამაკაცთაგან. მუსლიმან ქალს შეუძლია ილაპარაკოს თავის ნაცნობთან ისე, როგორც სურს, ყოველგვარი მორიდების გარეშე.

სააბაზანო შენობის ეზოში, სადაც მოთავსებულია მეჯლისი, არის ოურქელი საპატიმრო. ეს რადაც საშინელებაა. წარმოიდგინეთ ორი ბინძური ფარდული, საბადლინჯოე, პირველი უფრო პატარა, მეორე შედარებით მოზრდილი. აქ თითქმის არ არის სინათლე, რამდენადაც სავარაუდო ფანჯრების ადგილი ამოშენებულია. ნაწილობრივ კი ისეა გაბინძურებული, რომ სრულებით არ ატარებს სინათლეს. გაუნათებლად ვერაფერს დაინახავ. პატიმრები

ар გაჲყავდათ გარეთ. ამიტომ ყველა მათგანი ბუნებრივ მოთხოვნილებებს აქვე იკმაყოფილებდნენ. მარტო ამითაც შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა სხვა დანარჩენზე.

შეჯლისზე ოლქის უფროსმა, როგორც კი გაიგო ამ სისაძაგლის არსებობაზე, დაუყოვნებლივ ბრძანა, დაენგრიათ თურქელი საპატიმრო ისე, რომ მისი მოგონებაც აღარ დარჩენილიყო.

მე ვიყავი ამ საპატიმროში და ვერ შევძელი გაჩერება გულის არავის და შემრწუნების გამო. საპატიმროს ირგვლივ ირეოდნენ ძაღლები, რომლებიც ბათუმში ბევრია და მათი მოკგლა ცოდვად ითვლება.

თ ა გ ი მ ა ს ა მ ე

გამოსაღები და გადასახადი. – მათი სიმძიმე
მოსახლეობისათვის. – გადასახადის სისტემა. – დაპეპრის
სხვადასხვა სისტემები. – გამოსაღებისა და გადასახადის
გამოთვლა. – გადასახადის მიცემა გამოსახილად. –
შპონტორლობა. – შევიწროება.

ბათუმის კაზის ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის აღ-
წერისას ხშირად ვახსენებდი გამოსაღებთა და გადასახად-
თა რაოდენობას. ეს ციფრები მთავრობის მიერ იყო დაწე-
სებული, ამიტომ მიმაჩნია სანდოდ, მაგრამ ეს სრულებითაც
არ გამოხატავს იმას, რასაც მოსახლეობა იხდიდა. ეს გა-
მოსაღები და გადასახადი იყო არა მარტო მრავალნაირი,
არამედ ძნელად გადასახდელიც.

გამოსაღებთა სია, რომელიც მე აქ მომყავს, უეჭვ-
ლად მოგვცემს წარმოდგენას გადასახადთა სიმძიმეზე, მით
უმეტეს, რომ მათი უდიდესი ნაწილი მოდიოდა პირველ
მოთხოვნილების საგნებზე, გარდა მარილისა. თუმცა, ვერ
ვიტყვი, რომ ჩემი ჩამონათვალი სრული იყოს, თუმცა იგი
შედარებით სრულია, რადგანაც თითქმის ყოველთვის ოფი-
ციალური სიებით ვსარგებლობდი.

საერთოდ ბათუმის მხარეში გამოსაღებთა სისტემა
იგივეა, რაც მთელს ოტომანთა იმპერიაში. მოსახლეობის
გამოკითხვის საფუძველზე, როგორც ჩემთვის ცნობილი
გახდა, გადასახადთა გარკვეული ნორმა განსაზღვრული
პერიოდისათვის არ არსებობდა. იყო ერთი სახეობა გამო-
საღებისა, „სალიანის“ ანუ „ვერგის“ სახელით ცნობილი. იგი
შედგებოდა ფაშალიკებზე ყოველწლიურად გადასახდელ
და კონსტანტინეპოლში მათოვის დანიშნული სარგოსაგან,
მაგრამ 1876 წლიდან „ვერგი“ შეიცვალა გადასახადით, რო-
მელიც იკრიბებოდა მამულზე და საერთოდ ყოველგვარი უძ-
რავი ქონებისაგან. ეს გამოსაღები „ემლიაკად“ იწოდებოდა.

ე. ი. ქონების ფასიდან იკრიბებოდა შოველ 1000 ლურუშზე 4 ლურუში. მაგრამ ომიანობის გამო ეს გადასახადი ლაზისტანის სანჯაყში უკელგან არ იყო შემოღებული, თუმცა კონსტანტინეპოლის მიერ დანიშნული ჩინოვნიკების და ადგილობრივი მეჯლისის მიერ ქონებორივი აღწერა ჯერ კიდევ 1876 წელს ჩატარდა.

საინტერესოა, სად დაიკარგა ეს აღწერა? ალბათ მეჯლისები შეეცადნენ გადაეჭალათ იგი, რათა არ ჩაგარდნოდა ხელში ჩვენს მთავრობას, ამასთან გამოსადებთა და გადასახადთა ცნობები აღნიშნულია 1876 წლის „ტრაპიზონის კალენდარში“ და მე უოველოვის გსარგებლობა ამ წყაროთი და საჭირო ცნობები ამ კალენდრიდან მომყავს.

იკრიბებოდა თუ არა მოსახლეობისაგან თურქეთის მთავრობის მიერ გადასახადი ომის დროს, არ არის ცნობილი.

უფრო გარკვეული გადასახადი, რომელსაც ქრისტიანული მოსახლეობა იხდიდა სამხედრო სამსახურისაგან გასათავისუფლებლად, ეს იყო „ბადალაქი ასკერიე“ მას იხდიდა 20-დან 40 წლამდე უკელა მამაკაცი, მაგრამ რამდენი შედიოდა თურქეთის ხაზინაში, არ ვიციო.

გადასახადის მესამე სახეობას წარმოადგენდა უკელა სამიწათმოქმედო მოსავლის მეათედი ნაწილი („ბაგრა“). მოსავალი აღიწერებოდა ყოველწლიურად კომისიის მიერ კონსტანტინეპოლელი ჩინოვნიკების თავმჯდომარეობით. გამოსაღები იწერებოდა: ხორბალზე, ქერზე, სიმინდზე, ხეხილის ბაღზე, ქერდიკზე (შერეული მარცვლეული), თამბაქზე, თაფლზე, ბოსტნეულზე, ხეხილის ბაღზე, თუკი ეს უკანასკნელი ცალკე იყო მამულისაგან, აგრეთვე ცხვრის ნამატზე. აღნიშნული გადასახადი იკრიბებოდა ფულად ან ნატურით. ამ გამოსაღებს საერთოდ ერქვა „აშარი“, ხოლო ფულადს – „თახშირი“; ამ გადასახადს იხდიდნენ გამოსასყიდადაც, მაგრამ ჩინოვნიკებისა და გამომყიდველების უკანონობის გამო მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

გამოკითხვით დადგინდა, რომ 1877 წლისათვის თურქეთის მთავრობა აპირებდა ნატურით აეკრიბა ხორბლის, ქერის, სიმინდის, ქერდექის მოსავლის მეათედი ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნაწარმისაგან აეღოთ ფულად, გარდა თამბაქოსი. უნდა ვიგარაუდოთ, რომ თამბაქოს შესახებ არ იყო არავითარი განკარგულება, რადგანაც იგი, წინასწარ აღიწერა, სანამ მოსავალს მოიწევდნენ, დაამზადებდნენ და გამოიტანდნენ გასაყიდად. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ თამბაქოს გადასახადი უკვე აიკრიბა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე...

უკელა ზემოთჩამოთვლილი გადასახადები უნდა შივაკუთვნოთ თვიურ სარგოს გადასახადს, მაგრამ თურქეთის მთავრობა ახდევინებდა ასევე „არა სარგო გადასახადებს“ ჩვენებური გადასახადებისა და აქციზების მსგავსად. მასში შედიოდა შემდეგი გადასახადები:

1. „იხთიზაბი“, რომელიც აიკრიბებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მსხვილი და წვრილფეხა საქონლის, ცხენის გაყიდვის დროს; 1 ყურუში ყოველ 400 ყურუშზე, ხოლო სხვა ცნობებით 100 ყურუშზე.
2. „ჯევრიე“ ხილის არაყზე გადასახადი.
3. არსებობდა ბილეთის ანუ საპასპორტო გადასახადი. მას კრებდა კაიმაგამი საზღვარგარეთ სავაჭროდ წამსვლელთაგან 40 ყურუშს, ხოლო ქვეყნის შიგნით 4 ყურუშს.
4. „ზებიე“ (სისხლისათვის) – 40 ყურუში ყოველ დაკლულ საქონელზე.
5. „თემეთიუ“ – გადასახდი ვაჭრებზე, ყოველ შეფასებულ 20.000 ყურუშზე, ან 1000 მანეთზე 4 ყურუში. თუ ვაჭარი ცხოვრობდა დუქანში, გადასახადი ეკუთვნოდა „ემლიაქს“ და გაქირავებულ დუქანზე 100 მანეთიდან იკრიბებოდა 3 მანეთი.

6. „რემში“ – სამოქალაქო სარჩელზე აღმრუდი სა-
სამართლო გადასახადი, რომელსაც ადგილობრივი მე-
ჯლისები პერებდნენ, ამასთან, არასადაო სარჩელზე
გადაიხდებოდა 40 ყურუშიდ შეფასებული პროცესიდან
ერთი, ხოლო სადაოსაგან – ორმაგად. ამ გადასახადს
ჩვეულებრივ პროცესის მომგები მხარე იხდიდა.
7. აბანოსი, რომელსაც იგი გამოსასყიდად თმობდნენ,
გამოსასყიდი ფასი 1000 ყურუშიდან 40 ყურუშს ახ-
დევინებდნენ.
8. „რესმი კედა ეილანია“. გადასახადი საძოვრებზე. ძროხ-
აზე 1/2, კამებზე 1 ოფა ერბო, ზოგიერთ ადგილებში
იკრიბებოდა 11/2 ყურუში ყოველ მსხვილფეხა საქონელ-
ზე, მაგრამ არ იკრიბებოდა ცხვარზე და ბატკანზე. ეს
გადასახადი არსებობდა 1872 წლამდე. შემდეგ კი იკრი-
ბებოდა ყოველ მსხვილფეხა საქონელზე 3 ყურუში.
9. გადასახადი ტყის გამოყენებაზე ყველგან არ იკრი-
ბებოდა. ზოგიერთ ადგილებში იყო საშენი მასალის
საერთო ღირებულების 1/5 ნაწილი გადასახადი, ხოლო
შეშაზე არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ.
10. თამბაქოზე, თუ იგი გაჰქონდათ სხვა მხარეში, ოყაზე
ახდევინებდნენ 3 ყურუშს.
11. არასრულწლოვანებზე მეურვედ დანიშნვისას, თუ
ყადი საჭიროდ ჩათვლიდა ობლების მოძრავი ქონების
გაყიდვას, გადასახადი იყო 40 ყურუშზე 1 ყურუში,
ამავე დროს სამეურვეოს შედგენისათვის ყადი თავი-
სათვის აიღებდა გასამრჯელოს მოლაპარაკებისამე-
ბრ.
12. მარილზე არ იყო გადასახადი, მაგრამ მის გატანისას
ახდევინებდნენ 4,5 ყურუშს პირველ ბათმანზე (ბათმანი
უდრის ჩვენებურ 18 გირვანქას).
- ყველა ეს გადასახადი იკრიბებოდა ადგილობრივი კაი-
მაკამების მიერ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ამიტომ

არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა სარგებლობას აძლევ-
და ეს შემოსავალი ხაზინას.

ბ. ჯიუდიჩი ამტკიცებს, რომ თურქეთის მთავრობის ყვე-
ლა დაპირება, გადასახადთა სისტემაზე კონტროლის დაწე-
სების შესახებ – ფუჭი სიტყვებია. ამ ბოროტმოქმედებას
ხალხი გამძინვარებამდე მიჰყავდა. ხშირად ჩინოვნიკების
და მეჯლისების მხრიდან შევიწროების გამო, მოსახლეო-
ბა ვერ ამუშავებდა მიწის ნაკვეთებს იმ ოდენობით, რაც
ესაჭიროებოდა არსებობისათვის. ბ. ჯიუდიჩის მტკიცებით,
მთელი ლაზისტანის სანჯაყიდან 1871 წელს აკრეფილია 19
000 000 პიასტრი (168,571 მანეთი), მაშინ, როდესაც ეს შემო-
სავალი მანამდე 6 წლის განმავლობაში უდრიდა 1 200 000
პიასტრს, ე. ი. 53, 145 მანეთს.

თ ა გ ი მ ე რ თ ხ ე

ზასხბის ზრდა გათშმში. – სახლების ყალბი მფლობელები, – არენდატორები. – ბადამყიდვებები. – გაჭრობის ბადატანა შალაშის მომზადები. – მეჯლისი. – სასამართლო. – ბადასახადი. – მექრთამეობა.

როგორც კი რუსები შემოვიდნენ ბათუმში, თითქოს და ჯადოსნური კვერთხით ფასებმა ყველაფერზე აიწია. აქ არ იცოდნენ ჩვენი მანეთის ღირებულება და სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ზოგიერთ საგნებზე გაჭირვებულ რუს ჯარისკაცებს და ოფიცრებს შეეძლოთ გადაეხადათ იმდენი, რამდენსაც დაუფასებდნენ. ადგილობრივი მცხოვრებლები და ვაჭრები (ბერძნები, სომები, ლაზები) უსირცხვილოდ ფცქვნიდნენ მათ. სურსათი, მწვანილი, პური, ბინები, ერთი სიტყვით ყველა პირველი მოთხოვნილების საგანი მიუწვდომელად ძვირი იყო. თამბაქოც კი მაღალ ფასებში იყიდებოდა. გამონაკლისს შეადგენდა სხვადასხვა სასმელი, რომელთა სიუხვე ბაზარზე იგრძნობოდა.

სშირად საქმე კომიკურ იერს ღებულობდა და გამყიდველმა აღარ იცოდა რა ფასზე გაჩერებულიყო...

ბათუმში თურქ მოხელეებს, რომლებიც რუსების შემოსვლასთან დაკაგშირებით იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ქალაქი და იმ მცხოვრებლებს, რომლებმაც არ მოისურვეს ბათუმში დარჩენა, პქონდათ სახლები. ბევრმა მათგანმა თავიანთი ქონება გადასცა გრძელვადიან არენდად, ბევრმა კი ესეც არ გააკეთა. ახლა გამოჩნდნენ ექსპლუატატორები, გაჩაღდა სხვისი სახლების ყიდვა-გაყიდვა, უნებართვოდ არენდად გადაცემა სხვა პირებზე. რა თქმა უნდა ყალბი მფლობელი მიამიტ მყიდვებისაგან ფულს ღებულობდა და მიიჩქაროდა თურქეთის საზღვარზე.

ჩვენმა ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი ქონებრივი გარიგება, ვიდრე არ დადასტურდებოდა ქონების მფლო-

ბეჭობა. რაც შეეხება სახლებისა და სხვა ნაგებობების გაქირავებას, ნებადართული იყო ადგილობრივი მეჯლისის საშუალებით, სადაც რუსი მოხელე თავმჯდომარეობდა (ბათუმის დროებით პოლიცმეისტერი).

ვაჭართა გაუმაძღვრების რამდენადმე დაოკების მიზნით, რეკომენდირებული იქნა პირველ მოთხოვნილების საგნებზე დროებითი ტაქსის შემოღება.

თუმცა ვაჭრები მალე თავისთავად დაცხნენ. ბინების სიძირეს კი არაფერი შველოდა. აღმოჩნდა, რომ ბინების მსურველები უფრო მეტი იყო, ვიდრე თავისუფალი შენობები.



ბათუმის ბაზარი

საჭირო შეიქმნა ბაზრის ზედამხედველობის ქვეშ აყვანა და ვაჭარ-ბობოლების ჩამოშორება სოფლის მცხოვრებოაგან, რომლებსაც მოჰკონდათ თავიანთი ნაწარმი და რომელთაგან ვაჭრები ბითუმად ყიდულობდნენ და შემდეგ მაღალ

ფასებში ყიდვნენ. ამისათვის ძველი საკრებულო დაწესებულების წინ არსებული ქალაქის მოედანი დაყოფილი იქნა ნაწილებად და უსასყიდლოდ დაეთმოთ ადგილობრივ ვაჭრებს, რომლებსაც სურდათ ევაჭრათ საკუთარი სურსათით, ხილით, ხორცით და სხვა.

რაც შეეხება ფასებს, იგი დადგენილი იქნა მეჯლისის მიერ.

რამდენადაც ამ დაწესებულებასთან არის დაკავშირებული, ადგილობრივ მკვიდრთა მთელი იურიდიული ცხოვრება, რამდენიმე სიტყვას ადგილობრივი სასამართლო წარმოებაზე და სასამართლო წყობილებაზეც გიტყვი.

სასამართლო აქ დამყარებულია ადაოთობრივ სამართლზე (გადმოცემები ადათის მიხედვით) და შარიათის მიხედვით დაწერილ კანონზე. სასამართლო უფლებები თავმოყრილია მეჯლისში. არსებობდა საოლქო მეჯლისი ქ. ბათუმში, ირადე ლიგად წოდებული, რომელიც მთელი ლაზისტანის სანჯაფის მთავარ სასამართლო ადგილად ითვლებოდა; სამხარეო – „იხტიარ მეჯლისი“ ყოველ კაზისათვის: ბათუმისა და ჩურუქ-სუსა, და სასოფლო – ყოველი მერქეზისათვის (სასოფლო თემი).

მეჯლისებში წევრებს ირჩევდნენ თითოეულში რვა-რვა კაცის ოდენობით. არჩევნები ეწყობოდა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. მეჯლისს ამტკიცებდა უმაღლესი ხელისუფლება: სასოფლო მეჯლისის წევრებს ამტკიცებდა სამხარეო, სამხარეოს – საოლქო, ხოლო საოლქო მეჯლისის წევრებს უმაღლესი სასამართლო ადგილი, ტრაპიზონის დივან თამიზ ვილაეთი, რომელიც შედგებოდა 3 მაჰმადიანი და 3 ქრისტიანი წევრისაგან, სრულიად ტრაპიზონის ვილაჟთის ყადის თავმჯდომარეობით.

საოლქო მეჯლისში არსებითად, სასამართლო საქმეებს თავმჯდომარეობდა საოლქო ყადი. ეს არის უმაღლესი სასულიერო-იურიდიული პიროვნება. არყოფნის დროს მას

ცვლიდა სასამართლოში მუფტი – საოლქო სასულიერო საქმეების მეთაური, იურისტ-კონსულტანტის უფლებებით.

მეჯლისის უფლებანი ვრცელდებოდა არა მარტო სასამართლო საქმეებზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ მხარეებზეც. ეს იყო, რადაც სასამართლო-ადმინისტრაციული დაწესებულების მხგავსი რამ. საქალაქო და საერთოდ სახალხო მეურნეობა მეჯლისის განკარგულებაში შედიოდა. მათ ჰქონდათ უფლება ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის აუცილებელი დროებითი წესები გამოეცათ.

ამ საფუძველზე მეჯლისის უწყებაში შედიოდა: ა. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესები; ბ. საერთო საქმეები (ადმინისტრაციული). ამისდამიხედვით, მეჯლისი იყოფილდა ორ ნაწილად: სასამართლოდ და ადმინისტრაციულად. ყოველ მათგანში იყო ოთხი წევრი. ადმინისტრაციულ განყოფილებას თავმჯდომარეობდა სამოქალაქო გუბერნატორი (მუთესერიფი), ხოლო მისი არყოფნის დროს – მთავარი ხაზინადარი: სამხარეოში თავმჯდომარეობდა კაიმაკამი (კაზის უფროსი), ხოვლისაში – მუხებარი, რომლებიც ხალხის მიერ იყვნენ არჩეული. სასამართლო თანმიმდევრობა ადმინისტრაციულ მეჯლისში ისეთივე იყო, როგორიც სასამართლოში. საჩივარი ხოვლის მეჯლისზე ეძღვდა სამხარეოს, ხოლო სამხარეოსი – საოლქოს, ამ უკანასკნელზე კი ტრაპიზონის დივანს.

არსებითად ადმინისტრაციას, მაგალითად, კაიმაკამს არ ჰქონდა საქმე სასამართლოში. იგი უფრო შეამავალი იყო თავისი კაზის სასამართლო მეჯლისსა და საოლქო სასამართლო მეჯლისს შორის. მართალია მას შეეძლო არ დაემტკიცებინა და დაეპრუნებინა საქმე მეჯლისში, მაგრამ უთანხმოების შემთხვევაში საქმე მეორეჯერ განსახილველად შეეძლო წარედგინა მუთესარიფისათვის.

მეჯლისებში მიწერ-მოწერა მარტივი იყო. თუმცადა ნებადართული იყო საჩივარი და სარჩელი წარმოედგინათ

წერილობით, მაგრამ ზეპირად უფრო არჩევდნენ. მოპასუხეს უგზავნიდნენ კავაზს (პოლიციელი). გამომახსებული პირი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო უმოკლეს ხანში. ხშირად, მხარეები გამოუძახებლადაც მიღიოდნენ, თოთქოს ერთდროულად. მხარეთა მოსაზრების მოსმენის შემდეგ მოსამართლები ეკამათებიან მხარეებს, ხანდახან ერთმანეთს, მხარეების თანდასწრებით... თუკი შერიგება ვერ მოხდებოდა, გამოჰქონდათ გადაწყვეტილება, რომელიც ჩაიწერებოდა საამისოდ განკუთვნილ წიგნში. ასლს ვინმე იშვიათად თხოვლობდა და იშვიათადაც გასცემდნენ. თუ იგი საჭირო იქნებოდა, მას დაუსცამდნენ მოსამართლის ბეჭედს.

სერიოზული საქმეები იხილებოდა გუბერნატორის (მუთესერიფი) მიერ, დრო და დრო იყი წარადგენდა დასამტკიცებლად ტრაპიზონის ვალისთან, რომელთანაც იყო ასეთი საქმეების განმხილველი მეჯლისის იდარე ვალაეთი. უფრო სერიოზული საქმეები კონსტანტინეპოლამდე აღწევდა.

სასამართლო გადასახადს („რემში“) იხდიდნენ უმთავრესად სამოქალაქო საქმეებზე. როგორც უკვე ვთქვი წინა თავში, მოპასუხის გარეშე აღმრულ სარჩელზე 40 უურუშად შეფასებულ საქმეზე იხდიდნენ ერთ ყურუშს. მოპასუხის არსებობის შემთხვევაში, იხდიდა მხარე, რომელიც საქმეს მოიგებდა.

გარდა ამისა, მე მარწმუნებდნენ, რომ მეჯლისებში საქმის არასწორი წარმოებისათვის ახდევინებდნენ ჯარიმას და აძლევდნენ მხარეთაგან მას, ვინც საქმეს მოიგებდა.

სისხლის სამართლის საქმეებზე გადასახადს არ ახდევინებდნენ.

მფლობელების აქტები („თაფუ“) გაიცემოდა, უმთავრესად, მთავრობის მიერ შემდეგი პრინციპის მიხედვით: ყველა მიწები ეკუთვნის სახელმწიფოს. ამდენად აღნიშნუი „თაფუ“ არ აკანონებდა რაიმე მფლობელობას უცხო ქონებაზე და მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მის მფლობელს აქვს უფლება გარკვეული ქონებით სარგებლობისა. ეს ისე არ უნდა

გავიგოთ, რომ თითქოს თურქელი კანონმდებლობა, სრულებით არ ცნობდეს საკუთრებას. ოდითგანვე მცხოვრებლები ყიდულობდნენ და ასხვისებდნენ მიწებს, ტყეებს, ბაღებს, წყალს და სხვ. სახელმწიფო არასოდეს არ უშლიდა ამას ხელს. გაგვაჩნია უტყუარი ცნობები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ თურქეთის სულთნები აძლევდნენ ბეგებს მათზე კუთვნილ მიწებზე, სოფლებზე და გლეხებზე სამექვიდრეო მფლობელობის სიგელებს.

„საკუთრების უფლება“ იმ გაგებით, როგორც ჩვენ იგი გვესმის, თურქელ კანონმდებლებას დასაშვებად მიაჩნია. მას თურქელად „მულქი“ ჰქვია. მაგრამ ნამდვილი მოსაზრების დადგენა ამ საგანზე ახლა ძნელია, ვიდრე არ გაგვიხილავს „თაფუ“ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც გააჩნიათ ბათუმის მცხოვრებლებს. თუ ვიმსჯელებთ კომპეტენტურ პირთა, მათ შორის აჭარის მკვლევარის ბ. ბაქრაძის გამოკითხვის შედეგებით, უნდა გამოვიტანოთ ასეთი დასკგნა, რომ „მესაკუთრეები“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ბათუმის ოლქში არ არიან. აქ მცხოვრებლები „საკუთრების უფლებით“ ფლობენ შენობებს, ბაღებს, ხოლო მიწას გადასახადით 10 წლის განმავლობაში. არიან კიდევ მსხვილი მესაკუთრეები თურქეთში, სულთნის განსაკუთრებული წყალობით, რასაც ფადიშაპის სპეციალური ფირმანი სჭირდება. ახლა ბათუმის ოლქში ადარ არიან ასეთი მესაკუთრეები, თუმცა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ ძველად თანზიმათის შემოღებამდე სულთნები ბეგებს აბაშიძეებს და სხვებს* აძლევდნენ ასეთ ფირმანებს, მაგრამ თანზიმათის შემოღებით ყველაფერი გაქრა. ყველა მიწები ახლა ხაზინის საკუთრებას წარმოადგენს; შეიძლება მათი დაგირავება, გასხვისება ხელისუფლების ნებართვით. მთავრობის ნებართვის გარეშე შეიძლება მისი მხოლოდ მემკვიდრეობით გადაცემა.

* ასეთი ფირმანები მიღებული აქვთ აგრეთვე ავალიანებს, ბეგანიძეებს, თავდგირიძეებს, ხიმშიაშვილებს და სხვ. (რედ.)

აქ უადგილო არ იქნება ორიოდე სიტყვა ითქვას ძველი ბეგების და მათი ყოფილი გლეხების მიწით ურთიერთობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ თანზიმათმა დაადგინა წესი, რომლის მიხედვით მიწები თურქეთში ეკუთვნის სახელმწიფოს (მირი) და ბეგები ვალდებული არიან დანარჩენ ქვეშევრდომთა მსგავსად იხადონ გადასახადები, რამდენადაც ბეგების კუთვნილი მიწები გამოსყიდულია სახელმწიფოს მიერ და მათ სანაცვლოდ ბეგებმა მიიღეს გასამრჯელო. გლეხები, რომლებიც ცხოვრობენ სანადელო მიწებზე, არ უნდა უხადონ ბეგებს გადასახადები, გარდა იმისა, რასაც უხდიდნენ სახელმწიფოს. გლეხებისადმი მიცემული ბეჭედდასმული დოკუმენტები (თურდა) შეტანილია წიგნებში და ინახება ტრაპიზონში, დედნები კი გლეხებს უნდა ჰქონდეთ ხელზე.

კველას, ვისაც კი ჰქონდა საქმე აქაურ სასამართლოში, აუგად იხსენიებს მას. ბ. ჯიუდუხი ამბობს, რომ „გატი გუმაიუნ“-ით:^{*} სრული და ზუსტი დაცვა კანონმდებლობისა სასამართლოებში, ქვეყანაში მთავრობის ხელისუფლებისა, საზოგადოების კეთილდღეობა და უზრუნველყოფა, სამართლიანობა ყოველ საქმიანობაში, წესრიგი ფინანსებში მოსახლეობის კველა კლასის ბედის გაუმჯობესება, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა და ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის მოსპობა, კველა ეს მხოლოდ დაპირებად დარჩა.

თურქეთის სასამართლოს და ჩინოვნიკების მხრივ, არა მარტო ქრისტიანები, არამედ, საერთოდ მოსახლეობა არ იყო დაზღვეული ძალადობისა და ბოროტებისაგან. სასამართლოს აღგილობრივი წევრები, თურქი მოხელეების მაგალითით შერყვნილნი, ამ უკანასკნელთ როდი ჩამორჩებოდნენ.

* სულთნების მიერ გაცემული წერილობითი ბრძანება, რესკრიპტი (რ.ს.)

უფლივივე ამას ემატებოდა ერთი დიდი უბედურება: გვაროვნული შურისძიება, რომელსაც ცხოვრება და სასამართლო გაუთავებელ დავად პქონდა გადაქცეული. ამის გამოა, რომ ადგილობრივი კრიმინალური ქრონიკა აღსავსეა სხვადასხვა არაჩვეულებრივი ამბებით.

უპირატესი დანაშაულობანია: ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა. ყველა ეს დანაშაულობანი მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ხოლო ჩადენილ დანაშაულთა ხასიათს ის განსაზღვრავს, რომ მუდამ შეიარაღებული ქობულეთელი ადვილად ნახელობს გამოსავალს მიეკებულ პირად შეურაცხოვაზე, თუ ქონებრივ ზარალზე.

არც დრო და არც ადგილი ამ „ნარკვევებისა“ არ მაძლევს საშუალებას ძალზე ჩავუდრომავდე მხარის სისხლის სამართლებრივ იუსტიციას და იმ აშკარა უსამართლობას, რომელიც აქაურ სასამართლოებში გვხვდება.

მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც მხარისთვის დამახასიათებელია: ცხოვრობდა ერთი მოხუცი (80 წლის) ოავის შვილიშვილთან ერთად. გოგონა მხოლოდ 8 წლის იყო. მეზობელი მოიხიბლა გოგონათი და გაუძატიურა იგი. ბაბუამ უჩივლა სასამართლოში. ამოქმედდა ორივე მხარე, მეზობელი მდიდარი და გაგლენიანი იყო. საქმე გათავდა იმით, რომ ბაბუა და შვილიშვილი გამოაგდეს სახლიდან, ჩამოართვეს მთელი ქონება და გადასცეს მეზობელს; საცოდავი ქალიშვილი თავის ბაბუასთან ერთად დარჩა დავთის ანაბარად...

ბევრს ლაპარაკობდნენ და ახლაც ამბობენ თურქები სასამართლოში არსებულ მექრთამეობაზე. მართალია, არც ადგილობრივი მეჯლისებია ამ მხრივ მთალად უმწიკვლო, მაგრამ მთავარი ბოროტება მაინც ბათუმის ადმინისტრაცია იყო. მუთესერიფების, მუდირების, კაიმაკამების და სხვა

უფროსების მექრთამეობას საზღვარი არ ჰქონდა, რამდენადაც თურქული მფარველობის საერთო სისტემიდან გამომდინარე, აღმინისტრაციულ მმართველობას „სარჩოდ“ ეძლეოდა თითქმის მთელი მხარე.

ბეგებისა და სხვა პირების გამოკითხვით დავრწმუნდი თურქულ მმართველობაზე წაყენებულ ბრალდებათა სამართლიანობაში.

თურქული მართლმსაჯულება თავის თავზე გამოსცადა ზემო აჭარის ყოფილმა მმართველმა შერიფ-ბეგ სიმშიაშვილმა (ახლა რუსული სამსახურის გენერალ-მაიორი). იგი იყო ერთ-ერთი უძლიდრესი თავის ქვეყანაში და დიდი მამულები ჰქონდა აჭარაში, ყარსში, ართვინში და სხვაგან. თურქეთის ხელისუფალთათვის იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ



გენერალი შერიფ-ბეგ სიმშიაშვილი,
(ალექსანდრ ახმედოვიჩ ადუარსკი) 1829-1892

საშემოსავლო წყაროს. ამასთან, მისი სიმპათიები რუსეთისადმი ცნობილი იყო და დაიწყო დაბეზღუდებები შერიფ-ბეგის წინააღმდეგ. განსაკუთრებით სამიხა-ფაშის მხრიდან, როდესაც დაინახეს, რომ მას ვერაფერს გამორჩებოდნენ (უნდა აღინიშნოს, რომ შერიფ-ბეგი ძალიან ჭკვიანი და განვითარებული პიროვნება იყო), მაშინ იგი შეიპყრეს, წაართვეს ყველაფერი და კონსტანტინეპოლიში გაგზავნეს. ამბობენ, რომ ამ საქმეში ცნობილი „მუშირის“ დევრიშ-ფაშის ხელი ურევია...

მაგრამ შერიფ-ბეგი გამოიქცა კონსტანტინეპოლიდან.

კიდევ ერთი მაგალითი: ბათუმში იყო ვინძე სომეხი მიგირ ქილიგოლლი; როგორც აქ ამბობენ იგი ადრე „ოდლანი“ („ბიჭი“) და ქოჩები (მოცეკვავე) იყო ყავახანებში. რუსეთის ქვეშევრდომობის დროს თაღლითობისათვის სასამართლოში იქნა მიცემული. შემდეგ გამოიქცა და ყალბი პასპორტით დაბრუნდა ბათუმში. ეს პიროვნება ჩქარა დევრიშ-ფაშის მარჯვენა ხელი და ბათუმის მხარეში თურქეთის არმიის მთავარი მომარაგებელი გახდა. ჩვენმა კონსულმა ბ. ჯიუდიჩიმ იცოდა მისი საქმიანობა (საკონსულოში მასზე არსებობდა მიწერ-მოწერა) და ამაზე აცნობა, სადაც ჯერ არს, მაგრამ მიგირის ოქრო ძლიერი და „მართალი“ აღმოჩნდა თურქეთის ხელისუფლებისათვის, უფრო მეტიც, იგი თავის ქონებას უყოფდა „ხელისუფალთ ამა ქვეყნისა“.

ბათუმის ჩაბარებისას მან მოინდომა ჩვენს ხელისუფლებასთან დაახლოება, მაგრამ კრახი განიცადა.

მთავრობის ადრინდელ დაწესებულებებზე უნდა შევნიშნო, რომ ბათუმში თურქეთის ბატონობის დროს, გუბერნატორის და მეჯლისის გარდა იყვნენ: კამიაკამი (მაზრის უფროსი), საბაჟო დაწესებულება და თურქეთის ჯარის შტაბ-ბინა.

თავი მეხუთი

შაგახანა. — ძურაში. — შაგახანაში ძობულეთლებთან საშპარი. — მუსლიმანობის მიღება. — მნა. — ბაზოცხემანი. — შალი. — მოხოველი ძობულეთიდან. — აჭხაზები. — მათი ბამოუგალი მდგომარეობა. — ბენ. კომაროვის ზრუნვა აჭხაზებზე. — ბასეირება მთებში. — ჩერქეზების დასახლება სამებასა და სევა სოფლებში. — მცენარეულობა.

ბათუმში თავშეეყრის ადგილი ყავახანაა. აქ, პატარა ფინჯან ყავაზე, ბათუმელი პოლიტიკოსები მთელ სერიოზულ საკითხებს სწევებენ. მე ვნახე ბათუმში განსაკუთრებული სახის შეკრება. ქუჩაში, ბეჟანიძის სახლის მახლობლად, განლაგებული იყო პატარა დაწესებული სკამები, რომლებზედაც ისხდნენ საპატიო პირები, ხოლო ვისაც სკამი არ ჰქონდა, ისინი ფეხმორთხმით პირდაპირ ძირს ისხდნენ. იქ, აღბათ, ბათუმის პოლიტიკოსები მსჯელობდნენ იმაზე, დარჩენილიყვნენ თავიანთ კერასთან, თუ გაეცვალათ იგი თურქელ „დაპირებებზე“.



ბათუმის ყავახანა

მე შევედი ერთ-ერთ ყავახანაში. თავიანთ კოხტა სამოსებში გამოწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა ქობულეთელი ყავას სვამდნენ და ზღვას გასცემოდნენ. ისინი რაღაცაზე იცინოდნენ და მიუთითებდნენ თურქეულ გემებზე, რომლებიც იტვირთებოდა ყოველგვარი ნაყარ-ნუფარით: ძველი ფიცრებით, მაგიდის და სკამების ნატეხებით, დამტვრეული ფანჯრებით და სხვა.

ჩემმა შესვლამ ქობულეთელთა ჭურადღება მიიპყრო. მე თავად მეწადა მათთან საუბარი. თავადი გ. გურიელი, ჩვენი შუამავალი იყო. მე შევეკითხე ჩემს თანამოსაუბრევებს, თუ რას ფიქრობენ შექმნილ მდგომარეობაზე.

ქობულეთელთა აზრით ბევრი გასახლდება, თუმცა ბევრიც დარჩება ადგილზე, რამდენადაც არ აქვთ მიზეზი მშობლიური მიწის მიტვებისა. „საწყენია მხოლოდ ის, თქვა ერთმა ქობულეთელმა, რომ თურქებმა ჩვენ გაგვიდეს... სხვანაირად რუსები აქ ვერ იქნებოდნენ ვერასდროს. რამდენი ბრძოლები იყო წარსულში და ამ უკანასკნელ ომშიც, მაგრამ ქობულეთლები ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიოდნენ და რუსის ფეხი არასდროს არ დადგმულა ჩვენს ქვეყანაში. პირიქით, 1853 წლის ომში ქობულეთლები თავს დაესხნენ რუსებს შიგ გურიაში, იმერეთში და კინადამ შუაგულ საქართველოშიც კი...“

კითხვაზე: ახსოვთ თუ არა ქობულეთლებს თავიანთი ქართული წარმოშობა? მიპასუხეს: – „მართალია ჩვენი ძველები ძმები იყვნენ ქართველებისა, მაგრამ ქობულეთლები ხშირად ჩეუბობდნენ გურულებთან“.

– სიტყვა „გურჯი“ – აუგად სახსენებელია ქობულეთელთაოვის. შემდეგ მათ მითხრეს, რომ მუსლიმანობა რამდენიმე ხნის წინ მიიღეს. ქაქუთის, ნაცხავატევის, აჭის და საერთოდ ქობულეთის ჩრდილო ნაწილის მცხოვრებლება, რომლებიც გურიას ესაზღვრებიან, სულ 25-30 წლის წინ მიიღეს საბოლოოდ მუსლიმანობა, ბათუმის, ჩაქვისა და შავი

ზღვის მახლობლად არსებულმა დასახლებებმა გაცილებით ადრე მიიღეს მუსლიმანობა, რა თქმა უნდა, თურქებთან მუდმივი ურთიერთობის შედეგად. უნდა შევნიშნო ჩემის მხრივ, რომ მუხამედისადმი რწმენას ქობულეთლებში დრმად აქვს ფესვები გადგმული.

ბ. ბაქრაძის აზრით, თურქულმა ენამ საკმაო გავლენა მოახდინა ქობულეთელ ქართველებზე, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ყოველ ჯამესთან არსებულმა მუსლიმანურმა სკოლებმა. ცნობილია, რომ მუსლიმანთა პირად და საზოგადოებრივ ცოვებაში მთავარი მამოძრავებელი ძალა – რელიგიაა. სკოლებშიც, გარდა ყურანისა, არაფერს არ სწავლობენ; ამდენად, ქობულეთლებიც თანდათანობით მიეჩვივნენ ყურანის ენას, მით უმეტეს, რომ ყველა ოყიციალური ურთიერთობა თურქულ ენაზე და ქაღალდები თურქულად იქცერებოდა, მთელი ადმინისტრაცია თურქი ჩინოვნიკებისაგან შედგებოდა. მიუხედავად ამისა, ქობულეთში (სადაც მესამე თაობაც კი არ არის ისლამის მიღების შემდეგ), თურქულ ენას მასებში სიცოცხლისუნარიანობის ცოტა ნიშნები აქვს, განსაკუთრებით გურიასთან ხშირი ურთიერთობის გამო. მაგრამ ერთი ან ორი თაობა კიდევ რომ დარჩენილიყო თურქეთის ბაგონების ქვეშ, მაშინ საშიშროება დიდი იქნებოდა. ბ. ჯიუდიჩის, თურქული ენის მცოდნის აზრით, ქობულეთლები და ბათუმლები თურქულად ცუდად ლაპარაკობენ. ხოლო ბ. ბაქრაძის რწმუნებით, ისლამი ჯერ აჭარაში გაჩნდა და შემდეგ კინგირიშის ხეობით ჩურუქ-სუშიც გავრცელდა.

ქობულეთლებსა და თურქებს შორის კარგი ურთიერთობა რელიგიამაც კი ვერ დაამყარა: ქობულეთელი თურქში ყოველთვის ხედავდა დამპყრობებს, თუმცა მკაცრად რომ განვსაჯოთ, თურქული ხელისუფლების სიმძიმე მაინცდამაინც არ აწვა ამ ქვეყანას; მთელი ბოროტება თურქ ჩინოვნიკებში იყო, რომლებიც ნახევრად-თავისუფალ ქობულეთლებისათვის აუტანელნი იყვნენ.

ბათუმის მხარის, განსაკუთრებით მთაში მცხოვრებლების კულტურული განვითარება დაბალია. აქ არ არის სახალხო სკოლები, წიგნიერება დაცემულია, საკუთარი ლიტერატურის რაიმე ნიშანიც კი არ არსებობს. აქ სუფენე „ზნეობრივი და გონებრივი გაუნათლებლობა. ცხოვრობენ ველურებივით“ (ბაქრაძე). მიუხედავად ამისა, ახლაც არიან სახალხო მომღერლები, რომლებიც უმდერიან თავიანთ გმირებს, მათს სიმამაცეს ურწმუნოთა წინააღმდეგ პრძოლებში, ქობულეთელი ქალების სილამაზეს, მიუწვდომელი მთების გაუვალობას, მოგონებას მმებზე, დაკარგულ ძველ რწმენას... მიუხედავად ბ. ბაქრაძის შემწეობისა, მე სამწუხაროდ ვერ ვიპოვე ქობულეთური სიმღერის რაიმე ტექსტი. ცნობილია მხოლოდ, რომ აქაური მკვიდრნი ძველ ქართულ სიმღერებს ქორწილის დროს მდერიან.

რაც შეეხება მკვიდრთა რწმენას, მათ შეუნახავთ ბევრი საერთო ქართული ჩვეულებანი (ცრურწმენანი). ქრისტიანული გადმოცემები ძალუმად ცოცხლობენ ქობულეთელთა მეხსიერებაში. როდესაც მას ეწევა რაიმე უბედურება ან ავადმყოფობა, ამას იგი თავისი წინაპრის მიერ დატოვებული ტაძრის (საყდრის) წყრომას მიაწერს. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში მიიჩქარის იგი რომელიმე დანგრეულ საყდრისაკენ და მიჰყავს შესაწირავად ქათამი, ცხვარი და სხვ. ამით უნდა დაამშვიდოს მიტოვებული „შემომწყრალი ქრისტიანული ტაძარი“... ამას გაცნობებთ ბ. ბაქრაძის სიტყვებით. ჩემის მხრივ კი დაგსძენ, რომ იგივე გამიგონია ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ქვეყანაში ახლაც არიან მალული ქრისტიანები (მაგ. ოსმან-აღა ქარცივაძე). ბაქრაძის „ნარკვევების“ ცნობით, ბევრია ეკლესიების ნანგრევები (მაგ. სოფლებში: აჭში, ლიხაურში, ქაქეთში და სხვაგან), რომელთა შორის თეთროსნის ტაძარს ქობულეთლები განსაკუთრებული პატივისცემით ეპურობიან.



თეთროსანის ნაშთი

მე მგონია, რომ რუსეთის ქართველობის მეშვეობით რუსები ადვილად შეეგუებიან ქობულეთლებს, თუ კი გაგებით მოეკიდებიან მათ. მართალია, პირველი ცდები, შეიძლება უშედეგოდ დამთავრდეს, მაგრამ განუვითარებელ ხალხს ამაში დრო და ჰუმანური დამოკიდებულება დაეხმარება.

მე მაინტერესებდა, აგრეთვე, როგორ ეკიდება მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიერ კანონის ისეთ დამრღვევთა დასჯას, როგორიცაა: ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა. მხედველობაში მისაღებია ის, რომ ქობულეთლები და აჭარლები თურქეთის მთავრობას სრულებით უგულვებელყოფნებ თავიანთ პირად საქმეებში; თავის მხრივ, თურქები სრულებითაც არ ზრუნავდნენ ბათუმის ოლქის მოსახლეობის კეთილდღეობაზე და მხოლოდ გადასახადების და გამოსაღების აკრეფით კმაყოფილდებოდნენ. როცა დავინტერესდი, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, გაკეთებულია თუ არა რაიმე მათი უშიშროებისათვის, სიმშვიდისათვის, კულტურული და გონებრივი განვითარებისათვის, დავრწმუნდი, რომ ეს თურქეთის მთავრობის საზრუნავ საგანს

არ წარმოადგენდა,, რის შედეგადაც მოსახლეობა მხოლოდ თავისთვის ზრუნავდა. და, აი, გამოჩნდა ახალი მთავრობა, რომელიც ეუბნება მას გზების, სკოლების, ვაჭრობის აუცილებლობაზე; რა თქმა უნდა, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ აი, ახლანდელი ნაყოფიც: ორი ჯარისკაცის მკვლელობის, ტელურაფის მოშლის, თუ ცხენების გარეკვის გამო მოსახლეობამ პირველივე ხანებში მზადყოფნა გამოიჩინა დანაშაულის აღმოჩნისა და დამნაშავეთა შეკურობისათვის.

ბათუმის აღების პირველ დღეებში ერთხელ მე ვიყავი მოწმე ოლქის უფროსთან გენ. კომაროვთან ერთი ქობულეთელი ქალის აუდიენციისა.

ეს იყო პირველი მთხოვნელი ქალი ჩვენს ხელისუფლებასთან ბათუმში. იგი თხოულობდა დახმარებას. მისი ქმარი ამ უკანასკნელი ომის დროს მოუკლავთ და მოელი მისი ქონება გაჩანაგებულა. ეს ახალგაზრდა ქალი, კარგი გვარის შთამომავალი, ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებული დარჩენილა და დაკანონებული ცრურწმენის გამო იმის საშუალებაც კი აღარ აქვს, შრომით ირჩინოს თავი. მასთან ერთად გენ. კომაროვთან* მოვიდა ვიღაც მამაკაცი, როგორც შუამავალი და შუამდგომლობის აღმძვრელი, რადგანაც ქალს არ შეუძლია მოვიდეს ხელისუფლებასთან მარტო, თუნდაც თხოვნით.



გენერალი
გონიანტინე გომაროვი
(?-1913)
(ზ. მარგივის ფოტოკოლექცია)

*გენ. კომაროვს ცოლად ყავდა თბილისელი სომები ქალი. ქართული მისგან ისწავლა და აქაურებს ქართულად ესაუბრებოდა (რ.ს.)

გენ. კომაროვმა, უპირველესად, შუამავალს გასვლა უბრძანა და მთარგმნელის საშუალებით ქალს უთხრა, რომ მმართველობის დროს ქალს შეუძლია თვითონ მივიდეს თავისუფლად იქ, სადაც მას უნდა და ნურავითარი შიში ნუ ექნება ვინმესგან წყვინებისა, შემდეგ მოუსმინა ქალს, მისცა ცოტაოდენი ფული და უბრძანა ბათუმის მხარის უფროსს, ეზრუნა მისი ბედისათვის.

უკეთაზე კურიოზული ის იყო, რომ ამ ქალმა გენ. კომაროვს გადასცა ვიდაც თურქი ადვოკატის მიერ დაწერილი განცხადება, სადაც სულ არ იყო ლაპარაკი იმაზე, რასაც ქალი ითხოვდა.

ომით დაზარალებულებზე საუბრისას არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი აფხაზებს, რომლებსაც ჩვენ ბათუმში შევხვდით.

აფხაზები, – ეს ბათუმის ერთ-ერთი მტკიცნეული საკითხია. საითაც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან შეხვდებით ამ უბედურთა გამხდარ და მშიერ ლანდებს, რომლებიც, ჩვენი დაუდევრობის გამო, სოხუმიდან თურქებმა აქეთ წამოიყვანეს და ბედის ანაბარად მიატოვეს.

მართლაც, აფხაზების მდგომარეობა გამოუვალი იყო: არც პური, არც სამუშაო, არც ფული, არც თავშესაფარი არ გააჩნდათ მათ!

ერთი სიტყვით, რამდენიმე ასეულ კაცს, სხვისი დაუფიქრებლობის გამო, შიმშილით სიკვდილი ელოდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გენ.კომაროვმა ყველაფერი იღონა, რათა ეს საქმე თავის თავზე აედო, რაც მთავარია, იკისრა შუამდგომლობა მათი სამშობლოში დაბრუნებისათვის.

მიუხედადავად აფხაზების სასარგებლოდ გენერალ კომაროვის ძლიერი არგუმენტებისა, ერთხელ და სამუდოდ დადგენილი იქნა, არ გაეშვათ სოხუმში აფხაზთა ის ნაწილი, რომლებიც ამ უკანასკნელი ომის დროს თურქეთში გასახლდა.



აფხაზი და ჩერქეზი მუჭაჯირები თურქეთში

(პაატა ქურდოვანიძის წიგნიდან „ქართულ-აფხაზური ალბომი“, 2008. გვ. 119)

აფხაზების გაჭირვებული მდგომარეობა ნამდვილ თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ჩერქეზებზე, რომლებიც – პირიქით, არა თუ თანაგრძნობას, არამედ აქაურ მკვიდრთა სიძულვილს იწვევენ. თანდათანობით ბათუმში კავკასიიდან გახიზული ბევრი ჩერქეზი დაგროვდა. თურქები მათ სიამოვნებით დებულობდნენ, რამდენადაც ჩვენს წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში მათი სახით საიმედო ძალა ეყოლებოდათ, რა თქმა უნდა, ჩერქეზებმა თან ჩამოიტანეს თავიანთი ველური ინსტიქტები: ყაჩაღობა, ძალადობა და ქურდობა.

მიუხედავად ქობულეთელთა და აჭარელთა ველურობისა, ჩერქეზთა მეზობლობა არა სასიამოვნო აღმოჩნდა მათვის,

მით უმეტეს, რომ ჩერქეზებმა არ დააყოვნეს გამოემდავნებინათ მათთვის ჩვეული თვისებები. ჩურუქ-სუს და ბათუმის მცხოვრებთა დიდი გაოცების და უსიამოვნების მიუხედავად, ისინი დასახლდნენ ამ ქალაქების მახლობლად. და აი, დაიწყო გამუდმებული ქურდობა, ძალადობა, ძარცვა. ბ. ჯიუდიშის ცნობით, ჯერ კიდევ ომამდე, ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო მოთხოვნა მათი მხარიდან გასახლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თვითონ მკაცრად გაუსწორდებოდნენ ჩერქეზებს.

მცხოვრებთა სამართლიანი მოთხოვნა თურქეთის მთავრობამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა – გაასახლა მხოლოდ რამდენიმე მთავარი ყაჩაღი, რომელთა თავგასულობა დადგენილი იყო. გასაგებია, რომ თურქეთის მთავრობას არ სურდა მთლიანად ჩამოჟმორებინა მისთვის სასურველი ჩერქეზები!..

მინდოდა დამეთვალიერებია ადგილი, ბათუმის მახლობლად, სადაც ეს ჩერქეზები იყნენ დასახლებული და გამცილებლებთან ერთად კიდეც წავედი მთაზე, სოფ.სამების მიმართულებით. სოფელთან მისვლამდე დავათვალიერე წმ. სამების სახელობის ძევლი ეკლესიის ნანგრევები. ეს ეკლესია განთქმული იყო თავისი სილამაზით და ახლაც ჩანს მისი ნაშთი, რომელიც დაწვრილებით აღწერა ბ. ბაქრაძემ თავის „არქეოლოგიურ გამოკვლევაში“.

მთები, რომლებიც იწყება ბათუმიდან, ძალზე თავისებურია. მათი ნიადაგი უმეტესად თიხოვანია. ეს მთები წარმოადგენენ ლაზისტანის შემაღლების გაგრძელებას. ერთი სერის ნაწილი ეშვება მდ. ჭოროხისკენ და კახაბრის სახელწოდებით იხსენიება. აღნიშნული მთები ბათუმს მიღებულია დასავლეთით, მეორეს მხრივ ისინი ესაზღვრებიან მდ. ყოროლისწყალს. პირდაპირი მიმართულებით, ხშირი ტყით, ისინი აღწევენ მდ. აჭარისწყლამდე. აქ ცხოვრობენ ჩერქეზები, უბისები და ფშავები! ადლერიდან გადმოსახლებულნი.



ორთაბათუმი (შუა ბათუმი)

გუმბათოვანი ეკლესიის ნანგრევი, მდინარე ყოროლისწყლის მარცხნა სანაპიროზე, შესართავიდან 1 კმ-ის დაშორებით.

ჩერქეზები უმთავრესად სახლობენ შემდეგ სოფლებში: სამჯ-ბაში, ერგეში, სადაც ჩვენი გამოკვლევით 76 მოსახლეა 213 მცხოვრებით; თურქული კალენდრის მიხედვით 50 კომლია 83 მცხოვრებით, რომლებიც ხაზინას უხდიდნენ გამოსაღებს 631, მოსავლის 2028, ცხვრის 85 კურუშს; ჰყავთ 25 ოხა, 6 ხარი; ხელვაჩაურში, სადაც რუსული ადრიცხვით ითვლება: 35 სახლი, 151 მცხოვრებით; თურქული ადრიცხვით: 25 სახ-ლი, 56 მცხოვრებით, რომლებსაც ჰყავთ 9 ხარი და დიდი ფარა 410 ოხის და 4418 ცხვრისა.ისინი იხდიდნენ: ცხვარზე 9544 კურუშს, მოსავლის 5351 კურუშს და გამოსაღებს 991 კურუშს.

ახლომდებარე ჭაობების გამო, ეს ადგილები არ შეიძლება ჯანსაღად ჩაითვალოს. ბ. რემერტის დაკვირვების მიხედვით „თითქმის ყველა მცხოვრებს აზის დრმა წუხილის

ანაბეჭდი, რომელიც ჭაობის შხამისაგან ქრონიკული მოწამვლითაა გამოწვეული“.*

დასასრულ, საჭიროდ ვთვლი რამდენიმე სიტყვა ბათუმის და მისი მიდამოების მცენარეულობაზე ვთქვა. ჩვენ აქ ვხვდებით ყველაზე უხვ და მრავალფეროვან მცენარეულობას. ლიმონი ხარობს დია ციხ ქვეშ. არის მუხა, თხილნარი, ვეებერთელა წაბლის ხეები, პალმები (სამშიტ), რომლებიც მთელ ხეობებს აგსებენ. ხშირ გვიმრას დაფარული აქვს ყველაფერი. ზეთისხილის ხეები საკმაო შემოსავლის წყაროა, ბრინჯი და ბამბა მოდის ზღვისპირა დაბლობში; ამავე დროს აქაური ბამბის მცენარე არ აგადდება. სიმინდი და ბრინჯი უხვად ხარობს და მალევე საღდება. თუთის ხეები ძალიან კარგია, ხოლო ბათუმის და ჩურუქს აბრეშუმი კარგად ფასობს; ყურძენი, ცოტა გაუმჯობესების შემდეგ საუკეთესო იქნება; არის სხვადასხვა ფერის ყვავილები და სხვა.

* ა.ა. რემერტი – სამედიცინო ნაწილის ინსპექტორი. ბოლო წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აბასთუმანში (ჯამრთელობის მდგომარეობის გამო) და აქვე გარდაიცვალა 1902 წლის 26 ივნისს. მის საპატივცემულოდ აგებულ პატარა გადასასველს დღასაც რემერტის ხიდს ეძახიან (რ.ს.)

თავი მემშვერეობის

სპოლა გათავის მხარეში. – განათლება. – რესტინგს პროდონ სპოლა. – სასულიერო სასრავლებლები. – სამზაღვოდად სამიანობა. – მწერლები. – ჩალების გაყიდვა. – ბონებიზო გაცითარების უკარობა. – თურქეთის ძართვების შიში.

ბ-ნი ბაქრაძე ჩურუქ-სუში, აჭარასა და გურიაში თავის სამეცნიერო ექსკურსიის დროს აღნიშნავდა, რომ ქობულეთში ბევრი შეძლებული ხალხია, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ აძლევს შვილებს განათლებას, რამდენადაც მხარეში არ არის სასწავლო დაწესებულება, გარდა ჯამესთან არსებული სკოლებისა. ამაზე უკმაყოფილებას გამოთქვამენ მცხოვრებლები. მე ისდა დამრჩენია დავუმატო, რომ ჩემი გამოკითხვით მოედს ჩურუქ-სუს მხარეში არც ერთი სამოქალაქო სკოლა არ აღმოჩნდა. რაც შეეხება ლაზისტანის სანჯაყის მთავარ ქალაქს – ბათუმს, მასზე არ შეიძლება ბევრი რამის თქმა. ვიდაც რუსტიქმ, რომელიც სწავლობდა კონსტანტინეპოლში, შეიხულ-ისლამთან არსებულ სკოლაში, ბათუმში დაბრუნებისას გახსნა თავისი სკოლა, სადაც მოსწავლეებს სწავლაში ახდევინებდა თვეში 20 პიასტრს. რუსტიქს არ გააჩნდა მასწავლებლობისათვის აუცილებელი თვისებები და ამდენად, მის სკოლასაც რაიმე სარგებლობის მოტანა არ შეეძლო.

ქალაქი ბათუმი დაყოფილი იყო უბნებად და იყიდებოდა მსურველებზე, თვით უცხოელებზეც კი. ბ-ნმა ჯიუდიჩიმ ვიცხ-კონსულად ყოფნის დროს შეისყიდა 12 ასეთი მიწის ნაკვეთი და სკოლის ასაშენებლად შესწირა. შემდეგში ასეთ ნაკვეთებს ბ. ჯიუდიჩი იჯარით აძლევდა და შემოსავალს ასაშენებელ სკოლას სწირავდა. მაგრამ ყველა მისი დონისძიებანი ამაოდ რჩებოდა. ეს წარუმატებლობა უნდა მიეწეროს ან თურქეთის მთავრობის არაკეთილგანწყობას, ანდა ამ საქმისადმი მოსახლეობის დაუდევრობას. ყოველ შემთხვევაში, სკოლის მშენებლობას შედეგი არ მოჰყოლია.

აი, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა თქმულიყო ზოგადსაგან-
მანათ-ლებლო სკოლის აშენების შესახებ.

ევროპულ სკოლათაგან ბათუმში არის ბერძნული
სკოლა.

რაც შეეხებათ სასულიერო სკოლებს, ისინი შედარე-
ბით უკეთეს მდგომარეობაში დაგვხვდა. ყოველ ჯამესთან
არის სკოლა, სადაც უმთავრესად ყურანი ისტავლება. ასეთ
სკოლასთან მიახლოებისას ისმის ხმაური და ყვირილი... ეს
ანბანის გაზეპირებაა... იშვიათად რომელიმე მოსწავლეთა-
განმა ისტავლოს კითხვა ან წერა; თუ ასეთი ნიჭიერი აღ-
მოჩნდება, მაშინ ამ გენიოსს „გაყუფის“ ხარჯზე გზვნიან ბა-
თუმის მედრესეში. მედრესე – ეს გიმნაზიის ან სემინარიის
მსგავსი სასწავლებელია.

მედრესესათვის არჩევები საუკეთესო მოსწავლეებს და
გზვნიან კონსტანტინეპოლიში, შეიხ-ულ-ისლამის სკოლაში.
იქ, ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში რჩებიან, მაგრამ
ცოდნისათვის თავს არ იწუხებენ, წარმოადგენენ ულტრაკონ-
სერვატიულ ელემენტს, დებულობენ მონაწილეობას სულ-
თანთა წინააღმდეგ შეთქმულებაში და მათი მინისტრების
დამხმარებელი, ერევანის ყოველგარ პოლიტიკურ საკითხებში
და ყველგან შეაქვთ გამდინგარებული და ბრიყვული ფანა-
ტიზმი. ესენი არიან – ყბადაღებული სოფტები. ასეთი სი-
მამაცის გამოჩენის შემდეგ, სოფტები მოლებად ბრუნდებიან
სამშობლოში და ცხოვრობენ ვაყუფების ხარჯზე.

აღმოსავლური ყოფის ერთ-ერთი დამახასიათებელი
თვისებაა ის, რომ ყველაფერი კეთდება გარეთ, დია დუქნებ-
ში, ქუჩებშიც კი. ეს იმიტომ, რომ ცხელი კლიმატი აიძუ-
ლებს ხელოსნებს გამოვიდნენ შენობიდან. ამიტომაც ბათუ-
მის ქუჩებში გავლისას თქვენ შეგიძლიათ ნახოთ აქ როგორ
და რას აწარმოებენ.

არანაკლებ საყურადღებოა ქუჩის, ანუ საზოგადოებრივი
მწერლები, რომლებიც წერენ ყოველგარ თხოვნას, საქმი-

ან ქადალდებს და სხვ. ეს სპეციალობა შემოსავლიანია, რადგან მხარეში წერა-კითხვის მცოდნე ცოტაა.

ჩვეულებრივ, ასეთი მწერლები თავს იყრიან მეჯლისების და სხვა დაწესებულებების გვერდით, თაროზე დაალაგებენ ქადალდებით სავსე ყუთებს, ეს ქადალდი სიგრძით ჩვენსაზე ცოტათი ნაკლებია და უფრო განიერია, თხელი, პრიალა და კარგად დამზადებულია. ფაბრიკის შტამპი პირველი გვერდის მარცხენა მხარეს კი არა აქვს, არამედ მეოთხე გვერდის მარჯვენა მხარეს, რადგანაც თურქული დამწერლობა, რომლითაც ფორმდება ბათუმის მხარეში საქმიანი ქადალდები, იწყება მარჯვნიდან მარცხნივ.

თურქული სატარებელი სამელნე ძალზე ორიგინალურადაა მოწყობილი. წარმოიდგინეთ ოდნავ ჩაჭყლეტილი სპილენძის ფურცლის მოგრძო ბუდე სახურავებით ბოლოებში, რომელთაგან ერთი მჭიდროდაა მირჩილული, მეორე კი იღება. ეს არის კალამის და კალმისტარის ჩასადებელი, რომლითაც მწიგნობარნი სწერენ, მეორე ბოლოში (რომელიც იღება) გვერდიდან მიმაგრებული აქვს პატარა ყუთი, სპილენძისავე, ოვალური ფორმის, სახურავით, რომელიც იკეტება პატარა ურდულით. ეს ყუთი არის მინის სამელნის ბუდე, რომელშიც ასხია არა თხელი მელანი, არამედ რაღაც შავი, სქელი მასა. თურქულ დამწერლობას არა აქვს წვრილი ხაზები, ამიტომ თხელ მელანს არ საჭიროებენ.

თურქული დამწერლობის შეკუმშულობა (ხმოვანთა უქონლობის გამო) საუკეთესოა. თურქულის რამდენიმე ბწვარი ჩვენს მთელ გვერდს უდრის.

რაც შეეხება ქართულ დამწერლობას, ბ. ბაქრაძის თქმით, გურჯულად კითხვა და წერა დავიწყებულია, იგი ჯერ კიდევ შემონახულია ზოგიერთ ბეგებში, განსაკუთრებით ქალებში.

მე ვიცნობდი ბათუმში ერთ მწერალს. როდესაც რუსეთის ჯარი შემოვიდა ამ ქალაქში, ყველა სამოქალაქო

ჩინოვნიკი აქაურობას გაეცალა. დაინახა რა ჩემმა ეფენ-
დიმ, რომ გიაურები არც ისე საშიში ხალხია: არც ჰკლავენ
და არც მარგილზე აცვამენ, დამშვიდებით გააღო თავისი
დუქანი და რამდენადაც ჩვენი ხელისუფლება განცხადებებს
ყველა ენაზე დებულობდა, მან ფულის მოგროვება დაიწყო,
მაგრამ ჩქარა ისიც გაქრა ბათუმის პორიზონტიდან, „პრაქ-
ტიკის“ უქონლობის გამო ... იგი წავიდა ტრაპიზონში.

მიუხედავად თურქეთის მთავრობის მტკიცებისა, ადამი-
ანებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, ახალგაზრდა გოგო-
ბიჭებით ვაჭრობა, როგორც დავადგინე გამოკითხვით, ქვ-
ლაგ გრძელდებოდა, თუმცა ძალზე საიდუმლოდ. ამ ვაჭრო-
ბაში მონაწილეობდნენ ზოგიერთი ბეგი და თვით მეჯლისის
წევრებიც კი.

უნდა ვიცოდეთ, რომ თურქები ბათუმსა და ქობულეთში
იდგნენ არა მარტო იმიტომ, რომ ეს იყო მტკიცე ბასტიონი
რუსეთის წინააღმდეგ, არამედ იმიტომაც, რომ ქობულეთელი
ქალები განთქმული იყვნენ თავიანთი სილამაზით. ამიტომაც
ბათუმის დაკარგვა თურქებისათვის დიდი დანაკლისი იყო,
რამდენადაც ეს „ბაზარი“ მათვის სამუდამოდ დაიხურა.

ბ.ჯიუდიში დარწმუნებული იყო, რომ გოგო-ბიჭებით
ვაჭრობა აქ არასოდეს შეწყვეტილა. რა თქმა უნდა, „დაზარა-
ლებულთა“ საჩივრების უქონლობის გამო ამის დამტკიცება
ძნელდება, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ თავიანთ ბავშვებს
თვით მშობლებიც კი ჰყიდდნენ.

ჩვეულებრივ, კონსტანტინეპოლში გასაგზავნი ცოცხალი
საქონელი ჩამოჰყავდათ ბათუმში, იქ „საიდუმლოდ“ ინახავდ-
ნენ რომელიმე ბეგის ჰარემში და პირველ შემთხვევისთანავე
გზავნიდნენ გემით ტრაპიზონში ან პირდაპირ კონსტანტინე-
პოლში. მე დამისახელეს ბეგები, რომლებიც „ამარაგებდნენ“
კონსტანტინეპოლის ჰარემებს.

საერთოდ, ყველა მოგზაური, რომელიც კი თურქეთის
ბატონობის დროს ყოფილა ბათუმში, ამტკიცებს, რომ გონ-



შოთა რუსთაველი
(1845–1883)

ებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა ახლა უფრო დაბალია, ვიდრე იგი დაპყრობამდე იყო. უეჭველია, რომ ყველაფერი ეს ისლამის ბრალია. ამასთან, არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი შენიშვნებს, რომლებიც გააკეთა ერთ-ერთმა საქმეში საქმიოდ ჩახედულმა ბეგმა, ხასან-ბეგ ბეჟანიძემ (ბეჟანოღლი) ჩემთან და ბ. მესხთან („დროუბის“ რედაქტორი) საუბრის დროს. ბ. მესხის მეშვეობით გაკეთებულ ჩემს შენიშვნაზე, რომ მცხოვრებლებს რუსების

მხრიდან არაფერი აქვთ საშიში მათი სარწმუნოების გამო, რამდენადაც ამ უკანასკნელის მფლობელობის ქვეშ ცხოვრობს რამდენიმე მილიონი მუსლიმანი, ხასან-ბეგმა (რომელიც თავგამოდებულ მუსლიმანად ითვლება) მიპასუხა, რომ საშიშროება მათ სარწმუნოებას ამ მხრიდან კი არ ემუქრება, არამედ ქობულეთლებს ეშინიათ იმისა, რომ ქრისტიანობასთან დაახლოება ცუდად იმოქმედებს მუსლიმანური სარწმუნოების ისედაც შერყეულ დოგმების შესრულებაზე, რის შედეგადაც შეიძლება ჩამოშორდნენ ისლამს და შესუსტდეს მუხამედის რელიგიის წესების აღსრულება.

თ ა ვ ი მ ე შ გ ი დ ე

ბათუმის ნაცისადგური. – მისი სიღრმე. – უშიშროება. – ბაღმოფგირთვის მოხერხებულობა. – ბათუმის, როგორც სამხედრო ნაცისადგურის დაღებითი თვისებები. – ბათუმის ნაცისადგურის უკირატესობა ფოთისაზე. – პირდაპირი შრთირებობის შესაძლებლობანი ფოთითან, წზშრბეთან, ახალციხესთან, არტაანთან (შარსთან). – რპინიგზა ღუშრბეთისაკენ. – ირანული საქონლის ტრანზიტი.

დიდი ხანია მინდოდა ბათუმის ნავსადგურზე მელაპარაკა, მაგრამ უფრო სხვა ამბებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება. ბ. მალმუზიმ (იტალიის ყოფილი ელჩი ბათუმში) თავის თხზულებაში („ბათუმის ქალაქისა და ნავსადგურის მდგომარეობა“) დამაჯერებლად შეაფასა ამ ნავსადგურის სერიოზული მნიშვნელობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა სწრაფმა სავაჭრო ურთიერთობამ უმდიდრეს შიგა ოლქებთან* განსაზღვრა ტრაპიზონიდან ირანული სავაჭრო ტრანზიტის შედარებით შემცირება.

ამ ბოლო დროს, ბათუმის ნავსადგური გაუთავებელი მითქმა-მოთქმის საგნად იქცა. ეს აგიტაცია ხშირად მტრებისაგან მოდიოდა, ხშირად კი, ფოთის ნავსადგურის მშენებლების და მისი თავგამოდებული დამცველებისაგან. ჩემის აზრით, ბათუმის ნავსადგურისათვის საუკეთესო რეკომენდაციაა ლორდ ბიკონსფილდის მიერ პარლამენტში ამ ნავსადგურის სულელური შეფასება. ერთი რამ ცხადია: უნდა ვერიდოთ იმას, რასაც მტერი აგინებს და რასაც აქებს. . .

რაც შეეხებათ ფოთის ნავსადგურის დამცველებს, მათი მოსაზრებანი სუსტია, როგორც ფოთის სასარგებლოდ, ისე ბათუმის საწინააღმდეგოდ.

საქმის მცოდნე პირთა ცნობებით (ბ. ჯიუდიჩის მოხსენება, ბ. მალმუზის მოწმობა, ჩვენი მეზღვაურების გაზომვანი

* ომამდე რუსეთთან.

ადმირალ არგასის მეთვალყურეობით და სხვ.), შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბათუმის ნავსადგური გემების მისადგომად ერთ-ერთი საუკეთესოგანია მთელს შავ ზღვაზე. ნავსადგური ძალზე მოსახერხებელი და ღრმა. იგი წარმოქმნილია აღმოსავლეთის მხრივ ზღვაში შეჭრილი კონცხით, ხოლო დასავლეთით მდ. ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ქვიშით. ბათუმის უკურე ხუთ ვერსს აღწევს და დაცულია ერთის მხრივ, პერანგას მთის განშტოებით, მეორეს მხრივ, ლაზისტანის და პონტოს მთების მწკრივით.

ნავსადგურის ტევადობა მნიშვნელოვანია. აქ ათიდან თორმეტამდე სამხედრო ხომალდს თავისუფლად შეუძლიათ დოგმა ისე, რომ მობრუნდეს ან იმოძრაოს. აქვე, საჭიროების შემთხვევაში თხუტმეტამდე სამხედრო ხომალდს შეუძლი გახერება.

ცუდი ამინდის დროს, ორმოცდაათამდე ხომალდი თავისუფლად მოთავსდება სანაპიროს გასწვრივ და გემმისადგომთან.

ნავსადგურში წყლის სიღრმე შესანიშნავია. დიდ მისადგომთან, ნაპირიდან ოცი საჟენის მოშორებით მოადგებიან ყველაზე დიდი სამხედრო ხომალდები. ახლა ნაპირთან წყლის სიღრმე 26-დან 40 საჟენამდეა. ალაგ-ალაგ არის უფრო ნაკლებიც,

მაგრამ ძირითადად სიღრმე ერთნაირია.

ბათუმის ნავსადგური დაცულია ყველა ქარებისგან; აქ მხოლოდ სამხერეთ-დასავლეთის ქარი აღწევს, მაგრამ მას დაბმულ გემზე რაიმე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ამიტომაც, აქ ყოველ დროს შეიძლება დატვირთვა და გამოტვირთვა ყველაზე დიდი საზღვაო გემებისა. ამის გამო ნავსადგურის სავაჭრო მნიშვნელობა ფასდაუდებელია.

ბათუმის ნავსადგურის, როგორც სამხედრო ნავსადგურის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ იგი დაცულია თურქელი სიმაგრეებით (რომლებიც თურქებს მილიონები



ბათუმის პორტი და სანაპირო. 1883 წ.

დაუჯდათ), რომელთა მიწაყრილები მთებს უფრო ჰგავს ვიდრე ბატარეის ზეინულებს.

გარდამავალი და ჯერ კიდევ არამყარი მდგომარეობის გამო ვაჭრობა ბათუმში ახლა დაცემულია, მაგრამ ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა, მიუხედავად მისი პესიმისტური შეფასებისა, უეჭველად დიდია.

გასაგებია, რომ ბათუმის აყვავება ახლავე არ დაიწყება. ბევრია გასაკეთებელი და მოსაწყობი, რათა ეს ნავსადგური გადაიქცეს შავ ზღვაზე ირანის და კავკასიის სატრანზიტო თავშესაყრად. როგორც კი გავა გზა ერთის მხრივ, ახალციხისაკენ, მეორეს მხრივ, ოზურგეთისაკენ, ტფილისისაკენ და ბაქოსაკენ, მაშინვე გაცხოველდება ვაჭრობა და ყოველგვარი საქმიანობა.

ფოთის ნავსადგურის შესახებ უნდა დავასკვნათ, რომ ამ დავაში, თუ რომელ ნავსადგურს მივაკუთვნოთ უპირატე-

სობა, ფოთი გადაწეული უნდა იქნას უგანა პლანზე. ეს დავა იხრება ბათუმის სასარგებლოდ, სხვათაშორის, შემდეგი მოსაზრების გამო: უპირველესად, პრაქტიკაში დადასტურა, რომ ფოთის ნავსადგურის მოწყობაზე* გაწეული მუშაობა აქამდე ამაო იყო. რა თქმა უნდა, სასურველი შედეგი რომ იყოს მოსალოდნელი, მაშინ არა უშავს დახარჯულ ფულსა და გაწეულ შრომას, მაგრამ შემდგომი ხარჯვა ფულისა, რომელზედაც ესოდენ დიდი მოთხოვნილებაა ჩვენში, არ მოგვიტანს არსებით სარგებლობას, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას რომ: ა/ფოთი დიად და დაუცველი ქარებისაგან; ბ/ფოთის ციებიანი და არაჯანსაღი კლიმატი უფრო მავნეა, ვიდრე ბათუმისა.



გიორგი გოგებაშვილი
(1843-1928)

შეიძლებოდა რისკზე წავსულიყავით და ახალი თანხები გაგვეხარჯა ბათუმის ნავსადგურზე, შთამომავლობის ჭკუის სასწავლებლად და მშენებელთ - დასამშვიდებლად... მაგრამ თუ ფოთის ნავსადგურით ეს უშედეგო გართობა დაუსრულებლად გაგრძელდება, მაშინ ბათუმის სამიმოსვლო საშუალებებზე ფული აღარ

იქნება საკმაო, რამდენადაც ფოთიდან რაღაც “სარგებლის” მოლოდინში ბათუმის ინტერესები მივიწყებული იქნება. იგი

* ნავსადგური შენდება 1862 წლიდან და მან ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით შთანთქა რამდენიმე მილიონი, რომ აღარაფერი გოქვათ სახარჯთაღრიცხვთ ათეულ მილიონებზე...

აუცილებელია ჩვენთვის, როგორც შეუცვლელი საგაჭრო საწყობი ტრანზისტორების, შესანიშნავი ნავსაყუდელი და საიმედო სამხედრო პოზიცია.

დაე, ამტკიცონ პესიმისტებმა, რომ ბათუმის ოლქი თავისი მთა-გორიანობის გამო მოწყვეტილია რუსეთს ხმელეთით და, თითქოს, მას არ პქონდეს საგაჭრო მნიშვნელობა და, რომ იგი მნიშვნელოვანია მხოლოდ, როგორც ნაერთები, როგორც დროებითი გასაჩერებელი სამხედრო ფლოტისათვის. არცერთი ამ დებულებათაგანი არ არის მისაღები, თუკი უურადღებით დაგვხედავთ ბათუმის მხარის რუკას.

დიახ, მხარე მთა-გორიანია, მაგრამ ეს სრულებითაც არ სპობს სამიმოსვლო საშუალებებს ამიერკავკასიის ისეთ მხარეებთან, როგორიცაა: ფოთი, ოზურგეთი, ახალციხე, არგავანი (ყარსი).

პირველი გზა შავი ზღვის სანაპიროს გასდევს და მხოლოდ ციხისძირთან და მახინჯაურთან იქმნება ოდნავ სიძნელე.

მეორე გზა ასევე ცნობილია: იგი აღვწერეთ მეც და სხვა პირებმაც. გზა ახალციხისაკენ აჭარის გავლით მიდის. იგი საჭიროებს დამუშავებას, მაგრამ ეს გზა ძველთაგანვე საქართველოა (ყაზბეგი). ბოლოს მესამე გზა არტაანისაკენ, ართვინის და არტანუჯის გავლით დამუშავებულია თურქების მიერ, რომლებმაც აქ შარაგზის გაყვანაც კი დაიწყეს.

ჩვენ უკვე დავიწყეთ ზემო აჭარისა და არტაანისაკენ გზის გაყვანა.



ბიორგი შაზბეგი
(1839-1921)

ბათუმის შეერთებაზე ფოთი-ტფილისის სადგურთან,
რომლის პროექტზეც ახლა მუშაობენ, მე მქონდა საუბარი
აქაურ საპატიო პირებთან, რომლებიც ფიქრობენ, რომ რკი-
ნიგზის გაყვანა ბათუმიდან ოზურგეთამდე დაუძლეველი არ
არის.*

გზის გაყვანით, რომელიც აუცილებელია, პესიმისტთა
ნერვიულობაც იკლებს.**

ბოლოს გადავდივარ ბათუმის, როგორც სავაჭრო ცენ-
ტრის მნიშვნელობაზე. მნიშვნელობა ძალზე სერიოზულია.
ჯერ მარტო ზღვასთან მისი გეოგრაფიული მდებარეო-
ბის გამო, რომელიც შეიძლება შეუერთდეს ტფილისა
და ბაქოს ერთის მხრივ, ყარსს (ჩვენს ახალ ბეჭედს) –
მეორეს მხრივ. ბათუმის მხარეს, თავის დროზე შეუძლია
სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ირანული საქონლის
სატრანზიტო ქალაქ ტრაპიზონს და იგი საშუალებას
მოგვცემს ყარსის პური შავი ზღვით გადავიტანოთ საზღ-
ვარგარეთ. თუ ოპონენტები შემოგვედავებიან იმაზე, რომ
ამას შეუძლია გამოიწვიოს გზის (ბათუმი-ტფილისი, ფო-

* ხუსეინ-ბეგ ბეჟანოდლი (ბეჟანიძე) როგორც ადგილობრი-
ვი, ფიქრობს, რომ გზა შეიძლება გაყვანილი იქნეს ბათუმიდან
სოფ. ჩაქვმდე. პირველი უბანი იქნება: ქ.ბათუმი, მდ.ბარცხანა,
მდ. სკურკუტა, მათ შორის კი პატარა შემაღლება – სალიბაური.
შემდეგ სულ სწორი ადგილი თრთაბათუმამდე. მხოლოდ ერთი
გადასასვლელი მდ.კორონის-წყალზე. მეორე უბანი: თრთაბათუ-
მის იქით სოფ.კორომხეთისაკენ, საიდანაც გზა მიდის ჩაქისაკენ.
გზად გვხდება პატარა მთა (მტირალას მთა). მას რომ გვერდი
აუაროთ, საჭიროა ზღვისაკენ დაწევა და გადასასვლელად კარგი
ადგილის შერჩევა კაპრეშუმის წყლის იქით. შემდეგ იქნება მახ-
ინჯაური, მდ. კარადერეს-წყალი, გადასასვლელით სასირეცელის
მთაზე, ჩაქის მიდამოები სოფ. ჩაქისაკენ და შ.

**ახლა წამოჭრილია საკითხი ბათუმიდან ახალციხემდე რკი-
ნიგზის გაყვანის. ამას გარდა, ეს პუნქტი შეიძლება შეუერთდეს
ბაქოს.

თზე გვერდის ავლით) გაგრძელება და ერთ ფუთ პურზე 1-2 კაპიკით გადასაზიდი ხარჯების გაზრდა, ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ცუდი ამინდის პირობებში, რომელიც თვეობით გრძელდება, ფოთის ნავსადგურის მიუდგომლობა და სხვა სიძნელეები, მოითხოვენ უფრო მეტ ხარჯებს ვიდრე ის, რომელიც დასჭირდება საქონლის გამგზავნელებს ფოთის ნავსადგურში.

სამხედრო თვალსაზრისით ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობაზე მე უკვე ვიღაპარაკე. დაწვრილებით ცნობები ამაზე შეიძლება ვიპოვოთ ბ. ყაზბეგის „ნარკვევებში“.

თ ა გ ი მ ე რ გ ა

თურქების ქოფნა და გამზადება. – მიმღები პომისია. – შავშეთის, მაჭახლის, ართვინის და სეგა აღგილების დეპუტაცია. – შუჩქ-აღა. – ახმელ-ეფედი. – ნური-პები. – ზემო აჭარელთა დეპუტაცია. – შერიფ-პები. – თავად სეიატოალი-მირსპის გამზადება.

აქამდე მე ძალიან ცოტა ვთქვი იმის შესახებ, თუ ბათუ-მის დაკავების შემდეგ რა ფორმებში გამოიხატა ჩვენი ურთიერთობა, არა მარტო თურქებთან, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასთანაც. პირველთა შესახებ შეიძლება ცოტა რამ ითქვას: თურქების ბათუმში ყოფნისას ერთმანეთის მიმართ ორივე მხარე ძალზე თავაზიანი იყო: იყო ორმხრივი სადილები, თავაზიანობა, სადღეგრძელოები, სიტყვები და სხვა. ამასთან რუსეთ-თურქეთის მიმღებმა კომისიამ, რომელსაც ევალებოდა ყველა თურქული უძრავი ქონების გარკვევა და მისი რუსეთისათვის ჩაბარება, ჩქარა დაამთავრა თავისი საქმიანობა.

თურქებს ადარაფერი დარჩენოდათ ბათუმში, რამდენადაც ჯარი, ავადმყოფები და ყოველგვარი ბარგი შეგვ გადავიდა ტრაპიზონში. ადგილობრივი ოჯახების უდიდესი ნაწილი თურქებმა უკვე გაიყვანეს, ხშირად, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ.

ნელ-ნელა რუსულ ხელისუფლებას საშუალება ეძლეოდა გაცნობოდა მხარის ცნობილ წარმომადგენლებს, ყური დაეგდოთ მათი სურვილებისა და გაჭირვებისათვის და შედგომოდა მხარის მართვის ორგანიზაციას.

ჯერ კიდევ 30 აგვისტოს, გენ. კომაროვთან ერთად ჩამოვიდა შავშეთის, ართვინის, მაჭახლის მცხოვრებთა დეპუტაცია, რომლებსაც მეთაურობდა უძლიერესი გვარის წარმომადგენელი ნური-ბეგ ხიმშიაშვილი. დეპუტატთა შორის იყო ქუჩუქ-აღა, წარმოსაჩენი პიროვნება მაჭახლიდან.

ეს იყო თავგანწირული კაცი, რომელსაც შიშის ქვეშ პყავდა მთელი ქვეყანა. ვინც მასთან კარგად იყო, მას შეეძლო თავი უშიშრად ეგრძნო. იგი მიემხორ რუსულ რაზმს. გენ. კომაროვის ერთმა ოფიცერმა მიამბო, როდესაც ჩვენმა ჯარმა ქუჩქ-აღის სოფელში გაიარა, მას სიხარულით შეხვდნენ. გამოვიდა ქუჩქ-აღის ქალიშვილი, რომელსაც ჩემმა მთხობელმა ვერცხლის ფული აჩუქა. ამაზე მამამ უპასუხა, რომ სტუმრებისაგან ფულის აღება წესი არ არისო, მაგრამ იგი ნებას რთავს მის ქალიშვილს, აიღოს ეს ვერცხლი, როგორც სამახსოვრო იმისა, რომ რუსი სტუმრები პირველად ეწვიენ მის სახლს...



0საბ ახმედის ხალგაში

ახმედ-ეფენდი – მარადიდის წარმომადგენელი, – ძალიან გულკეთილი პიროვნება. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენთვის მაშინ, როდესაც (ბერლინის კონგრესის დროს) დევრიშ-ფაშის ბრძანებით მუსტაფა-ფაშა ცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენთვის არტაანის რაზმის სურსათით მომარაგებაში. ახმედ-ადა მხიარული მოსაუბრეა, უყვარს ჭამა-სმა და მიუხედავად წინასწარმეტყველის აკრძალვისა, ყელს ისველებს „ფრენგის“ სასმელით... მისი სახლი, ანუ აგარაკი კარგადაა მოწყობილი; ყველაფრიდან ჩანს, რომ აქ ცხოვრობს თავისებური საბარიტი*.

ნური-ბეგ სიმშიაშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაღალი, ავადმყოფური შესახედაობისაა. გავლენა აქვს თავის ხალხში. იგი შავშეთის მმართველად იყო. მან სრულყო სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგი და ითვლება განვითარებულ კაცად. მეთაურობდა ოურქულ მილიციას, დიდი ხანია რუსებთან ურთიერთობაშია. საქმის ვითარების გამო, როცა მან ვეღარ დამალა თავისი ურთიერთობა რუსეთთან და, როდესაც საჭირო იყო რუსების სურსათით მომარაგება, მან ისე წაიყვანა საქმე, თითქოს, რუსებმა ძალად წაართვეს პროდუქტები. არტაანის რაზმის შტაბის უფროსის გენ. ლევაშვილის და მხარის მმართველის პ. მეფისოვის წინამდღოლობით, მფრინავი რაზმი თავს დაესხა ნური-ბეგის მამულს, წაიღეს ყველაფერი, რაც სჭიროდათ, ამასთან თან წაიყვანეს თვითოონ ნური-ბეგიც...

საერთოდ, ართვინში რუსის ჯარის თერთმეტოვიანმა დგომამ დიდად შეუწყო ხელი მხარის მშვიდობიან შემოერთებას. ჩვენმა სამხედრო ხელისუფლებამ შესძლო კავშირის დამყარება მხარის გავლენიან პირებთან და ამა თუ იმ საშუალებით მოსახლეობის გადმობირება რუსეთის მხარეზე.

* ფუფუნებით განებივრებული ადამიანი (რ.ს.)



ნური-ბეგ (1835–1907), ჯემალ-ბეგ და ისა-ბეგ ხიმშიაშვილები

31 აგვისტოს დეპუტატები წარუდგნენ კავკასიის მეფის ნაცვლის მოადგილეს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის, რომელმაც აუხსნა მოსახლეობას, რომ რუსეთის მმართველობას ყველაზე კეთილი განზრახვები აქვს მათდამი, ოღონდ კი მათ იცხოვრონ მშვიდად და ნუ ეშინიათ თავიანთი სარწმუნოების და ქონებისა.

დეპუტატები ამ მიღებით კმაყოფილი დარჩნენ. ჩვენი ქართველობა აგრეთვე ცდილობდა მათთან დაახლოებას. წარმომადგენლები გაჩერდნენ თავიანთ ბათუმელ ნაცნობებთან, რომლებმაც სიხარულით შიიღეს ისინი.

მაგრამ მთელი „თურქეთის საქართველო“ ჯერ არ იყო შეკრებილი. მხოლოდ 2 სექტემბერს, გენ. ტრეიტერის

კოლონასთან ერთად ჩამოვიდა დეპუტაცია, ზემო აჭარის ცნობილ მმართველთან შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან ერთად.

შერიფ-ბეგი რამდენიმე გზის აღწერილი ჰყავთ სხვა მოგზაურებს (ამასთან, დადებითად), ამიტომ მე დავგმაყოფილდები მხოლოდ ერთი შენიშვნით, რომელიც ამ შესანიშნავ პიროვნებას ახასიათებს. ყოველთვის, ლხინში თუ უბედურებაში, იგი ერთნაირია: მხიარული ღიმილი არ სცილდება მის ჭრვიან სახეს. თავისი მდგრმარეობით, როგორც შეილიშვილი განთქმული სელიმ-ფაშისა და შვილი ახმედფაშა აჭარელისა, იგი ყველაზე გავლენიანი და გამოჩენილი პიროვნებაა მთელს თურქეთის საქართველოში. მას ჰყავს მტრები, რომლებსაც ჩუმად აქეზებენ თურქეთის აგენტები.

უნდა ითქვას, რომ ზემო და ქვემო აჭარლები ძალზე მოუსვენარი ხალხია. ურთიერთშორის აქვთ მუდმივი დავა, ჩხუბი, ძარცვა, მკვლელობა...

ამგვარად, 2 სექტემბერს ბათუმში ჩამოვიდნენ სამივე კოლონის უფროსები, რომლებიც სამი მხრივ მიემართებოდნენ ამ პუნქტისაკენ. მათთან ერთად ჩამოვიდნენ დეპუტატები მთელი მხარისა, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთს შეუერთდა.

შეიყარნენ ძმები – ქართველები მთელი თურქეთის საქართველოდან; საჭირო იყო მათი გამასპინძლება ძველი რუსული წესის მიხედვით.

ქალაქის მოედანზე ლხინია გამართული. რუსული ხელისუფლება მასპინძლობს ჩურუქ-სუელებს, ბათუმელებს, შავშელებს, იმერხეველებს, მაჭახლელებს, ართვინელებს და აჭარლებს... „ტოლუმბაშად“ შერიფ-ბეგი აირჩიეს. იგი აქაც ყოჩაღი აღმოჩნდა... დიდხანს ილხენდნენ სტუმრები სამხედრო მუსიკის თანხლებით.

მეორე დღეს თავ. მირსკიმ მიიღო მთელი აჭარის დეპუტატები და აუხსნა მათ, რომ ისინი, როგორც რუსეთის ახალი ქვეშვერდომები, ერთგული უნდა იყვნენ რუსეთის იმპერატორისა, რომელსაც მისი ქვეშვერდომების კეთილად

და შშვიდობიანად ცხოვრება სურს. თავადმა სფიატოპოლკ-მირსკიმ მათ გასაგებად უთხრა, რომ რუსეთის მმართველობის დროს მათი ცხოვრება უზრუნველყოფილია და იშრომონ თავისეავე კეთილდღეობისათვის, დვთის წყალობით მათი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაგრამ არ დაუშევებს რბევას, ძარცვას, თვითმართვას და ძალადობას და, რომ ასეთი მოვლენების აღსაკვეთად თვით ხალხმა უნდა აღმოუჩინოს მთავრობას დახმარება.

უურადღებით მოისმინეს დეპუტატებმა ეს სიტყვები და მალე წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში...

მონათხრობის სრულყოფისათვის დავამატებ, რომ ამ დროისათვის ბათუმში ჩამოვიდა რუსეთის ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, თავ. სფიატოპოლკ-მირსკისაგან დამოუკიდებლად, რომელიც ტონს აძლევდა მთელს მიმართულებას. ბათუმში ჩამოვიდნენ: ადმირალი არკასი – ნავსაღვურის დათვალიერებისა და აზომვისათვის, გენერალ-ინჟინერი რებერგი – საინჟინრო ადმინისტრაციისა და დათვალიერებისათვის; სამხედრო-სამედიცინო ინსპექტორი ბ. რემერტი – სანიტარული განზრა-ხულობებისათვის, გენერალი ალხაზოვი, როგორც გურიის რაზმის ჯარების უფროსი; მთავარი სამხედრო-საგელე ხაზინადარი ბ. სლობოდიკოვი – ფულის გაცვლისა და ხაზინის მოწყობისათვის; კავკასიის ტელეგრაფის უფროსის მოადგილე ბ. სერგეევი, ტელეგრაფის საქმეზე; საბაჟო უწყების უფროსი, გრაფი ფონ-დერ ოსტენ-საკენი – საკარანგინო-საბაჟო უწყების განყოფიელის დაარსებისათვის. მხოლოდ საფოსტო უწყება არ ჩანდა („ბრწყინვალებდა“)... სამაგიეროდ რამდენიმე გენერალი ჩამოვიდა ქუთაისიდან და ოზურგეთიდან. ამის აუცილებლობა კი სრულიად არ არსებობდა. საქმეს მთავარი ბიძგი მისცა და 3 სექტემბერს თავადი მირსკი ბათუმიდან გაემგზავრა; იგი უამრავმა ხალხმა გააცილა თხოვნით: ეშუამდგომლა მეფისნაცვალთან მათი ხვედრის გაუმჯობესების თაობაზე და პირადად გამოეხატა დიდი თავადისათვის მათი ერთგულება და სურვილები.

თ ა გ ი მ ე ც ხ რ ე

**ბათშვის საგაფრო ცენტრი. – სანაკიონი. – დუმნები. – სადილი
შერიც-პეჩთან. – ბამბზაზრება ზღვით. – ბზმბ. – მდინარემბი.
– ნაოსნობა.**

სანაპიროს ტალახისა და სიმყრალისაგან გაწმენდის შემდეგ ნავსადგურმა რიგიანი შესახედაობა მიიღო. საერთოდ, ყოველგვარი საგაჭრო საქმიანობა ბათუმში თავს იყრის ნავსადგურის ახლოს. აქ არის ლაზების, ბერძნების და სომხების რამდენიმე დუქანი, დიდი ნაწილი სასტუმროებაზახანებისა, ორი-სამი რიგიანი ქვის სახლი, მათ შორის ეკროპულად სრულყოფილად ნაშენი ბ. ჯიუდიჩისა. კარგი სასტუმრო მე ვერ ვნახე; ჩვენ დროს დაიწყეს მათი მოწყობა და გაწმენდა ძველი ჭუჭყისაგან. ლაზი მუხამედის სასტუმროც საშინალად ბინძური შენობა იყო, მხოლოდ გარედან ჰქონდა მას ოდნავ წესიერი შესახედაობა.

დუქნები ბათუმში ძალზე ბევრია. ისინი ნაწილობრივ სანაპიროზეა, უმეტესად მოედნებზე და ქალაქის შუაგულში გამავალ ქუჩებზე მდებარეობს. კარგი მაღაზიები საერთოდ არ არის. დუქნების უმეტესობა ძველია და ნახევრად დანგრეულ საკუჭ-ნაოებს წარმოადგენს.

ბათუმის საგაჭრო საქონელზე მე ადრე უკვე ვიღაპარაკე. ციფრობრივი მონაცემები ვერ მომყავს, რადგანაც ისინი ვერ ვიპოვე; არის მხოლოდ ცნობები, რომლებზედაც ლაპარაკობს ბ. ჯიუდიჩი (ისინი ციტატებად უკვე მოიყვანა ბ. ბაქრაძემ), მაგრამ ეს ცნობები უწინდელ დროს ეხებიან.*

* ბ. ჯიუდიჩის გამოთვლით, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად, ლაზისტანის სანჯაყი ჰყიდის 30 000 კგ. სიმინდს, 18 000 ოყა ბრინჯს, 3000 ოყა თაფლის სანთელს, 10 000 ოყა თაფლს, 12 000 ოყა თევზის ზეთს, თითქმის 150 შეკვრა აბრეშუმის ქსოვილს და ბადეს; 5 ან 6 ტეირთ საშენ და საშეშე ხე-ტყეს; – ეს ციფრები არც თუ ისე მნიშვნელოვანია.

ბათუმში საერთოდ არ არის საზოგადოებრივი ბაღი, გასართობი და სხვა დაწესებულება. მოსახლეობა სანაპიროზე სეირნობით და ყავახანებით კმაყოფილდება. იშვიათად აწყობენ ისინი ქვეითს.

ჩემი ბათუმში ყოფნის დროს შერიც-ბეგ აჭარელმა ბათუმის ხელისუფლების და სხვა პირებისათვის სადილი გამართა, რომელიც განსაკუთრებული გამოცოცხლებით გამოირჩეოდა. ითქვა რამდენიმე გულითადი სიტყვა. სხვათა შორის, ოლქის უფროსმა გენ. კომაროვმა ილაპარაკა ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების შევიდობიან შერწყმაზე რუსეთის ინტერესებთან და სხვა. შერიც-ბეგმა, ცნობილმა თავისი ენამახვილობით, წარმოსთხვა სიტყვა, აღსავსე იუმორით, რომელიც შეეხებოდა რუსების და ადგილობრივ მცხოვრებთა ახლადამოყალიბებულ ურთიერთობას. სიტყვები წარმოსთხვეს სხვა სტუმრებმაც. სადილზე მოჰქონდათ, იმეტესად ევროპული კერძები, თუმცა არც ადგილობრივი კერძები დავიწყებიათ.

სტუმართა შორის იყვნენ ადგილობრივი მკვიდრნი, მუჰამედის თავგამოდებული მიმდევრები, რომლებიც ბაირამის გამო საჭმელს საერთოდ არ მიაკარებიან, თუმცა ზოგიერთები უარს არ ამბობდნენ შამპანურზედაც კი, განსაკუთრებით სადღეგრძელოების დროს.

ქობულეთელთა საჭმელების შესახებ უნდა ვთქვა, რომ მათ ძალიან კარგი ხორბლის პური იციან; ფართო ხმარება-შია ყველი, ერბო, კვერცხი. საერთოდ, ქობულეთლები მცენარეულ საკვებს ეტანებიან, როგორიცაა ლობიო და სხვა. კლასიკური ფლავის გარდა ხმარებაშია წვნიანი გელინ-ჩორბახი (პატარძლის წვნიანი), ქათმის მკერდი, თაუკ-გენქისი რძით, შაქრით და სხვ. იმამ-ბაილდი (იმამის ნანდომი – საყვარელი კერძი, სხვა არაფერია, თუ არა ბადრიჯნის ფარში), იახნი, მზადდება საქონლის ხორცისაგან, პამიდვრისა და სხვა თეთრი სოუსით, იალან-დოლმა – დაკეპილი საქონლის ხორცი ვაზის ფოთოლში შეხვეული და სხვ.

ქობულეთლები ამზადებენ აგრეთვე სასმელს – მასტიკას. და ბოლოს ყავა, რომელსაც ნახავთ აქაურთა სუფრაზე ყოველთვის, როდესაც არ უნდა ეწვიოთ მათ.

როგორც სამზარეულო, ისე ყოველგვარი საკულინარიო მოწყობილობანი უმთავრესად თურქულ სახელს ატარებს.* ზოგიერთი თურქული წესები და თურქული ენა ქობულეთელი არისტოკრატებისათვის იმავე მნიშვნელობისაა, რაც ჩვენთვის ფრანგული მოდა და ენა.

სადილის შემდეგ, ოლქის უფროსის წინადადებით გავისეირნეთ ზღვის ნაპირზე, ავედით ბათუმში ახლახან მოხულ ნაღმოსანზე დაიტენდანტ ზაპარენჯოს მეთაურობით. ჩვენ ვისეირნეთ ჭოროხის შესართავამდე; მხოლოდ პოლქოვნიკ ქს ზღვით გამოწვეულმა შიშმა შეგვიშალა ხელი ჭოროხის შესართავში შესვლაზე. საინტერესო სანახავი იყო ხმელეთზე უშიშარი მხედრის შიში წყალზე...

ბუნებრივია, საუბარი შექმო საზღვაო და სახმელეთო გზებს. როგორც ადგილობრივი ბეგები, ისე რუსები, რომლებმაც აქ გაატარეს მთელი კამპანია ართვინიდან ბათუმამდე, უზიოდნენ ცუდ გზებს, რომელთა გაყვანაზე და კეთილმოწყობაზე თურქეთის მთავრობა სრულებითაც არ ზრუნავდა. პირიქით, როდესაც შერიფ-ბეგმა თავის მამულში დაიწყო გზების გაყვანა, მთავრობამ აუკრძალა ეს სამუშაოები და ამაში მას სამშობლოსადმი დალატი დასწამა. მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გზებს ექცეოდა ცოტა-ოდენი ყურადღება. განზრახული იყო ციხისძირთან მისასვლელი გზის გაკეთება. ამას გარდა, უგანასკნელ ომზე დიდი ხნით აღრე დაპროექტებული იყო შარაგზის გაყვანა ბათუმიდან არტაან-ყარსისაპენ, მაგრამ იგი არ დამთავრებულა.

* ჩანაკი – თევზი; ბიჩაქ – დანა; ქაშუპა – კოვზი; თაუქ – ქათამი; ხოროზ – მამალი; ფილდიჯ – წიწილა; ინდი-თაუქ – ინდაური; მირონ – ლინო; სუ – წყალი და სხვა.

ასეთი უგზოობის გამო, ტვირთის გადატანა მთებში სა-
 პალნებით ხდება. თვითონ მცხოვრებლები კარგი მოსიარუ-
 ლები არიან და ამიტომ უმთავრესად ფეხით დადიან.

ეკიპაჟთაგან კავკასიის ყველა მცხოვრებისათვის
 ცნობილია კლასიკური ურემი. მისი ბორბლები ერთი
 მთლიანი მორისაგანაა გამოჭრილი და ხშირად არასწორი
 ფორმისაა.

მდინარეები, რომლებიც მოსახლეობისათვის ტვირთის
 დასაცურებელ საშუალებას წარმოადგენენ, შემდეგია:

მდ. ჭოროხი. იგი უღებს სათავეს ბაიბურთის მიდამ-
 ოებში, ოლთისის და შავშეთის მხრიდან. ართვინამდე მას
 ერთვის პატარა მდინარეები; ართვინიდან ჭოროხი მოედ-
 ინება ბათუმისაკენ და აქ ერთვის ზღვას. ქ. ბათუმს სავაჭრო
 ურთიერთობა ამ მდინარის საშუალებით აქვს ართვინთან.

მდ. ჩოლოქი სათავეს იღებს ჭახათის მთაში, მოედინე-
 ბა ძველი საზღვრის გასწვრივ და ერთვის ზღვას სოფ. შეკვეთილის ახლოს.

მდ. კინტრიში იწყება კვირიკეს* მთასთან ახლოს და
 ერთვის ზღვას ჩურუქ-სუსთან ახლოს.

ჩურუქ-სუდან სამი საათის სავალიდან, მოედინება მდ.
 აჭყვა, რომელიც სოფ. აჭყვისთავთან ახლოს უერთდება მდ.
 კინტრიშს.

ბოლოს, ჩურუქ-სუსთან ოთხი საათის სავალზე** კინ-
 ტრიშს (?! ერთვის მდ. ღეგვა.

გარდა ამ მდინარეებისა, რომლებიც ერთვიან შავ ზღვას,
 არის კიდევ უმნიშვნელო მდინარეები: აჭყვა, ჩაქვის-წყალი,
 ყოროლის-წყალი და სხვ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მდინარე, მათ შორის
 ჭოროხიც კი, სანაოსნოდ გამოუსადეგარია. მოსახლეობა

* უნდა იყოს ხინოს მთასთან (რედ).

** აქ ალბათ იგულისხმება მეოთხედი საათი (რედ.).


მათ იყენებს ხეების დასაცურებლად და ნაწილობრივ (მდ. ჭოროხი) ნავებით მიმოსვლისათვის.



ნავიდან საქონლის გადმოტვირთვა

ზღვისპირა და მდ.ჭოროხთან მცხოვრები მოსახლეობა საუკეთესო მცურავებად და მეზღვაურებად ითვლებიან. ისინი თავიანთი პატარა ნავებით გაბედულად მიდიან ზღვაში. ამდენად, მათი სმელეთზე განთქმული გაბედულება არც ზღვაში მოიკოჭლებს. მიუხედავად ამისა, საზღვაო საქმით ისინი შორს ვერ წავიდნენ.

გემთმშენებლობა ბათუმის მხარეში ადგილობრივი მნიშვნელობისაა; ჩვეულებრივ, შეკრავენ ორ-სამ მორს, დააწყობენ ზედ ტვირთს, მასზე დაჯდება ორი-სამი ახ-ალგაზრდა, ფეხები წყალში აქვთ ჩაწყობილი, ხელში ნიჩბის მსგავსი ხეები უჭირავთ და მიდიან რომელიმე მდინარის დინებით, 25-30 ვერსის სიშორეზე. ადგილზე ჩასვლისას, გაბედული მოცურავები ტვირთს ჩააბარებენ,



დატვირთული ნავი ჭოროხზე სოფ. ბორჩხა.

მორებს გაჰყიდიან შეშად და ოვითონ ფეხით ბრუნდებიან სოფელში.

ბევრი ჭორომების გამო ტივებით მოგზაურობა სახი-ფათოა და ამოტომ მოსახლეობა იყენებს „კაიუკებს,“ რო-მელიც გრძელ და ვიწრო ნავს წარმოადგენს. ამ ნავის უმოკლესი ზომა 5 საუკინაა;

ჩვეულებრივ კაიუკა ძალზე გრძელია. კაიუკების ასაშენე-ბლად ჯერ აწყობენ მინიატურული ხომალდის სამაგრს, მრუდე ორ რიგ მუხის ძელს. მათ ამოჭედავენ სხვადასხვა ჯიშის ხის ფიცრებით, რომელთა შორის თუთას დიდი მნიშვნელობა აქვს და კაიუკა მზადაა.

კაიუკას სამი კაცი მართავს; ამათგან ორი წინ ზის და ნიჩას ჩვეულებრივად უსვამს, მესამე დგას უკან და ორი ნიჩით მიმართულებას აძლევს მას. მენავეთა ხელოვნება

მართლაც განსაკუთრებულია. ყოველი კაიუკის ღირებულება 1500 უშრუშია.

მდ.ჭოროხი ყოველ ვერსზე ჩახერგილია ჭორომებით. წყალი მოაჭენებს ნავს სწრაფად, ამიტომ ნავის მართვა მორევში, რომლებიც ზედ კლდის პირასაა, ძალზე საშიშია, მაგრამ მენავეები იმდენად დახელოვნებული არიან, რომ უბედურ შემთხვევას თითქმის არ აქვს ადგილი. ნავი, ამგვარად, ართვინიდან ბათუმამდე მისვლას, წყალმარჩხობის დროს, 8-დან 10 საათს ანდომებს. როდესაც ზღვა სრულად წყნარია, ნავი ჩადის ზღვაში და ნიჩბებით მიდის ბათუმამდე. უკან კი, ნავს მიათრევენ ორი-სამი დღის განმავლობაში.

ნავებს ძირითადად სამ სოფელში აშენებენ, რომელსაც საერთო სახელი ირია ჰქვია (ართვინისა და ბორჩხელის). აქ 200 ასეთი ნავი ითვლება. წყალუხვობის დროს ყოველი ნავი ეწევა 300 ფუთამდე, ხოლო წყალმარჩხობის დროს 100 ფუთამდე ტვირთს.

წყალუხვობის დროს ჭოროხზე სწრაფად მოგზაურობენ. ადგილობრივთა თქმით, ართვინიდან ზღვის შესართავამდე ოთხი საათია საჭირო.

თ ა გ ი მ ე ა თ ე

ჩემი ავაღმომოვნება. – ბათუმის პლიმატი. – სხვადასხვა ბამოხმაურებანი. – ბ. ჯიშვილის შეხედულებები. – ზამთარი. – აღრე ბაზაზხული. – ზაფხული. – შემოღბომა. – ციხაის მიზანი. – მცენარეულობანი. – სკოლი პრინცი. – ბათუმური ციხის ძალა. – ასენიზაციის აზრი. – ბრამები. – ბ. რემერტის ბარათი. – ბათუმი შავი ჰირის ღრო. – ყყალბაყვანილობა. – დასპენები.

სექტემბრის შუა რიცხვებში ადგილობრივი ციებით ავად გავხდი. ამჯერად ეს ავადმყოფობა ბევრმა რუსმა გამოსცადა თავის თავზე. განსაკუთრებით ჯარის იმ ნაწილებმა, რომლებიც დაბლობ და სანაპირო ადგილებში იდგა. დღეში 25-30 კაცი ავადდებოდა. დაავადების მესამე დღეს სიკვდილის შემთხვევაც იყო.

ჩაითვლება თუ არა ბათუმის კლიმატი ჯამრთელობისათვის საზიანოდ? ეს ძალინ ძნელი და საჭირო კითხვაა, რამდენადაც ბათუმმა პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შემდეგ სულ ჩქარა უნდა მიიჩიდოს როგორც რუსი, ისე უცხოელი ვაჭარი და მოგზაური.

ამ კითხვის ასახნელად მე მივმართე ძველ ბათუმელებს, მაგრამ მათგან სხვადასხვა პასუხს ვღებულობდი: ერთი ამბობდნენ, რომ ბათუმის კლიმატი ყველაზე ჯანსაღია; მეორენი ამტკიცებდნენ, რომ აქაური პავი ციებიანია; მესამენი კი – წელიწადის გარკვეულ დროს ბათუმს საცხოვრისად გამოუსადეგად მიიჩნევდნენ და ა.შ. შეხედულებათა ასეთი სხვადასხვაობა იმით არის გამოწვეული, რომ ჩემს მიერ გამოკითხულ პირებს ადგილობრივი კლიმატის ცალკეული მოვლენები ჰქონდათ მხედველობაში. ბ.ჯიშვილიმ, რომელიც 25 წელიწადს ცხოვრობდა აქ, გადმომცა რომ ბათუმის პავა არც ისე საშიშია, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, დიდი ხნით ბათუმში ყოფნისას იგი იშვიათად თუ გამხდარა ავად. საერთოდ, ცოტაოდენ სიფრთხილეს თუ გამოვიჩნო,

რაც აუცილებელია ნესტიანი ზღვის სანაპიროზე, ბათუმში ცხოვრება ჯანმრთელობისათვის არაა მავნე.

ზაფხული აქ ძალზე ცხელია; წვიმების პერიოდი მოსაწყენია. იგი იწყება აგვისტოს თვეში. წელიწადის დანარჩენი დრო ძალზე სასიამოვნოა. ზამთარი თითქმის არ იცის, გაზაფხული იწყება თებერვლიდან და წყალი იმდენად თბილია, რომ აღვილობრივი მოსახლეობა, აგრეთვე ჩამოსულები თებერვლის შუა რიცხვებიდან ბანაობას იწყებენ, ისე, რომ ჯანმრთელობისათვის ამას რაიმე ზიანი არ მოაქვს; თუმცა, მარტში ხანდახან ციფი ამინდები იცის; იანგრის შემდეგ ხევზე კვირტები იშლება; თებერვალში არის დღეები, როდესაც ჩრდილში 15-16 გრადუსია. აქ უნდა ერიდო დამპალ წყალს, საღამოს სინოტივეს და ზაფხულში ბევრი ხილის ჭამას. ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანია ციებისა, რომელიც, ბათუმში, როგორც მე გამოვცადე საკუთარ თავზე, თავისებურია.

ბათუმის მხარეში, მაგალითად, ჩაქვის და მახინჯაურის მიდამოებში, აგრეთვე ბათუმში, თიხიანი მიწა დაფარულია ხშირი გვიმრით, რომელიც ისე იზრდება, რომ გაუგალ ზღუდედ იქცევა. ეს მცენარე ნიადაგში ქმნის სქელ ფეხას, შემდეგ ლპება და ჰაერს ავსებს მავნე ანაორთქლით.

სანაპირო ზოლის კლიმატი, შენიშნავს ბჟაზბეგი* მდინარეების შესართავთან თავისებურია. წვიმების შემდეგ, ან გაზაფხულზე, თოვლის დნობისას ადიდებული მდინარეები წალეკავენ დიდ სივრცეს და ჰქმნიან სველ ზოლს, სადაც მოჰყავთ სველი ბრინჯი. ამ მიდამოებში ციება გამევებულია. მართალია ლაზისტანის სანჯაყის ჭაობები წარმოადგენს ველს, რომლებიც ერთმანეთისაგან მთებით იყოვა, მაგრამ ეს ველები დაფარულია ხშირი მცენარეებით და ხელს უშლის ჭაობების ადრე ამოშრობას.

* „სტრატეგიული ნარკვევები“ გვ. 24.

ასეთ მდინარეთა რიცხვს მიეკუთვნება: ჩოლოქი, კინ-ტრიში და ჭოროხი.

ჩამოთვლილი ადგილებიდან ციების გავრცელების თვალსაზრისით ამ მდინარეების შესართავები გამოირჩევიან,* რადგან ისინი ქვემო წელით რწყავენ უფრო დიდ დაბლობს, ვიდრე საკუთრივ ლაზისტანის მდინარეები. ამის გამო მდ.ჭოროხის ჩრდილო სანაპირო ხანგრძლივად ცეკლია, ვიდრე მისი სამხრეთ სანაპირო, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე პონტოს მთის სიახლოეს.

* ბ.ბაქრაძე თავის „გურიის, ჩურუქ-სუს და აჭარის“ მოკლე ნარკვევებში“ ლაპარაკობს ოზურგეთიდან ბათუმამდე მოგზაურობაზე, მდინარეების – ლეღვას, გვარას, კინტრიშის გავლით და დასძენს: „მე განმაცვიფრა იმან, რომ ამ ზღვისპირა ქვეყანაში ისე, როგორც ჩვენს მიერ გავლილი გურიის ნაწილში, არ მინახავს არცერთი აძლვეული მდინარე, არცერთი ჭაობი. წყალი გამჭვირვალეა, როგორც ბროლი, ციფი და გემრიელია.“

ულზე და შემოდგომაზე წვიმებისა და მთიდან ჩამონადენი წყლებისაგან კვლავ ჭაობები გაჩნდება. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ზღვის მოქცევა, რომელიც ხელს შეუშლის მათ დაშრობას. ამის სანაცვლოდ წამოყენებულია მთის ძირას არხის გაჭრის გეგმა, რაც უფრო ხელსაყრელია.

საჭიროა კურადღება მიექცეს ბათუმის სასაფლაოებს, სადაც ტიფით გარდაცვლილთა 20 000-მდე გვამი მარხია.* ამ ადგილების ასენიზაციისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც უკვე ასიგნებულია.

ბ. რემერტი (სამხედრო-სამედიცინო ინსპექტორი) კავკასიის სამედიცინო საზოგადოებაში წაკითხულ ბარათში აღნიშნავდა ხანგამოშეგებითი ციების ცირო-

ზულ ფორმაზე, ჭაობის შხამის და ბათუმური ციების განსაკუთრებულ ავთვისებიანობაზე, რაც მოსახლეობის გამოკითხვითაც დასტურდება. ისინი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ზღვის უბის დასავლეთ ნაწილის ვიწრო ზოლია ჯანსაღი, რის გამოც საცხოვრებელი შენობები ვერ მიდის ქალაქის სიღრმეში, მთისაკენ, მაშინ, როდესაც ბათუმი გაშენებული იყო აღმოსავლეთით. ამას ადასტურებს უკლესიების და ციხეების ნანგრევები, რომლის მარმარილოს ფილებზე ქართულ წარწერებს ნახულობენ...

ჩემის მხრივ, უნდა დავხმინო, რომ უკანასკნელი შავი ჭირის დროს (სანდო პირების გამოკითხვის შედეგად), რომელიც მდგინვარებდა ფოთსა და ტრაპიზონში, ბათუმში სრულებით არ ყოფილა შავი ჭირით დაავადებულები. პირიქით, დაავადების გადადების შიშით ამ ქალაქებიდან ბათუმს შეაფარეს თავი.

* ავტორს მხედველობაში აქვს ქალაქის ცენტრში, ყოფილი ბაზრის მიმდებარე და ამჟამინდელი მელიქიშვილისა და 26 მაისის ქუჩებს შორის ტერიტორიებზე არსებული სასაფლაოები. თუმცა მათი რიცხვი გაზვიადებული უნდა იყოს. (რედ.)

ადრე ბათუმში ჩამოდიოდნენ სამკურნალოდ და საბანაოდ და ვინც სიფრთხილეს იჩენდა დაზღვეული იყო ციებისაგან. ბოლოს, ბ.ნ. რექტორს დავეურდნობი, რომელიც ფიქრობს, რომ უველა ჭაობის დაშრობით შეიძლება ამ ადგილის გაჯანსაღება და განაშენიანება დაახლოებით 30 კვადრატულ კვერსზე, რომელთაგან 6 კვადრატული კვერსი აღმოსავლეთით შეიძლება სანიტარიულ სადგომად გადაკეთდეს მთელი შავი ზღვისპირეთისათვის.

ჭაობების დაშრობის გარდა, საჭიროა ქალაქის სუფთა წყლით უზრუნველყოფაზე ზრუნვაც. ახლამოსახლეობა სარგებლობს (800-მდე სახლი) თურქების მიერ თიხის მიღებით კახაბრის მაღლობიდან გამოყვანილი წყალგაყვანილობით, რომელიც ზღვიდან ერთნახევარი ვერსითაა დაშორებული. ამ წყალგაყვანილობის დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ჭაობის შხამით მოსახლეობის მოწამლეის თავიდან აცილებას. თიხის მიღები ვერ უძლებენ წყლის დაწოლას და რამდენიმე ადგილას დახეთქილია, სადაც ჩაუნავს დამპალი ნიადაგის წყალი.

უველივე ზემოთ ნათქვამიდან მე ვასკვნი, რომ მიუხედავად ზოგიერთი არახელსაყრელი პირობებისა, ბათუმის კლიმატი, ზოგიერთი მავნე პირობის გამოსწორების შემდეგ, უნდა ჩაითვალოს ჯანსაღად. უნდა ვიფიქროთ, რომ სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ აქ ჩამოვამოგზაურთა და ავადყოფთა დიდი ნაწილი, რომლებსაც შეეძლებათ გამოიყენონ ბათუმის პლაჟი და მახინჯაურის მინერალური წყლები, თუ მათი სამკურნალო დანიშნულება და სიკეთე სათანადოდ იქნება გაანალიზებული და შესწავლილი.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

თავადი გურიელი და ქობულეთლები. – ქობულეთლებთა გამომზადებები სამშობლოში. – ინდისელი კორპუსოდენცი. – მისი მორთულობა. – თავბადასაგალი. – ინდისის მეზოს აღრესი. – გასახლება გათშმიდან. – ფრაპიზონში დაპრენება. – ბ. ოდოროვანის პასუხი ჩვენს.

წარმოიდგინეთ ხალხის ულევი ნაკადი დილიდან საღამოდე, – ასეთია ბათუმის მხარის ახალი უფროსის ოთახი. დაუსრულებლად შემოდის და გადის ხალხი. ვინ 5-დან 30 მანეთამდე დახმარებისათვის, ვინ რჩევისათვის, ვინ გასახვლელი ბილეთისათვის ან რაიმე ნებართვისათვის. თავ. ბ. დ. გურიელისაგან არავინ გამოსულა მატერიალურად ან მორალურად დაუკმაყოფილებელი.

უკლაშე მეტად ხალხი (ქობულეთლები) სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდა. ბევრი მათგანი გასასახლებლად თურქებმა ბათუმში ძალად ჩამორეკეს, მაგრამ მათ ახლა აღარ სურდათ თურქეთში წასვლა. საჭირო იყო არა მარტო მათი ამ სურვილის დაკმაყოფილება, არამედ, აგრეთვე ფულადი დახმარებაც საჭმელისათვის, რამდენადაც ქობულეთლებს უკვე გაუთავდათ უკელაფერი და ზოგიერთ მათგანს პურის ყიდვაც არ შეეძლო...

იყო შემთხვევები, როცა მათი ცოლ-შვილი ძალად წაიყვანეს, რადგანაც ბევრს არ სურდა გასახლება.

ბათუმში ჩემი ყოფნის პირველ დღეებში მოწმე ვიყავი იმისა თუ, როგორ ბრუნდებოდნენ ქობულეთლები უკან თავიანთი ნავებით, 40-60 კაცი დღეში და, როდესაც არ იყო საშუალება ნავის დაქირავებისა (რაზედაც თავადი გურიელი საკმაოდ დიდ საკუთარ თანხას ხარჯავდა), ხალხი დაღვრებილი იყო, ხოლო როდესაც თავიანთი გამგზავრების რიგს შეიტყობდნენ, ეს მათ სიხარულს იწვევდა.

საცოდავი სანახავი იყო ფანატიზმის მსხვერპლად ქცეული ეს ხალხი.

ერთის მხრივ, გასახლების შემთხვევაში სხვადასხვა მოლების იმქვეუნიური სამოთხის შეპირებები და რუსეთთან ურთიერთობისას, შიში თავიანთი რწმენისაღმი, მეორეს მხრივ ფიქრები სამშობლოზე, თავიანთი საყვარელი მთების, მშობლიური კერის, პატარა ყანის, რომელზედაც ამდენი შრომა გაუწევიათ – ყოველივე ამის მიტოვება ძალზე ეძნელებოდათ.

და სამშობლომ სძლია ყველაფერს: ქობულეთელმა დაივიწყა ფანატიკოსი მოლას მუქარა....

ერთხელ ჩურუქ-სუელთა უკან გამგზავრებას რომ ვუჭურებდი, ერთი ბერძენი მედუქნისაგან (რუსულად ლაპარაკობდა) გავიგე: დილით თურქული გემით ინგლისელი კორესპონდენტი ჩამოსულა, რომელიც აქ იყო დევრიშ-ფაშის დროს და ახლა აქტიურად მონაწილეობდა ლაზებთან აგიტაციაში, თუ რა უნდა ედონათ რუსების მიერ ბათუმის დაკავების შემთხვევაში... მე გამახსენდა უცხო და რუსული გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ მოსახლეობა რუსეთს იარაღით შეხვდებაო და შევადარე ყოველივე იმას, რაც ახლა ხდებოდა ჩემს თვალწინ...

განვიზრახე ინგლისელი კორესპონდენტის გაცნობა. იგი ოლქის უფროსთან ვნახე. წარმოიდგინეთ მაღალი მამაკაცი, ძალზე გამხდარი, წითური სახით, პატარა თავით, რამდენადმე ქნახლიფინა, სასაცილოდ ჩაცმული: თავზე ჩალმა ებურა, ეცვა მოოქროვილი ქურთუკი... კოსტუმი არც აჭარული იყო და არც თურქული, ქამარზე ეკიდა მვირფასი იატაგანი: ეს იყო ლონდონის გაზეთის „დეილი ნიუს“-ის სპეციალური კორესპონდენტი ბ. ო'დონოვანი. თავისი სასაცილო ჩაცმულობის მიუხედავად ბ. ო'დონოვანი ბევრის მნახველი კაცი აღმოჩნდა.

ჩვენ შეხვედრა დღის 12 საათზე დავნიშნეთ. ჩემმა ინგლისელმა ნაცნობმა ოამდენიმე წუთით დააგვიანა, რაც საათის უზუსტობას დააბრალა.

ბ. ო'დონოვანს, მისივე სიტყვებით, ბევრი რამ უნახავს ქმედანზე... იგი იყო საფრანგეთის ოფიცერი საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს დონ-კარლოსის არმიაში, მოხალისე „დაილი ნიუს“-ის კორესპონდენტი მუხტარ-ფაშის არმიაში. მთელი საომარი კომანიის დროს მცირე აზიაში ყარსთან კინაღამ აჩეხა თურქმა პოლკოვნიკმა. დამის სიბნელის დაცენის სიმარდის მეოხებით გადაურჩა რუსულ ტყვეობას ავლიარზე თურქების თავდასხმისას. ასეთივე ბედი ეწია ავლიართან გენერალ კემბელს, ინგლისის სამხედრო აგენტს. შეხლა-შემოხლა პქონდა დევრიშ-ფაშასთან ბათუმში, სადაც ცხოვრობდა ბერლინის კონგრესის დროს. აქედან გაასახლა დევრიშ-ფაშამ, რადგანაც ეშინოდა მისი ზრახვები, ლაზების რუსებთან შეერთების თაობაზე, არ გაემუდავნებინათ.

უგანასკნელი გარემოება მე სხვანაირად ვიცოდი და საჭმაოდ დაწვრილებითაც, ამიტომ ყველაფერი მას მოვუყევი.

საქმე იმაშია, რომ თვითონ ო'დონოვანი და მისი თანამოაზრე კორესპონდენტი გაზეთ „სტანდარდი“-სა, შ. შუვერი, ოსმან-ფაშა თავდგირიძესთან და სხვა ბეგებთან ერთად ეწეოდნენ აგიტაციას, აგროვებდნენ ხელმოწერებს დიდი ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიასადმი მისართმევ ადრესზე, რათა ეთხოვათ მისი პროტექტორატი ბათუმის ოლქისათვის. ჯერ კიდევ ბათუმის დაკავებამდე, ამაზე წერდნენ სხვადასხვა გაზეთები, რა თქმა უნდა, დაუდასტურებელ ცნობებზე დაყრდნობით. მე შევეცადე შემეკრიბა ცნობები ამ ძალზე საინტერესო ეპიზოდზე. ფაშა თავდგირიძემ რამდენიმე პირის თანდასწრებით მითხვა, რომ „მან ინგლისელი კორესპონდენტის ოთახში ხელი მოაწერა ქაღალდზე“, რომ ასევე ხელი მოაწერეს ბევრმა ქობულეთელმა და აჭარელმა

და, რომ ამ ქაღალდში მგონი ლაპარაკი იყო ინგლისის დედოფალზე მორჩილების შესახებ. მე გავიგე, აგრეთვე, რომ თურქეთის ქართველებთან მოდიოდნენ ვიღაც გადაცმული უცხოელები, მაგალითად, ფრანგი პოლკოვნიკის ფორმით, სხვადასხვა წინადადებებით რუსების წინააღმდეგ და ა. შ. რომ აღარეფერი ვთქვათ სხვადასხვა ავანტიურისტ წამქეზებლებზე, რომლებსაც აჭარლოთა ამხედრება სურდათ. მე საჭიროდ ვთვლი შევნიშნო, რომ ყოველივე ამაში ჩართული იყო თვით დევრიშ-ფაშა, რომელიც ჩუმად აქეზებდა ქობულეთლებს და აჭარლებს, არ დამორჩილებოდნენ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას, რომელმაც ბათუმის ოლქი რუსეთს არგუნა... ერთის მხრივ, ინგლისის მთავრობის ჩაურევლობით ამ საქმეში, მეორეს მხრივ, ტრაპიზონის ვალის (გენერალ-გუბერნატორის) იუსუფ-ფაშის კატეგორიული მოთხოვნით, რომელმაც მითითება მიიღო ამ საკითხზე კონსტანტინეპოლიდან, ყველაფერი ეს გაიფანტა. დაუპატიუებელი კორესპონდენტის ბათუმში ყოვნა უხერხეული შეიქმნა და იგი სამარცხვინოდ „გაიყვანეს“ ტრაპიზონში...

ბ. ო'დონოვანიმ დაწვრილებით მიამბო მისი აქედან „გატანის“ და ტრაპიზონში „გადაყვანის“ ცერემონიაზე, მაგრამ აქ აღარ შევეცდები ამის აღწერას, რამდენადაც იგი გაზეთებში ბევრჯერ დაიწერა.

მიუხედავად იმისა, რომ ო'დონოვანის თან არ ჰქონდა მისი პირადობის და კორესპონდენტობის დამადასტურებელი საბუთი, ჩვენი ხელისუფლება არ აწუხებდა მას და მხოლოდ გააფრთხილეს, რომ იგი პირველსავე გემს გაჰყვებოდა ტრაპიზონში და უკან გამობრუნდებოდა საჭირო ქაღალდებით.

ბ. ო'დონოვანი ირლანდიელია. თავის ნამდვილ გვარს იგი მაღავს. ინგლისის მთავრობაზე გაბრაზებით ლაპარაკობს. მის გამო საქმაოდ მოხვდა ტრაპიზონის ინგლისელ

კონსულტაცია, რომელიც თითქოს, ომის დროს იყო გაზეთ „ტაიმს“-ის კორესპონდენტად და მაღავდა მის კორესპონდენტიებს...

ბ. ო’დონოვანი ყოველთვის ფრანგულად ლაპარაკობდა, რა თქმა უნდა, ირლანდიელისათვის დამახასიათებელი ინგლისური აქცენტით, მაგრამ რატომდაც მაღავდა თურქული ენის ცოდნას და მხოლოდ ერთხელ გამოამჟღავნა ეს ცოდნა, როდესაც ჩემი და ბ. ლევაშოვის თანდასწრებით მის მხლებელ კაზაქს თურქულად დაელაპარაკა.

ბოლოს, მე ვუთხარი ბ. ო’დონოვანის ქობულეთელთა სურვილზე, დაბრუნებულიყვნან თავიანთ მოქმედი, თურქების მიერ მათ ძალით გასახლებაზე და სხვ. ამან, თითქოს გააკვირვა იგი და მხოლოდ ესდა თქვა „უი, ტოუტ სე ცვანგე!“*

* დიახ, ყველაფერი იცვლება (რედ.)

თ ა ვ ი მ ე თ რ მ ე ტ ე

ბეგები. – სანჯახ-ბეგები. – აღალარები. – ბეგების უფლების ღაბარები. – ამ უფლების ბაძლიერების მავნეობა. – სანჯახ-ბეგ აბაშიძები. – თაგლბირიძეთა ბგარი. – ბეზანიძეთა ბგარი. – სხვა ბგარები.

ბეგები – მაღალი თავადური წოდებაა ამ მხარეში. თავიანთი წარმოშობით ისინი იყოფიან „სანჯახ-ბეგებად“ და უბრალო „ბეგებად.“ პირველთ გაცილებით მეტი უფლებები აქვთ, რამდენადაც ქვეყნის ძველი მმართველები არიან, მაგრამ ერთმაც და მეორემაც ფორმალურად დაკარგეს თავიანთი პრივილეგიები, თუმცა, თურქეთის მთავრობა თითქმის ყოველთვის ხალხზე ბეგების საშუალებით მოქმედებდა და ხალხიც მიჩვეული იყო მათში დაენახა უპირველესი წოდება.

გარდა ნამდვილი ბეგებისა, ამ ბოლო დროს გამოჩდნენ რაღაც აღალარების მსგავსი აზნაურები, რომლებიც თურქეთის მთავრობასთან სამსახურით დაწინაურდნენ. ესენი ძირითადად მომსახურე ხალხია.

ყველა ბეგს როდი აქვს კანონიერად ეს წოდება; ბევრია თვითმარქვია. მათი უფლებები, რა თქმა უნდა განხილული იქნება ჩვენი მთავრობის მიერ.

თითქმის ყველა ბეგმა დაკარგა საბოლოოდ თავისი უფლება, ჯერ კიდევ რუსების მოსვლამდე, თურქეთის მმართველობის დროს და ახლა არა მგონია რაიმე კანონიერი საფუძველი არსებობდეს, აღდგენილი იქნას ეს უფლება (რამდენადაც არ უნდა სურდეს ეს ახლა ზოგიერთებს), ისტორიულ მოვლენათა საწინააღმდეგოდ და, რაც მთავარია, დანარჩენი ხალხის საზიანოდ. გლეხთა უფლების შესახებ მე უკვე ვილაპარაკე (ამ „ნარკვევების“ მეოთხე თავში). რაც შეეხება სოციალურ მდგომარეობას, შეიძლება აღინიშნოს ერთი: ჩვენი საერთო კანონმდებლობით ყველა ადგილობრივ

მცხოვრებს გზა გახსნილი აქვს ყოველგვარი საქმიანობისაკენ და ახლა ბეგების რაიმე ახალი სპეციალური პრივილეგიების განახლება, საფუძველს მოკლებულია. საკმარისია დავასახელოთ ის უარყოფითი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოყვეს ბეგთა უფლებების გაზრდას. მით უმეტეს, რომ ძლიერ გვართა გავლენა ბათუმში ხალხთა კეთილდღეობისათვის იშვიათად ყოფილა კეთილგონივრული, რაც ნათლად ჩანს ქობულეთელთა, აჭარელთა და სხვათა არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობიდან.

ერთმა ხუმარამ ბათუმის ბეგების მიმართ შენიშნა: როგორც ინგლისი შეხვდა „მოქმედებებს“ კუნძულ კრეტაზე მეფეთა „მემკვიდრეების“ სახით, ასევე ბათუმში არიან თავისებური „მემკვიდრეები“ ბათუმის მფლობელ „სანჯახ-ბეგების“ სახითო...

ამ „სანჯახ-ბეგებს“ თურქეთის მთავრობისაგან პქონდათ დანიშნული პენსიის მსგავსი რამ. თუ მე არ მეშლება, ეს პენსია იყო სანჯახებისა და ბათუმის მამულებიდან აკრეფილი გადასახადებისაგან კაპიტალიზებული პროცენტები. სანჯახ-ბეგებს აქვთ, მათი, როგორც ბათუმის მფლობელთა დამამტკიცებელი თურქეთის სულთანის ფირმანი.

„სანჯახ-ბეგთაგან“ ახლა სამი მმაა: ჰუსეინ-ბეგი (უფროსი), სალიხ-ბეგი (შუათანა) და იბრაიმ-ბეგი (უმცროსი) სანჯახ-ბეგ ზადე-ოდლი აბაშიძე. ამათგან ჰუსეინ-ბეგი ყველაზე სიმპათიურია. იგი ძალიან გათვითცნობიერებული კაცია. უკანასკნელ დროს ეხმარებოდა რუსეთს. ჰუსეინ-ბეგი თურქეთის მილიციის სამსახურში პოლკოვნიკი იყო. იგი „ბაში-ბუზუქთა“ 9 ბატალიონს მეთაურობდა; აქვს მე-4 ხარისხის „მეჯიდიე“..

აბაშიძეების შემდეგ მოდის თავდგირიძეთა გვარი, – აჭარის ბეგთა შთამომავალი, მაგრამ მათ აქვთ ქონება (მიწები, ბადები, სახლები და სხვ.) ბათუმში. ამ გვარის ახლანდელი წარმომადგენელი ორი მმაა: ალი-ფაშა და ოსმან-



**ხშეინ ფაშა აბაშიძე (ზის).
შეიღები: ფაზლი და ზის.**

ფაშა. ორივემ დაიმსახურა გენერლის უმაღლესი ჩინი. ქვეყანაში თავიანთი მდგომარეობის გამო მათ რა თქმა უნდა, არ სურდათ რუსეთის ბატონობა. კარგად იცოდნენ, რომ რუსები არ სცნობდნენ მათ გენერლის ჩინებს და, აგრეთვე, თავიანთი „მორალური“ თვისებებით საკმაოდ აუტანელნი იყვნენ თურქეთის სამსახურიც კი. მათი პრინციპი იყო ძარცვა და გამოძალვა. და აი, თავდგირიძეთა გვარი ჩაუდგა სათავეში თპოზიციას რუსეთის წინააღმდეგ. ისინი ქადაგებდნენ გიაურებისადმი დაუმორჩილებლობას და უკიდურეს შემთხვევაში ქობულეთლების თურქეთში გასახლებას.

ალი-ფაშა თავდგირიძის მილიციელების ხელით ძარცვამ მოსახლეობის უკმაყოფიელბა გამოიწვია. მათმა საჩივარმა დევრიშ-ფაშის ყურამდეც მიაღწია. ჩატარდა გამოძიება,



ალი ზაშა თავდგირიძე თანამებრძოლებთან ერთად.

რომელმაც დაადასტურა საჩივრის სინამდვილე. ალი-ფაშა შეიპყრეს და თავის ოჯახთან ერთად გაასახლეს ტრაპიზონში. იგივე ბედი ეწია მისი უმცროსი ძმის, ოსმან-ფაშის ოჯახს, თუმცა იგი თურქეთის მთავრობის აღმოსავლეური პოლიტიკის მიხედვით ომის დროს დანიშნული იქნა ბათუმის გუბერნატორად. როდესაც რუსებმა ბათუმი დაიკავეს, ოსმან-ფაშა თავისი ძმის ალი-ფაშის რწმუნებით ცდილობდა მიეყიდა ჩვენი მთავრობისათვის დიდი სახლი, მაგრამ ისეთი ფასი დაასახელა, რომ ამ ქალაქში შენობებზე ჩვენი დიდი გაჭირვების მიუხედავად, მისი შემოთავაზება უკურადღებოდ იქნა დატოვებული. სამაგიეროდ, გუბერნატორისა და კანცელარიისათვის შეიძინეს ჩვენი ყოფილი

ეღმის ბ. ჯიუდიჩის სახლი (50 000 მანეთად), რომელიც ზედ სანაპიროსთან მდებარეობდა. რაც შეეხება ალი-ფაშის სახლს, მისი შეძენა განზრახული იყო სავარაუდო კლუბის, საზოგადოებრივ შექრების და ჩამოსულ სტუმარ-ხელისუფალთა ბინად.

თავდგირიძეთა ოჯახის სრულიად საპირისპიროს წარმოადგენს ბეჭანიძეთა გვარი. ეს გვარი აბაშიძეთა მონათესავება. რუსეთის შემოსვლისას აბაშიძეების მსგავსად ისინი რუსებისადმი სიმპათიებით გამოირჩეოდნენ და ამ ბეღნიერი შემთხვევის გამო მათი წარმომადგენლები სასურველ პირებად ითვლებიან ბათუმში. ისინი ფლობენ საკმაო ქონე-



ოსმან ზაშა თაგდირიძე, პემშინდი მესუთ ფაშა და ოსმან ფაშას ძმისშვილი, ქობულეთელი მაჟმუდ ფაშა.

ბას (მიწებს, ტყეებს, ბაღებს, სახლებს, დუქნებს) და ითვლებიან გავლენიან პირებად ჩაქვსა და ბათუმში. მათ შორის არიან საკმაოდ განვითარებული და განათლებული პირები. ამ გვარის არცერთი წარმომადგენელი ცუდად არ ხასიათდება. მაშინ, როდესაც, ბევრი ბეგთაგანი, კერძოდ, ზოგიერთი თავდგირიძეთაგანი ლამაზ გოგოებს და ბიჭებს ყიდდნენ კონსტანტინეპოლში. ბევრიძეთა გვარის წარმოამდგენლები მისდევნენ სოფლის მეურნეობას, ვაჭრობას, საზოგადოებრივ სამსახურს.

ბევრინძეთა გვარში უფროსებია: ჰუსეინ-ბეგი, ფერათბეგი და მემედ-ბეგი. ჰუსეინ-ბეგს ჰყავს მცირეწლოვანი ბიჭი ოსმან-ბეგი. თვით ჰუსეინ-ბეგი გვარის წინამდლოლია. უკანასკნელი ომის დროს იგი მეთაურობდა ქობულეთის მილიციის ორ ბანაკს (2000 კაცამდე), რუსეთის წინააღმდეგი იყო თურქეთის თანამორწმუნეობის გამო, მაგრამ, რაცი დარწმუნდა, რომ თურქები და ინგლისელები ატყუებდნენ ქობულეთლებს, დრმად ჩაუფიქრდა მხარის ნამდვილ ინტერესებს, თუმცა თურქები დაუინებით ცდილობდნენ მისი და მისი ნათესაობის გადაბირებას და თურქეთში გასახლებას. მას ეკუთვნის მიწები ჩაქვსა და მის მიდამოებში. იგი თურქული სამსახურის პოდპოლკოვნიკია, აქვს „მეჯიდიე“...

მისი ძმა ფერათ-ბეგი უკვე ხნიერია. მამაცური შეხედულობისა, აცვია ეროვნული ლურჯი კოსტუმი და ყოველთვის შეიარაღებულია. ჰუსეინ-ბეგს კი ევროპული პალტო აცვია და მხარზე ხმალი აქვს გადაკიდებული. 1853-1855 წ.წ. კამპანიაში ფერათ-ბეგი ქობულეთლებს მეთაურობდა რუსების

* აქ აშკარა შეცდომაა. ავტორი რომელიდაც სხვა ბევრიძეს გულისხმობს. თვით ფერათ-ბეგს 8 შვილი ჰყავდა: 4 ვაჟი და 4 ქალი. ორი ვაჟის: შერიფის და ჯელილის ფოტოებს აქვთ ვთავაზობო მკითხველს. (რ.ს.)



ფერათ გეგანიძის შვილები: შერიფი და ჯელილი

წინააღმდეგ. მას აქვს „მეჯიდიე“ და მეოთხე ჩინი. ახლა თავისი უფლებები პუსეინ-ბეგს დაუთმო. ფერათ-ბეგს შვილები არ ჰყავს.*

მესამე მმაა მემედ-ბეგი. მას ჰყავს შვილები: ოოფან-ბეგი და შევქეთ-ბეგი. ბექანიძეებს ჰყავდათ უფროსი მეოთხე ძმაც – პემიდ-ბეგი, ოომელიც რუსებთან ომში, 1854 წელს მოკლეს. საერთო შეხედულებით, ვინც კი იცნობდა მას, ეს იყო ყველაზე უფრო ნათელი პიროვნება ქობულეთელთა შორის. იგი გამოირჩეოდა მამაცობით და უყვარდა ცივილიზაცია. შეძლებისდაგვარად შვილებს მისცა კარგი

განათლება. მისი შვილებია: ხასან-ბეგი, მურად-ბეგი და ჰაიდარ-ბეგი სეფერ-ბეგზადე ბექანიძეები. ხასან-ბეგს ჰყავს შვილი ხემიდი. დანარჩენებს ვაჟები არ ჰყავთ. ჰაიდარ-ბეგი უვალაზე ნასწავლია მათ შორის. ხასან-ბეგი მილიციის მაიორი იყო.

დანარჩენ გამოჩენილ გვართა შორის უნდა მოვიხსენიოთ, სხვათაშორის, დურსუნ-ბეგ თავდგირიძე, რეჯებ-აღა ცივაძე (საკუთრივ ჩურუქ-სულან), შემდეგ თამაზოფლი, შამბაშოდლი, ფაშიოდლი, გუგუნავა, ჯაში, ჭყონია და სხვა.*

* რამდენადაც აბაშიძეთა გვარის გარდა პენსიას დებულობდა სხვა ბევრი გვარიც, რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ საადგილმამულო კომისიას დავალებული აქვს გაარკვიოს: რომელი მათაგანი დებულობდა პენსიას, რა ოდენობით და რა დროიდან იქნა შეწყვეტილი.

თ ა გ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

სტატისტიკის ცენტრის შეპრეზის სიმნიველი. – დასახლებანი მდ. ჰორონების და აჭარის-ზელის გასწვრივ. – ბათუმის ნახივში დასახლებულ ადგილთა საერთო სია სხვადასხვა ცენტრის მიხედვით. – დამატებითი სიები რუსული და თურქული ფყაროების მიხედვით. – ბონის უბრის დასახლებული ადგილები რუსული და თურქული ფყაროების მიხედვით.

ყველაზე დაუძლეველ სამუშაოს ჩემთვის ბათუმისა და ჩურუქ-სუს დასახლებულ ადგილთა სიის შედგენა წარმოადგენს. ბევრი ადგილიდან მოსახლეობა წავიდ-წამოვიდა. ბევრი თურქეთში გაემგზავრა. ზოგიც ახლა ემზადებოდა; ზოგიერთი ჩურუქ-სუელი თავის მეტ ადგილებში დაბრუნებას ლამობდა, ზოგი კიდევ ახალ ადგილებზე სახლდებოდა, ყველა ადგილმონაცვლეობდა, ირეოდა. არავითარი ქადალდი და დოკუმენტი... საფუძვლიანად გამოსაკითხიც აღარავინ იყო...

მე მიმოვინილე ბათუმის ახლო-მახლო დასახლებანი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ბევრი მათგანი დაუსახლებელი და დაცლილია.

ვინახულე თითქმის მიტოვებული სოფელი კახაბერი, რომელიც ჩვენს რუკაზე აღნიშნულია „კახაბეთად“ (ისევე, როგორც აჭარის-წყალთან მდებარე სოფელი მირვეთი „მირვანად“).

ოდესაც კახაბერი თავად გურიელთა საყვარელი სამყოფი ადგილი ყოფილა (ერთ-ერთ მათგანს კახაბერი ერქვა). ისინი, როგორც უკვე ვთქვი, ბათუმის სიუზერენები იყვნენ. თვით ეს ადგილი კახაბრად იმიტომ იწოდება, რომ ნადირობის დროს, უღრან ტყეში, თავადი კახაბერ გურიელი გაფატრული იქნა ტახის მიერ. აქ ჯერ კიდევ ჩანს თაგ. გურიელთა ციხის ნაშთები.

სოფ. ერგეს იქით, სადაც მდ. ჭოროხს ერთი მთის მდინარე ერთვის, არის სოფ. კაპნისთავი. ჩვენი ცნობებით კაპნისთავში 48 მოსახლეა 97 მუსლიმანით. მოსახლეობა იხდიდა გამოსაღებს 625 კურუშის თდენობით, მოსავლის

467 ფურუშს, ცხვრის 204 ფურუშს. მოსახლეობას ჰყავდა 96 ძროხა და 3 ხარი.

უკელა ეს დასახლება მდ. ჭოროხის გასწვრივ მდებარეობს.

აჭარის-წყლის გასწვრივ მდებარეობს: ჭალახმელა, ბაბუქოდლები და საღორეთი, რომელიც გამოირჩევა თავისი მკაცრი კლიმატით.

რუსული ხელისუფლება ბათუმის ნახიეში ითვლის 6 მერქეზს, რომლებშიც 20 სოფელი და 16 ჯამეა. პ. ჯიუდიჩის გამოთვლით ბათუმის ნახიეში 48 სოფელია, 17 ნახიე და 24 ჯამე, 88 წისქვილი სიმინდის საფქვავად, 8 წისქვილი ხორბლის საფქვავად, 1 მარანი, 3 თურქული აბანო, 375 ღუქანი, 26 ყავახანა, 1 მინერალური წყარო, 1 ბერძნული მართლმადიდებელთა ეკლესია. „ტრაპიზონის კალენდრის“ მიხედვით ბათუმის ნახიეში 31 დასახლებაა და, ბოლოს ჩვენი შტაბის რუქის მიხედვით აქ 48 სოფელი და 8 განსახლებაა.

ბათუმის დასახლებათა ცნობების სისრულისათვის ვურთავ ორ ცხრილს ბათუმის ნახიეს იმ დასახლებათა ჩამოთვლით, რომლებიც ვერ დავასახელე ჩემს „ნარკვევებში“... ერთს რუსული და მეორეს თურქული წყაროების ცნობებით:

ა) რუსული წყაროები

სოფელთა დასახლება	კომლთა რაოდენობა	მამაკაცთა რაოდენობა	ჯამე	სასულიერო პირები
დიდ-ჯამე	70	280	1	1
სახალვაშო	30	120	—	—
გორგაძეები	30	129	1	1
აჭყვა 30	138	1	—	—
სოუქ-სუ	12	45	—	—
მახმუდიე	15	62	—	—
კიბე 55	176	1	1	—
ჯოჭო 60	215	1	1	—
თოფალ-ოდლი	7	29	—	—

ამავე წეაროების მიხედვით, დიდ-ჯამე ხალას მერქეზს ეპუთვნის; სახალვაშო, გორგაძეები და აჭყვაჩაქვის მერქეზს; სოუქ-სუ და მახმუდიე -ორთაბათუმის მერქეზს; კიბე-ერგეს მერქეზს, ჯოჭო და თოფალ-ოდლი- ჯოჭოს მერქეზს.

ბ) ოურქული ცნობები

რიცხვი		გადასახადი					სახლი			სული									
აზონიე		1	15	-	-	18	2608	1000	8362	4	2	29	-	80	5	29	85	-	44
ახმედ ფაშა		8	6	5	30	16	105	1084	2806	-	3	-	-	99	-	-	-	-	100
მუფონი		-	-	5	50	-	165	1100	32576	-	-	-	-	91	-	-	-	-	106
ოჯადიე		-	11	5	10	38	40	687	-	-	-	1	-	92	-	-	-	-	90
ნურიე		-	-	30	-	30	111	749	-	-	-	-	151	-	-	-	337	-	-
ჯავო (?)		-	-	24	-	-	72	829	-	-	-	-	26	-	-	-	-	-	32
ანაშია		-	-	-	-	-	692	-	-	-	-	8	-	-	-	-	-	18	-
შუქრია		-	-	-	-	-	620	-	-	-	-	18	-	-	-	-	-	33	-
ათა		-	-	-	-	-	870	-	-	-	-	36	-	-	-	-	-	91	-
ფეხია		-	-	-	-	-	777	-	-	-	-	44	-	-	-	-	-	89	-
ხუშავია		-	-	-	-	-	581	-	-	-	-	15	-	-	-	-	-	32	-
ღოუმია		-	-	-	-	-	254	3570	-	-	-	23	-	-	-	-	-	55	-
თოფარ-ოვითი		-	9	5	1975	-	5928	44517	3406	-	-	-	-	8	-	-	-	-	11
ნიოუე		-	8	129	-	-	387	2495	436	-	-	-	-	72	-	-	-	-	72
ქიბე		-	-	-	-	-	5932	612	-	-	-	-	32	-	-	-	-	51	
ჯამი-ქავი		-	-	150	404	-	1812	3317	1185	-	-	-	-	90	-	-	-	-	181
აბდე		-	-	533	826	-	4077	4562	1915	-	-	-	-	43	-	-	-	-	86
სახალვაშო		-	-	131	-	-	393	1484	687	-	-	-	-	38	-	-	-	-	64
გორგაძეები		-	-	32	-	-	96	2312	420	-	-	-	-	32	-	-	-	-	61

ჩვენს მიერ ბათუმის ოლქის შემდეგ, საკუთრივ ბათუმის მხარე გაიყო სამ უბნად: – ბათუმის, ჩურუქ-სუს, (კინტრიშის უბნადაცაა წოდებული) და გონიოს, ამიტომ საჭიროდ ვცანი ამ თავში მომეთავსებინა აგრეთვე გონიოს უბნის დასახლებულ ადგილთა სია, სადაც თავმოყრილია ციფრობრივი მონაცემები რუსული და თურქული წყაროების მიხედვით.

ა) გონიოს უბანი რუსული წყაროების მიხედვით

რიგი	მერქეზები (ოფელი)	სოფლები	კომლთა რიცხვი	მამაკაცთა რიცხვი	ჯამშების რაოდენობა	სასულიერო პირები
1	ზედა მარადიდი	ზედა მარადიდი	150	320	1	1
		ბერძნევი	20	63	1	1
2	ქვედა მარადიდი	ქვედა მარადიდი	90	270	1	1
		ზებლავეთი	30	120	1	1
		მირვეთი	40	132	1	1
		სიმონეთი	40	132	1	1
3	გახო	გახო	50	211	1	1
		თხილნარი	30	90	1	1
		ომბოლო	20	67	1	1
		გონია	20	85	1	1
4	მაქრიალი	მაქრიალი	60	189	1	1
		სარფი	35	214	1	1
		ლიმანი	20	82	1	1
		კარაშარვარი	50	221	1	1
სულ		14	655	2196	14	14

**ბ) თურქეთი წყაროების მიხედვით
გონიოს ნახიე**

ხევები	შესაბამისი		შემოსავალი		საჭიროს სექლაღიძეა და ჯიში						
	მცხოვ- რები	სული	მოსახ- ლეფიბა	გამოსა- ლები	ხარი	ძროხა	ცენტრი	ვაშტი	კორი	ჯამში	ძროხა
ბორჩა	110	400	3003	2267	-	10	2	-	-	20	10
არჩევი	20	120	2840	1490	-	15	-	-	-	12	50
სიახლე	45	230	3872	2210	-	17	2	-	-	22	10
კატა-ფიქტი	35	250	2015	1633	10	15	-	-	-	20	10
ზედა მარცვიდი	100	250	8240	690	-	-	-	-	1	55	16
ქვედა მარცვიდი	100	230	7345	728	-	-	-	-	-	25	8
მარცვი	18	75	2386	978	-	-	-	-	-	15	6
სიმძიმი	15	35	2967	977	-	-	-	-	-	10	7
მახო	26	60	5089	977	-	-	3	-	-	15	8
კონიო	25	45	12963	1696	-	-	5	6	-	18	12
არიზი	30	130	522	1241	-	12	-	-	-	10	2
მაქიალი	75	180	27671	3738	-	10	15	-	2-	20	15
აბუ-ისლამი	115	300	2133	3358	-	15	-	-	-	15	-
გაუჩერქეთი	200	65	1944	1120	-	5	-	-	-	10	-
ნაჯადი	50	140	5811	360	-	10	5	-	-	15	-
იქნა მჭედლებ	25	80	2315	1447	-	15	1	-	-	12	5
ას ჰავუდი	120	280	9292	4182	-	15	-	-	-	40	-
სუჯუ ნამი	100	230	826	4108	-	10	10	-	-	25	-
უზურდია	100	230	6228	2990	50	15	7	-	-	50	-
კარშავაფარი	100	205	4200	-	-	50	17	-	-	8	12
ნახირაჭი	15	45	6545	840	-	-	2	3	-	10	10

შენიშვნა: დასახლებულ ადგილთა რიცხვში განსხვავება თურქეთი და რუსული წყაროების მიხედვით გამოწვეულია იმით, რომ თურქეთში გასახლების შედეგად ბევრი დასახლება მოლიანად დაიცალა.

თ ა გ ი მ ე თ რ თ ხ მ ე ტ ე

მხარის ორგანიზაცია. – მიართველობის სისტემა. – გათავის კლის დროებითი დაუშლება. – ძალაშ პათშმის მიართველობა. – მხარებაზე და უბნებაზე დაყოფა. – აასუსისმავალობა დანაშაულები. – მეჯლისი. – მომრიგებელი სასამართლო. – ნოტარიუსი. – სამრო დაცვა. – ფოსტა, ფენებრაზი, ხაზინა, აძლიზი. – ჯარი. – ბარაპები. – ბზები.

თურქების წასვლისა და დეპუტატების შინ დაბრუნების შემდეგ დადგა, ასე ვთქვათ, საორგანიზაციო პერიოდი. საჭირო იყო დაფიქრება ახალი მხარის მოწყობაზე. ადმინისტრაციული და სასამართლო საქმეები მთლიანად მოშლილი იყო, ამას კი მთელი ოლქის საქმეების მოშლა და წარმოუდგენელი ქაოსის გამოწვევა შეეძლო.

ჩვენი ადმინისტრაციის წინაშე ძალზე სერიოზული ამოცანა იდგა, – დაერწმუნებინა ახლად შემოერთებული მხარის მოსახლეობა მათ სწორ გადაწყვეტილებაში რუსეთის ქვეშევრდომობაზე. თავიდანვე სწორ მართვას, პატიოსანი და საქმიანი მოხელეების შერჩევას ახლავე უნდა გაეხადა ბათუმელები ჩვენი დიდი სამშობლოს გულწრფელ და ერთგულ პატრიოტებად.

უპირველესად, ბუნებრივია, ასეთი კითხვა დადგა: როგორი ორგანიზაცია უნდა მიეცეს ახალ ოლქს? ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის ისტორიული წყობის დანგრევა, ყველაზე საშიში და უსაფუძვლო რამაა, მით უმეტეს, რომ ამ ხალხის ჩვევები, შეხედულებები, სურვილები, გაჭირვებები და მისწრაფებანი ჯერ კიდევ საკმაოდ ცნობილი და შესწავლილი არ არის. უკეთუ არასწორად შეცვლილი იქნება ძველი წყობა, ამით გამოუსწორებელ შეცდომას დავუშვებოთ და ახლადშემოერთებული მხარის ხალხის თვალში ახალი მთავრობა დაკარგავს ფასს. საერთოდ, ყველა ხალხს, განსაკუთრებით ნაკლებად ცივილიზებულს, უფრო სჯერა და ეთვისება იმ მთავრობას, რომელიც ხელს არ ახლებს მის წარსულს,

საუკუნეობრივ გადმოცემებს, ჩვევებს, ძველ კანონებს, რომლებსაც იგი შეესისხლორცა და შეერწყა. ხალხური სასამართლო მისთვის ყველაზე ძვირფასია. მასში ხედავს იგი პიროვნების, ქონების და მთელი მისი არსებობის დაცვის გარანტიას. თავისი მოსამართლის, მეჯლისის, მუხრანის (ხოფლის მამასახლისი) ხალხს სავსებით სჯერა.

კარგი იქნება თუ მთავრობა ხელს არ ახლებს სიძველეს და გაუმჯობესებს კეთილდღეობას სკოლების დაარსებით, გზების გაყვანით, ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებით და სხვა.

საქმის ვითარების შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილ და იქნა ჩათვლილი, ახალი მხარისადმი სამსედრო მმართველობის დაწესება, რაც ბათუმის ოლქის მოსახლეობის ხასიათისა და მიდრეკილების შესაბამისად უნდა მოხდეს, ისევე, როგორც ეს გაკეთდა კავკასიის მთიელთა მიმართ. გამონაკლისი მხოლოდ ქალაქი ბათუმი იყო.

„ბათუმის ოლქის დროებითი დებულების“ მიხედვით ბათუმის მხარე ეკუთვნის კავკასიის სამსედრო ოკრუგს და იგი სამსედრო და ადმინისტრაციულად კავკასიის

არმიის უმაღლეს მთავარსარდალს ექვემდებარება.

ოლქის ადგილობრივი მმართველობა თავმოყრილია ბათუმის სამსედრო გუბერნატორის ხელში, რომლის უფლებამოსილებანი ხალხის მართვის, სამოქალაქო საქმეების და მხარის მოწყობის საქმეში განსაზღვრულია არმიის მთავარსარდლის მიერ მოცემულ განსაკუთრებულ ინსტრუქციაში.

გუბერნატორს ჰყავს თანაშემწე, რომელიც გუბერნატორის არ ყოფნის დროს, ან მისსავე ბრძანებისამებრ ასრულებს ამ მოვალეობას და თავმჯდომარეობს საოლქო სასამართლოს.

გარდა ამისა, გუბერნატორთან დაწესებულია: ა) სამსედრო კანცელარია და ბ) სასამართლო, რომელებიც სამს-

ედრო და სამოქალაქო დაწესებულებებს მეოვალ-ყურეობენ. ამ დაწესებულებათა შემადგენლობა დროებითი შტატებითაა განსაზღვრული.

რაც შეეხება ქალაქ ბათუმს – იგი „სანავსადგურო“ ქალაქია იწოდება.

ოლქის არამკიდრი მოსახლეობის საქმეებს გუბერნატორი წარუდგენს კავკასიის მეფისნაცვალს მთავარი სამმართველოს მეშვეობით. „ქალაქ ბათუმის მართვის დებულების“ შედგენამდე გუბერნატორი (იგივე „სანაოსნო ქალაქ ბათუმის გუბერნატორი“) ხელმძღვანელობს „პეტრეს სანაოსნო ქალაქის“ წესებით.

ოლიციის სამმართველოს შემადგენლობა განსაზღვრულია განსაკუთრებული დროებითი შტატით.

ადმინისტრაციულად მხარე დაყოფილია, ჯერ სანაოსნო ქალაქ ბათუმად და შემდეგ ბათუმის, ართვინისა და აჭარის სამ მხარედ.

თავის მხრივ ბათუმის მხარე შესდგება სამი უბნისაგან: კინტრიშის, ბათუმის და გონიოს.*

მხარეების და უბნების უფროსთა უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია სამხედრო გუბერნატორის მიერ შედგენილი და კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

სამხედრო და სახალხო სამმართველოების უფროსთა თანამდებობაზე, ძირითადად ძირეულ ინსტანციებში შეიძლება დაინიშნოს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც შეარჩევს გუბერნატორი და დაამტკიცებს არმიის მთავარსარდალი.

* დანარჩენი ორი მხარე – ართვინის და აჭარის, აგრეთვე სამსამ უბნად იყოვა: პირველი – ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერების, მეორე კი ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნებად.

სამხედრო დალატის, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის, სახელმწიფო ქონების დატაცების, ფოსტაზე თავდასხმის, ძარცვის, სახელმწიფო ქონების განზრას დაწვის, ტელეგრაფის გაფუჭებისა და განზრას მკვლელობისათვის მოსახლეობა ისჯება იმპერიის საერთო კანონის მიხედვით. ყველა დანარჩენი დანაშაული და ქმედება, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელი, იხილება სახალხო სასამართლოების (მეჯლისების) მიერ.



აჭარის პირველი მეჯლისი. 1879 წ.

სხედან მარცნიდან პირველი რიგში: 3. ესედ ცივაძე, 7. ესედ წილოსანი; მეორე რიგში: 4. კონსტანტინე კომაროვი, 5. მუფთი სასან სურმანიძე,
6. ლილი მთავარი მიხეილ რომანოვი, 8. ხუსეინ-ბეგ
ბეგანიძე, 10. ხუშუტ-აღა ჯაში;

დგანან მესამე რიგში: 1. ანდრია ზედგინიძე, 3. ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (?),
4. დედო-აღა ნიუარაძე, 5. რეშიდ ბაჯელიძე,
6. ყებეგრ-აღა ხარაზი;

დგანან მარჯვნიდან: 2. რამიზ-ბეგ სურმანიძე, 4. გულა-აღა კაიკაციშვილი

ყველა უბანში იქმნება თითო მეჯლისი, გარდა იმ უბნებისა, სადაც არ არის სამხარეო მეჯლისი. ქალაქ ბათუმში კი არის საოლქო მეჯლისი. მეჯლისთა შემადგენლობა შტატებით არის განსაზღვრული.

ქ. ბათუმის და მისი ოლქის არამკვიდრი მოსახლეობა არ ექვემდებარება სახალხო სასამართლოთა განჩინებას. ოლქის სასამართლო დაწესებულებათა მოწყობა კავკასიის მეფის ნაცვლის სამმართველოს ევალება.

ქ. ბათუმში არის საერო მოსამართლე, რომელსაც ორი თანაშემწევე ჰყავს სამძებრო საქმის წარმოებისათვის. არის აგრეთვე ნოტარიუსი. საერო მოსამართლეს აქვს მაღალი ხელფასი – წელიწადში 3500 მანეთის ოდენობით.



მუსლიმანთა ასეულის მეთაური
გოჭია მრისთავი
(1859–1931)

ბათუმის მხარეში, ისევე, როგორც დანარჩენ ორ მხარეში, მცურველებისაგან შექმნილია საერო დაცვის ერთი ფეხოსანთა ასეული, რომლის შემადგენლობაში არიან, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ადგილებიდან მოსულნი. მათი რიცხვი საერთო რაოდენობის ერთ მესამედს არ უნდა აღემატებოდეს, გარდა ამისა, ამავე საფუძველზე შექმნილია ერთი ცენტროსანთა ასეული.*

თურქეთთან საბოლოო ზავის დადებამდე აქციზის შემოღება არ იქნა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. ახლა ეს საკითხი გადაწყვეტილია სახელმწიფო საბჭოს მიერ. აქციზის აკრეფა დაღგენილია ამიერკავკასიაში მიღებული კანონების მიხედვით.

ფოსტა (მთებში საპალნეებით, ფოთამდე გემით), ტელეგრაფი, ხაზინა მოწყობილია საერთო საფუძველზე.

რაც შეეხება გამოსაღებს და გადასახადებს, იგი დატოვებულია ისე და იმ ოდენობით, როგორც იყო თურქეთის მთავრობის დროს. მათ შეცვლაზე და დროებით შემსუბუქებაზე სამხედრო გუბერნატორს შეუძლია წინადადებით შევიდეს არმიის მთავარსარდალთან.

ბათუმის ოლქის აღებისას შედგენილ განსაკუთრებულ ბარათში ნათქვამია, რომ გარდა სახაზო ბატალიონისა და საკორდონო სამსახურის ჯარების ნაწილისა, საკმარისი იქნება კიდევ ექვსი ბატალიონი და ერთი სამთო ბატარეა სახაზო ბატალიონის სამი ასეული, ვლადიკავკაზის პოლკის ორი ბატალიონი და სახაზო ბატალიონის ერთი ასეული მაკრიალშია. ბორჩხაში ვლადიკავკაზის პოლკის ერთი ბატალიონი, ჩურუქ-სუში შავი ზღვის პოლკის ერთი ბატალიონი.

* ასეულს მეთაურობდა თავადი ქონსტანტინე დაგითის მე ერისთავი, აჭარელ ხიმშიაშვილთა ნათესავი, შემდგომში გურიის თავადაზნაურობის მარშალი, პოეტი და დრამატურგი (რედ).

1878-79 წლებში საზამთრო პერიოდისათვის ჯარის მუდმივი შენობების აგებისათვის საჭირო დროის უქონლობის გამო, გასცეს ფული დროებითი ბარაკების ასაშენებლად.

სახმელეთო კორდონზე სასარგებლოდ იქნა მიჩნეული შერეული ჯარი: პლასტუნების, გურულების და საბაჟო ცხენოსნებისაგან. ზღვის სანაპიროს საგუშაგოებზე კი მაკრიალიდან ნიკოლაევსკამდე დატოვებულ იქნა ორი ცხენოსანთა ასეული.

სასაზღვრო საგუშაგოების დროებითი ნაგებობისათვის იგივე სისტემა იქნა შემოდებული, რაც დანარჩენი ჯარისათვის.

გურიის ძველ საზღვარზე დასაწყისისთვის დატოვებული იქნა რამდენიმე საგუშაგო.

„პირველხარისხოვან აუცილებლობას წარმოადგენს, – ნათქვამია ამ ბარათში, დავიწყოთ სამიმოსვლო არტერიების მშენებლობა ბათუმის ოლქში, რომელთაგან მთავარი გზებია ბათუმიდან აჭარისწყლის გაყოლებით ახალციხისაკენ, ჭოროხის გაყოლებით არტანუჯის და ართვინისაკენ და ზღვის სანაპიროს გაყოლებით ოზურგეთამდე.“ დაწყებულია გზის მშენებლობა ორი მიმართულებით: ერთი ჭოროხის გაყოლებით ართვინისაკენ, მეორე კი სოფ.ხულომდე მდ.აჭარისწყლის გაყოლებით ახალციხისაკენ. გზის მშენებლობა ჯერ კარგად მიღიოდა, მაგრამ არეულობამ აჭარაში შეაჩერა მუშაობა, ახლა კი ეს საქმე გრძელდება.

თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

- გათშმის პორტო-ფრანგო. – საბაზო და პარანტინი. – მშეღიმანური, სომხურ-პათოლოგიური სალოცავების მართვა.
- სულთნის სიგალი გათოლიკებს. – საზღვრის გავლება.
- მფლობელობის კომისია. – თანამდებობის პირები. – მცხოვრებლების დამოკიდებულება. – აჟარელთა არეულობის მიზნები.

ცნობილია, რომ ბერლინის კონგრესზე ჩვენმა მთავრობამ პირობა დადო, გამოცხადებინა ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად. ასეთი გადაწყვეტილება ბევრს პირდებოდა ახალ მხარეს, იმედოვნებდნენ, რომ პორტო-ფრანკო უეჭვდა და იქონიებდა გავლენას ბათუმის ოლქის კეთილდღეობაზე და სწრაფ დაწინაურებაზე.

ქ. ბათუმში პორტო-ფრანკოს დაარსებაზე და, აგრეთვე, საკარანტინო და საბაზო დაწესებულებების გახსნაზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

საკარანტინო და საბაზო დაწესებულებებს კავკასიაში ერთი საერთო მმართველობა აქვთ, ამიტომ ბათუმშიც ეს ორი დაწესებულება თავმოყრილია ერთ უწყებაში.

ბათუმის პორტო-ფრანკოს შესახებ დამტკიცებული წესის მიხედვით თავისუფალ ნავსადგურად ცხადდება მხოლოდ ბათუმის ყურე და ოვით ქალაქი; შემდეგ, სანაპიროს ახლოს განზრახულია გაიხსნას მთავარი სასაწყობო საბაზო, საბაზო ფორმალობის შესასრულებლად და საქონლის გატანაზე და შემოტანაზე არსებულ მოსაკრებლის ხაზინაში შესატანად, როგორც გასულ, ისე შემოსულ საქონელზე და პორტო-ფრანკოს ხაზს იქით მეთვალყურეობისათვის. საბაზოს „ბათუმი“ ეწოდება. პორტო-ფრანკოს ხაზს იქით დაწესებულია „ოზურგეთის“, „ჭოროხის“ საგუშაგოები და „ქახაბრის“ საქარაულო.

გარდა ამისა, ართვინსა და ბათუმს შორის, საქონლისა და მგზავრების მდ. ჭოროხზე მნიშვნელოვანი მოძრაობის

გამო, ამ მდინარის შესართავთან დაწესებულია კიდევ მესა-
მე, „ჭოროხისინირა“ საყარაულო.

ბათუმის საბაჟოს შტატი შედგენილია თბილისის სა-
საწყობო საბაჟოს შტატის შესაბამისად: ეკროპულ ენებზე
მთარგმნელი, გემის ზედამხედველი და მისი თანაშემწის
თანამდებობები. საყარაულოთა შტატები კი შედგენილია
ნიკოლაევსკის I თანრიგის საკარანტინო-საბაჟოს შესაბამ-
ისად, რომელიც ახლა ჩურუქსუშია გადაევანილი, ხოლო
კახაბრის საყარაულოსი – კავკასიაში არსებული მე-3 თანრი-
გის საკარანტინო-საბაჟოს შესაბამისად.

ნავსადგურის და ქალაქის თაგისუფალი ვაჭრობა არ
ცვლის უსაფრთხოების ზომებს გადამდებ სხეულებათაგან
თავდასაცავად, ამიტომ უკეთ საკარანტინო გამაფრთხილე-
ბელი დადგენილებანი შენარჩუნებულია და ძალაშია ბათუ-
მის ნავსადგურისათვის იმპერიის შავი ზღვის სხვა ნავსად-
გურების მსგავსად. ბათუმის კარანტინის შტატი შედგენილ-
ია ფოთის საკარანტინოს შტატის მიხედვით.

ორივე შტატის ხარჯები განსაზღვრულია 59 000 მანე-
თის ოდენობით.

ვფიქრობ, ქობულეთლები ჩქარა ვერ შეეგუებიან საბა-
ჟოს მოქმედებას პორტო-ფრანკოს ხაზს იქით. ზოგიერთი
პიროვნების გადმოცემით გავიგე, რომ საბაჟო წესების უცბად
შემოღებას შეიძლება მოჰყვეს მთელი რიგი უხერხეულობანი,
მით უმეტეს, რომ ჩვენი საბაჟო ტარიფი, თუ კი ანგარიშს
ოქროთი მივიღებთ მხედველობაში, ძალზე მაღალია. ამას-
თან, მცხოვრებლები შეეჩივნენ იავ უცხოურ საქონელს,
ხოლო ჩვენი საქონლის შოვნა, ჯერჯერობით, გზების უქონ-
ლობის გამო, თითქმის ოქროს ფასი იქნება.

შესლიმანურ, ბერძნულ, სომხურ-გრიგორიანულ და სო-
მეხ-კათოლიკო ეკლესიებისადმი ჩვენი ხელისუფლების
დამოკიდებულების შესახებ ძალიან ცოტა რამის თქმა
შემიძლია. ვფიქრობ, ზოგიერთი სიძნელე შეგვხდება მუს-

ლიმანურ ეკლესიასთან დამოკიდებულების საქმეებში. მუსლიმანურ მეჩეთებს სასულიერო პირებით კონსტანტინეპოლი ავსებდა. რადგანაც მხარეში არ არის უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. საჭიროა ამ საქმის მოგვარება.

სომებ-კათოლიკეთა მიმართ უნდა აღვნიშნო, რომ ისინი თურქებთან პრივილეგირებულად თვლიდნენ თავს, რამდენადაც რომის კურის შუამდგომლობით თურქების მთავრობა ძველთაგანვე სომებ-კათოლიკებს აძლევდა უპირატესობას. ბათუმელ სომებ-კათოლიკებს აქვთ სულთნის მიერ ბოძებული სიგელის ასლი იმ შედავათების შესახებ, რომლებიც ეძლევა ამ ეკლესიას. „ნარკვეგებს“ ბოლოს ვურთავ ამ საინტერესო დოკუმენტს, რომლის თარგმანი შესრულებულია მთიელთა სამმართველოს უფროსის პ. ვ. კომაროვის ბრძანებით.

სომებ-გრიგორიანელებმა ადრევე გაიგეს თავიანთი მდგომარეობა და დროზე დაემორჩილნენ სომებთა უმაღლეს სასულიერო წარმომადგენლებს, რომლის თარგმანი შესრულებულია შესაბამისი განკარგულებანი. ასევე მოიქცნენ ბერძნებიც.

ჩვენი ახალი საზღვრების გაურკვევლობას აჭარაში, ზოგან მდელვარება მოჰყვა. ამ გაურკვევლობის შედეგად სასაზღვრო კორდონის გავლებამ უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც ხშირად აქეზებდნენ თურქი ემისრები* და თურქებთან დარჩენას ფიქრობდნენ.

მე უკვე ვახსენე სპეციალური რუსულ-თურქული კომისია, რომელსაც უნდა გაევლო ახალი საზღვარი რუსეთსა და თურქეთს შორის, მაგრამ ეს საქმე ადრე ვერ დაიწყება. გენერალ ა. ვ. კომაროვს დაევალა თურქეთის დელეგაცი-

* წამქეზებელთა შორის მთავარი ადგილი ეკავა ჩვენთვის უკვე ცნობილ ოსმან-ფაშა თავდგირიძეს, რომელიც ჩვენი უფროსობის დასმენით თურქეთის მთავრობამ შესცვალა.

ის ხელმძღვანელთან, ბრიგადის გენერალ მუსტაფაშასთან ერთად გაევლო დროებითი საზღვარი. კომისია მაღე შეუდგება თავისი ამოცანის შესრულებას.

ბოლოს, ისდა დამრჩენია, რამდენიმე სიტყვა აჭარის მკვლევარის დ. ზ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბებულ კომისიაზე, რომელმაც თურქეთის მფლობელობის დროს არსებული კანონების მიხედვით უნდა განიხილოს და განსაზღვროს ქონებრივი მფლობელობის უფლებანი, იმ ყალბი ხმების გასაბათილებლად, რომელსაც ავრცელებენ ზოგიერთი ბოროტგანმზრახველები, რომ, თითქოს, რუსეთის მთავრობას არ სურს იცნოს ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მიწის საკუთრების უფლებანი. ამ კომისის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ ხმებს საფუძვლად დაედო ყურანის მოძღვრება, რომლის მიხედვით თურქელი კანონები არასდროს არ ცნობენ მიწის, ტყის და სხვა კერძო საპუთრებას და, რომ

კერძო პირებს ჰქონდათ მხოლოდ მფლობელობის უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს.

ინსტრუქციის მიხედვით, კომისიამ, რომელიც დაარსებულია მიწისმფლობელობის უფლებების და აქტების მოსაწესრიგებლად ბათუმის ოლქში,* დავალებები უნდა დაამთავროს ექვსი თვის ვადაში (§3). მიუხედავად მთიელთა სამართველოს მიერ მიცემული მითითებებისა, კომისია ხელმძღვანელობს აგრეთვე საჭირო ცნობების შეგროვების წესით და ხერხებით, ოლქის სამსედრო გუბერნატორის მითითებებით (§6).

მცხოვრებლებთან ყოველგვარ ურთიერთობას კომისია ახორციელებს მხოლოდ სამსედრო გუბერნატორის და

* ასევე ყარსის ოლქში

ადგილობრივი სამსარეო უფროსების განკარგულებით (§8). მფლობელობის, საკუთრების და გასხვისების ყველა ფორმების სრული და ყოველმხრივი გარკვევისათვის კომისია მხედველობაში ღებულობს არა მხოლოდ თურქეთის იმპერიისდროინდელ კანონმდებლობებს, არამედ იმასაც, თუ როგორ სრულდებოდა ეს კანონები, როგორი იყო ადგილობრივი პირობებით გამოწვეული გამონაკლისები. ამისათვის ცნობებს ჰკრებდნენ ადგილებზე და გულმოდგინედ ამოწმებდნენ მათ (§9). კომისია ვალდებულია სწორად და ნათლად გამოარკვიოს ყველა თავისუფალი მიწები და სავარგულები, რომლებიც ხაზინის საკუთრებას წარმოადგენენ და რომლებიც შეიძლება მის სრულ განკარგულებაში შევიდეს. ამ მიწების ფართობი გამოთვლილი უნდა იქნას არსებული ცნობების მიხედვით, თუმცა მიახლოებით (§12). და, ბოლოს, კომისია არ განიხილავს: განცხადებებს ამა თუ იმ პირის პრეტენზიებით ხანგრძლივად მამულის მფლობელობაზე, თუკი ამაზე არ არსებობს წერილობითი აქტები. ყველა ასეთი და ამის მსგავსი დავა სასამართლო განხილვას ექვემდებარება (§17).

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნულია გენერალ-მაიორი პ. ვ. კომაროვი (არტაანის რაზმის ყოფილი უფროსი), რომელმაც ჯერ კიდევ ადრე შეძლო დაემტკიცებინა არტაანის, არტანუჯის და ართვინის მცხოვრებლებისათვის რუსული წესების უპირატესობა თურქულისაზე და თავისი სიმართლის მოყვარულობით მათი პატივისცეა დაიმსახურა.*

რაც შეეხება ბათუმის მხარის უფროსს თავ. გ. დ. გურიელს, ესოდენ კეთილ და მშვენიერ პოპულარულ და სიმპა-

* აჭარლები თაგიანთი კეთილგანწყობის ნიშნად მას „კომარ-ფაშას“ უწოდებდნენ.

თიურ პიროვნებაზე, ქობულეთელთა, ბათუმელთა და სხვა ქართველ მაჟმადიანთა შორის, მე რამდენიმე გზის მქონდა საშუალება აღმენიშნა.

თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას და რუსეთის დაბალ მოსამსახურეთა შორის იყო მცირე-მცირე შეხლა-შემოხლა და უსიამოვნებანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას და მოსახლეობას შორის საერთოდ კარგი ურთიერთობა დამყარდა.

აჭარაში ამასწინანდელი არეულობის მიზეზები არ შეიძლება მიეწეროს მოხელეთა უკანონობას, რამდენადაც, ჯერ ერთი, აჭარელთა მღელვარება და ბალადობა პირველად მხოლოდ თავიანთი მეჯლისის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგ

მიმართული პროტესტი იყო (მაგ. ზემო აჭარაში), როგორც შედეგი აჭარლებისათვის ასე დამახასიათებელი სისხლის აღებისა და მეორეც, ეს არეულობანი მთლიანად თურქი ემისრების წამქეზებლობით იყო გამოწვეული, ასევე მხარის დაბალი ეგონომიური მდგომარეობით, რის შესახებაც მე უფრო დაწვრილებით ვილაპარაპებ მომდევნო ორ თავში.

თ ა გ 0 მ ე თ ე ძ გ ს მ ე ტ ე

მოსახლეობის გადასახლება თურქეთში. – საჭიროა თუ არა ზრდნება მათ დარჩენაზე? – დაზღიური. – მცხოვრებთა დეპუტაცია რუსთის ხელისუფლებასთან. – ამ დეპუტაციის მიზნებით დასახლებაზე. – გვრი ფარმომაღისტრის არ ყოფნა. – ხევაი ბასახლებაზე.

ვამთავრებთ რა წინამდებარე „ნარკვევებს“, * საჭიროდ ვცნობ ადგნიშნო ერთი არსებითი გარემოება, რომელსაც შეუძლია ცუდი გავლენა იქნიოს ახალი მხარის კონომიკურ მდგომარეობაზე. მხედველობაში მაქს ბერლინის კონგრესით დადგენილი ოლქის მცხოვრებთა თურქეთში გადასახლება, სამი საშედავათო წლის განმავლობაში. უპირველესად, იბადება ასეთი კითხვა: დირს თუ არა ზრუნვა, რათა ქობულეთლები და აჭარლები დარჩნენ ჩვენს მიერ დაკავებულ ოლქში და რას დაგკარგავთ მათი წასვლით.

რა თქმა უნდა, ენ გროს-ის** მოვარულთა თვალსაზრისით, რადაც 50,000 მცხოვრებით მეტი ან ნაკლები, მხარისთვის დიდს არაფერს წარმოადგენს. ეს დანაკლისი შეიძლება შეიგსოს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა რიცხვით, სადაც ხალხი უმიწობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. ამისათვის ერთი დაძახებაა მხოლოდ საჭირო და მსურველები გაჩნდებიან. მაგრამ ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ეს გადმოსახლებულები ვერ შეეგუებიან მათთვის უცხო მთიან ადგილებს, სადაც სრულიადაც არ არის მემინდვრეობის და მეცხოველეობისათვის საჭირო

* წიგნის ბოლოს ვურთავ ბათუმის ოლქის დანარჩენ მხარეთა დასახლებულ ადგილების სიას, მოსახლეობისა და მეკომურთა რიცხვის, გადასახადთა და გამოსაღებთა რაოდენობის ჩვენებით, რომელიც გადმოდებულია „ტრაპიზონის კალენდრიდან.“ – თარგმანი შესრულებულია სპეციალურად ამ „ნარკვევებისათვის“ და იგი დღემდე არსად არ გამოქვეყნებულა.

** დიდი (რედ.)

ფართობები და ყოველი გოჯი ძალით უნდა გამოგლიჭო
ხშირი მცენარეულობით დაფარულ უღრან ტყეს, სადაც,
ხშირად, თავისუფლად ჩიტიც კი ვერ ჩაფრინდება.

ქობულეთელი და აჭარელი აქადამიული და შეეჩია
ამ ველურ, მაგრამ მისთვის ძირფას მამულს, რომელიც
ავად თუ კარგად კვებავს მას და მის ოჯახს.

დავანებოთ თავი ამ წმინდა ფიზიკურ პირობებს და ვიმ-
სჯელოთ არა ნაკლებ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოსაზ-
რებებზე, რომლებიც სრულიად გამორიცხავენ იმაზე ფიქრს,
რომ ჩვენ გულდამშვიდებით ვუყუროთ ბათუმის ოლქის
მცხოვრებთა გადასახლებას თურქეთში. ასეთი გადასახლე-
ბა შეგვიმცირებს მამაცი მისახლეობის მნიშვნელოვან კონ-
ტინენტს და ამავე დროს სახელს გაუტეხს ჩვენს გავლე-
ნას მცირე აზიაში. იგი მომავალში მრავალი გაუგებრობის
მიზეზი გახდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია
მაღა გახდება თურქეთთან და მის მოკავშირე ინგილსთან
ჩვენი „საბოლოო“ ანგარიშსწორების სარბიელი. მაშინ ჩვენ
ვინანებთ ამ „დაუდგრომელ“ აჭარლების გამო, რომელთა
თავიდან მოშორებასაც ახლა ასე ვცდილობთ.

საქმე იმაშია, რომ გასახლებულ ქართველ მაჰმადინებს
შეუძლიათ მისცენ თურქებს 20-30 ათასი კარგი მეომარი
მაშინ, როდესაც უკვე ბრძოლებში გამოცდილ ამ მამაც-
თა ადგილზე დატოვებით ჩვენ აზიურ-თურქულ საზღვარზე
გვეყოლებოდა საიმედო დასაყრდენი, რომელსაც ისინი და-
იცავდნენ, როგორც თავიანთ მშობლიურ მიწას. მაგრამ ეს
ყველაფერი როდია.

მდინარე ჭოროხს გაღმა ვიდრე ტრაპიზონამდე გადაჭიმუ-
ლია ტერიტორია, რომელიც დასახლებულია აგრეთვე ქარ-
თული ტომით – ქობულეთისა და აჭარლების ნათესავი ლა-
ზებით. ეს ლაზები ახლა აკვირდებიან, თუ როგორ ცხოვრო-
ბენ ქობულეთლები და აჭარლები რუსული ხელისუფლების

ქვეშ და შეიძლება თავის დროზე, მათაც ისურვონ თავიანთ ქართველ თანამომგებთან გადმოხრა.

აი, სერიოზული ზომები იმისა, რათა ლაზების შემო-
ერთებას თუ არა, მათში მეგობრების გაჩენას მაინც ვცდი-
ლობდეთ, ამას კი ჩვენ შეგვიძლია მიყადწიოთ მხოლოდ მა-
შინ, თუ კი შევინარჩუნებო ბათუმის მხარის მცხოვრებლებს
ჩვენი ხელისუფლების ქვეშ. მასა საერთოდ არ მისდევს
წვრილმანის განსჯას, რომლის შედეგადაც მოხდა ესა თუ
ის ფაქტი. ბრძოსათვის საკმარისია, რომ ფაქტი მოხდა და
ქობულეთლები და აჭარლები არ დარჩენებ რუსული მმართ-
ველობის ქვეშ... მაშასადამე, მათ თანამოგვარეებს ცუდად
ექცეოდნენ; მაშასადამე, ბარბაროსები და ავი მჩაგვრებები
არიან. ამის შემდეგ ლაზები აღარ შეეცდებიან ჩვენთან მე-
გობრობას და აღარ მოინდომებენ რუსეთთან შეერთებას,
რაც ადვილად შესაძლებელია ქობულეთელთა და აჭარელ-
თა ბუნებრივად და ლოგიკური თანამიმდევრობით რუსეთ-
თან სრული შერწყმის გზით...

გასული წლის ნოემბრის თვეში თბილისში, ჩვენი მთავ-
რობისადმი ერთგულების გამოსახატავად და რუსეთის ხე-
ლისუფლების მფარველობის ქვეშ მათი ხელის გაუმჯობე-
სების სურვილის განსაცხადებლად ჩამოვიდა ბათუმის ზოგი-
ერთი დეპუტატი. დეპუტაცია საერო და სასულიერო პირები-
საგან შესდგებოდა. სასულიერო პირთაგან იყვნენ: მუფთი
ხასან ეფენდი სალის ეფენდი ზადე, როგორც მაჰმადიანთა
წარმომადგენელი, პეტრო ხარლამპოვი, ბერძენი მღვდელი
ქბათუმიდან და ტერ-გრიგორ პუხინიანი სომებ-კათოლიკ-
ეთა მღვდელი. საერო დეპუტატთაგან იყვნენ: ბათუმიდან –
ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ჩაქვიდან: ხასან ბეგ-ბეჟანიძე და ხუ-
სეინ- ბეგ ბეჟანიძე. სხვა ადგილებიდან ჩამოვიდნენ: შავ-
შეთიდან – ნური ბეგ ხიმშიაშვილი, ახლა რუსული არმიის
მაიორი, ზემო აჭარის ყოფილი მფლობელის შერიფ ბეგის

მმისწული;* მაჭახლიდან – სული-ბეგ მაჭახელი, იყო მუდი-რად, აქვს მე-5 ხარისხის მეჯიდიე; მარადიდიდან – ახმედ ეფენდი, მილიციის მაიორი, მეთაურობდა ბატალიონს, ას-რულებს კაიმაკამის თანამდებობას; გონიოდან – ოსმან- აღა მაკრიალელი, იყო მუდირი, პქონდა მე-5 ხარისხის მეჯიდიე; არტანუჯიდან – ემინ-ეფენდი მუფთი ზადე არტანუჯელი, იმყოფება მეჯლისში, ართვინიდან – პეტროს პუხინიანი და შავშეთიდან – სიმიონ საგამიონი, იმყოფება მეჯლისში.

უმრავლესობა ამ დეპუტატებისა, რომლებსაც მე ვიცნობდი ბათუმიდან, ეპუთვნოდნენ ქვეყნის საპატივცემულო პირთა რიცხვს, მაგრამ, როგორც განმიცხადეს, სინანულს გამოთქვამდნენ ბათუმის ოლქის ბევრი წარმომადგენლის არყოფნაზე, რომლებიც აქ გახდებოდნენ მათი ქვეყნის გრძნიბებისა და სურვილების ნამდვილი გამომხატველნი.

თავიანთი გავლენის მიხედვით, მათი აზრით, დეპუტაციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ: რეშიდ ეფენდი ხაზინადარ-ზადეს და შირინ-აღა ოსმან ბაირახტაროდლის ზემო აჭარიდან; თუფან ბეგს, აბდულ-ბეგს და ულფან-ბეგს ქვემო აჭარიდან; დურსუნ-ბეგ თავდგირიძეს, რეჯებ-აღა ცივაძეს ჩურუქ-სულდან; თევფიუ-ბეგ ათაბეგოღლის და აფრიონ ეფენდი გორგიონს ლივანიდან; ფელულ-ბეგ ხიმშიაშვილს შავშეთიდან; საფარ-ბეგს იმერხევიდან და ალი-ბეგს მაჭახლიდან.

ადნიშნულ პირთა არყოფნა დეპუტაციაში, რომელიც მეფისნაცვალს წარუდგა, ბათუმელთა აზრით, ჩასულ დეპუტატებს არ აძლევს საშუალებას ილაპარაკონ მთელი ქვეყნის სახელით.

ბერლინის კონგრესის პუნქტის მიხედვით ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს სამი წლის ვადაში უფლება აქვთ გაფიდონ თავიანთი ქონება და გადასახლდნენ თურქეთში.

* უნდა იყოს ბიძაშვილი (რედ.)



თუშან-ბეგ შერვაზიძე
(1846-1914)

საჭირო იყო დადგენა – რჩებოდა თუ არა უმრავლესობა? ახლახან ვთქვი, რომ ბათუმის დეპუტაციამ რუსეთის მთავრობას მხოლოდ თავისი სახელით ან სალხის ერთი ჯგუფის, თავიანთი თანამოაზრების სახელით განუცხადა თავისი გრძნობები, ამდენად, დეპუტაციის ჩამოსვლამ ვერ გადაწყვიტა გადასახადების საკითხი. დედექალაქის ზოგიერთი ორგანოს კორესპონდენტებმა დაიწყეს ცნობების გამოქვეყნება, მოსახლეობის თურქეთში გადასახლების შესახებ. ამასთან, გამოთქმული იყო რამოდენიმე შეხედულება, რომელთა შესახებაც ზედმეტი არ იქნება თუ ვისაუბრებთ.

თ ა გ ი მ ა ჩ ი ზ ი დ მ ე ტ ე

სხვადასხვა მოსაზრებანი ადგილობრივ მკვიდრთა ოლქიდან ბასახლების შესახებ. – მოსახლეობის ზანატიზე და წამშეზეპლობა. – შეღებები. – ბასახლების ნამდგილი მიზანები. – მცხოვრებთა გაჰირვებული მდგრადობა. – მათი იმპერატორი. – ადგილობრივ მკვიდრთა მატერიალური და სულიერი მდგრადარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა.

ცნობები ბათუმის მხარის მოსახლეობის მიერ რუსეთის დატოვებაზე იმდენად გაურკვეველი და არასაიმდო, რომ ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. კორესპონდენტთა დიდი ნაწილი ცდილობს გასახლების მიზეზები რაღაც იდუმალებაში ეძებოს.

ერთი რიგი ცნობების მიხედვით, მოსახლეობა არ ფიქრობს გასახლებას; პირიქით, უკან ბრუნდებიან ისინიც კი, ვინც ქალაქი დატოვა რუსეთზე ბათუმის გადაცემის გამოცხადებისას. დაბრუნებულ ოჯახთა ცნობით, გასახლებული ქალები, ბავშვები, მოხუცები ტრაპიზონში, დია ცის ქვეშ იყვნენ და დასხეულებულნი, მშიერ-მწყურვალნი მათხოვრობით ირჩენდნენ თავს. თურქეთის მთავრობამ მხოლოდ ორას გასახლებულს მისცა თავშესაფარი. მაშინ, როდესაც მათი რიცხვი 4000 აღემატებოდა. დანარჩენი გასახლებულები ბედის ანაბარა იყვნენ მიტოვებული. ამან კი გადასახლების მსურველები ისეთი შიშით მოიცვა, რომ მათ ამაზე ფიქრიც კი უარპყვეს.

მეორე რიგის ცნობების მიხედვით, თურქეთის აგენტები გამალებით მოქმედებენ უფრო მიყრუებულ სოფლებში. მათ მოსახლეობის სახელით შეადგინეს თხოვნა თურქეთის მთავრობისადმი და ითხოვდნენ გამოყოფილ მათვის მოსახერხებელი ნაკვეთები მცირე აზიაში. ამ აგიტაციას ჰქონდა წარმატება.

მესამე რიგის ცნობების მიხედვით, მაჰმადიანი სასულიერო პირები უქადაგებენ ხალხს გასახლებაზე, რამდენა-

დაც თურქების მთავრობას ესაჭიროება აზიური ნაწილის იმ მიდამოების შევსება, სადაც უკანასკნელი ხოცვა-ულეტის შედეგად იკლო მოსახლეობამ. ამიტომაც ცდილობს მოსახლეობის მოზიდვას მაღაციის და კონის ზეგანზე. სასულიერო პირები არწმუნებენ მოსახლეობას, რომ ისინი გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში მუდმივ ნეტარებას ეწეოდნენ...

არის ასეთი კურიოზული ცნობებიც, რომელთა მიხედვით გასახლების მიზეზი რუსების მიერ აჭარა-ახალციხეში გზის გაყვანაა, რითაც აჭარლები ძალზე უკმაყოფილონი არიან. გარდა ამისა, აჭარლებს არ სურთ დაქმორჩილონ რუსებს და უხადონ მათ გადასახადი; რუსის ჯარის აჭარაზე გავლის დროს გენერალს გამოუცია ასეთი პროკლამაცია: 1) მიწები და ყოველგვარი ქონება დარჩება მოსახლეობის მთლიან და მუდმივ მფლობელობაში, 2) ბათუმის აღების პირველ-ორ წელიწადს ისინი არ გადაიხდიან არავითარ გადასახადს და ბეგარას; 3) მოსახლეობის გასახლებას თურქეთში არ ექნება არავითარი შეფერხება, თუკი ეს გასახლება მოხდება ბათუმის აღებიდან არა უგვიანეს პირველი-ორი წლისა. ხალხი მოტყუდა. რუსებმა ყველა სოფელში დაიწყეს მფლობელების, მათი მიწების, ქონების, სახლების აღწერა, რათა ისინი დაუმორჩილონ მთლიანად რუსულ კანონებს, გაჰყავთ გზები, აწესებენ თავიანთ მმართველობას და სხვა...

ბოლოს მიუთითებენ იმაზეც, რომ, ახლადშემოერთუბულ ადგილებში რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვრების დაუდგენლობა, საბაბს აძლევს გაუნათლებელ ადგილობრივ მცხოვრებლებს იმედი იქონიონ მათი მიწების ისევ თურქეთის მფლობელობაში გადასვლაზე და რომ ისინი ისევ გახდებიან ოსმალთა ფადიშახის ერთგული ქვეშევრდომები. ამაზე უჩიჩინებენ მოსახლეობას ბათუმის ოლქში.

ჩემის მხრივ, უნდა შევნიშნო, რომ მოსახლეობაში ფანატიკურ შეხედულებათა განვითარებას ხელი შეუწყო

მოღებისა და ძველი ხელისუფლების მეცადინეობაში. როგორც სასულიერო, ისე მთავრობის წარმომადგენლები გამუდმებით უნერგავდნენ მოსახლეობას მცნებას თავისი რელიგიის უცხო რჯულისაგან დაცვაზე. „სხვანაირად – როგორც ამას ყურანი ამბობს, – ისინი ვერ იქნებიან ნამდვილი მაპმადიანები“...

მთავრობა არ თვლიდა საჭიროდ დახმარებოდა ქვეყნის მოსახლეობას იმ ზარალისა და ტანკვისათვის, რომელიც მან გაიღო ბრძოლაში „ყურანისა და რჯულისათვის“, როგორც ჩანს, ასეთი აზრი არც კი მოსვლია გაკოტრებულ თურქეთის მთავრობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ბერლინის კონგრესზე გადაწყდა, რომ ბათუმი რუსეთს გადაეცემა. ამავე დროს, თურქეთის მთავრობაში იცოდა, რომ ბათუმის ოლქის ერთმორწმუნე მცხოვრებთა მიმხრობა სასარგებლოა მათვის და გამოაცხადა, თუ მოსახლეობა თანახმად თურქეთში გასახლებაზე ევროპის ქვეყნების მიერ დათქმულ ვადაში, მაშინ მათ მიეცემათ მიწები, იმის სანაცვლოდ, რასაც დატოვებენ. სხვანაირად, ყველა, ვინც კი დარჩებოდა, არ უნდა ჰქონოდა თურქეთის მთავრობის წყალობის იმედი და მათ ჩათვლიდნენ „ძველ ურჯულოებად“...

საყოველთაო გადასახლებისათვის თურქეთის მთავრობაში ბათუმში დანიშნა თავისი აგენტები, რომლებსაც ვალებოდათ მთელი შესაძლებლობით აღემრათ მოსახლეობაში სურვილი რუსეთის დატოვებისა. გარდა ამისა, გავლენიან ბეგების დიდ ნაწილს დავალებული ჰქონდა გადაებირებინათ თავიანთი სოფლების მცხოვრებლები და ამისათვის მიეღოთ დიდი გასამრჯელო.

რადა დარჩენოდა მოსახლეობას? ერთის მხრივ ფანტიზმით აღგზნებული და თურქების დაპირებებით აღვსილნი, რჩებოდა უადრესად გაურკვეველ მდგომარეობაში და, რა თქმა უნდა, ვერ გადაეწყვიტა, განუცხადონ რუსეთის

მთავრობას თავიანთი საბოლოო აზრი (რომელსაც, სხვათა-შორის, არავინ თხოვს მათ), დარჩნენ თავიანთ სახლებში, თუ დატოვონ მხარე, მეორეს მხრივ, უკანასკნელმა ომმა ბა-თუმელები სრულ სიღატაკემდე მიიყვანა. ამიტომაც, სუფთა აზიური თვალსაზრისით მცხოვრები რუსებში ხედავდნენ თავიანთ ამასწინდევლ მოწინააღმდეგებს. ჩვენი მთავრობის წინაშე თავი მართლად მიაჩნიათ და გაჩანაგებული მეურ-ნეობის აღსადგენად ვერ ბედავენ დახმარების თხოვნას, რა-საც, რა თქმა უნდა, დიდი თანხა დასჭირდება... რაც შეეხება თურქებს, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კონსტანტინე-პოლში გაგზავნილი და იქვდან დაბრუნებული აგენტები თურქეთის მთავრობის დაპირებით აცდუნებენ მათ.

ზოგიერთი ბეგი აპირებდა გასახლებას იმიტომაც, რომ არსებული ძირგადგმული ჩვევების მიხედვით მათ შეუძლიათ იყვნენ ხალხის მეთაური (წინამდოლი) და ყველა საჭირო შემთხვევაში სისხლისდვრას მიმართონ. მაგრამ თუ ისინი რუსეთის ხელში დარჩებიან, თურქეთის ყველა შორეულ პროვინციაში ჩვეულებად ქცეული ასეთი ძალმომრეობა რუსეთში დაუსჯელი არ დარჩება.

აი, კიდევ ერთი გარემოება: ბეგრი ბეგი ჯამაგირს დუ-ბულობდა თურქეთის მთავრობისაგან. ახლა კი მათ ამის იმედი დაკარგეს, რამდენადაც საადგილმამულო კომისიას დავალებული აქვს გაარკვიოს, თუ რომელ ბეგთაგანს აქვს დაკარგული პენსიის მიღების უფლება...

თუ შევაჯამებთ ყველა ზემოთქმულ მიზეზებს, რომ-ლებიც აიძულებს მცხოვრებლებს გასახლდნენ თურქეთში, მიმაჩნია, რომ მათ მხარეში დარჩენის ხელისშემშლელი ზოგიერთი გარემოების ლიკვიდაცია უპალოდ მოსპობდა წასვლის ფიქრს. ასეთებია მცხოვრებთა უფლების ოფი-ციალურად ცნობა მათ უძრავ ქონებაზე, გადასახადების და ბეგარის აკრეფის სისტემის შეცვლა-გაუქმება რამდენიმე წლის განმავლობაში.

აღნიშნავენ აგრეთვე ზოგიერთ სხვ გარემოებებს, რომლებიც აშინებს ქობულეთლებს და აჭარლებს. ესაა: ბაჟის შემოღება და შიში რუსების ბატონობის დროს ისლამის ბედის შესახებ, მაგრამ ეს არ შეიძლება მივაკუთვნოთ სერიოზულ მიზეზებს, რამდენადაც საბაჟო თურქეთის მთავრობის დროსაც იყო, ხოლო ქალაქის საზღვრის გარეთ მის დაწესებას უმნიშვნელო გავლენა ექნება იაფი უცხოური წარმოების საქონლის ფასებზე, რომელსაც ისინი მიჩვეული არიან.

რაც შეეხება რელიგიის ხელშეუხებლობას, ამ მხრივ მოსახლეობა სავსებით დამშვიდდა. საშიშროება, ფიქრობენ, მოელით მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც მერყევი არიან ისლამის დოგმებისადმი და თვით ისურვებენ დაუბრუჯნენ ქრისტიანობას, ე. ი. მიიღონ პაპათა რწმენა... მათ არავინ აიძულებს და ძალასაც არავინ დაატანს!

სერიოზულ მიზეზებზე საუბრისას, რომელთა შესახებ მე ზემოთ ვთქვი, უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით კომისია უკვე შეუდგა თავისი საქმის შესრულებას. ამ კომისიის მოვალეობას წარმოადგენს, ყოველგვარი მფლობელობის სრული და ყოველმხრივი გამოვლენა. უძრავი ქონების მფლობელობის და გასხვისების უფლებები. თურქეთის იმპერიის კანონდებულება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და ფაქტობრივადაც გამოყენებული.

მიუხედავად „თაფუსა“ და სხვა დოკუმენტების მნიშვნელობისა, რომელთაც თურქული რეჟიმის დროს შემზღვევლი მნიშვნელობა პქონდათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მთავრობა საჭიროდ ჩათვლის ცნოს ახლანდელ მესაკუთრეთა ფაქტობრივი მფლობელობა უძრავ ქონებაზე და დაუმტკიცებს მათ მემკვიდრეობით. ასეთი გადაწყვეტილება სავსებით მიზანშეწონილი იქნება. სხვანაირად ჩვენს მოქმედ კანონდებულებასთან წარმოიქმნება საშინელი დისპარმონია.

გადასახადთა აკრეფის დროებით შეჩერებაზე საუბრისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს ომის შემდეგ ბათუმის მხარის მოსახლეობის უაღრესად გაჭირვებული მდგომარეობა.

ამ ქვეყანაში, სადაც არ არის არც ქარხნები, არც ფაბრიკები და არც სხვა საგაჭრო—სამრეწველო დაწესებულებანი, მოსახლეობის მთელი კეთილდღეობა დამოკიდებულია მიწის დამუშავებაზე. იძლევა მიწა მოსაგალს — კარგია, არადა — მოკვდი შიმშილით! გადასახადის დიდი ნაწილიც აქ მიწადმოქმედებასთანაა დაკავშირებული.

ეს ეხება პირდაპირს, ან ჩვენებურ კ. წ. სარგოს გადასახადებს. მაგრამ არის აგრეთვე არასარგოს გადასახადები. ისინი პირდაპირ ტვირთად აწვება ხალხს, რომელსაც გარდა მიწათმოქმედების პროდუქტებისა, არ აქვს სხვა საშუალება მის დასაფარავად. ამ გადასახადებს პროდუქტებით კი არა, ფულად ითხოვენ ... ამასვე უნდა დაემატოს ისიც, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ვიდრე რუსები ბათუმს აიღებდნენ, ბათუმის მახლობლად თავმოყრილი მოსახლეობა საბოლოოდ გაჩანაგდა. იმდენად დიდი იყო გაჭირვება, რომ თურქეთის მთავრობამ ქალებისა და ბავშვებისათვის მცირე რამ გაიღო, რადგანაც მამაკაცები სამხედრო სამსახურში იყვნენ და მინდვრები დაუმუშავებელი რჩებოდა.

რუსების მოსვლის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობას უარი უნდა ეთქვა თურქეთში წასვლაზე იმის მოლოდინში, რომ გადასახადთა სისტემა გაუმჯობესდებოდა და პირველ ორ-სამ წელიწადს მხარე გათავისუფლდებოდა გამოსაღებისა და გადასახადების შეტანისაგან. განზრახული ღონისძიება დიდ ზიანს არ მიაყენებდა ხაზიანს. ავადმყოფობისა და გადასახლების გამო მოსახლეობას არ შეეძლო ეთესა პური და სხვა მოსავალი მოეყვანა. თუ კარგი პირი ექნებოდა მოსაგალს, შეეძლო რამდენადმე დაუცმაყოფილებინა უბედური მცხოვრებნი... მე ამით არ მინდა ვინმეს ვუსაყვედურო;

პირიქით, მთავრობამ შეაჩერა ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადის გადახდა, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა გაჭირვებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მაგალითად, ჩურუქ-სუს უბნისათვის. მე მგონია, რომ ბათუმის გუბერნაციონის მიერ უფლებების უფრო მეტად გამოყენება, მოსახლეობისაგან გადასახადების აკრფის და მათი დროებით შეჩერების შუამდგომლობაზე, ხელს შეუწყობდა არეულობის თავიდან აცილებას აჭარაში.

მდელვარებანი, რომელთა შესახებაც გვაცნობებენ ბათუმიდან, არ ყოფილა ბათუმის ოკრუგში (ბათუმი, ჩურუქ-სუ), სადაც მიღებული იქნა დონისმიერებანი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ფულადი დახმარებით და პურით, უპირატესად ეს მდელვარებანი მოხდა იქ, სადაც ჯერ არაფერი გაპეთებულა და სადაც მოსახლეობა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მშოოთვარე ჩვევებით.

ამგვარად, თუ ბათუმის ოლქის მოსახლეობა მასობრივად დაიწყებს გადასახლებას, ეს გამოწვეული იქნება, უმთავრესად, მათი ომისშემდგომი პერიოდის არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობით. ემიგრაციის შეჩერება შეიძლება მხოლოდ ყოველმხრივი და უხვი დახმარებით, რომელსაც ასე ძალზე საჭიროებს ამ მხარის გაჩანაგებული მოსახლეობა.

თუ რამდენად დიდი იყო მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობა, ეს ჩანს კინგრიშის უბნის ცნობიდან, რომლის მოსახლეობაც ერთ დროს შიმშილობდა და არ ჰქონდა ტანსაცმელი.

რა თქმა უნდა, მატერიალურ დახმარებასთან ერთად საჭიროა ზრუნვა სახალხო განათლებაზეც, რომელიც ყველა მოგზაურის ცნობით ბათუმის მხარეში განვითარების ძალზე დაბალ დონეზე დგას...

სტამბოლის პატრიარქზე და სომხურ-პათოლიკური რწმუნის პათალიკოსზე სულთნის მიერ ბოძმგვლი სიბეჭის თარგმანი

უმაღლესი ფირმანი დაიდო იმაზე, რომ სომხურ-კათოლიკური რწმენის მიმდევართა ერთი ნაწილი იმყოფება ჯებალ-ლიბნანში, სტამბოლის უმაღლესი ეპისკოპოსის მმართველობის ქვეშ. მათი მმართველობის დროს არსებული სიძელეების გამო, საჭიროდ ჩაითვალა ამ ორი სამმართველოს გაერთიანება, ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მათგანზე დაკისრებით. ქილიკის პატრიარქის გარდაცვალების გამო, სტამბოლის უმაღლესი ეპისკოპოსი ანტონ-პეტროს-გასუნი, რომელსაც გააჩნია ეს მოწმობა და რომელსაც შეუძლია რელიგიურ საქმეთა გაძლიერდა, ეპისკოპოსების მიერ არჩეულია და წარდგენილია დასამტკიცებლად სომებ-კათალიკოსთა პატრიარქის და ქილიკის კათალიკოსის თანამდებობაზე. ჩემზე მოხსენების წარდგინების შემდეგ ამა წლის 1284-ს 12 ჯემალულ-ულს, მივეცი ეს ფირმანი ანტონ-პეტროს-გასუნს სომებთა პატრიარქად და ქილიკის კათალიკოსად დანიშნუაზე და ვბრძანე:

1. დასახელებულ ანტონ-პეტროს-გასუნს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიენიჭა სომებ-კათალიკოსთა პატრიარქის და ქილიკის კათალიკოსის წოდება და იგი არ ჩამოერთვას მას, მანამ ვიდრე ის არ ჩაიდგნს რაიმე საწინააღმდეგო ქმედებას მასზე მინდობილი ერის რელიგიურ წესების მიმართ, ან რაიმე საქციელს სახელმწიფო კანონების და წესრიგის მიმართ, ანდა მანამ, ვიდრე თვითონ არ მოითხოვს გადადგომას.

2. ყველგან, სადაც კი მისი საპატრიარქო და საკათალიკოსოა ყველა მარქასი, ეპისკოპოსი, ბერი, მდგდელი, აგრეთვე სომებ-კათალიკოსთა მიმდევარი, დიდი თუ მცირე,

ზემოდასახელებულ ანტონ-პეტროს-გასუნს ცნობენ პატრი-არქად და კათალიკოსად და საქმეებზე, რომლებიც მის საკათალიკოს ეკუთვნის, მიმართავენ მას და ემორჩილებიან მის კანონიერ განკარგულებებს. ყველაფერში უცხადებენ მას მორჩილებას და ნდობას.

3. არავის არ აქვს უფლება გაერიოს პატრიარქის განკარგულებაში დაქვემდებარებული მარქასების, მღვდელების და კარაბაშების დანიშვნა-მოხსნის თაობაზე, რომელსაც ისინი იმსახურებენ.

4. პატრიარქის წარდგინებით დამოწმებული, რომელიმე მარქასთაგანის გადაადგილება და ამ ადგილზე დანიშვნა ხდება ფირმანის შემცველი პირობებით. სხვა პირებს მარქასის წოდებაზე წარდგინების უფლება არა აქვთ.

5. ვალიების (გენერალ-გუბერნატორების), მეთეურიუმების (გუბერნატორების) და ცალკეულ უბნის უფროსების ყველა წარდგინებანი მარქასების ან ეპისკოპოსების გათავისუფლების ან გაძევების შესახებ, მათი ცუდი საქციელის გამო, მხედველობაში არ მიიღება, თუ არ იქნება იგი დამოწმებული პატრიარქის მიერ და თუ ამის შესახებ ფირმანი იქნება ადრე ან წინა რიცხვის, მას არ მიეგება პატივი, ხოლო მისი სიყალბის გახსნისას, მოიქცევიან კანონის შესაბამისად.

6. თუ რომელიმე მარქასი ან ეპისკოპოსი ჩამოვა სტამბოლს სათათბიროდ და მის ადგილას დატოვებს რომელიმე მღვდელს, ამაში მას ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს.

7. პატრიარქის მიერ, ასევე მარქასების ან მღვდელების მიერ რელიგიური წესების ჩატარებას თავიანთ სახლებში, საცხოვრებლებში ან ამისათვის განკუთვნილ ადგილებში, არავინ არ უნდა ჩაერიოს და არ გაუწიოს წინააღმდეგობა.

8. ძველთაგანვე კუთვნილ სომებს კათოლოკეთა ეკლესიებს, მონასტრებს, ან ძველ წმ. ადგილებს, სტამბოლში იქნება ეს თუ მის გარეთ, ვერ შეეხება ვერავინ. ვერ

შეუშლიან ხელს აგრეთვე თავიანთი წესით მიცვალებულის დამარხვას და რელიგიური წესების შესრულებას. პატივს სცემენ პატრიარქის ცნობას და განცხადებას რელიგიურ საქმეებზე და მას შემწეობას აღმოუჩენენ.

9. ზემოაღნიშნული ერის ეკლესიებისა და მონასტრების შემოწმების უფლება უმაღლესი განკარგულების გარეშე არავის არა აქვს, არ შეიძლება აგრეთვე ამ ნაგებობათა ძველებური წესით აგებაზე, ან შეკეთებაზე ხელის შეშლა.

10. ასეთი ძველი ეკლესიები სხვას არ გადაეცემა მოთხოვნით ან წარდგინებით, არ შეიძლება საეკლესიო ქონების დაგირავება სხვისი გალების გადასახდელად. უკუთუ ასეთი მოხდება, რაიმე მიზეზების გამო, იგი შარიათის კანონის მიხედვით დაბრუნებული და გადაცემული უნდა იქნას კუთვნილებისამებრ.

11. თუკი ზემოაღნიშნული მრევლის რომელიმე წარმომადგენელს მოუნდება ქორწინება ან განქორწინება, თავისი წესჩვეულების მიხედვით, იგი უნდა მოხდეს პატრიარქის ან მისი ოწმუნებულის დასტურით, გარეშე პირთ ეკრძალებათ მასში ჩარევა.

12. არავინ არ უნდა ჩაერიოს პატრიარქის განკარგულებაში იმ მდგდლების და რწმუნებულების პასუხისმგებაში მისაცემად, რომლებიც სტამბოლში ან სხვაგან არიან და მოახდენენ ქორწინებას მათი რელიგიური წესჩვეულების საწინააღმდეგოდ, პატრიარქის, მარქანის და მისი ოწმუნებულის ნებართვის და თანხმობის გარეშე.

13. ორ ქრისტიანს შორის ქორწინებისა ან განქორწინებისას წარმოშობილ სადავო საკითხზე ეკლესიაში მათი დაფიცების ან შერისხვის თაობაზე, კაზიების ან ნაიბების მხრივ ჩარევა ან წინააღმდეგობა არ შეიძლება;

14. აღნიშნული ერის კანონის მიხედვით იკრძალება ცოლის გაშვება ან მრავალცოლიანობა, თუკი ეს მოხდება დამნაშავენი მიცემული იქნან სამართალში დასასჯელად;

15. მათი კანონის მიხედვით არაკანონიერი გზით დაქორწინებულით ეპრძალებათ ეკლესიაში შესვლა, ასეთი პირების გარდაცვალების შემთხვევაში კაზიებმა და პოლიციის პოლკოვნიკებმა არ უნდა აიძულონ მდგდლები მათ დამარხვაზე.

16. თუკი მარქასები, ეპისკოპოსები, მდგდლები, მონაზვნები თავიანთ სცოცხლეში მათივე წესჩვეულების მიხედვით ეპლესიებს, სასწავლებლებს, დათისმსახურებს, პატრიარქებს უანდერძებენ ფულს ან ნივთებს, ასეთი ანდერძები ჩაითვალოს კანონიერად და ამ პირთა გარდაცვალებისას მემკვიდრეობან არ ჰქონდეს ადგილი კამათს და ჩარევას ამ ქონებაზე; თუკი დავა წარმოიშობა, ისინი განხილულ იქნან შარიათის მიხედვით, კათოლიკური ოწმენის მოწმეთა ჩვენებით და მემკვიდრეებს ჩამოერთვათ მეანდრეობეთა ფული და ნივთები;

17. უმეტკვიდრეოდ გარდაცვლილი მარქასების, მდგდლების, კარაბაშების, მონაზვნების ფული ან ნივთები უნდა ჩაბარდეს პატრიარქს ან მის მიერვე დანიშნულ რწმუნებულების. კაზიების ან სხვა უფროსების მხრივ ჩარევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ხოლო გარდაცვლილთა ფულს ან ნივთებს, რომლებსაც მემკვიდრეები ჰყავთ, პატრიარქი ან მისი რწმუნებული ვერ შეეხება;

18. თუკი კათოლიკე მარქასები ან მდგდლები ჩაიდენენ კათოლიკურ კანონთა საწინააღმდეგო ქმედებას და ამისათვის მათ პატრიარქები დასჯიან, გაპრეჭენ ან გააძვებენ მდგდლის ან კარაბაშის თანამდებობიდან და მათ ადგილას სხვას დანიშნავენ, გარეშე პირთაგან არავის არ აქვს უფლება პატრიარქს ამაში შეუშალოს ხელი;

19. პატრიარქთა, მარქასთა, მდგდლების ან მათი რწმუნებულების მიერ წამოჭრილი ყველა სარჩელი, რომელიც შარიათ განეკუთვნება, უნდა იქნას მოსმენილი მხოლოდ ჩემს სასახლეში; თუკი დავა წამოიჭრება კათოლიკური რქმენის პირთა შორის, მაშინ თრმხრივი შეთანხმების შედე-

გად მიმართავენ კათოლიკოსის სამმართველოს, სადაც მათი საქმე სამართლიანად უნდა გადაწყდეს;

20. ნაბრძანებია, უკოყმანოდ და დაუბრკოლებლივ გადახდილი იქნას, როგორც თანხა, რომლითაც სარგებლობენ სომხურ-კათოლიკური ეკლესია სახელმწიფოსაგან ძველი დროიდან, აგრეთვე ისიც, რომელიც დაგროვდა ნებაყოფილობითი შემოწირულობის, შემონატანის შედეგად და ასევე პატრიარქის კუთხინილი შემოსავალი;

21. თუკი ეკლესიების და მონასტრების რწმუნებულები აიღებენ და დახარჯავენ (ფულს) საპატრიარქო ან სახელმწიფო ხაზინიდან, ვერაფინ შეუშლის ხელს პატრიარქს, ჩაატაროს რევიზია გახარჯულ ფულზე და მითხოვოს მისი დაბრუნება;

22. თუ ეს თანხა ირიცხება მარქასებზე და მდვდელებზე, მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა, ფულის დაბრუნებისათვის საჭიროა უმაღლესი განკარგულება და ამისათვის კაზიებმა და ნაიბებმა პატრიარქის მიერ დანიშნულ რწმუნებულს უნდა აღმოუჩინონ სათანადო შემწეობა შარიათის კანონების მიხედვით.

23. პატრიარქის სახლში, მისი ბალიდან პროდუქტების მოტანას, სომხე-კათოლიკ მრევლის მიერ მისდამი დანიონს, ერბოს, თაფლის და სხვა პროდუქტების შეწირვას სატახტო და პროვინციულ ქალაქებში, საბაჟო ხელისუფლებმა ამ პროცესს ხელი არ უნდა შეუშალონ, არ უნდა გადაახდევინონ ან მოთხოვონ ბაჟი საგნებზე, რომლებიც პატრიარქს, მარქასებს, ეპისკოპოსებს და მათ ეკლესიებს ეკუთვნით.

24. თუკი შარიათის გადაწყვეტილებით აუცილებელი გახდება სომხე-კათოლიკოსთა რწმენის რომელიმე მდვდლის დაპატიმრება, მაშინ ეს უნდა მოხდეს პატრიარქის და არა სხვა ვინმეს მიერ;

25. არ უნდა იქნან შევიწროებული პატრიარქი, მარქასები, ან მათი რწმუნებულები. სამხედრო ან სამოქალაქო

პირებმა არ უნდა აიძულონ მათი ბინის დათმობა სხვა ვინ-
მესათვის;

26. არ უნდა ეკრძალებოდეთ მათ სამოსელის ან სხვა
ტანისამოსის, აგრეთვე პატრიარქის მიერ ბოძებული კვერთხე-
ოს ტარება;

27. არავინ არ უნდა შეეხოს სომებ-კათალიკოსთა რწ-
მენის ეკლესიათა კუთვნილ ბაღებს, ბოსტანს, სახნავ-სა-
თესს, საძოვარს, თაფლის სანთლის ქარხნებს, აგრეთვე
ეკლესიებისადმი შემოწირულ შენობებს, დუქნებს, მსხმო-
არე და არამსხმოიარე ხეებს და პირუტყვს;

28. არცერთმა გავლენიანმა პირმა არ უნდა აიძულოს პა-
ტრიარქი რომელიმე მარქასის ან მღვდლის გადაყვანაზე სხვა
ადგილას და ეკლესიის გადაცემა სხვა პირისათვის; პატრიარქს
ეს თანამდებობა ენიჭება სამუდამოდ, აღნიშნული რიგის და
ძველი წესების დაცვით და მის საპატრიარქო და საკათა-
ლიკოსო რაიონში შემავალ საქმეებში არავითარ შემთხ-
ვევაში არავინ არ უნდა ჩაერიოს;

1284 წლის 29 ჯემადულ-ულა.*

უმაღლესი ფირმანის ეს ასლი დედანთან სწორია, რაც
დასტურდება
ბეჭდის დასმით.

* 1867 წლის 29 სექტემბერი

გაჭახლის ნახიე

სოფელთა დასახულება	პირუტყვის რაოდენობა						შემოსავლის განაწილება			ძამდებარებელი	სულა- რიცხვი	
	სახ- ლიხი	ცხ- ვი	ბაზი	ძრობა	თხა	ცხვ- რი	გაფას- ხები	ცხემ- დაბა	მოსა- ვლის	გამონა- ღები		
სოფ. მინდიფოთი**	-	-	4	15	14	9	60	-	2044	504	50	110
მაჭახლისისინი	3	-	6	10	20	4	99	-	1265	267	28	100
აჭარისაღმართი	-	-	4	30	45	58	209	-	3708	1080	70	220
ცხელირა	-	-	18	27	113	420	-	-	2520	105	82	240
ნიქოლოზი	4	6	16	20	361	120	17	36	2442	1056	113	310
ზედა ხერთვისი	2	2	7	17	300	42	80	26	2651	902	81	130
სინდიფოთი	4	5	20	40	351	-	10	53	4730	1169	110	350
აქრია	3	4	10	20	318	63	817	-	2595	520	50	150
ქაბათავი	2	1	6	8	87	23	330	-	1318	2780	26	100
ზედაპე	-	6	-	25	171	107	14	35	3157	616	60	300
გვრიტი	2	2	16	30	43	65	31	5	3620	700	75	300
გრძელებითი	-	1	2	6	11	26	81	-	1051	256	22	75
სავამიტო	-	2	2	6	26	17	132	-	1246	266	23	75
ზედა ჩეტეტებითი	-	-	8	18	263	9	816	-	3242	750	70	200
ქავეა წევეუნებითი	-	1	2	6	93	12	315	-	3242	359	33	110
ჭანიშვილი	-	2	4	8	44	4	119	-	1640	420	32	130
ქვექვედი	1	4	4	15	111	-	331	-	2114	696	73	120
გვარა	-	4	-	82	2	-	6	-	2460	256	25	63
კორნათი	-	-	2	10	45	9	162	-	1370	500	45	110
კობალთი	-	-	3	8	-	8	24	-	2443	254	25	72
ქვე ხერთვისი	-	-	4	6	35	-	-	-	1628	256	25	70
მადლა კონი	-	-	4	6	-	-	-	-	1404	256	25	65
ჭალახელი	-	1	3	6	-	-	-	-	1212	205	22	120
უწინოთი	-	2	6	20	-	-	-	-	1262	636	42	90
მილიხი	-	3	4	15	41	-	123	-	9780	297	49	60
ნაჭინიცე	1	2	4	10	8	-	21	-	1197	246	25	55

* ამ ცხრილში მცხოვრებთა შორის დასახელებული არიან: კათოლიკები, სომხები, ბერძნები და ჩერქეზები, მაგრამ გრაფებში მათი რიცხოვივი თდენობა ჩაწერილი არაა (მაჭახლის ხეობაში ისინი არც ცხოვობენ. რედ.)

** სოფლების დამახინჯებული სახელები შესწორებულია მთარგმნელის მიერ (რედ.)

ზემო აჭარის კაზა

სოფლების დასახელება	პირუტყვის ჯიში და რაოდენობა					შემოსავალი		მუსლიმანები	
	სარი	ძროხა	კაზები	ცხენი	ცხვარი და თხა	მოსავლის	გამოსაღები	სულადობა	მოსახლე
სოფ. ჩელო	150	150	6	55	280	6965	2265	445	170
ალექ	60	50	3	9	73	2551	1017	171	76
ნიგაზელი	25	20	-	5	59	860	480	85	32
ჩანჩხალო	40	35	-	8	131	1594	883	161	64
ჭვანა	300	25	5	50	512	15242	5718	935	411
შევახევი	30	10	-	90	189	1872	1305	253	92
სამოლეთი	80	50	-	15	105	4112	1478	260	109
ტბეთი	100	60	-	15	171	362	3602	1248	233
ქიმინიქები	80	50	-	9	105	3220	1248	214	80
ქვემარათის ხეი	150	180	-	25	293	7205	1248	265	155
ზ.მარათისხევი	100	60	7	12	320	3800	960	184	67
ხიხაძირი	-	100	8	19	110	5178	1956	382	162
სხალოთა	180	20	-	8	233	4094	1612	272	105
ნენა	30	30	-	8	131	2020	1122	170	12
ფურტიოთი	35	20	-	4	88	1222	740	142	50
ღორგევიშვილი	250	200	20	51	763	17827	389	740	278
ღურტია-პაქაძეები	100	80	5	11	229	5351	135	211	84
ბელლეთი	150	100	8	15	245	7211	1785	330	126
დოდაჭარა	30	60	5	3	119	303	844	159	89
ჩაო-თაგო	16	10	-	9	97	1100	345	72	22


ქვემო აჭარის კაზა*

სოფელების დასხვება	პირუტკების რაოდენობა					შემოსავალი		სულადობა	მოსახლე
	თხა	ცხვარი	ცხვნი	მრობა	ხარი	გადასახადი	შემოსავლისგან	გამოსაღები	
სივარაუ ქედა	8	2	2	8	3	456	239	85	26
ძმებულები	16	-	2	7	3	533	216	50	20
მერისი	204	-	10	70	21	524	224	605	193
ალიქოლები	96	-	3	19	11	1988	706	185	67
მექობა	73	-	3	30	11	1516	165	50	16
არსენაული	3	-	2	10	5	428	165	5	16
ქარალი	5	-	2	9	8	582	200	56	20
ორეცხა	22	-	6	20	15	1216	440	95	42
ქეჩუანი	9	-	3	12	10	819	326	94	33
ორთა ხონა	24	-	6	30	20	1268	310	63	29
კორონები	-	-	-	-	-	-	310	67	30
დერესონა	14	-	5	20	10	1306	641	143	61
ბრევშე	7	-	2	20	15	1571	531	155	51
კონაქები	-	-	-	15	10	701	251	72	25
მოსატყები	5	-	2	15	9	992	370	105	36
გონატყები	20	-	2	16	10	873	337	81	33
დოლობანი	4	-	2	12	6	982	337	81	30
ზუნდგა	-	-	5	15	2	1527	714	887	49
ქვ. მასუნცემი	10	-	6	12	6	1225	414	1100	40
ზედა მასუნცემი	29	-	2	10	7	1514	714	200	67
სალორეთი	16	-	5	20	15	1973	1043	265	99
აგარა	24	-	2	25	15	1572	489	159	48
ცხემია	5	-	2	10	16	514	196	59	20
ხეხილი	15	-	3	12	10	1250	510	153	49
გავდები	31	-	2	15	10	970	380	108	38
ზემოგვალი	16	-	4	10	9	673	249	79	25
ზეარე	16	-	2	8	5	1209	42	130	39
გარჯანისი	36	-	3	10	2	1253	436	127	13
წინაარისი	90	-	16	15	20	2883	1044	299	98
ასო	29	4	15	32	30	2249	814	221	77
გაგდლიძები	35	-	3	12	6	1223	3750	89	25
დანდალი	39	-	6	15	30	3848	1265	349	119
კაკუაური	12	-	3	15	10	1238	373	110	25
ცხმორისი	16	-	9	16	9	1376	425	125	43
აბუქოთა	15	-	3	6	5	869	293	90	29
განიაური	11	-	2	12	1	1089	359	93	35
კვაშტა	8	-	3	19	8	1583	641	195	62
გაოთ	16	-	6	20	9	1595	651	190	62
აჭარა	10	-	4	15	100	1227	554	135	53

* სოფლების უმრავლესობის დამახინჯებული სახელის მოგანა გენერაციური მიზეზების გამო მიზან-შეუწონლად ჩავთვალეთ და გეოსეგმენტს სოფლის სახელებს გთავაზობთ მთარგმნელის მიერ შესწორებული სახით (რედ.)

ლიგანის კახა*

სოფელთა დასახლება	განსაზღვრული უკმისაგალი				პირუტყვით					სულადობა		მოსახლე			
	გადასახლ ცხვირზე	დაბაზი ცხვირზე	ზემოსახლ მასახლებელთა ცხვირზე	გადასახლ ცხვირზე	მოწინ არის	მოწინ არის	ცხვირი	თასი	ცხვირი	მათლებელი	ზემოსახლ მათლებელი	სიმუშა ხის	ზემოსახლ მათლებელი	სიმუშა ხის	
	მარში	მცხოვრები	უსო	მცხოვრები	მარში	მარში	მარში	თასი	ცხვირი	მათლებელი	ზემოსახლ მათლებელი	სიმუშა ხის	ზემოსახლ მათლებელი	სიმუშა ხის	
ნარში	-	-	2568	1326	20	160	80	25	-	-	275	-	65	-	-
უსო მცხოვრები (უსტამისი?)	-	1332	5743	5200	21	80	65	40	46	400	-	351	-	95	-
ხიმიდიძე	-	-	3672	3383	10	90	85	15	-	-	224	-	75	-	-
კორული	-	-	2167	3551	5	20	35	6	-	-	110	-	38	-	-
მამაშვილი	-	-	1923	-	31	16	15	3	-	-	105	-	23	-	-
რაბათ	-	-	44833	18813	-	-	-	150	-	-	1241	-	-	-	314
ყრმენი	-	-	11389	-	-	-	-	30	-	-	-	-	308	-	63
მარტია	12	45	2205	8710	15	50	40	2	400	45	-	125	-	45	-
ხატილა	42	42	13600	3484	2	20	150	-	900	182	-	362	-	102	-
არზება	3	87	962	-	-	10	10	-	100	20	-	25	-	9	-
ოძინა	861	-	3652	1520	5	80	60	1	100	187	-	107	-	30	-
ქართლა	10	84	6087	1172	-	10	100	8	158	200	-	143	-	43	-
თხილაზერი	30	9	2808	-	-	60	40	3	33	70	-	66	-	26	-
აფანი	459	-	2959	2044	-	60	50	2	53	100	-	89	-	28	-
აფარი	540	-	3069	1786	-	60	50	2	80	100	-	136	-	47	-
დამთავი	45	-	1210	-	-	20	10	1	5	40	-	26	-	11	-
ზედა და ქვედა ოცრასთაბი	-	-	4251	2318	-	5	30	6	-	-	-	129	-	49	-
არჩევი	12	75	4523	1938	-	80	60	6	195	300	-	142	-	50	-
კობილი	13	52	6178	2584	-	100	80	10	201	250	-	197	-	68	-
ძონგაზე	123	-	1810	-	-	50	30	3	11	30	-	89	-	26	-
ორშელი	144	-	1752	2756	-	70	40	8	-	35	-	114	-	34	-
კორულები	-	-	929	-	-	80	15	-	-	-	-	52	-	16	-
დეტრი	90	-	1823	2880	-	40	20	2	15	15	-	74	-	24	-
ორჩე (ორჯო?)	102	-	1679	-	-	40	80	2	19	15	-	69	-	20	-
ზახელი	-	-	5092	2660	-	80	80	2	-	-	-	174	-	61	-
ჭაპარებელი	29	-	1106	-	-	20	10	3	2	10	-	38	-	9	-
კორბითი	807	-	3485	2052	-	60	40	2	79	200	-	140	-	29	-
ქამირ გარა	72	-	1895	-	-	65	30	4	12	12	-	84	-	25	-
ზემო გარა	387	-	1103	2584	-	60	40	80	68	60	-	103	-	37	-
ჯალაგასი	18	-	1365	-	-	30	45	-	3	3	-	92	-	55	-
დამბეჭითი (დამბათი?)	-	-	670	-	-	15	45	-	-	-	-	29	-	11	-
ჯალაგა	102	-	-	-	-	20	40	2	4	30	-	35	-	11	-
ჭადალები	-	-	1825	1747	-	30	20	4	-	-	-	78	-	24	-
ფართხელი	82	-	1711	1697	-	40	20	-	3	14	-	120	-	28	-
ძოქლები	18	-	1071	-	-	35	25	-	3	3	-	64	-	25	-
წრევაუნა	12	-	1205	-	-	30	28	-	2	2	-	57	-	15	-



ქაშველო	27	-	936	-	-	35	15	-	2	5	-	45	-	11	-	-
ჯავახი (ჯავახი?)	-	-	1091	-	-	35	10	3	-	-	-	33	-	12	-	-
ორბის	102	-	2084	1482	-	40	25	10	19	43	-	102	-	27	-	-
ახალდღია	1568	-	6720	3306	-	120	80	-	122	40	-	332	-	73	-	-
ბეჭედი	24	-	1111	1976	-	15	80	3	3	15	-	33	-	13	-	-
კვარცხანა	402	-	6628	-	-	10	70	8	34	10	-	307	-	51	-	-
სინქრონი	39	-	1429	2926	-	50	30	8	3	10	-	101	-	28	-	-
სუტიქი (ხიტირი)	1339	-	5114	-	-	90	50	10	1046	30	-	96	-	49	-	-
ბაგდა (ბაგინი)	30	-	1217	1444	5	60	95	-	6	4	-	60	-	19	-	-
გაზრინი (გაზრინი)	330	-	4436	1444	5	100	50	30	80	30	-	179	-	35	-	-
გარეულინა	582	-	4655	2204	10	80	60	2	94	600	-	130	-	24	-	-
ერტყალხე (ერტყალხე?)	945	-	512	-	15	100	70	2	115	200	-	63	-	24	-	-
ორმრადანაუკანში	645	-	2494	-	10	20	30	-	115	100	-	67	-	17	-	-
დოლის ჭირი	1176	-	372	1406	10	30	50	-	30	92	-	87	-	25	-	-
დაბა ჯამბერეული (ჯამბერეული?)	690	-	3232	-	10	30	60	-	200	30	-	82	-	23	-	-
რედაქტორი	420	-	3655	1642	15	210	250	-	100	40	-	108	-	33	-	-
ძერთა	3060	-	1420	4294	30	400	600	-	700	320	-	499	-	114	-	-
იმსალინი	1344	-	5670	1254	15	20	25	15	448	100	-	188	-	73	-	-
სერამი	840	-	7210	2926	60	80	60	5	200	8	-	239	-	77	-	-
ორგაონი	789	-	5718	1940	30	60	5	5	163	100	-	188	-	50	-	-
ძილი	4806	1797	3534	25429	3	250	200	100	112	50	-	312	-	93	-	-
ნაბათი	-	2276	-	2761	5	6	15	-	400	95	-	127	-	29	-	-
ჯავახე (ჯავახე?)	1998	-	3793	824	-	30	90	20	516	100	-	120	-	42	-	-
ქადა	-	-	-	-	-	4	4	-	-	-	-	23	-	6	-	-
ბეჭირი	-	-	738	1178	-	10	10	-	-	-	-	31	-	11	-	-
ზევაზი	915	-	1942	-	-	16	10	5	205	100	-	89	-	20	-	-
თუქმებენი თუქმების ხელარი?	900	-	4600	1824	-	60	50	12	150	150	-	188	-	48	-	-
ლოისტური	915	-	3925	2356	-	10	50	11	167	157	-	44	-	32	-	-
დანილო	-	-	1282	-	-	20	30	3	-	-	-	60	-	18	-	-
ქაწნარა	2232	-	3485	2356	-	60	50	5	600	142	-	190	-	65	-	-
დეფაზი (დეფაზი?)	1758	-	2248	1596	-	20	15	-	486	-	-	32	-	17	-	-
ერმაშენი	-	-	-	-	-	10	15	-	-	-	-	160	-	41	-	-
საჯარები (საჯარები, საჯარები?)	1719	-	2002	-	3	20	40	-	273	300	-	107	-	21	-	-
ზეფისადა (ზეფისადა, ზეფისადა?)	906	-	132	-	3	50	40	-	200	109	-	65	-	14	-	-
არქანი (არქანი, არქანი?)	2320	-	4266	2356	-	40	50	-	470	300	-	85	-	26	-	-
თოაზრი	4815	-	1685	4560	-	50	100	15	1000	65	-	586	-	120	-	-
ბალიჩი (ბალიჩი, ბალიჩი?)	2385	-	627	-	-	30	30	5	400	395	-	192	-	61	-	-
ქუბალი (ქუბალი?)	678	-	532	4596	-	60	100	20	30	100	-	209	-	66	-	-
ხევი (ხევი?)	3819	-	7683	4332	-	60	100	10	773	500	-	339	-	100	-	-
ზემანი (ზემანი?)	336	-	5614	3382	-	305	50	35	60	512	-	310	-	82	-	-

ზაგაფერი (ხეჭრეფი?)	2490	-	6442	3344	-	60	30	20	63	20	-	357	-	88	-	-
განებუ (კუნძულები?)	798	-	3531	1292	-	20	25	3	160	106	-	116	-	34	-	-
შაორი	3039	-	6024	3420	-	30	40	5	800	214	-	216	-	70	-	-
ასრალი	5481	-	14767	7379	-	80	100	10	800	1027	-	739	-	204	-	-
ქვეთხევი	-	-	-	-	-	10	25	-	-	-	-	43	-	10	-	-
ზედა გოლაკი (ქალაქი?)	1148	-	667	-	-	5	6	-	200	83	-	42	-	10	-	-
ოქეები (ოდეგები)	-	-	1597	-	-	30	40	3	-	-	-	27	-	10	-	-
ახორი	1506	-	2083	2166	-	60	50	10	252	100	-	145	-	42	-	-
ქვედა ქალაქი	-	-	813	-	-	-	-	-	-	-	-	54	-	17	-	-
ხევთხალი	1098	-	3979	1710	-	30	50	3	266	100	-	127	-	43	-	-
ქურა (ქურიაში?)	1014	-	3979	1710	-	30	50	20	200	138	-	169	-	45	-	-
ოდიხაძი	543	-	3446	1976	-	40	50	40	100	81	-	181	-	52	-	-
ბოთა	816	-	834	1102	-	10	15	10	172	100	-	32	-	16	-	-
თურა (ქური?)	1140	-	5459	5016	-	60	50	120	280	10	-	350	-	123	-	-
ზემო ხიდა	3375	-	15023	730	-	120	100	50	800	325	--	646	-	185	-	-
ზეგილსირი	666	-	2866	1900	-	30	40	10	122	100	-	155	-	46	-	-
ხეზერი (ხეზარი?)	1628	-	6943	3078	-	60	70	10	50	326	-	302	-	83	-	-
გოჯანივაროვე ხე	3156	-	7737	3116	-	80	85	10	552	500	-	407	-	88	-	-
ოქედი	336	-	1928	2128	-	30	50	80	100	12	-	180	-	58	-	-

* ლიგანის კაზას სოფლების დამახინჯებული სახელები მის ხელო (1972 წ.). არსებული წყაროებით ნაწილობრივ შეასწორა მთარგმნელმა. დარჩენილი უზუსტობანი ჩვენ გავასწორეთ მოგვანებით გამოსული ო. სიხარულიძის, შ. ფუტკარაძის, ნ. ცეცხლაძის, ე. ბერიძის, რ. მალაქმაძის შრომებზე დაყრდნობით. თუმცა კველა ტოპონიმის გასწორება ვერ შევძლით და საგარაუდო სახელები ფრჩხილებში ჩავსვით (რედ.)

ა. ს. ფრენკელის მიერ გამოყენებული

დ ი ფ ე რ ა ფ უ რ ა

1. **Казбек Г.Н.** Три месяца в Турецкой Грузии (из дневника путешественника). Тифлис. 1875; Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака. Тифлис. 1876.
2. **Бакрадзе Д.З.** Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджарии. Известия Русского Географического Общества (ИРГО) т.г., №5, 1874; Археологическое путешествия по Гурии и Аджаре. Санкт Петербург. 1878.
3. ИРГО, №8. 1874.
4. Notes of an excursion from Batum to Artvin. жур. Лондонского Географического Общества, за 1845 г. т. 15.
5. **Malmusi G.** Sulle Kondizionne della citta e porto di Batum (ქალაქ
ბათუმისა და მისი პორტის აღწერილობა)
1873. გვ. 176-180. („Консультский бюллетень“).
6. **Джиудичи.** Notice sur Batum. ИКО ИРГО. т. 11. №3. 1873.
7. **Шавров Н.** Кавказский календарь за 1879 г.
8. **Казбек Г.** 1876. стр. 9.
9. **Бакрадзе Д.З.** Археологическое . . .
10. **Brosset Choubinof:** Historie de la Georgie depuis l'antiquite iusqu'au
XIX siecle. Traduit de Georgien par M Brosset.
Акты Кавк. Георг. Об-ва т. II; В История военных
действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 го-
дах, 2 части; Бакрадзе Д.З.
11. **Бакрадзе Д.З.** Кр.оч. стр. 203, 204. გარდა ამისა ასეთი სიგუ-
ლები აქვთ სახჯახ-ბეგებს.

რედაქტორის შთაბეჭდილებები

ალექსანდრე ფრენკელის ნაწერებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი, როგორც მოგზაურის დაკვირვებულობა. იგი ერთგზის, თანაც გავლით ნანახს ისე კარგად აღწერს, იფიქრებ, იგი ამ მხარეში დაიბადა და იცხოვრაო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის შემდეგ ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს შესახებ ასეთი ზუსტი და საიმედო ცნობები, როგორიც ა. ფრენკელმა დაგვიტოვა, დიდხანს არცერთ ქართველ მკვლევარს არ გამოუქვეყნებია. ნათქვამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ შევეხები მხოლოდ ნაწილს. დავიწყებ წიგნის ტექსტში არსებული რიგის მიხედვით ამიტომ მომიხდება საკმაოდ მიამიტურ, მაგრამ აჭარისათვის დამახასიათებელ ჩვევაზე ავტორის დაკვირვებაზე საუბარი. ა. ფრენკელი პოულობს განსხვავებას საპალნე და საჯდომ ცხენებს შორის, აღწერს საპალნე ცხენის ზურგზე ტვირთი ორივე მხარეს თანაბარი უნდა იყოს, რათა ცხენს მოძრაობა არ გაუმნელდეს; – ჩალგადრები არასოდეს ჯდებიან ცხენზე და ისინი ქარავანს ფეხით მოჰყვებიანო.

მხარის გეოგრაფიული აღწერის დროს ავტორი იმდენად ზუსტი და პუნქტუალურია, რომ ზოგჯერ შესაძლოა იფიქრო, ეს აღწერა ეპუთვნის არა სამართალმცოდნებს, არამედ სპეციალისტ-ტოპოგრაფს, რომელიც მასშტაბებს, ადგილმდებარების რელიეფს და უსტორმასწორობას ჯერ შესაბამის ფორმას მისცემს, შემდეგ კი ზუსტ ციფრებში გამოთვლის ხოლმე.*

* აუცილებელია აღინიშნოს, რომ ა. ფრენკელს ამაში დიდი სამსახური გაუწიეს მისმა წინამორბედმა ავტორებმა: დ. ბაქრაძემ და გ. ყაზბეგმა, რომელთა ნაშრომებს იგი ძალიან ხშირად ეყრდნობა. (რ.ს.)

ა. ფრენკელი დეტალურად აღწერს ადგილობრივთა სახლებს და დამხმარე მეურნეობას. იგი აქაც ცდილობს არ გამორჩეს შენობების და ეზოებისათვის საჭირო წვრილმანი დეტალები: სახლები ორსართულიანია, ზოგ სახლს აქვს გარეთა კიბე, რომლითაც საერთო ტადანში ადიხარ. აქედან კი შეგიძლია ყველა ოთახებში შეხვიდე. თუ სახლს გარეთა კიბე არა აქვს, მაშინ პირველივე სართულზე კარებიდან შედიხარ შენობაში, აქედან კი შიგნითა კიბით ადიხარ ერთ დიდ შუა ოთახში, საიდანაც შეგიძლია სხვა ოთახებთან დაკავშირება. ერთ-ერთი ოთახი ოჯახის უფროსისაა (ჩემი აზრით ეს იგივე სასტუმრო-სამოსაფერო ოთახია), ხოლო დანარჩენი სამი, ოჯახის სხვა წევრებისათვის არის განკუთვნილი. ქვედა სართულზეა არის სამზარეულო და სურსათის შესანახი. ავტორი იმასაც კი დაკავირებია, რომ იმ მხარეს, საიდანაც სახლს ქარი ხვდება, კედელი განსხვავებულად გათლივი ქვით და კირით შენდება. დანარჩენი კედლები ხისა და აგურისაა. ეტყობა ავტორი ე. წ. ლაზურ სახლებს აგვიწერს, სადაც სწორ და დამრეც ბოძებს შორის კედლებს აგურით აშენებდნენ. ასეთი სახლები აჭარაში ახლაც შემოგრჩა და სამუზეუმო საგნად იქცა.

ართვინსა და არტანუჯში ავტორს უნახავს სახლები, რომლებიც ყავრითაა დახურული. ყავრებს ულურსმნოდ, ზემოდან ქვების დაწყობით ამაგრებენო – და ჩვენი აზრით, ამით გულისხმობს აჭარასაც, სადაც ასეთივე წესით აკეთებდნენ სახურავებს. თუმცა ავტორს არც ის გამორჩენია, რომ ბორჩხაში ამზადებენ კრამიტს (დარიანს, რედ.) და გააქვთ მთელს მხარეში.

ბოლო დრომდე აჭარაში ტელეგრაფის არსებობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა პქონდათ. ეს ნაკლი შეავსო პროფესორმა სერგო დუმბაძემ, რომელსაც მოაქვს ინჟინერ ა. კარბელაშვილის ცნობა და აღნიშნავს, რომ 1878 წლიდან 1895 წლამდე კაგშირი ბათუმსა და თბილისს შორის მორზეს

სისტემის ტელეგრაფის აპარატით ხორციელდებოდა ო. „კავშირგაბმულობა და ფოსტა აჭარაში.“ თბილისი. 2004. გვ. 24). ა. ფრენკელი ოდნავ განსხვავებულ თარიღს გვთავაზობს და ამბობს, რომ მუხაესტატეში „იყო წვრილ ბოძებზე გაბმული სამხედრო ტელეგრაფი, რომელსაც საჭიროებისამებრ გადაადგილებდნენ“ (7). ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1877 წელს ომის დაწყებისთანავე მოქმედებდა პორტატული სატელეგრაფო მოწყობილობა. როგორც ირკვევა, ბათუმსა და ჩურუქ-სუს შორის სატელეგრაფო ხაზების გაყვანა გაცილებით ადრე დაუწყიათ. ვ. ჯ. პალგრევი თავის 1869 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ „ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმიდან ჩურუქ-სუმდე გაჭიმულია სატელეგრაფო ბოძების რიგი; განზრახულია თურქეთისა და რუსეთ-კავკასიის სატელეგრაფო ქსელზე მიერთება, მაგრამ რუსებმა ორი წლის წინ ფოთიდან შეკვეთილადე დაასრულეს თავიანთი ნაწილის გაყვანა, თურქეთის ხაზი ჯერ არაა მზად იმის გამო, რომ მავთულები და აპარატები აქამდე ვერ ჩამოიტანეს კონსტანტინეპოლიდან“. (1869 წლის ანგარიშები ИКРОИРГО. т. VII. Тифlis. 1882. с. 45, 46). ნათქვამიდან ცხადია, რომ მხოლოდ მავთულსა და აპარატებს ელოდნენ, რასაც სულ ბევრი ერთ წელიწადში მაინც მიიღებდნენ; ეს კი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ბათუმში ტელეგრაფი 1870 წელს ამჟავდა. საყურადღებოა, რომ ამ დროისათვის რუსეთის იმპერიაში სატელეგრაფო ხაზების სიგრძე 400, 000 კმ.ს მიაღწია (მარტო მოსკოვი-ვლადივოსტოკის ხაზი 12000 კმ.ს უდრიდა).

ა. ფრენკელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტატისტიკურ მაჩვენებლებს. იგი ამ საქმეში სიცრთხილეს იჩენს. არ ენდობა ცალკე ერთი ავტორის მონაცემებს (ჯიუდიჩი, მალმუზი, შავროვი და სხვ.) და მას ადარებს მეორე ავტორისას. უფრო მეტიც, თითოეული სოფლის ოფიციალურ სტატისტიკას უპირისპირებს რუსეთისას, რომელთა შორის დიდ განსხვავებას ნახულობს. ამი-

ტომ წიგნში მოაქვს ორივე, რათა დაინტერესებულმა პირმა თავად აირჩიოს რომელს მისცეს უპირატესობა. აქ საუბარია არა მარტო კომლთა მიწის საკუთრებაზე, შენობებზე და მოსახლეობაზე, არამედ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე, რომლის რიცხვის მიხედვით გაწერილი იყო გადასახადები, მაგალითად ცხენზე, ძროხაზე, თხაზე, ცხვარზე და ა. შ. ასეთი რიცხობრივი მაჩვენებლები ა. ფრენკელამდე ასე პოპულარულად თითქმის არცერთ ავტორს არ მოუწოდებია.

ცალკე განხილვას იმსახურებს ა. ფრენკელის დაკვირვება ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელთაც შეუნარჩუნებიათ თავიანთი ისტორიული მქმედირეობა: „სტუმართმოყვარეობა, ჩვეულებათა პატრიარქალურობა, უფროსისადმი პატივისცემა, მამაცობა და პირადი გამბედაობა – ბათუმელები უნდა ჩაითვალონ ხელუხლებელ, შეურყენელ ქართველებად. ასეთ ხალხთან მცირე საზრიანობით კარგი მმართველი მრავალ კარგ საქმეს გააკეთებს“-თ ამბობს ავტორი და ამით ახლადმოვლენილ რუს ჩინოვნიკებს ერთგვარ რჩევა-დარიგებასაც აძლევს.

ავტორი ღრმად წვდება ადგილობრივი მოსახლეობის სულში და ერთი შეხვედრით რწმუნდება, რომ „ქობულეთელი ენაწყლიანია იმათან, ვისაც ენდობა და პირიქით, ჩაიკეტება თავის თავში იმასთან, ვისაც არ ენდობა“, მუდამ შეიარაღებულია, კარგი მოსიარულეა და ცხენიც რომ ჰყავდეს, მაინც ფეხით მიყვება. შემდეგ ავტორი ეთნოგრაფიულ ნიშნებზე გადადის და აღწერს ადგილობრივთა ქორწინებას, საკვების მომზადების წესს, ჩაცმულობას, აგრეთვე მცხოვრებთა გარეგნობას, ხასიათს და მანერებს, სილამაზებს და მოწნილობას. ქობულეთელთა ჩაცმულობას ეძღვნება ვრცელი ჩანაწერები, რაც უცხოელთა სხვა ნაშრომებში არ შემხვედრია.

ა. ფრენკელის დაკვირვებული თვალი მისთვის ნაცნობ დიდგვაროვანთა ზეპირ პორტრეტებს ქმნის. იგი იმდენად

დაწვრილებით აგვიწერს თავდგირიძეების, ბეჭანიძეების, ხიმშიაშვილების გვარის წარმომადგენლების გარეგნობას, მათს ხასიათს, საუბრის ტონს, ხშირ შემთხვევაში განწყობასაც, რომ ამის მიხედვით მხატვარს თავისუფლად შეუძლია წარმოსახოს ზოგიერთი ისტორიული პიროვნების პორტრეტი.

ავტორი ფართოდ აშუქებს ომის დროს ქობულეთელთა დიდ ზარალს, მეურნეობის გაჩანაგებას და ხელისუფლებას უსვამს ლოგიკურ კითხვას: ვინ აუნაზღაურებს მათ მიყენებულ ზიანს, როცა ომის გამო მიწა დაუმუშავებელი დარჩა, დარიბი მოსახლეობა კიდევ უფრო დაიმშა და შიმშილით სიკვდილის ზღვარზე დგასო. მთავრობის მიერ გაღებული დახმარება ზღვაში წვეთია და ამიტომ საჭიროა საზოგადოებრივი დახმარებაცო. ბოლო ფრაზით ა. ფრენკელი ახმოვანებს ნაცნობ-მეგობარ ქართველ მოღვაწეთა სიტყვებს, რომლებიც თანხებს აგროვებდნენ მოით დაზარალებულთა დასახმარებლად. სხვათაშორის ამ შემოწირულობებმა საკმაოდ დიდ თანხას მიაღწია, რომელიც ქობულეთში საგანგებო დავალებით ჩამოსულმა ს. მესხმა ჩამოიტანა.

ადგილობრივი მოსახლეობის სავალალო სოციალურ პირობებს ავტორი გაუნათლებლობით და შრომის კულტურის დაბალი დონით ხსნის. მარტო ის ფაქტი, რომ მთელს მხარეში ერთი სკოლაც არ არსებობს, ამის ნათელი დადასტურებააო. სხვათაშორის, ჩემთვის ახალია ა. ფრენკელის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, რუსეთის ყოფილ კონსულს ჯიუდიჩის ბათუმში სკოლის ასაშენებლად საკუთარი მიწის ნაკვეთებიდან შემოსული იჯარის გადასახადები შეუგროვებია, მაგრამ გაუბებარი მიზეზებით ეს განზრახვა ვერ განუხორციელებია.

მთავარ საკითხზე – ბათუმის პორტზე ა. ფრენკელი საგანგებოდ ჩერდება და აღნიშნავს, რომ ნავსაღვური გაუთავებელი მითქმა-მოთქმის საგნად იქცაო და ასახელებს

იმ პირებს, ვისი მიზეზითაც ეს მოხდა. ა. ფრენკელი ბათუმის პორტის დახასიათებისას მას ყოველთვის ადარებს ფოთს და არაორაზროვნად აცხადებს, რომ ბათუმს, როგორც შეუცვლელ სავაჭრო სატრანზიტო საწყობსა და სამხედრო პოზიციის განსაკუთრებული უპირატესობა გააჩნია: სანაპიროზე ზღვის სიღრმე, ქარებისაგან დაცულობა, ნავსადგურის სივრცე, სადაც ერთდროულად 15-20 გემი თავსდება. ამ ძირითადი ნიშნებით იგი ბათუმის ნავსადგურს ერთ-ერთ საუკეთესოთა რიგს მიაკუთვნებს, ხოლო ბათუმს, როგორც საპორტო ქალაქს უახლოეს ხანში აყვავებას უწინასწარმეტყველებს. თუმცა ეს მალე არ დაიწყება და მანამდე ბევრია გასაკეთებელი და მოსაწყობიო, ამბობს ავტორი.

ბათუმის ფოთთან შედარებით და პირველზე უპირატესობის მინიჭებით ა. ფრენკელი ერთგვარად უპირისპირდება ფოთის დიდ პოპულიზაციონურსა და მეურვეს, თავის თანამოკალმესა და მეგობარს ნ. ნიკოლაძეს. მართალია, მის გვარს არ ახსენებს, მაგრამ ზემოთმოტანილ „მითქმა-მოთქმაში“ ჩვენი აზრით, სწორედ ნიკო ნიკოლაძე იგულისხმება, რომელიც თავის დროზე ბათუმს „ერთ უბადრუკ სოფელს“ უწოდებდა.

ბათუმის ნავსადგურის საქმიანობის გააქტიურების ერთ-ერთ მთავარ საკითხად ა. ფრენკელი შავ ზღვასთან მისასვლელ სატრანზიტო გზების გაყვანას ასახელებს, ეს პირველ რიგში არის რეინიგზა, რომელიც თბილისიდან უნდა მოვიდეს ჯერ ბათუმამდე, შემდეგ ცენტრალურ შტოს მეშვეობით იგი დაუკავშირდეს ფოთს, ახალციხეს, არტაანს, ოზურგეთს და სხვა ქალაქებს. ამის განსახორციელებლად ავტორი საქმაოდ რადიკალურად დასკვნამდე მიდის და აცხადებს, რომ ფოთის ნავსადგურზე ფულის ხარჯვა შეწყდეს და ეს სახსრები მთლიანად ბათუმისაკენ უნდა გადაისროლონო.

საყურადღებოა, რომ ბათუმში რეინიგზის შტოს ჩამოყვანის გეგმის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ად-

გილობრივი მიწათმფლობელები. ხუსეინ-ბეგ ბეჭანიძეს გზის პროექტიც კი შეუდგენია, რომელიც რთული რელიეფის პორობებში გამართლებულიც ჩანს; მართალია, მხარი სხვა პროექტს დაუჭირეს, მაგრამ ადგილობრივი მებატონის შეგნება, თუ რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს საკუთარ მხარეს რკინიგზამ და მისთვის საკუთარი ფართობის დათმობა ხ. ბეჭანიძის დიდკაცობასა და მამულიშვილობაზე მეტყველებს.

ფრენკელი წიგნში არ საუბრობს, მაგრამ მან კარგად იცის რუსეთის ხელისუფლების განზრახვა. „ეს გროს“-ის* მოყვარული ჩინოვნიკებისათვის 50 000 მცხოვრებით მეტი და ნაკლები არაფერს წარმოადგენს, ამიტომ მათ ხალხის აყრა და გადასახლება არ აწუხებთ, პირიქით, ამას ლიად თუ მალულად ხელს უწყობენ, რათა ეს დანაკლისი შემდეგ რუსეთის გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე შეავსონო. კითხულობთ ამ სტრიქონებს და არ გჯერათ, რომ ამას წერს რუსი მოხელე-იურისტი და დროებითი სამხედრო კორესპონდენტი, რომელიც ააშკარავებს იმპერიის ვაჟბატონების ჩვეულ მზაკვრულ მიზნებს, იმასაც ამბობს, რომ ამას ძალზე ცუდი შედეგი მოყვებაო. ამის დასადასტურებლად მას მოყავს სერიოზული არგუმენტები: „გადმოსახლებულები ვერ შეეგუებიან მათვის უცხო მთიან ადგილებს, სადაც სრულიადაც არ არის მემინდვრეობის და მეცხოველეობისათვის საჭირო ფართობები და ყოველი გოჯი ძალით უნდა გამოგლიჯო ხშირი მცენარეულობით დაფარულ უდრიან ტყეს, სადაც, ხშირად, თავისუფლად ჩიტიც კი ვერ ჩაფრინდება.“ (გვ. 155, 156)

ამ სიტყვებით ა. ფრენკელი გაბედულად დაუპირისპირდა რუსეთის მაღალი ეშელონების ჩინოვნიკთა ძირითად განზრახვას – ზღვის სანაპირო ზოლის, მთლიანად ქართული მიწების ანექსიას და ამით მან, ერთ-ერთმა პირველმა უფრო

* სიდიდის (რედ)

მწვავედ და მკაცრად გაკიცხა იმპერიის დაქაშები, ვიდრე ამას რომელიმე ქართველი მოღვაწე გაბედავდა (გარდა გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძისა, რომლებიც სასტიკად აკრიტიკებდნენ რუსეთის ხელისუფლებას მუკაჯირობაზე მხარდაჭერის გამო).

ჩემი აზრით, რუსეთის მოქალაქე, რომელსაც ეროვნების გრაფიშიც შესაძლოა „რუსი“ ეწერა, ამოფარებულია თავის არაქართულ გვარს და ავლენს დაბალი ფენის მოსახლეობის ძალმომრეობისაგან დაცვის ხალხოსნურ მიდგომას. როგორადაც არ უნდა ვაკრიტიკებდეთ ამ მოძრაობის მესვეურებს, ამ შემთხვევაში ა. ფრენკელი ცამდე მართალი იყო, თუმცა რუსეთის ხელისუფლებამ მისი სამართლიანი რეკომენდაცია არ შეისმინა და ბათუმის ოლქის ზოგიერთ სოფელში რუსეთიდან მასობრივად ჩამოიყვანა და მუკაჯირების ყოფილ მიწა-წყალზე კომპაქტურად ჩაასახლა რუსეთის გუბერნიების მოსახლეობა. ა. ფრენკელის წინასწარმეტყველუბამ მაშინვე იჩინა თავი. თავისუფალ სავარგულებს მიჩვეულ რუს გლეხს აქ დახვდა გაუგალი ჯაგნარი, სინოტივე და მისოვის შეუჩვევლი კლიმატი. ამ ფართობების გულდასმით დამუშავების შემდეგაც კი მათი უბრალო მიმსგავსებაც კი არ შეიძლებოდა რუსეთის გაშლილ ველზე, ამიტომ ახალმოსახლეები ხელშებორკილნი აღმოჩდნენ. აქ ვერ მოჰყავდათ პური, ხოლო მათვის მთავარ საკეთებად სიმინდი არ გამოდგა. ამ ბუნებრივ თავისებურებებს დაემატა კლიმატზე შეუგუებლობა, ციებ-ცხელების მასობრივი გავრცელება, რამაც თითქმის განახევრებული მოსახლეობა აიძულა თავის გადასარჩენად მშობლიურ სტეპებში გაბრუნებულიყო.

ჩემი ზემოთქმული შეფასებები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დადებითი შთაბეჭდილებებისა, რომელიც ამ წიგნის გაცნობისას მივიღე. საუბარს შეგნებულად აღარ ვაგრძელებ, რათა, როგორც აღვნიშნე, მკითხველმა თავად განსაჯოს ამ უაღრესად ნიჭიერი კაცის ნააზრევი და ნათქვამი.

შენიშვნები

ნიშანდობლივია ა. ფრენკელის, როგორც ავტორის მეცნიერებლი კეთილსინდისიერება. არაერთხელ ნათქვამს მის დაკვირვებულობასა და მოვლენების ანალიზის უნარზე დავამატებ, რომ მისი ნაშრომი „ნარკვევი ჩურუქ-სუსა და ბათუმზე“, არის ახლადგათავისუფლებელი პარის ჭეშმარიტი მატიანე, რომელ-შიც ძალზე მკაფიოდ ჩანს რას წარმოადგენდა მხარე ოსმალთა ბატონობისას და რა გახდა, ან რა მოელოდა მას რუსთა ბატონობის დროს. თავისი ღრმა შინაარსით, მოვლენათა აღწერის მრავალფეროვნებით და ავტორის დიდი განსწავლულობით ეს წიგნი შეიძლება ჩაითვალოს სამასი წლის შემდეგ გათავისუფლებული მხარის საეტაპო ნაშრომად, რომელიც თითქმის არასოდეს ძველდება.

მიუხედავად ამისა ა. ფრენკელი მას „ნაკლულსა და არასრულს“ უწოდებს, რაც მის დიდ პასუხისმგებლობაზე, კეთილსინდისიერებასა და თავმდაბლობაზე მეტყველებს (გვ.1).

მთლიანად წიგნის განხილვას არ ვაპირებ. მის დირსება-ნაკლოვანებებზე, როგორც ვთქვი, დაე, მკითხველმა იმსჯელოს, შეაფასოს და ავტორს დამსახურებისამებრ მიაგოს.

წიგნის ზოგიერთ დადებით მხარეს მე უკვე შევეხე ჩემს „შთაბეჭდილებებში“. ახლა, თავს უფლებას მივცემ მკითხველის უურადღება გავამახვილო ზოგიერთ შეცდომა-შეუსაბამობაზე, რომლებიც ძირითადად ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული.

წიგნში იგრძნობა ჩვენთვის უცხო ოსმალური ტერმინების სიმრავლე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ავტორს ამის გამო არ უნდა ვუსაყვედუროთ. ისეთი დრმადგანათ-ლებული პუბლიცისტი, როგორიცაა ა. ფრენკელი, ყველა უცხო სიტყვას

მოუნახავდა შესაბამის რესულ განმარტებას, მაგრამ მან ეს შეგნებულად არ გააკეთა, რათა წიგნის ენა ახლოს ყოფილიყო მხარეში არსებულ ცოცხალ მეტყველებასთან და გასაგები ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამის მაგალითად გამოდგება თვით წიგნის სათაურიც. ავტორმა ძალიან კარგად იცის, რომ ისტორიულად არსებობდა დაბა ქობულეთი (ამას წიგნში არაერთგზის წერს კიდევ), მაგრამ მას საუკუნეების მანძილზე ჩურუქ-სუს ეძახდნენ და მოსახლეობაშიც ეს სახელი დამკვიდრდა.

ერთგან ა. ფრენკელი თავისთავს „მოსამსახურე მთარგმნელს“ უწოდებს (იგი არსად ამბობს, რომ არის პროფესიონალი სამართალმცოდნე). ალბათ ამანაც გამოიწვია ავტორთა მცდარი დასკვნა, რომ იგი იყო მხოლოდ თარჯიმანი და სამსედრო კორესპონდენტი. მართალია ბათუმში ყოფნისას ის მართლაც ასეულებდა ამ დავალებებს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი, ერთჯერადი ვალდებულება და იგი მთელი სიცოცხლე თემიდას სასწორს – ვექილობას არ ჩამოშორებია (გვ. 5).

ა. ფრენკელის სიტყვები: „ჩვენ მივაღწიეთ ადგილს, სადაც იღვრებოდა რესული სისხლი,“ მკითხველს თვალსა და ყურს სჭრის, რადგანაც აჭარის გათავისუფლებისათვის მრავალი ქართველის სისხლიც დაიღვარა. ამ ფრაზის გამო ავტორს ვერ გავამტყუნებთ, რადგანაც ის სხვა ადგილას არაერთხელ საუბრობს „ქართულ დრუჟინაზე“, „გურულთა რაზმზე“, „ქართველ მუსლიმანთა ასეულზე“, რომლებიც თავდადებულად და მამაცურად იბრძოდნენ მხარის გასათავისუფლებლად და ბევრი მათგანი კიდეც შეეწირა ამ ბრძოლას. „რესული სისხლი“ ზოგადი მცნების სახით იხმარა ავტორმა იმის დასადასტურებლად, რომ რესერტის დაზვერვა კარგად არ იცნობდა ქობულეთის მისადგომებს, რამაც უაზრო შეტაკებები და არმიის დიდი დანაკლისი გამოიწვია. „ჩვენ საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა იმ ახალ

მიწაზე“-ო ამბობს ა. ფრენკელი და ამით ერთგვარად აკრიტიკებს რუსულ მხედრობას, რომლის საქმეში ჩაუხედაობას დიდი მსხვერპლი მოჰყვა (გვ. 7).

როგორც ცნობილია, ბათუმის ოლქი ოსმალობის დროს ერთხანს ლაზისტანის სანჯაფში იყო გაერთიანებული, რის გამოც საქმეში ჩაუხედავი ზოგი მოგზაური და მეცნიერი ამ მხარის ყველა მცხოვრებს ლაზებად მიიჩნევს. ამ გაუგებრობას ეხმავრება ა. ფრენკელი და ამბობს, რომ „დიდ შეცდომას სჩადიან ისინი, ვინც ახლადშემოერთებულ მხარის მოსახლეობას უწოდებს ლაზებს“, რადგანაც ისინი მხოლოდ მაკრიალსა და მარადიდში ცხოვრობდნენ, დანარჩენი ტერიტორია კი მთლიანად მუსლიმანი ქართველებითაა დასახლებულიო (გვ. 14).

ავტორის ეს შენიშვნა სამართლიანია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ანალოგიური შეუსაბამობა ზოგჯერ მის დასკვნებშიც იკითხება. პირველი ისაა, რომ ჩრდილო კავკასიიდან და აფხაზეთიდან იძულებით აყრილ და ბათუმის ოლქში ლტოლვილებს ავტორი მხოლოდ ჩერქეზებად მოიხსენიებს იმ სოფლებშიც კი, სადაც მხოლოდ აფხაზი ხიზნები ცხოვრობდნენ. და მეორე: ჩურუქ-სუს კაზაში ომის წინ, მოკლე დროით შედიოდა ბათუმის მიდებარე რამდენიმე სოფელი, ახალშენი, ორთაბათუმი, კაპრეშუმი, მახინჯაური და სხვ. ა. ფრენკელი ამ სოფლების და ზოგჯერ ბათუმის კაზას მცხოვრებლებსაც ქობულეთლებად მიიჩნევს (გვ. 51).

მკითხველი შეიძლება დააბნიოს მდინარე ყოროლისწყლის მიდამოებში, თამარის ციხესთან „სარაია“-ს ხსენებამ. ა. ფრენკელის დროს აქ შემორჩენილი იყო მხოლოდ საკმაოდ მოზრდილი ციხის ნაშთები, რომლებსაც არ შეიძლება სარაია უწოდო. საქმე იმაშია, რომ ეს ტერიტორია, ციხის ადგილსამყოფელის ჩაოვლით, ჩაქველი ბეჭანიძეების საკუთრება იყო. მათ არ უცდიათ ციხე-სიმაგრის აღდგენა, სამაგიეროდ ციხის კედლებს შორის ჩადგეს საკმაოდ მდიდრული წაბ-

ლის ხის სახლი, რომელსაც გააჩნდა მრავალი სათავსო. იგი სასახლის ფუნქციასაც ასრულებდა, მაგრამ რუსებმა სიტყვა დვორეთი ვერ გაიმეტეს და ამის ნაცვლად ცარა — ფარდული უწოდეს, (55), რასაც სამწუხაროდ ა.ფრენჯელიც იმეორებს.



ბეჭანიძეების სახლი

თამარის ციხეზე ბათუმში, ხედი ქალაქიდან. „სარაი“ (შდრ.გვ. 79) (ზ. მარგივის ფოტოკოლექცია)

ხალხის მიმართ რუსების მოქმედებას ავტორი ხშირად უწოდებს „ზომიერს“, „მშვიდობიანს“ და ა. შ. (გვ. 58). მართლაც ახლად შემოსული დამპყრობელი პირველ ხანებში ცდილობდა მოსახლეობასთან მშვიდი, იმედისმომცემი ურთიერთობა დაემყარებინა და ამისათვის მრავალ დაპირებებს იძლევოდა: უძრავი ქონების ხელშეუხებლობა, პიროვნების უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების მოწესრიგება, აღმსარებლობის შენარჩუნება, მოხელეებად ადგილობრივი პირების დანიშვნა და სხვ. ხალხი ამით მართლაც მშვიდ-

დებოდა და რაიმე სერიოზულ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა რუსთა ტაბილსიტყვაობისა ბოლომდე არ სჯეროდათ. და მართალიც აღმოჩნდნენ. ახალმა ხელისუფლებამ არცერთი შეპირება არ შეასრულა, რამაც ხელი შეუწყო მასობრივ უკმაყოფილებას და მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის აყრა-გადასახლებას. ამ სოციალური სენის მეზეზების ანალიზს ა. ფრენკელი შესანიშნავად აკეთებს, უკეთ, ვიდრე სხვა აგრორები.

დარწმუნებული ვარ სხვაგვარ შედეგს არც ა. ფრენკელი ელოდა, მაგრამ მხედველობაში მისადებია, რომ მისი ნაშრომი, რუსთა შემოსვლიდან პირველივე დღეებში დაიწერა და უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ ავტორმა სხვაგვარი პროგნოზებისაგან თავი შეიკავა.

ანალოგიურია რიტორიკა იმის შესახებ, რომ ჯარისკაცებმა „მართლაცდა ძნელი სამსახური გასწიეს რუსეთისათვის საერთოდ, და, განსაკუთრებით კავკასიისათვის“ (გვ. 62). რუსეთისათვის ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო, რადგანაც მან ხელში ჩაიგდო ათეული წლების მანძილზე ნანატრი ბათუმის ნავსადგური და საქართველოს შავიზღვისპირეთი, კავკასიის ნავთობით და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებით, მაგრამ ყველაფერი შედიოდა იმპერიის გეგმებში და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამას არაგითარი სიკეთე არ მოჰქონდა.

ა. ფრენკელს ბათუმის მუსლიმანურ სალოცავთაგან ყველა ულაზათოდ აშენებულად მიაჩნია. მათ დანგრევის საფრთხე ემუქრებათ: „ბათუმის სამი ჯამედან მხოლოდ ერთი გამოიყერება კარგად. ესაა ქვის ფართო შენობა, სულთან აბდულ-მეჯიდის დედის მიერ თურქეთის ჯარისათვის აშენებული“ (გვ. 71). სხვა ადგილას ავტორი ამბობს, რომ ესაა სულთან აბდულ-აზიზის მეჩეთი.

მართლაც, ეს ჯამე ააშენა სულთან მაჰმუდ მეორეს (1785-1839) ქართველმა მეუღლემ, მეჯიდის და აზიზის დედამ

გვარად ქუთათელაძემ, ჩვენი აზრით, 1830 წელს ვაჟის, აზიზის დაბადებასთან დაკავშირებით. იგი განკუთვნილი იყო ოსმალეთის არმიისათვის, რომლის რიცხვი 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბათუმში განსაკუთრებულად გაიზარდა, რუსთაგან ბათუმის ოლქზე მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის გამო.

სხვათაშორის, მაპმუდ II-ის მეუღლე, რომელსაც ჩვენი გარაუდით ფატიმა ერქვა, ატარებდა ვალიდე სულთანის საპატიო ტიტულს, რაც ჩვენს დედოფალს უდრიდა. ეს ტიტული მას უფლებას აძლევდა აქტიურად ჩარეცდის სახლმწიფოს მართვაში, ერთგვარად შეენელებინა სულთანის სიმკაცრე და ზოგჯერ ქართველი დიდგვაროვნებისათვის დახმარების ხელიც გაეწოდებინა (იხ. ჩვენი „მესხი აიმე – ოსმალეთის დედოფალი“: გაზ. „აჭარა“ №103, 8-9 სექტემბერი, 2011 წ. გვ. 6).

ავტორი სწორ შეფასებას აძლევს ომის დროს შერიფ-ბეგ სიმშიაშვილის მოქმედებას და მას მიიჩნევს რუსების ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ ქართველ მომხრედ, რომლის დამსახურება იყო მთელი მხარის უსისხლოდ გათავისუფლება.

ა. ფრენკელი ეხება აგრეთვე ოსმალეთის ხელისუფალთაგან შერიფ-ბეგის დაპატიმრებას და ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ „მისი სიმპათიები რუსეთისადმი ცნობილი იყო და დაიწყო დაბეზღებები შერიფ-ბეგის წინააღმდეგ, განსაკუთრებით სამიხა-ფაშის მხრიდან. როდესაც დაინახეს, რომ მას (შერიფს, რედ.) ვერავერს გამორჩებოდნენ (იგი ძალზე ჭკვიანი და განვითარებული პიროვნება იყო), მაშინ შეიპყრეს, წაართვეს ყველაფერი და კონსტანტინეპოლიში გაგზავნეს. ამბობენ, რომ ამ საქმეში ცნობილი „მუშირის“ დევრიშ ფაშას ხელი ურევია“ (გვ. 88).

დიახ, ოსმალეთის ხელისუფლება რუსეთთან საიდუმლო კავშირების გამო ეჭვის თვალით უყურებდა შერიფ-ბეგს და



**შერიფ ხიმშიაშვილის სახლი სსალთაში, სადაც 1875 წ.
ოქტომბერში მოკლეს მისი შვილი მურთაზ ხიმშიაშვილი.**

ხელსაყრელ მომენტს ელოდა მის დასასჯელად, პაგრამ მისი დაპატიმრების საბაბი სულ სხვა შემთხვევა გახდა. 1875 წლის ოქტომბერში სსალთაში შერიფ-ბეგის სასახლეში, როცა მას სტუმრად ჰყავდა რვა წარჩინებული პირი, დამით მისი მძინარე ვაჟი, ხულოს მუდირი მურთაზ-ბეგი მოკლეს. დაღუპულის ქვრივმა საჩივრით მიმართა ოსმალეთის ხელისუფლებას და ხელი მამამთილს დაადო, რის გამო შერიფ-ბეგი დააპატიმრეს და ჯერ არზრულის, შემდეგ ტრაპიზონის სასამართლოს გადასცეს. საქმის განხილვა ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. რუსეთის ხელისუფლებამ ჩვეულ ხერხს მიმართა. თავისი დიპლომატების მეშვეობით ციხის აღმინისტრაცია მოქროთამა და მოახერხა შერიფ-ბეგის ციხიდან გაქცევა. ამ გახმაურებულ შემთხვევას ვრცელი ნაშრომი

მივუძღვენი (1876 წლის* მკვლელობა სხალთაში. ქ. „ლიტერატურული აჭარა“, №6 1998 წ.) და აქ დაწვრილებით არ ვისაუბრებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა შერიფ-ბეგისათვის ცნობილი გაეხადა (შესაძლოა გაზვიადებულადაც) თავისი დამსახურება ციხიდან მის გაქცევაში, რათა იგი საბოლოოდ გამხდარიყო რუსეთის ერთგული. ასეც მოხდა. ამ ამბების შემდეგ შერიფ-ბეგმა თავისი ცხოვრება თბილისა და ახალციხეში გაატარა და აშკარად ჩამოშორდა ოსმალეთის მმართველობას. მას რუსეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე მიანიჭა გენერალ-მაიორის წოდება, პეტერბურგში მონათლეს (ალექსანდრე II-მ), შერთეს დანიის პრინცესა და მრავალი ჯილდო უბოძეს.

გამორიცხული არაა, რომ ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი შეილის

მკვლელობის პროცესირება რუსეთის ხელისუფლების აგენტთა ნამოქმედარი იყო. თუმცა ა. ფრენკელის ჩანაწერი, შერიფ-ბეგის დაპატიმრებაში დევრიშ-ფაშის მონაწილეობაზე, ახალ უჭვსაც ბადებს იმაზე, რომ ეს სისხლიანი აქტი ჩაიდინეს ოსმალეთის აგენტებმა, რათა საბაბი ჰქონდათ რუსთა მხარეზე გადასული შერიფ-ბეგის დასაპატიმრებლად.

ამ მკვლელობის საიდუმლო დღესაც გაუხსნელია. საქმეს ნათელს მოჰყენს (მიახლოებით მაინც) არზრუმისა და ტრაპიზონის მაშინდელი სასამართლოების საარქივო დოკუმენტები, თუ ვინმე მოისურვებს მათს მოპოვებას და მეცნიერულად შესწავლას.

საყურადღებოა, რომ პირველ ხანებში რუსეთის ხელისუფლების მიერ ჯილდოებით, ნათლობით და დანიელ პრინც-

* ასეა უკრაში, მაგრამ ახალი მასალების მოძიების შემდეგ გასწორდა და უნდა იყოს „1875“. (რედ.)

ესაზე დაქორწინებით წახალისებული შერიფ-ბეგი, შევი-წროებას ახალი პატრონების მხრიდანაც ვერ გადაურჩა.

როგორცა რუსები აჭარაში მომაგრდნენ, მაშინვე განაცხადეს, რომ ოსმალობისდროინდელი უძრავმოძრავი ქონების მფლობელობა უქმდება და ყველა მიწა ხაზინაში უნდა ჩაირიცხოს. აჭარაში კუთვნილი 5000 დესიატინამდე მამული შერიფ-ბეგსაც ჩამოართვეს. იგი იძულებული გახდა თხოვნით იმპერატორს და მისი კარის მაღალ ჩინოვნიკებსაც ხდებოდა, მაგრამ ყველამ დაივიწყა მისი დიდი სამსახური და იგი ისე გარდაიცვალა, რომ მისი 20 შვილისათვის მხოლოდ 16 დესიატინა მიწის დატოვება შეძლო.

ა. ფრენკელს ვერ დავეთანხმები შავი ჭირის ეპიდემიოლოგიაზე წამოყენებულ მის დებულებებში. ბათუმის უპირატესობის დასასაბუთებლად იგი აღნიშნავს, რომ „შავი ჭირი (სანდო პირების გამოკითხვის შედეგად), რომელიც უკანასკნელად მძვინვარებდა ფოთსა და ტრაპიზონში, ბათუმში სრულებით არ ყოფილა. პირიქით, დაავადების გადადების შიშით ამ ქალაქებიდან ბათუმს შეაფარეს თავი“ (გვ. 125) – ამბობს იგი.

ბათუმი არაერთხელ იქცა ბუბონური შავი ჭირის ეპიდემიის არენად ადრეც და მოგვიანებითაც (1901 და 1919 წლები), მით უმეტეს ისეთი საშინელი ანგისანიტარიის პირობებში, რომელსაც თვით ა. ფრენკელი აღწერს. ფოთსა და ტრაპიზონში დაავადებების გავრცელების დროს ბათუმი რომ გადაურჩა ეპიდემიას, ეს მხოლოდ შემთხვევითობაა და ამ მხრივ ქალაქს სრულიადაც არ ჰქონდა რაიმე უპირატესობა.

საქმე იმაშია, რომ როცა ა. ფრენკელი ამ სტრიქონებს წერდა, მაშინ შავი ჭირის გავრცელების მიზეზებზე და დაავადების გამომწვევ მიკრობზე (Bacterium Pestis) წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ეს მიკრობი 16 წლის შემდეგ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, 1894 წელს აღმოაჩინეს ფრანგმა იერსენმა და იაპონელმა კიტაზატომ, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ

ა. ფრენკელი დაკვირვებული და მრავალმხრივ განათლებული ავტორია, ბუნებრივია, შავი ჭირის ეპიდემიოლოგიაზე არ შეეძლო უტყუარი ცნობების მოწოდება.

ამავე მიზეზებით შეიძლება აიხსნას ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ მაღარია ფოთში უფრო მეტად იყო გავრცელებული, ვიდე ბათუმში (გვ. 124). სინამდვილეში იყო პირიქით. იმ დროს ბათუმს „მაღარის“ პოლუსს“ ეძახდნენ და შემთხვევითი არა, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში პირველი სამალარიო სადგური 1913 წლის 12 მაისს სწორედ ბათუმში გაიხსნა.

ავტორი არაერთგზის საუბრობს. ყაჩაღობაზე, მოსახლეობის რბევა-აკლებაზე, ქურდობასა და ძალადობაზე და ყველაფერს გადმოსახლებულ ჩერქეზებს მიაწერს (გვ. 96). ასეთ შემთხვევებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ყოველივე გადაჭარბებულია. როგორც ჩანს, ჩერქეზ ლტოლვილთა ჯგუფის გამოჩენისთანავე და მათი ხელით ჩადენილი ძალადობის პირველივე ფაქტის შემდეგ, სხვათაგან ჩადენილ დანაშაულსაც მათ მიაწერდნენ. დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ ამ პერიოდში ხშირი იყო ძალადობა, როგორც ადგილობრივ მკვიდრთაგან (აჭარლები, ლაზები), ასევე ახლადჩამოსახლებული აფხაზების მხრიდანაც.

ასევე გადაჭარბებულია გოგო-ბიჭების გაყიდვისა და მუპაჭირობის ცოდვის აკიდება მხოლოდ წარჩინებული გვარის, თავდგირიძეების ზოგიერთ წარმომადგენელზე.

გოგო-ბიჭების სყიდვა მთელი საქართველოს ერთ-ერთ დიდ ბოროტებას წარმომადგენდა და ამ საქმეში სცოდავდნენ არა მარტო ოსმალოს ხელქვეით მყოფი ქართველი აღა-ბეგები, არამედ საქართველოს სხვა მხარეების, განსაკუთრებით გურიისა და იმერეთის თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებმაც ეს საქმე გამდიდრების წყაროდ აქციეს. ამის მაგალითები ძალზე ბევრია; არის ქართველი მეფეებისა და დიდებულების მხრიდან ამ სოციალური სენის

წინააღმდეგ ბრძოლის, მკაცრი ბრძანებებისა და სასჯელების
მაგალითებიც.

რაც შეეხება მუჭაჯირობას, ეს უბედურება ძირითადად
აჭარის მოსახლეობას დაატყდა თავს და ამაშიც, ოსმალო
ემისრებთან ერთად, აქტიურობდნენ არა ოდენ თავდგი-
რიძეები.

ყველა ბეგი სამშობლოდან წასვლისას ცდილობდა თა-
ვისი ხელქვეით მყოფი ყმა-გლეხები თან წაეყვანა, რათა
შეჩვეული ადამიანების ხელით უცხოობაში მოქმედი გებინა
თავისი მეურნეობა. გარდა ამისა ისინი თვლიდნენ, რომ
წაყვანილი მოსახლეობისაგან შექმნიდნენ საჯარისო ნაწი-
ლებს, რომელიც შემდებდა რუსების განდევნას და მათს
მშობლიურ კერასთან დაბრუნებას. რაც შეეხებათ უშუალოდ
თავდგირიძეებს, ამ გვარის თითქმის ყველა წარმომადგენელი
იბრძოდა, როგორც რუსული, ისე ოსმალური ბატონობის წი-
ნააღმდეგ და სურდათ (ისევე, როგორც იმერეთის დიდებუ-
ლებს და გურიის მთავრის მემკვიდრეებს) დამოუკიდებლად
არსებობა და ძველი პრივილეგიების აღდგენა. როცა საქმე
სასწორზე დადგა, სარწმუნოებრივმა ფაქტორმა სძლია და
თავდგირიძეთა ცნობილმა თავკაცებმა (ალი-ფაშა, ოსმან-
ფაშა და სხვ.) რუსეთის ხელში ყოფნას ერთმორწმუნე ოს-
მალეთი არჩიეს იმ იმედით, რომ საქართველოში ბოლო მო-
ედებოდა ჩრდილოეთის იმპერიის ბატონობას და ისინი კვ-
ლავ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. სხვათაშორის ასეთივე
იმედები ჰქონდათ ოსმალეთში გახიზნულ მრავალ ქართვ-
ელს, რომლებიც იქ უმადლეს თანამდებობებზე დაწინაურდ-
ნენ, აგრეთვე იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს, გურიის
დედოფალს სოფიოს და ქაიხოსრო გურიელს, თუმცა ყველა
მათგანის ოცნება ეფექტული აღმოჩნდა. ასეულობით ოს-
მალეთში გადახვეწილნი და ფაშა-მუშირ-ფერიკებად დაწი-

ნაურებულები სამშობლოში ვერ დაბრუნდნენ, ძალაუნებურად ჩადგნენ ოსმალეთის სამსახურში, თითქმის ყველა მათგანი, აგრეთვე სოლომონ მეორე, გურიის დედოფალი სოფიო და ქაიხოსრო გურიელი უცხოობაში აღესრულნენ და იქვე დაკრძალეს. ზემოთქმულის გამო, მუჭაჯირობაში მხოლოდ ერთი გვარის დადანაშაულება მიზანშეუწონელია. ამ საქმეში სხვებსაც მიუძღვით ბრალი, თუმცა ამ მოვლენას სხვა მიზეზებიც განაპირობებდა, რომლის შესახებ თვით ა. ფრენკელის ჩანაწერებიც მეტყველებენ.

თავდგირიძეების „ბოროტებასთან“ დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ა. ფრენკელისავე რამდენიმე ფრაზა, რომ-ლებითაც ვრწმუნდებოდით, რომ ეს გვარი მთელი ძალით ებრძოდა რუსების გაბატონებას. აი, როგორ ჟღერს ეს ფრაზები: „ალიფაშამ და ოსმან-ფაშამ ოსმალეთის ხელისუფლებისაგან დაიმსახურა გენერლის ჩინი... მათ არ სურდათ რუსეთის ბატონობა. კარგად იცოდნენ, რომ რუსები არ სცნობდნენ მათ გენერლის ჩინებს... და აი, თავდგირიძეთა გვარი ჩაუდგა სათავეში ოპოზიციას რუსეთის წინააღმდეგ. ისინი ქადაგებდნენ გიაურებისადმი დაუმორჩილებლობას და უკიდურეს შემთხვევაში ქობულეთლების თურქეთში გასახლებას.“

ალიფაშა თავდგირიძის მილიციელების ხელით ძარცვამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მათმა საჩივარმა დევრიშ-ფაშის ყურამდეც მიაღწია. ჩატარდა გამომიება, რომელმაც დაადასტურა საჩივრის სინამდვილე. ალი-ფაშა შეიპყრეს და თავის თჯახთან ერთად გაასახლეს ტრაპიზონში. იგივე ბედი ეწია მისი უმცროსი ძმის ოსმან-ფაშის ოჯახს...“ (გვ. 113)

ვინ მიიტანა დევრიშ-ფაშის ყურამდე ეს საჩივარი? ქობულეთელთაგან არავინ. რუსეთის ხელისუფლებამ თავისი დიპლომატებით შეძლო შეთხზული დანაშაულის მიტანა სულთნის კარზე, საიდანაც ამ ხრიკმა დევრიშ-ფაშამდეც მიაღწია. ამაზე

ა. ფრენკელი გამოკვეთილად ამბობს: „წამქეზებელთა შორის მთავარი ადგილი ეკავა ჩვენთვის უკავე ცნობილ ოსმან-ფაშა თავდგირიძეს, რომელიც ჩვენი უფროსობის დასმენით თურქეთის მთავრობამ შეცვალა (გვ. 127).“ ამგვარად ალი-ფაშას და ოსმან ფაშას რუსების წინააღმდეგ ბრძოლამ გაურთულა საქმე და არა „დალატმა,“ რომელიც მისდამი შექმნილ ლექსში ძალზე ორაზროვანია. აქ საკითხებია, – თუ ალი-ფაშამ თავისინებს (აჭარლებს, გურულებს) თურქეთის სასარგებლოდ უდალატა, მაშინ იგივე თურქებმა რატომ შეიპყრეს, თავის მრავალსულიან ფჯახთან ერთად „ბატრით რატომ ჩაათრიეს გემში“ და თავი ოსმალეთისაკენ რატომ უკრქეს?

ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ალი-ფაშა და ოსმან-ფაშა თავგამოდებით იბრძოდნენ გურია-აჭარაში რუსების გაბატონების წინააღმდეგ. ეს კარგად იცოდა ცარიზმის ხელისუფლებამ, რომელმაც ისინი სულთანთან დაასმინა, რის გამო ჩამოაშორეს მაღალ თანამდებობებს და ოსმალეთში გადაიყვანეს. თუმცა, მალე ოსმალეთის მთავრობამ ორთავე თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა და მაღალი თანამდებობებიც მისცა.

საერთოდ, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯაში თავდგირიძეების დადანაშაულება საკმაოდ სერიოზულ ეჭვს იწვევს. ამ გვარს, როგორც გურიის მთავრების ახლო ნათესავს, საკმაოდ დიდი დაფასება ჰქონდა გურიაშიც და აჭარაშიც. თუ მათი რჩევით მრავალი აჭარელი გადასახლდა ოსმალეთში, ძალზე საძრახისია, მაგრამ ესეც ხალხში მათს ავტორიტებზე მეტყველებს. ამჯერად არაფერს ვიტყვით მუპაჯირობის ანტიქართულ მხარეზე და საკითხს სხვა მხრივ მივუდგებით, გაგვიჩნდება სერიოზული კითხვა: თუ თავდგირიძეები ასეთი მძარცველები, დესპოტები და მოღალატეები იყვნენ, მაშინ ხალხის მასა როგორ უჯერებდა მათ, როგორ იყრებოდნენ მამა-პაპათა კერიდან და ოცხოეთში მიეშურებოდნენ?

ა. ფრენკელი არ მალაგს, რომ ცარიზმის ბევრი პოლი-

ტიკა ახლადდაპყრობილ მხარეში მკვიდრი მოსახლეობის აყრაგადასახლებას თავად უწყობდა ხელს და, როგორც ავტორი ამბობს, „მათს მოშორებას ცდილობდა“.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მუჭაჯირობის მხარდაჭერაზე ა. ფრენკელი მოურიდებლად და გაბედულად წერს, თანაც აფრთხილებს მეფის ჩინოვნიკებს, რომ ამას ძალზე ცუდი შედეგი მოყვება: ჩვენ გულდამშვიდებით არ უნდა გუცქეროდეთ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა გასახლებას თურქეთშიო, რადგანაც, „ასეთი გადასახლება შეგვიმცირებს მამაცი მოსახლეობის მნიშვნელოვან კონტიგენტს და ამავე დროს სახელს გაუტეს ჩვენს გავლენას მცირე აზიაში. იგი მომავალში მრავალი გაუგებრობის მიზეზი გახდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია მაღე გახდება ჩვენი „საბოლოო“ ანგარიშსწორების სარბიელი თურქებთან და მის მოკავშირე ინგლისთან. მაშინ ჩვენ ვინანებთ ამ „დაუდგრომელი“ აჭარლების გამო, რომელთა თავიდან მოშორებასაც ახლა ასე ვცდილობთ“ (გვ. 130, 131).

„ბათუმის გუბერნაციონს (მუთესარიფს) ოსმან-ფაშას რჩება დიდი სამფლობელოები ბათუმში და სხვა აღგილებში, თვითონ იგი რუსეთისათვის გამოუსადეგი მსახურია, იგი იყო იმ პარტიის მეთაური, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ბათუმის რუსეთთან შეერთებას“ (გვ. 24). იგი გურიელთან მოვიდა იმის შესატყობინებლად, რომ თვითონ მიემგზავრება ტრაპიზონში, სადაც უკვე მისი ოჯახი იმყოფება, მაგრამ რუსეთის მთავრობას უტოვებს თავის შვილს. ვფიქრობ, ეს უფრო კეთილგანზრახულობას და ადრე დაბრუნების იმედს ნიშნავს, ვიდრე მარტო თავისი სამფლობელოების შენარჩუნების განზრახვას ან ოსმალეთის ბატონობის აპოლოგეტობას, როგორც ამას ა. ფრენკელი ფიქრობს.

ინგლისელები ავრცელებდნენ სმებს ლაზების აჯანყებაზე, მათგან ავტონომიის მოთხოვნაზე, რომელიც რუსებს სჯეროდათ, თუმცა ქართველი მოღვაწეები მათ არწმუნებდნენ,

„რომ ყველაფერი ეს მონაჩმახია... ოურქეთის ქართველებს სურთ რუსეთის ქართველებთან შეერთება მხოლოდ მათი სიმყუდროვის შენარჩუნების პირობით“ (გვ. 41.)

როგორც ირკვევა აჭარა-შავშეთ-იმერხევის გათავისუფლების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ ლაზეთში მოსახლეობა სინაწყლს გამოთქვამდა, რომ მათაც ვერ გაიზიარეს ამ მხარეების ბედი. მოსაზრებულობით და ხალხის მიმართ გულახდილი და ობიექტური დამოკიდებულებით რუსეთის ხელისუფლებას შეეძლო ლაზეთის მიერთებაზეც ეფიქრა, მაგრამ მათთვის მთავარი ბათუმი იყო.

თავისი ნაროდნიკული იდეებით ა. ფრენკელი გვევლინება რუსეთის რეფორმების შემდგომი ბატონებური ჩაგვრის გადმონაშოთების წინააღმდეგ მებრძოლად, შემდეგ გლეხობის პროტესტის ერთ-ერთ მხარდამჭერად. ამის მაგალითად გამოდგება მისი ჩანაწერი, სადაც იგი კატეგორიულად გამორიცხავს ადგილობრივი ბეგების უფლებების აღდგენას „ისტორიულ მოვლენათა საწინააღმდეგოდ და, რაც მთავარია, დანარჩენი ხალხის (გლეხების, რ. ს.) საზიანოდ“. (გვ. 132, 133). ავტორი ისევე, როგორც ყველა ქართველი ხალხოსანი, გლეხთა არასახარბიჯლო მდგომარეობას სწორედ მაღალი ფენების პრივილეგიებით ხსნის.

ა. ფრენკელის ნაშრომი იწერებოდა იმ დროს, როცა რუსეთის იმპერიაში ხალხოსნური მოძრაობა კრიზისს განიცდიდა, რაც გადრმავდა მას შემდეგ, როცა ეს ორგანიზაცია ორ ფრაქციად გაითიშა (1879 წ.). ამათგან ერთ-ერთი ფრაქციის წარმომადგენლებმა მოკლეს ნაროდნიკული მოძრაობის მამალი მტერი, იმპერატორი ალექსანდრე II (1881 წ. 1 მარტი).

ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი ციტატა ბალზე მოკრძა-



0ლ0ა ჭავჭავაძე
(1837–1907)



აგაპი წერეთელი
(1840–1915)



გიორგი წერთელი
(1842–1900)

ლებულია და მოღიანად ვერ ასახავს ა. ფრენკელის სიმპა-
თიებს ხალხოსნური მოძრაობისადმი, მაგრამ ამასაც აქვს
თავისი ახსნა. 1878 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჟანდარ-
მერიამ დააპატიმრა მრავალი ხალხოსანი ქართველი და 80
კაცი პასუხისმგებაში მისცა. მართალია საქართველოში ამ
რეპრესიებმა ხალხოსნური მოძრაობა ვერ ჩაკლა, მაგრამ
მათი აქტივობა შეამცირა. თუმცა ეს არ ითქმის მის ლი-
დერებზე (მ. ყიფიანი, ს. მგალობლიუმიშვილი, ა. ფურცელაძე, ს.
ჭრელაშვილი ა. ნანეიშვილი და სხვ.), რომლებმაც თავიანთი
საქმიანობა კონსპირაციული და განაგრძეს. ამას მთავრობის
ახალი რეპრესიები მოპყვა, რის გამო მოძრაობა მინელდა
და ხალხოსნურმა პრესამაც არსებობა შეწყვიტა. მოძრაო-
ბის წევრთა და თერგდალეულთა უმრავლესობა შეიკრიბა
გაზეთ „ივერიის“ გარშემო, ახლა ისინი აქტიურად მონაწ-
ილეობდნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში,
რომელსაც იღია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

საყურადღებოა, რომ ამ მოვლენებს ემთხვევა ა. ფრენ-
კელის განსაკუთრებული დაახლოება ქართველ საზოგადო
მოღვაწეებთან, აგრეთვე მისი რედაქტორობით გამომავალი
შურნალების „იურიდიქსკოე ობოზრენიე“-სა და „კავკაზე-



ართონ ჭურველაძე
(1839-1913)



**სოფოროშ
მგალობლივი**
(1851-1925)



გიორგი ზღანოვისი
(მაიაშვილი)
(1855-1917)

კოე ობოზრენიქ“-ს დახურვა, ა. ფრენკელის ჩართვა ილია ჭავჭავაძის წრესთან, რაც იმაზეა მეტყველებს, რომ ის, როგორც ნაროდნიკების ერთგული პ. დ. სპასოვიჩის აღზრდილი (გავიხსენოთ 50-ის პროცესი), ბეჭდვითი სიტყვითა და პრაქტიკული საქმიანობით შეძლებისდაგვარად მხარს უჭერდა ქართველი ხალხისათვის სასარგებლო შეუპოვარ ბრძოლას.

შცხო სიტყვათა განმარტებები

ა.

ალაი ბეგი – მშვიდობიანობის დროს კაზის პოლიციის უფროსი, რომელსაც ევალება არმიის შესავსებად ახალგაზრდების შერჩევა. ომიანობის დროს ალაი ბეგი 1000 კაციანი კავალე-რიის უფროსია.

არუსიე – პატარძლის გადასახადი, რომელსაც თიმარის მფლობელს ყველა რაიათი (ი.ხ.) ცოლის შერთვისას უხდის.

არფალიკი – ქერისათვის განკუთვნილი მიწის შემოსავალი, რომელიც სახელმწიფო მოხელეს ჯამაგირად ეძლეოდა.

არშინი – სიგრძის ძველი საზომი ოსმალეთსა და რუსეთში, უდრის 16 ვერშოკს, ანუ 71,12 სმ-ს.

აქბა – პატარა ზომის ვერცხლის მონეტა, პირველად ჩამოასხეს 1328 წელს და 1,54 გრ.ს იწონიდა. 1687 წ. გაუფასურებული აქბა ყურუშმა შეცვალა, რომელსაც ევროპაში პიასტრს უწოდებდნენ.

აღა – სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა წოდება, ქართული აზნაურის თანაბარი.

აშარი – შემოსავლის მეათედი გამოსაღები ან გადასახადი.

ბ.

ბათმანი – წონის ერთეული, უდრის ნახევარ ფუთს, ანუ 6 ოფას – 8 ქბ.

ბეგი – სამხედრო და სამოქალაქო მმართველი, ქართული თაგადის თანაბარი.

ბეგლარ-ბეგი – ოსმალეთის იმპერიის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი, რომელსაც ხელო ეპურა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა

ბეი-ზადე – ბეგის შეილი, ხშირად გვარში გამოისახებოდა, როგორც ხედწოდება.

ბეილიკი – ბეგის, ბეის სამფლობელო, სადაც მას უფლება პქონდა აქციურა გადასახადები.

ბენაკი – უმიწაწყლო გლეხზე მიწის მფლობელის მიერ მიწერილი ფართობი. ბენაქრესმი – ამ ფართობიდან გაღებული გადასახადი.

ბოლუქი – ოსმალეთის შევლი სამხედრო ერთეული, ცხენოსანი ან ქვეითი ნაწილი, რომლის რაოდენობა სხვადასხვა დროს იცვლებოდა. ასეული.

ბუნჩუკი – ფაშების წოდების გამომხატველი ნიშანი: ცხენის ქუსა-გან დამზადებული ერთი, ორი ან სამი ბუნჩუკი. ამაგრებდნენ თავსახურავზე. ერთბუნულიანი ფაშა – მირლივა, ორბუნულიანი – მირმირანი, ხოლო სამბუნულიანი – ვეზირი ან-ბეგლარ-ბეგი.

ბ.

გიაური – ღმერთის უარმყოფელი, ურწმუნო, ყველა არამუსლიმანის სახელი.

დ.

დანიშმენდი – მედრესეს მე-5 დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლე (იხ. სოფტი).

დერვიში – მუსლიმანი მოხეტიალე მლოცველი, იგივე სუფია.

დეფტერი, დაფთარი – რვეული, სია. – რეესტრის ან ჩანაწერების წიგნი, ქონების მფლობელობის დამადასტურებელი ჩანაწერების უკრნალი.

დიგანი – სულთნის ან დიდვეზირის საბჭო. მაღალი თანამდებობის მოხელეების კანცელარიებსაც ეძახდნენ.

დირლიქი – სახელმწიფოს მიერ ბოძებული საარსებო საშუალება.

პ.

ეზანი – მუქმინის მოწოდება მოწმუნებისადმი, მოვიდნენ სალოცავად.

ეიალეთი – ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჩვეულებრივ ბეგლარ-ბეგები, ვეზირები ან ფაშები განაგებდნენ. მე-19 ს-ში ეიალეთს ვილაიეთი ეწოდა და მას სათავეში გალი ჩაუდგა.

პ.

გალი – ოლქის მმართველი, ვილაიეთის გამგებელი, ბეგლარ-ბეგი.

გალიდე – სულთანი – დედა-სულთანი. ეს ტიტული დაწესდა 1574 წელს და პირველად მიენიჭა მურად III-ის დედას შეილის სულთნად აღზევების დროს; მოქმედებდა სულთანატის გაუმჯობესების დედა სულთანს დიდი გავლენა პქონდა შვილზე

– სულთანზე. სულთანის კარზე საგანგებო დაწესებულება ვალიდე დაირასიც არსებობდა.

ვაჟუფი – ვაკფი. უძრავი და მომრავი ქონება, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა ქველმოქმედებას ან სასულიერო ცენტრებს.

ვეზირი – უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელე. სულთნის დივანის წევრი. ზოგჯერ ამ ტიტულს სამთულიან ფაშასაც ანიჭებდნენ. დიდვეზირებს სადრაზამს უწოდებდნენ (იხ).

ვერგი – გადასახადის სახეობა.

ვილაიეთი – იგივე ეიალეთი. ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც მეთაურობდა ბეგლარ-ბეგი, მირ-მირანი, ვალი ან ფაშა.

ზ.

ზამმი – ზეამეთის მფლობელი.

ზეამეთი – მიწის ნაკვეთი, რომელიც გაიცემოდა სამხედრო სამსახურისათვის, წლიური შემოსავლით 20 000-დან 100 000 ას-ჩამდე.

ზიმმი – მუსლიმურ ქვეწებში მცხოვრები არამუსლიმანი მოსახლეობა.

თ.

თანზიმათი – 1839 წლიდან ოსმალეთის იმპერიაში გატარებული რეფორმა, რომელმაც შეცვალა რიგი კოდექსები, სისხლის და სამოქალაქო სამართლის მუხლები, საგანმანათლებლო-კულტურული და საგადასახადო სისტემები, მიწათმფლობელობის წესები და ა. შ.

თაფუ – გლეხებზე იჯარით მიცემული მიწის გადასახადი მიწათმფლობელობაზე.

თიმარი – მიწა, რომლის წლიური შემოსავალი 1000-დან 20 000 ასხას აღწევს და სამხედრო სამსახურის პირობით ეძლევა ფეოდალებს.

თუდი – წარჩინების ნიშანი, რომელსაც ანიჭებდნენ დიდებულებს. არსებობდა ერთოუდიანი, ორთუდიანი და სამთულიანი ფაშების წოდებები. სულთანს 6 თუდი ჰქონდა.

თუდრა – ნიშანი, რომელიც სიყალბისაგან იცავდა სულთნის მიერ გაცემულ ფირმანებს.

0.

იანი ჩარი – ახალი რეგულარული ჯარი XIV-XIX საუკუნეების ოსმალეთში. გაჩნდა 1367 წელს მურად I-ის (1359-1389) დროს, რომელსაც ჯერ ტყვედ წაყვანილი ბიჭებით, შემდეგ დაპყრობილი ქვეყნების ახალგაზრდებით ავსებდნენ. კანონით იანიჩრად შეიძლებოდა ბერძენი, ალბანელი, სერბი, ბულგარელი და სომები ახალგაზრდების ჩარიცხვა. ისინი გადიოდნენ საგანგებო მზადებას მუსლიმანური ფანატიზმის სულისკვეთებით. 1639 წლიდან იანიჩრებად მხოლოდ თურქებს ამზადებდნენ.

მე-16 საუკუნის შეუ წლებიდან იანიჩარებს მიეცათ ცოლის შერთვის უფლება. ამ დროიდან ამ არმიაში მათი შვილებიც ერთიანდებოდნენ.

დასაწყისში იანიჩარები თავიანთი სამხედრო წოდების მიხედვით ღებულობდნენ ხელვას, მაგრამ ბოლო საუკუნეებში შეფერხდა ჯამაგირის გაცემა, რასაც მათი უქმაყოფილება მოჰყება. გაბშირდა მათი ამბოხი. უხელვასოთა ნაწილი შეუდგა გაჭრობას, ხელოსნობას, ნაწილი კი ძარცვით ირჩენდა თავს. იანიჩარები ხშირად თაოსნობდნენ ანტიოსმალურ მღელვარებებს და ხალხის აბუნბრებას. 1622 წელს მათ მოკლეს სულთანი ოსმან II. ანალოგიური აჯანყება მოაწყვეს ორი საუკუნის შემდეგ, რასაც სულთან სელიმ III-ის მკვლელობა მოჰყება. იანიჩარები ოსმალეთში საშიშ ძალად იქცნენ, რის გამო სულთან მამუდ II-მ (დედოთ ქართველმა, მეუღლეც ქართველი ქალი ქუთათელაძე ჰევადა) ჯერ მათი შევიწროება დაიწყო, ხოლო 1826 წელს ისინი მოლიანად გაანადგურა, განახორციელდა სამხედრო რევორმები და შეუდგა ახალი, ევროპული ყაიდის არმიის შექმნას.

იქტა – მიწის გაცემა გარკვეული გადასახადის პირობით.

იმამი – მუსლიმანთა რელიგიური თემის მეთაური, სულიერი მამა.

შენიშვნი ღვთისმსახურების ხელმძღვანელი.

იმარეთი – დაგრდომილთა თაგმებსაფარი, ან რაიმე საქველმოქმედო დაწესებულება, რომელიც არის ვაკფის (ვაფუფის) გამგებლობაში.

იურდლუკი – მომთაბარე ტომების განლაგების და მიწის მფლობელობის ადგილი, იგივე ოჯახლიკი.

იურთლიჯი – დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ ფეოდალებზე მემკვიდრეობით გადაცემული მიწა.

ბ.

კაზა, ყაზა – ყადის უფლებების გავრცელების ტერიტორია. სანჯაყში შემავალი ადმინისტრაციული ერთეული. მაზრა.

კაიმაკამი – მოადგილე, შემცვლელი სანჯაყის მმართველის ლაშქრობაში ყოფინისას.

კასაბა – პატარა ქალაქი (დაბა). 5-10 ათასამდე მცხოვრებით.

კაფუდანი – სამხედრო ხომალდების მეთაური.

კაფუჯი – სასახლის შიგნით სიმუდროვის დამცველი მოხელე.

კვპა, ქვპა – მმართველი ფაშის მოადგილე.

გ.

ლენი – სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიღებული მემკვიდრეობა.

ლივა – იგივე სანჯაყი, სადროშო.

ა.

მარკიტანტი – ვაჭარი, რომელიც ომის დროს მიჰყვებოდა ჯარს და ჰყიდვა სურსათს და წერილმანებს.

მასტიკა – ბერძნული სიტყვაა. პეტია: 1. იატაკის გასაპრიელებელ მასას; 2. წეპოს და ნაკეთობებათა დასამზადებელ ცომს; 3. ზოგი მცენარის სურნელოვან ნაყენს.

მაქთუ – ერთდროული გადასახადი ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში, რომლებიც არ ემორჩილება ადგილობრივ ადმინისტრაციას.

მაჰალე – ქალაქის ან სოფლის უბანი.

მედრესე – მუსლიმანური საშუალო სასულიერო სასწავლებელი.

მევკუფი – მიწის ფართობი, რომელიც მფლობელს ჩამოერთვა ადგეული გალდებულების შეუსრულებლობის გამო.

მერქეზი – თემი, გაერთიანებული სოფლების ადმინისტრაციული ერთეული.

მეჩეთი – მუსლიმანთა სამლოცველო სახლი.

მინარეთი – მეჩეთზე მიშენებული ვიწრო კოშკი, შიგნითა ხვეული კიბით და აივნით, საიდანაც მუედინი სალოცავად მოუხმობს მორწმუნებს.

მირიე – სახელმწიფო საკუთრება (გზა, ტყე, მიწა, წყალი და სხვ)

მირლივა — ერთოულიანი ფაშის სამხედრო წოდება. აგრეთვე სან-ჯაქის ბეგი.

მირმარანი – ბეგლარ-ბეგი, სამოუდიანი ფაშა. ვილავთის გამზე-
ბელი, ჯარების სარდალი და სამოქალაქო საქმეების ხელმძ-
ღვანელი.

მოლა – განათლებული სასულიერო პირი. მედრესეს მასშავლებელი (მუდარისი), მადალი რანგის ყადა.

მუდერისი – იგივე მოლა, მასწავლებელი მედრესეში.

მუედინი – მეტეორის მსახური, რომელიც მინარევთიდან ეზანით მოუქმდება.

მუთასარიფი – გამგებელი. ქონების პატრონი. სანჯაფ-ბეგის და
ბეგლარ-ბეგის სინონიმი.

მუთეველი — ვაკუფების მოურავი, რომელიც განაგებდა შემოსავ-
ლების განაწილებას.

მუთევერიკა – სულთნის პირადი გვარდიის წევრი.

მულქი – სულთანის მიერ პიროვნებებზე სრულ საგუთოებაში სამემკვიდრო ხატყალობები მიწა.

მუსალიმი – პროგნოსის (ვიდაეთი) ან ოლქის (სანჯაფი) შმართველის მოადგინება.

მუსელიშვილი – გლეხი, რომელსაც მიწა ეძლეოდა ჯარში სამსახურის სანაცვლოდ.

მულაზიმი – სტაჟიორი, პიროვნება, რომელიც მედრესეს დამთავრებისა და მოწმობის აღების შედეგ იყო თიმარის პრეტენდენტი. ასისთავის მომდევნო თანამდებობა.

მუშირი – I კლასის ვაშის სამეცნიერო წოდება, რომელიც შეესაბამება მარტლის წოდებას.

მუჭაჯირი – საკუთარი სამშობლოდან ლტოლვილი.

б

ნაზირი = ვაყუფის მოურავი, ზედამხედველი.

ნამაზი – ლოცვა, რომელიც მუსლიმანა ხუთჯერ უნდა შეასრულოს მეტთში ან სალოცავ ხალიჩაზე სახლში: ალიონზე, შეადექს, დღის მეორე ნახევარში, მზის ხასვლისას და დამის პირველ მესამედში.



ნაქშიბენდი, ნაკში – შეიხ მეჰმედ ნაკშიბენდის მოძღვრების მიმდევარი დერვიში.

ნაკიე – ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებს და შედის კაზაში.

ნიზამი – იანიჩარების შემცვლელი ევროპული ჯარი.

ნიშანჯი – დივანის ერთ-ერთი უძალლესი მოხელე, რომელსაც სულ-თანის ბრძანებებზე თუდრა გამოჰყავდა.

ნუზლი – ომიანობის დროს დამატებითი გადასახადი.

ო.

ოტომანები – ოსმალთა სახელმწოდების ევროპული ნაირსახეობა. ოტომანთა იმპერია, ოტომანთა პორტა და ა. შ.

ოყა – წონის ერთეული 400 დირამი, ან 1282 გრამი.

ოჯაკლიქი – სახელმწიფო მიწები, რომლებიც სამემკვიდრეოდ ეძლეოდა დაპყრობილი ტერიტორიების ფეოდალებს, ტომის ბელადებს (იურთლუქი).

პ.

პინა – წონის ერთეული, 10 ოყა, ანუ 12,82 ქბ.

პორტა – ოსმალეთის იმპერიის აღმნიშვნელი ევროპული ტერმინი.

ჟ.

რაია – რაიათი. გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა. მე-17 საუკუნიდან ეს ტერმინი მხოლოდ ქრისტიანებზე იხმარებოდა.

რედიფი – მხედრის უკან მჯდომი.

რუმელია – ბალკანეთის ისტორიული სახელმწოდება.

ს.

საბარიტი – ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

სადრაზამი – დიდგვაზირი, სულთნის უპირველესი მოახლე.

სალიანი – ოსმალეთის იმპერიის ზოგიერთი პროვინციის წლიური შემოსავალი, რომლის ნაწილი პირდაპირ სახელმწიფო ხაზი შექმნდათ.

სანჯაყი – სადროშო, რომელიც ვილაეთში შედის.



Саўжэно – Сігнікація – 2,13 мегабіт.

Сеўжары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Сеўжары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Сеўжэно – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Сеўжэно, Сеўжары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

3.

Улакі – дзвінісмежчызняль, Сеўжэно – амбініяль, да маўнішчызняль.

3.

Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт. Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

Фары – асмадзеўтасіс 1,5 мегабіт.

ბ.

ქეთხედა – მამასახლისი. საქმეთა მწარმოებელი: ხაზინის ქეთხედა, დავთრის ქეთხედა, ჩაუშების ქეთხედა და ა. შ.

ქილა – წონის ერთეული, 3 ქილა – 38,46 კბ.

ქისა – ფულის საზომი ერთეული. მერყეობდა 500-40 000 ახჩას შორის.

ქურექჩი – მენიჩბე-მეზღვაური იალქნიან გემზე.

გ.

დაზი – ურწმუნოთა (არამუსლიმანთა) წინააღმდეგ მებრძოლი.

გ.

ყადი – მოსამართლე, რომელიც შარიათის კანონების და ადათ-წე-
სების საფუძველზე განსჯიდა.

ყაზი, გაზი – იხ. დაზი.

ყაზა – იხ. კაზა.

ყასაბა – დაბა, პატარა ქალაქი.

ყაფუჯი – იხ. კაფუჯი.

ყაფუჯულუ – ჯარის მსახური (იანიჩრები, სიფაიები).

ყელ-ოდლუ – იანიჩართა შვილები სამხედრო სამსახურში.

ყურუში – ვერცხლის მონეტა. 1687 წელს ყურუშმა შეცვალა გაუფა-
სურებული ახჩა. სხვადასხვა დროს უდრიდა 80-120 ახჩას.

გ.

შარიათი – მუსლიმანთა რელიგიური სამართალი.

შეიხი – რელიგიური ორდენის ან დერვიშთა სექტის მეთაური.

შეიხ-ული-ისლამი – მუსლიმანური სასულიერო წოდების მეთაური
ოსმალეთში.

ბ.

ჩადრი – მუსლიმანი ქალის ტრადიციული ჩასაცმელი, რომელიც
ფარავს მთელს სხეულს და სახეს.

ჩალვადარი – ბარგირი, ტვირთის მზიდავი სახედრის, ჯორის, ცხ-
ენის პატრონი.



ჩაუში – სულთნის პირადი გვარდიის და იანიჩართა ერთ-ერთი ჩინოსანი, რომელსაც აძლევდნენ განსაკუთრებულ დავალებებს. იგზავნებოდა ელჩად, ბრძანებებს გადასცემდა პროვინციების და რაზმების მეთაურების.

ჩიფთილიქი – წყვილი. მიწის ნაპვეთი, რომელსაც ერთი უღელი ხარი ამჟამავებდა.

ჩორბაჯი – ყაფი-ყულუს ლაშქარში ახალწელთა ნაწილის მეთაური.

ბ.

ხარაჯი – არამუსლიმანთა გადასახადის ზოგადი სახელწოდება.

ხასი – სულთნის საგვარეულო წევრებზე სამხედრო ან ადმინისტრაციული სამსახურის პირობით გადაცემული ან საგვარეულოს ქალებზე მზითვად და სარჩენად ბოძებული მიწა.

ხეტბა (შდრ. ხოტბა) – პარასკევის ჯუმის ლოცვა, როცა აღავლენდნენ ხეტბას სულთნის ქებას.

ჯ.

ჯებეჯი – შეჯავშნული მეომარი.

ჯიზია – არამუსლიმანზე გაწერილი ხარაჯი (იხ.), გადასახადი.

პ.

პარემი – წმინდა ადგილი, სადაც ყველა ვერ შევიდოდა. აქ უპირატესად ქალები ცხოვრობდნენ და მამაკაცებს ეპრძალებოდათ იქ შესვლა. სულთნის პარემი სასახლის ნაწილად ითვლებოდა, სადაც მისი ოჯახის ქალები და ბავშვები ცხოვრობდნენ.

პიჯრა – მოციქულ მუხამედის მექადან მეღინაში გადასახლების თარიღი (1622 წლის 3 ივლისი), რაც საფუძვლად დაედო ისლამის მთვარის პალეოლიტის პირველ წელს. აქედან იწყება მუსლიმანთა წელთაღრიცხვა.

ჰუმაიუნი – უმაღლესი ფირმანი. რუჟსი-ჰუმაიუნი – სამხედრო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირის დანიშვნის ან გადაყენების დოკუმენტი;

ჰუქუმათი – სამულობელო, რომლის შემთხვევალი მთლიანად გამგებლის საგუთრებას წარმოადგენდა. ამის სანაცვლოდ მას ევალებოდა მოლაშქრეების გამოყვანა.



პირთა საძირბელი

ა.	ალი-ბერი,
აბაშიძები, წარჩინებული გვარი აჭარაში 93, 112, 163, 164, 167, 170.	ოსმალეთის სარდალი 30, 58
აბაშიძე ზია-ბეგი, აჭარის სანჯაფ-ბეგთა შთამომავალი 165.	ალხაზიშვილი იაკობ, გენერალი, გურიის რაზმის ჯარების უფროსი 30, 43, 145
აბაშიძე იბრაიმ-ბეგი, აჭარის სანჯაფ-ბეგი 164	ანტონ-პეტროს გასუნი, სტამბოლის უმაღლესი ეპისკოპოსი 201, 202
აბაშიძე სალიხ-ბეგი, აჭარის სანჯაფ-ბეგთა შთამომავალი 164	არქასი, ადმირალი 134, 145
აბაშიძე ფაზლი-ბეგი, აჭარის სანჯაფ-ბეგთა შთამომავალი 165	ახვერდოვი არტემ, თბილისელი ვაჭარი 12
აბაშიძე ჰუსეინ-ბეგი აჭარის სანჯაფ-ბეგი (ფაშა) 164, 165, 191	ახმედ-ალი-ფაშა, ოსმალეთის მოხელე 38
აბდულ-აზიზი, თურქეთის სულთანი 98, 226	ახმედ-ეფენდი (იხ. ხალვაში ახმედ)
აბდულ-მეჰიდი, თურქეთის სულთანი 97, 226	ბ.
აბდულ-ფაშა ხაზინადარ-ოდლი, ტრაპიზონელი 93	ბაქრაძე დიმიტრი, ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი 6, 15, 16, 21, 33, 34, 47, 61, 74, 112, 119, 120, 125, 128, 130, 146, 155, 186, 198, 214
ადრიანე ჰუბლიოუსი, რომის იმპერატორი 92	ბაჯელიძე რეზიდ-ალა, ქობულეთელი 179
ავალიანები, წარჩინებული გვარი აჭარაში 112	ბექანიძე აბდულ-ბეგ, ზენდიდელი 192
ათაბაგი თევფიფ-ბეგ, ლიგანელი 192	ბექანიძები, წარჩინებული გვარი აჭარაში 68, 79, 93, 112, 163, 167, 168, 218, 224, 225
აიმე, მესხი, ოსმალეთის დედოფალი 227	ბექანიძე თოფან-ბეგი, ჩაქველი 169
ალექსანდრე II, რუსეთის იმპერატორი 229, 236.	

ბეჭანიძე მემედ-ბეგი, ჩაქველი	168, 169	ბოგოსლოვსკი ვ., ა. ს. ფრენკელის თანაკურსელი და მეგობარი	17
ბეჭანიძე მურად-ბეგი, ჩაქველი	170		
ბეჭანიძე ოსმან-ბეგი, ჩაქველი	168	ბ.	
ბეჭანიძე სეფერ-ბეგი, ჩაქველი	170	გავრილება, ბათუმის სანიტარიული რაზმის უფროსი, ექიმი	155
ბეჭანიძე შევქეთ-ბეგი, ჩაქველი	169	გამრეყდლიძე ა., პეტერბ. უნ-ტის სტუდენტი	8
ბეჭანიძე ფერათ-ბეგი, ჩაქველი	67, 168, 169	გვარაჩინო მ. ფ. იტალიელი მოგზაური ბათუმისა და ართვინის ექსკურსიის ჩანაწერები“-ს ავტორი. ლონდონი 1840 წ.	21
ბეჭანიძე ხასან-ბეგი, ჩაქველი ოსმალეთის მილიციის მაიორი	130, 170, 191	გორგიონ აფრიონი, ლივანელი	192
ბეჭანიძე ხემილ-ბეგი, ჩაქველი	170	გორჩაკოვი ა. დ., დიდითაგადი, სახ. კანცლერი	38
ბეჭანიძე ჯელილ-ბეგი, ჩაქველი	168, 169	გუბუნია, ქობულეთის წარჩინებული გვარი	170
ბეჭანიძე პაიდარ-ბეგი, ჩაქველი	170	გურიელები, გურიის მთავრები	171
ბეჭანიძე პეტილ-ბეგი, ჩაქველი	169	გურიელი გრიგოლ, გენერალი, გურიის მთავართა შთამომავალი	30, 45, 51, 53, 64, 69, 77, 91, 118, 158, 187, 235
ბეჭანიძე პუსეინ-ბეგი, ჩაქვის მებატონე	51, 52, 66, 67, 91, 117, 138, 168, 169, 179, 191, 220	გურიელი კახაბერ, გურიის მთავარი	171
ბეგთარბაშვი, „ტრაპეზონის კალენდრის“ მთარგმნელი	37	გურიელი მამია, გურიის მთავარი	92
ბიკონისფილდი ბენჯამენი, ინგლისელი ლორდი	130	გურიელი როსტომ, გურიის მთავარი	92



გურიელი სოფიო,	
გურიის დედოფალი	232, 233
გურიელი ქაიხოსრო,	
გურიის მთავრის მამიას ბიძა	
და რეგენტი	232, 233
ღ.	
დავითაძე მეგლუდ	
ს. სხევიდან (ზუახევის რ.),	
წიგნის რედაქტორის	
ინფორმატორი, 1877-78 წ.წ.	
ომის მონაწილე.	
გარდ. 132 წლის ასაკში	61
დევრიშ-ფაშა, წარმოშობით სერბი,	
ოსმალეთის მუშირი	
ბათუმში 30, 51, 53, 56, 57, 58,	
89, 62, 63, 72, 81, 82, 84, 116, 142,	
159, 160, 161, 165, 227, 229, 233	
დიუპრე ადრიან,	
მოგზაური	94
დმიტრიევ-ორენბურგსკი ნიკოლაი,	
მხატვარი, ომის	
თვითმხილველი	44
დონ-კარლოსი,	
საფრანგეთის ოფიცერი	160
ჳ.	
ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე	
არტანუჯელი	192
ერისთავი კონსტანტინე (კორა),	
მუსლიმანთა ასეულის	
მეთაური	180, 181
ექტ-ოდლი კამბარ,	
ტატო წულუქიძის	
თანამოსაქმე	12
ჸ.	
გახტანა VI,	
ქართლის მეფე	15, 16, 17
გახუშტი ბატონიშვილი,	
ისტორიკოსი და	
გეოგრაფი	93, 94
გიქტორია,	
დიდი ბრიტანეთის	
დედოფალი	160
ჹ.	
ზაპარენკო,	
ნაღმოსნის მეთაური,	
ლეიტენანტი	148
ზდანცვითი-მაიაშვილი გიორგი,	
ხალხოსანი, პუბლიცისტი	8,238
ზედგინიძე ანდრია,	
ქობულეთის მკიდრი,	
რეინიგზის მოხელე	179
თ.	
თავდგირიძე ალი-ფაშა,	
ქობულეთის ბეგი	164, 165, 166,
	167, 232, 233, 234
თავდგირიძე დურსუნ-ბეგ,	
წარჩინებული გვარის	
შთამომავალი	170, 192
თავდგირიძები,	
ქობულეთელი თავადები	56, 93,
	112, 163, 134, 165, 167, 168,
	218, 231, 232, 233, 234
თავდგირიძე მაპმუდ-ფაშა,	
წარჩინებული გვარის	
შთამომავალი	167
თავდგირიძე თხმან-ბეგ (ფაშა),	



ბათუმის და ტრაპიზონის გუბერნატორი	51, 53, 54, 160, 164, 166, 167, 232, 233, 234, 235		
თამაზოდლი, ქობულეთელი	170	ქემპბელი, გენერალი, ინგლისის სამხედრო აგენტი	160
თამარი,		კერძელიძე ივანე, ჭ. „ცისრის“ რედაქტო	6
გაერთიანებული საქართველოს მეფე	79	კი, პოლკოვნიკი	148
თაფიშვილი ექვთიმე, წმინდანი, ისტორიკოსი	6, 15	კიბაზარი, იაპონელი მეცნიერი, შავი ჭირის მიკრობის აღმომჩენი	230
თორელი ვარლამ, წიგნის მთარგმნელი	12, 20	კომაროვი ა. ვ. (გენერალი, არქეოლოგი, პ. ვ. კომარგის ძმა)	185
ი.		კომაროვი პ. ვ. გენერალი, ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორი	30, 117, 122, 123, 140, 179, 185
ი.გ. ქართული რაზმის უფროსი, იესე გურიელი	82	„კომარ-ფაშა“ (იხ. კომაროვი)	187
იერსენი, ფრანგი მეცნიერი, შავი ჭირის მიკრობის აღმომჩენი	230	კონდაკოვი, ნ. პ. ისტორიკოს-ბიზანტიოლოგ,	34
ივანოვი, პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი	56, 58	კოსტენკი ნ. ვ., პროპულორის ამხანაგი	12
იუსუფ-ფაშა, ტრაპიზონის გენერალ- გუბერნატორი	161	კრილოვი ი. ა., რუსი მწერალი და მეიგავე	70
ჭ.		ლ.	
კაიკაციშვილი გულა-ალა, მეცნატი, საზოგადო- მოღვაწე	179	ლევაშოვი, პოლკოვნიკი, არტიანის რაზმის შტაბის უფროსი	29, 142, 162
კარბელაშვილი ანდრე, პუბლიცისტი	215	ლორთქიფანიძე კირილე, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი	9, 20




პ.

- მალმუზი გ.
იტალიის კონსული ბათუმში
94, 95, 133, 216
- მარგიევი ზაურ,
ფოტოკოლექციონერი,
პუბლიცისტი 58, 97, 225
- მარია ალექსანდროვნა,
რუსთის იმპერატრიცა 18
- მაჰმუდ II,
ოსმალეთის სულთანი 227
- მგალობლივილი სოფრომ,
მწერალი, ხალხოსანი 237, 238
- „მეგრელი“, მეკრალი,
მალაქიაძე ემრულა (რ. ს.)
აბრაგათა რაზმის მეთაური 12
- მელიქშვილი პეტრე,
დიდი ქართველი მეცნიერი-
ქიმიკოსი 13
- მელიქიშვილი სტეფანე,
თბილისში სტამბის დამარ-
სებელი და გამომცემელი 13
- მესუდ-ფაშა,
პეტშინდი 167
- მესხი სერგეი,
გაზ. „დროების“ რედაქტორი,
საზ. მოღვაწე 6, 132, 218
- მეფისოვი მ. პ. —
შავშეთ-იმერხევის პირველი
მმართველი 142
- მეფისოვი ნ.,
ოქლობულის თარჯიმანი 72
- მილიუტინი ი., ა.
ფრენგელის თანამურსელი
და მეგობარი 17

- მორზე სამუელ,
ჩამწერი, ტელეგრაფის
გამომგონებელი, 216
- მუსტაფა-ფაშა,
ოსმალეთის ბრიგადის
გენერალი 81, 142, 186
- მუხამედი, ლაზი,
სასტუმროს მეპატრონე
ბათუმში 146
- მუჭამედი,
მუსლიმანთა მოციქული,
მამადიანობის
დამფუძნებელი 47, 132
- მუხტარ-ახმედ-ფაშა,
ოსმალეთის არმიის სარდალი
მცირე აზიაში 160
- მჭედლივილი გრიგოლ,
ბათუმის მკვიდრი 79

ტ.

- №
(ოფიცერ-ინჟინერი) 69
- ნანეიშვილი ალექსანდრე,
პედაგოგი, ხალხოსანი 16, 237
- ნასყიდაშვილი ქიბესა,
ტატო წულუკიძის თანამოსაქმე 12
- ნიათ-ფაშა,
ოსმალეთის გენერალი 30
- ნიკოლაძე ნიკო,
საზოგადო და მუნიციპალური
მოღვაწე 7, 9, 10, 11, 19, 20, 136, 219
- ნიუარაძე დედი-ადა,
ქობულეთელ წარჩინებულთა
შთამომავალი 179



ნურიძი,
რუსეთის გენერალ 30, 31, 62, 64, 65

პუნქტიანი ტერ-გრიგორ,
სომებ-კათოლიკეთა
მღვდელი

191

ო.

- ო’დონოვანი,
ჰირლანდიელი,
გაზეთ „დეილი ნიუს“-ის
კორესპონდენტი 159, 160, 161, 162
- ოკლობჟიო ი. დ.,
გენერალ-ლეიტენანტი 30, 57,
58, 70, 72
- ორბელიანი გრიგოლ,
გენერალი, დიდი
ქართველი მწერალი 221
- ორბელიანის ქალი,
ი. დ. ოკლობჟიოს მეუღლე 70
- ოსმან აღა მაკრიალელი,
მუდირი 192
- ოსმან-ბეგი,
ოსმალეთის გენ. შტაბის
უფროსი 21, 58, 81
- ოსმან-ბაირახტაროდლი
(დავითაძე რ. ს.) შირინ-აღა 192
- ოსმან-ფაშა,
ჩერქეზი, პოლკოვნიკი 81
- ოსტენ-საკნი ფონ-დერ გრაფი,
საბაჟო უწყების უფროსი 145

პ.

- პალგრევი ჭ. ჭ.,
ინგლისის კონსული
ტრაპიზონში 216
- პუნქტიანი პეტროს,
ართვინელი 192

- რებერგი,
გენერალ-ინჟინერი 57, 72, 145
- რემერტია. ა.
სამხედრო-სამედიცინო,
შემდგე სამედიცინო ნაწილის
ინსპექტორი 126, 145, 153, 156, 157
- როინაშვილი ალექსანდრე,
ქართველი ფოტოგრაფიის
ფუძემდებელი 37, 48
- რომანოვი მიხეილ,
დიდი მთავარი 179
- რუსები,
მედრესეს მასწავლებელი
ბათუმში 128

ს.

- საგამიონი სიმიონ,
შავშეთელი 192
- სამიხა-ფაშა,
შერიფ ხიმშიაშვილის
მოწინააღმდეგებუ 116
- საფარ-ბეგი,
იმერხეველი 192
- სერგეევი,
კავკასიის ტელეგრაფის
უფროსის მოადგილე 145
- სვიატოპოლკ-მირსკი დ. ი.,
კავკასიის მეფისნაცვლის
მოადგილე 29, 30, 31, 43, 46, 51,
53, 56, 57, 59, 73, 79, 81,
82, 83, 84, 140, 141, 143, 144, 145



სლობოდჩიქოვი, მთავარი სამხედრო- საველე ხაზიანდარი	145	ულფან-ბეგი, ქვემო აჭარელი	192
ჭ.			
სოლისერი, ლორდი	38		
სპასოვიჩი ვ. დ., ა. ფრენკელის მასწავლებელი, იურისტი – ნაროდნიკი, სამართლის ისტორიკოსი, ლიტერატორი	7, 8	ფაშიონდლი (ჩივაძე, რ. ს.), ქობულეთელი	170
სტებნიცეი ი. ი., გენერალი, გეოდეზისტი და კარტოგრაფი		ფილინოვი ბეგლარ, წიგნის გამომცემელი თბილისში	12, 20
სტებანოვი ა. ვ. ქ. „იურიდიჩესოე ობოზრენიე“-ს რედაქტორი, შეცვალა ა. ს. ფრენკელმა	10	ფრენკელი ქ. ს. (ა. ს. ფრენკელის ძმა, დუშეთის მაზრის უფროსი)	18
სული-ბეგ მაჭახლელი (იხ. წულუკიძე სული-ბეგ)		ფრენკელი ი. ი., ფიზიკოსი	5
სურმანიძე რამიზ-ბეგ, აჭარის I მეჯლისის წევრი	179	ფრენკელი ბ. ი., ა. ფრენკელის ნათესავი, თბილისში სტამბის მეპატრონები	14
სურმანიძე ხასან, აჭარის მუგთი, პირველი მეჯლისის წევრი	179, 191	ფურცელდაძე ანტონ, მწერალი, ხალხოსანი, 237, 238	
ტ.			
ტრეიტერი, გენერალი	31, 143	ქ.	
ტრუბეცოვი, გენერალი, თავადი	30, 57, 58	ქარცივაძე ოსმან-აღა, ქობულეთელი	120
		ქილიგოდლი მიგირ, ავანტურისტი ბათუმში	116
		ქიქოძე ი., პეტერ. უნ-გის სტუდენტი	8
		ქუთათელაძე (ფატიმა? რ. ს.) დიდ-ჯიხაიშელი,	
		სულთან მაჰმუდ II-ს მეუდლე, ვალიდე-სულთანი, აბდულისა და აზიზის დედა	227



ქუჩა-აღმდებარება (იხ. წელუკიძე ქუჩა-აღმდებარება)	ციფაძე რეჯებ-აღა, აჭარის I მეჯლისის წევრი, ქობულეთელი 170, 192
შ.	
ყაზბეგი გიორგი, გენერალ-ლეიტენანტი, სახ. მოდგაწე 21, 36, 137, 139, 154, 214	ციციშვილი ა., პეტერბურგის უნივერსიტეტი სტუდენტი 8
შ.	
ყიფიანი მიხეილ, ხალხოსანთა ლიდერი 237	წერეთელი აკაკი, დიდი ქართველი პოეტი 11, 19, 237
შ.	
შავროვი „კავკასიის კალენდრის“ რედაქტორი 22, 216	წერეთელი გიორგი, მწერალი და სახ. მოდგაწე 6, 10, 19, 20, 237
შ.	
შამბაშოდლი (ლორთქიფანიძე, რ. ს.) 170	წერეთელი შ. ე. 10
შერგაშიძე თუფან-ბეგ, ქედის მაზრის უფროხი, მაიორი 192, 193	წილოსანი ესედ, აჭარის I მეჯლისის წევრი 179
შ.	
შუვერი შ. გაზ. „სტანდარდი“-ს კორესპონდენტი 160	წელუკიძე სული-ბეგ, მაჭახლელი თავადი 192
შ.	
ჩიკოიძე შ., პეტერბურგის უნივერსიტეტი სტუდენტი 8	წელუკიძე ტატო, თბილისელი აბრაგი 12, 13, 14, 16, 20
შ.	
ციფაძე ესედ, აჭარის I მეჯლისის წევრი, ქობულეთელი 179	წელუკიძე ქუჩა-აღა (იგივე ალი-აღა), მაჭახლელი 140, 141, 192
ც.	
ჭ.	
ციფაძე ესედ, აჭარის I მეჯლისის წევრი, ქობულეთელი 179	ჭავჭავაძე ილია, წმინდანი, დიდი ქართველი მწერალი 6, 14, 17, 19, 221, 237
ჭ.	
ჭრელაშვილი სტეფანე, ხალხოსანი 237	ჭყონია, ქობულეთელი წარჩინებული 170



ბ.

- ხაზინადარ-ოდლი ოსმან-ფაშა,
ტრაპიზონელი 93
- ხაზინადარ-ზადე რეშიდ-ეფენდი,
ზემო აჭარელი 192
- ხალვაში ახმედ-ეფენდი,
მილიციის მაიორი,
მარადიდელი 140, 142, 192
- ხალვაში ისაკ ახმედის ძე,
მარადიდელი 141
- ხარაზი ყემბერ-აღა,
ბათუმის
სახლთმოვლობელი 179
- ხალამპოვი პეტრე,
ბერძენი მღვდელი 191
- ხიმშიაშვილები,
თავადური გვარი
ზემო აჭარაში 112, 181, 218
- ხიმშიაშვილი ახმედ-ფაშა,
ახალციხის ფაშა 93, 144
- ხიმშიაშვილი ისაბეგი,
შერიფ-ბეგის შვილი 143
- ხიმშიაშვილი მერთაზ-ბეგი,
ხულოს მუდირი 228
- ხიმშიაშვილი ნური-ბეგი,
შავშეთ იმერხევის მფლობელი
140, 142, 143, 179, 191
- ხიმშიაშვილი სელიმ-ფაშა,
ახალციხის ფაშა,
ქართველი პატრიოტი 144
- ხიმშიაშვილი ფაჰლულ-ბეგი,
შავშეთელი 192

- ხიმშიაშვილი შერიფ-ბეგ
(ადჯარსკი ალექსანდრ
ახმედის ძე),
გენერალი, საზოგადო
მოღვაწე 115, 116, 140, 144,
146, 147, 148, 191, 227, 228, 229, 230
- ხიმშიაშვილი ჯემალ-ბეგ
შერიფის ძე,
პოლკოვნიკი 143

კ.

- ჯაბადარი ი.,
პეტერბ. უნ-ტის სტუდენტი 8
- ჯაში,
ქობულეთელი წარჩინებული 170
- ჯაში ხუშუბ-აღა, ა
ჭარის I მეჯლისის წევრი 179
- ჯოუდინი,
რუსეთის კონსული ბათუმში
22, 30, 36, 80, 93, 94, 100, 106,
113, 116, 119, 125, 128, 131, 133,
146, 153, 167, 172, 216

ჸ.


- ჸამდი-ბეი,
პოლკოვნიკი 81



ს ა რ ჩ ე ვ 0*

არაქართველი თერგდალეულთა თაობიდან	
ალექსანდრე ფრენკელი	5
ლიტერატურა	20
წინასიტყვაობა	21
ნარკვევი პირველი „გზად ბათუმისაკენ“	23
თავი პირველი	24
თავი მეორე	32
თავი მესამე	39
თავი მეოთხე	51
თავი მეხუთე	62
თავი მეექვსე	71
თავი მეშვიდევ	77
ნარკვევი მეორე, „ბათუმში“	83
თავი პირველი	83
თავი მეორე	92
თავი მესამე	102
თავი მეოთხე	107
თავი მეხუთე	117
თავი მეექვსე	128
თავი მეშვიდევ	133

* ყველა თავს ავტორი იწყებს მოკლე ანობაციით, რომელსაც
წიგნის სარჩევშიც იმეორებს. ჩვენ ეს ზედმეტად მივიწიეთ, ან-
ობაციები სარჩევიდან ამოვიდეთ და მხოლოდ შესაბამისი თავის
დასაწყისში დავტოვეთ (რედ.)



თავი მერვე	140
თავი მეცხრე	146
თავი მეათე	153
თავი მეთერთმეტე	158
თავი მეთორმეტე	163
თავი მეცამეტე	171
თავი მეთოთხმეტე	176
თავი მეთხუთმეტე	183
თავი მეთექვსმეტე	189
თავი მეწვიდმეტე	194
დანართები	201
დანართი №1. სტამბოლის პატრიარქზე და სომხურ კათოლიკური რწმენის კათალიკოსზე სულთნის მიერ ბოძებული სიგელის თარგმანი	201
დანართი №2. მაჭახლის ნაჲიე	207
დანართი №3. ზემო აჭარის კაზა	208
დანართი №4. ქვემო აჭარის კაზა	209
დანართი №5. ლივანას კაზა	210
ა. ფრენკელის მიერ გამოყენებული ლიტერატურა	213
რედაქტორის შთაბეჭდილებები	214
შენიშვნები	222
უცხო სიტყვათა განმარტებები	239
სახელთა საძიებელი	249



ოპერატორი ნანი გორგაძე
დამკაბადონებელი ანაიდა ავეტისიანი
კორექტორი მარინა გოგუაძე
ფოტორეპორტერი ზურაბ სურმანიძე